



უილიამ უორდსუორთი

რა მშვენიერი საღამოა, წყნარი და ლაღი,
დრო გასუსულა მონაზონი ქალივით, როცა
სულგანაბული იგი მარტო აღავლენს ლოცვას;
ვეებერთელა მზე ეშვება დუმილად დაღვრილ
ბურში და ზღვაზე ცის მდუმარე ტივტივებს თაღი.
ჩუ! ახლა ღვიძავს უზენაესს — თვითეულ ბგერას
მისი ძრაობა მეხთა ტეხის გრიალად კვერავს
და მე დუმილად მეჩვენება მშვენიებით დაღლილს.
ჩემო გოგონავ, ჩემო შვილო, გვერდით რომ მომდევ
და ოდნავადაც ვერ განიცდი ამ აზრის ბრწყინვას,
შენდამი მაინც არ ყოფილა განგება ძუნწი:
შენ ბინა ისევ აბრაჰამის მკერდში გაქვს ოდენ,
მსხვერპლს ტაძრის შიდა აკლდამების დუმილში სწირავ
და ღმერთი ჰგეოს შენთან, როცა ჩვენ არც კი ვუწყით.



თვალი შინაგანი

სათცარია მარტომ, შენთვის, თვალმინაბულმა
იარო წყნარად მინდორ-მინდორ თუ ყორე-ყორე
და არ შეავლო თვალი განზრახ არ თუ სამყურას,
აღარც ზღაპრულად აჭრელებულ მინდორს და გორებს,
თუ დაგაამებს ზმანებათა ჭვირი მიმქრალი,
ფიქრის ხატების ქარავანი ნელინელ შორეთს
ბლანტე ნისლივით მიმავალი უხმოდ და მდორედ
და ოცნებათა ვარდისფერი, ჩუმი გრიგალი —
იმ დღესვე უნდა გააუქმო გრძნეულ მუზასთან
საკომერციო კონტრაქტები, ძველად რომ დადე,
რა დღესაც, ძმაო, სულ ეულად და მიუსაფრად
დაგტოვებს ნიჭი სიყვარულის და ზღვიდან ზღვამდე
ნასროლი ბადე გრძნობებისა — შენს ლექსს უზადო
და წმინდა თვალი შინაგანი დააღვრის ნათელს.





სამუელ ტეილორ კოლრიჯი

მინაწერი წყაროზე მინდორში

ვეება ვერხვი ფუტკართაგან ბგერად ქცეული —
 ასეთს ეტრფოდნენ ფანჩატურებს პატრიარქები!
 ხანდაზმულ რტოებს უამრავი ხელისგულებით
 ხვატისგან თითქმის დაუმაღავთ მრგვალი აუზი, —
 წყალს ჩამოცვენელ ფოთოლთაგან იფარავს ლოდი;
 დაუსრულებლივ ძალუმს წყაროს მშვიდი, ვითარცა
 სიზმრად გაპარულ ჩვილის სუნთქვა უსუბუქესი,
 მიაართვას წყალი მოგზაურებს და პილიგრიმებს
 ხილული პულსით და რიტმებით! დაუსრულებლივ
 მის ფსკერზე უხმოდ ბოლავს წმინდა და სიფრიფანა
 კონა ქვიშისა, თითქოს ცეკვავს დღესასწაულზე
 ფერიის პაუი — მუდამ ცელქოდა მხიარული.
 და არ ირხევა ზედაპირი გლუვი და მშვიდი;
 თვითონ დაისი და სიგრილე მსუბუქ ხავსებში
 და სშირ ჩრდილებში ისვენებენ. არსად გენახოთ
 ამ ადგილებში ასეთი ხე. დადლილო მგზავრო!
 ინებე მისი ცივი წყალი და განისვენე,
 ხოლო უკეთუ უზადო და წმინდა გაქვს გული,
 დე, სულიც შენი დაიამე, რა შორიასლო
 მოისმენ ნიავს, უცხო ბგერებს, ფუტკრების ფუსფუსს...

□

ჯორჯ ბაირონი

ანესლის მთათ, ცივო და ბერწო,
 ჩემი ბავშვობა შენ გებარება,
 თ, მთათ, მთათ, შენს ლამაზ მკერდზე
 რა სუსხიანი ქრიან ქარები!

მე ვედარ გნახავ და ნუღარ მელი,
 ნაცნობ ადგილებს ვერ ვესაუბრო,
 აწ შენს თავს, მთათ, ღიძილი მერის
 ვერ მომაჩვენებს ცათა საუფლოდ.

□



პირსი ბიუი უელი

ვერც ფუფუნება, ვერც მშვიდობა, ვერცა სახელი,
ვერც ხელოვნება, ველარც ძალა და გალაღება
ველარ მოთრგუნავს ჯოგს ვერარა დიდი სახრეთი,
თუ ტირანიაშ გათელა და მტვერს მიახვეტა
და შავად მოსჩანს ისტორიის გადასახედი,
თითქოს-და ჩრდილი მიჰყვებოდეთ უკან სახედართ,
ხელოვნება კი ამ სახედრებს ცემით დახეთქილ
სახეზე ლაქებს ჩამორეცხავს ხოლმე ნახევრად.

ჩვენ ნაშენები რით ვართ — ძალით თუ ადათებით?
და რაკი კაცი არის კაცი, მან უნდა მორჩილ
სურვილზე ტახტი დაიდგას და დაბრძანდეს მორჭმით,
ალაგმოს სასო — სასწაული ჰქმნას საარაკო,
ვით მარტოსულმა, დაიშენოს თავზე ნათელი,
თავისი თავის იმპერია თავად განავოს!

□

მიწისკენ ასე რომ მიილტვით, რას მოიძიებთ
შიგ, აგზნებულთ ფიქრებო და ბასრო აზრებო,
უქნარა ტვინმა რომ დაგბადათ ვინაც ბიწიერ
ლივრეად ტანზე მიიტმასნა მთელი სამზეო,
ო, გულო ჩემო, ჩქარო, წამით რომ არ იძინებ
და ტყუილიც რომ გყოფნის ხოლმე აქ საარსებოდ?!
და შენ, ამოდ მცდელო სულო, ქვეყნის კიდითგან
სულ რომ ჰკითხულობ სიდან მოხველ და სით მიდიხარ,
შენ ერთმა უნდა უცნობადის ზღვა გადასერო!

საით მიილტვით, რა ქარაფზე დაგიკიდიათ
მწვანე ბილიკი სიცოცხლისა? ან სადაური
ხსნაა სიკვდილი შვეებისა და ურვა-დარდისგან?
გულო და აზრო, ცხოვრების წილ რა საზღაური
უნდა მოგაგონ, რა სკნელები უნდა გადიხსნან?

□

მერი უნჯინს

უკვე მეოცე ილევა წელი,
რაც გათენებას ამაოდ ველით
და არ თავდება წკვარამი გრძელი,
ჩემო მერი!

უყურებ შენივ სხეულის რღვევას
და აღარც ძალა არ მოგდევს ძლევად —
უბედურების მიზეზი მე ვარ,
ჩემო მერი!

სიფიცხე შენი ნემსის და ჩხართის
აწ ვედარ მათბობს და რაც დრო გადის
მტვრით იბინდება ბრკიალი ძათი,
ჩემო მერი!


სულით და გულით ცეცხლისპირ ახლაც
მიუჯდებოდი ჩემს წინდებს, მაგრამ
ვაი, რომ თვალში მზის სხივი ჩაქრა,
ჩემო მერი!

მაგრამ ხელსაქმეს კვლავ ყინხად უმზერ,
სულ ცდაში ხარ და მტერს თვალებს უვსებ
და ძაფებს აგერ მე მახვევ გულზე,
ჩემო მერი!

მე კი შენს გვერდით დღეს, როგორც წესი,
ვით ერთ დროს შენი ჩხართის თუ ნემსის,
მაგ დუმილის და რინდისაც შესმის,
ჩემო მერი!

შენი თმის ვერცხლი, თუ ჟამთა მტვერი
მე უფრო მომწონს დღეს, ვიდრე ძველი
იმ მწიფე ქერის თუ ხორბლის ფერი,
ჩემო მერი!

თუ არა მაგ თმებს, თოვლივით წმინდას,
სხვას რას ვუცქირო, რა შავქვად მინდა
მზის ჩამოშლილი ნაწნავი ციდან,
ჩემო მერი!



სულ გადნა შენი სიცოცხლის მხოველი,
თითები შენი სუსტი და თხელი,
მაინც მომჭიდვ კვლავ ხელზე ხელი,
ჩემო მერი!

გახუნდა შენი ქალური ჯიში,
ხელით გაჰყავხართ მზეში თუ ჩრდილში
და ჩემს სიყვარულს მაინც არ იშლი,
ჩემო მერი!

და ესლა, როცა მზეც არ გვარგია,
როცა სამარე მოჩანს ვარ-დია,
სულის სიკარგე ისევ ვარგია,
ჩემო მერი!


მაგრამ ეჰ, მე რომ ცხოვრება ვიცი,
ჩემი ტკივილი და დღენი სიმწრის
მაგ ღიმილს ოდენ ქვითინად გიცვლის,
ჩემო მერი!

და დაჰკრავს ჩემი წარსულის ფერი
მომავალ დღეებს, აწ მე რომ ძელის
და შენი გულიც შედგება, მერი,
ჩემო მერი!



ალფრედ ტენისონი

მე უსაშველო ტანჯვის გამხელას
ზოგჯერ, ვით ცოდვას, ვუფროთხი თვითონვე,
ბუნებასავით სიტყვაც ნახევარს
თმობს და ნახევარს შიგნით იტოვებს.
მაგრამ ლამაზი სიტყვა ადვილად
ტანჯულს როგორღაც გულს მოუფონებს,
ის თრიაქია, სულის სატკივარს
მცირედი ხნით რომ ახშობს უფრორე.



თომას ლიბლინი

სიყვარული და სახელი

ჰენრი პიტალო კლდე იყო ვაჟის,
ჯენი — სურნელი ფერად ბაღების,
ქალს სიყვარული სწყუროდა ვაჟის,
ვაჟს — მეომრის და გმირის სახელი.

და, აჰა, მტერმა შემართა დაშნა,
არ იყო უკან გზა დასახევი
და სიყვარულის სიამე ვაჟმა
დასთმო — იწვევდა ომში სახელი.

მტერს მიაშურა ჭაბუკმა უმაღლეს,
ვეღარ დასძლია ქალმა ნადველი
და ომში გაჰყვა გულისსწორს ჩუმად,
ის ტრფობით მოკვდა, ვაჟი — სახელით.

□

მათიუ არნოლდი

მდუმარე სულო მყოვარ საგანთა

ო, დღემდე წარყვანას რომ გადაურჩი,
მდუმარე სულო მყოვარ საგანთა,
ღირსმყავ ქალაქის აურზაურშიც
ყურნი მოგაპყრო, თვალნი დაგადგა.
ცოტალა მრჩება მეც ყვირილაძდე, —
გეყოს თმენა და ძალა ეგოდენ,
რომ დამამშვიდო, ან მიმიმატე,
ვიდრე აღმართებს შეგუდგებოდე.

□



ალჯერონ სვინბერნი

ლანდი, ღუმელი და ზღვა

ბინდის ქვეყანაში და სუფევად ძილის
 ცა იყო უძირო და ზღვა იყო რბილი.
 ირწეოდა ზვირთი სილუეტის აფრით
 და ღუმელი თხზავდა უხმო ჰანგებს ზღაპრის.
 ჩვენს მაღლა, მარადიულ ღამეში, ცამდის,
 ისე ვით კელაპტარი იწვოდა ლანდი.
 ჩვენს ირგვლივ, ხანმოკლე ჩრდილების ჩეროდან,
 ისე ვით სიმღერა, ღუმელი მღეროდა.
 მთები და ვარსკვლავნი, კაცთათვის ფარულად,
 ბინდს მიშტერებოდნენ უცხო სიხარულით.
 ძალას უხილავის, ძალას დვთაებრივის
 ამოჰქონდა ზღვების სუნთქვა ვით ზეფირი
 და სმენით შეუცნობელ ბგერების უფალს
 ცხოვრება მიემაღლა ზღვებისთვის უხვად,
 დაედვარა ჩვენს ირგვლივ, სიგრძივ და გასწვრივ
 რბილი წყვდიადივით და შუქივით ბასრი.



სამუელ როჯერსი

მე რომ იმ მთაზე სახლი მქონო და,
 დამიამებდა თვალსა და სმენას
 წყაროს ლიკლიკი, ფუტკრის ქორითა
 თბილი გუგუნნი და ფოთოლთ ცვენა.
 გამაღვიძებდა, მჩატე ფიქრით,
 მერცხლის ჭიკჭიკი ჭვია და სუფთა
 და ვიღაც მგზავრი თუ პილიგრიმი
 დამიმშვენებდა კვირადღით სუფრას.

ბაღს მომირთავდა ჩითი სამყურის,
ფანჯრებს და პორტალს — ვარდები წმინდა
და ლუსი, თავზე ხილბანდწაკრული,
ილიდინებდა მიმწუხრზე დგიბთან.
იმედს მომცემდა რგული ედეძად
ხოფლის ბოლოში საყდარი ლეგა
და ცისკენ ბევრჯერ გამახედებდა
მისი წკრიალა ზარების რეკვა.

□

დ ე ი ვ ი ზ ი

თავისუფალი დრო

იმდენი დრო მიაქვს არსობის ლუკმას,
წამითაც ვერ რჩები შენს თავთან უქმად.

სად არის იმის დრო — ხეების ოხვრას
იმდენ ხანს უსმინო, რამდენსაც ძროხა.

ან ტყეში შეხვიდე და ციყვებს უყურო,
თუ როგორ ავსებენ კაკლებით ფუღუროს.

ანდა სვა თვალები სათნო და უძირო,
ქუჩაში კანჭების სითეთრეს უცქირო,

უცქირო, ბაგეზე თუ როგორ მთავრდება
ღიმილი, რომელიც წარმოშვეს თვალებმა,

იმ ლუკმას იმდენი სჭირდება კიდევ —
სად არის იმის დრო უბრალოდ იდგე.

□



ეროვნული
ბიბლიოთეკა



მხატვარი თ. შარტავაძე



რომანი

თარგმნა ლამარა თურმანიძემ

თანამედროვე ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი, ლინგვისტი და ისტორიკოსი, აკადემიკოსი ქამილო ხოსე სელა დაიბადა 1916 წლის 11 მაისს პადრონში, ლა-კორუნიას პროვინციაში. 1942 წ. გამოაქვეყნა რომანი „პასკუალ დუარტეს ოჯახი“, რომელმაც ომის შემდგომ ესპანურ ლიტერატურაში პირველმა დაარღვია მძიმე სიჩუმე და დასაბამი დაუდო ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას — ტრემენდიზმს. 1943 წ. გამოაქვეყნა პირველი ე. წ. ობიექტივისტური რომანი „სკა“. ამ რომანებში პირველად იჩინა თავი ფრანკისტული ესპანეთის კრიტიკამ.

1967 წ. დეკემბერში ესპანეთის ლიტერატურულმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა „პასკუალ დუარტეს ოჯახის“ გამოქვეყნების 25 წლისთავი. ერთი წიგნის იუბილე არც ისე ხშირი მოვლენაა და ამით დადასტურდა ის დიდი აღიარება, რაც ამ ნაწარმოებმა მოიპოვა მკითხველთა შორის.

ამ გამოცემას ვუძღვნი ჩემს მტრებს, ასე რომ ღამეხმარნივ კარიერის შექმნაში

გაღამურის შენიშვნა

ჩემი აზრით, სწორედ რომ შესაფერისი დროა, პასკუალ დუარტეს მოგონებები გამოვცე. უფრო ადრე ეს ნამდვილად ზედმეტ აჩქარებად ჩამეთვლებოდა. არ მინდოდა დამეჩქარებინა საბეჭდად მისი მომზადება, რადგან ყოველი საქმე, ხელნაწერში ორთოგრაფიული შეცდომების გასწორებაც კი, დროს მოითხოვს; ეგეც არ იყოს, აჩქარებითა სოფელ არავის მოუჭამია, მაგრამ დაგვიანებით გამოცემაც ჩემგან ყოველმხრივ გაუმართლებელი იქნებოდა: რაკი შრომა დამთავრებულია, უნდა გამოქვეყნდეს კიდევ.

1939 წლის შუახანებში აღმდინარეობს ერთ-ერთ აფთიაქში, ღმერთმა უწყის ვისი უჩინარი ხელით დატოვებული ეს ჩანაწერები ვიპოვე. მას შემდეგ, დროს მოვიხელთებდი თუ არა, გამუდმებით გარჩევდი და ვაწესრიგებდი ამ ჩანაწერებს, რადგან ნაწილობრივ ცუდი ნაწერის გამო, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ნაპოვნი ფურცლების ნაგლეჯები დანომრილი არ იყო და არც თუ სასურველი თანმიმდევრობით ეწყო, ხელნაწერი ძლივძლივობით იკითხებოდა.

დასაწყისშივე მინდა გასაგებად განვაცხადო: იმ ნაწარმოების შექმნაში, ახლა ცნობისმოყვარე მკითხველს რომ ვთავაზობ, მე მხოლოდ გადამწერის როლი შევასრულე. ჩემი მხრივ არაფერი ჩა-



მისწორებია და არც ერთი ასო არ ჩამიმატებია, რადგან მსურდა თხრობის სტილიც კი შეემენერ- ჩუნებინა. იქ, სადაც, მეტისმეტად უხეში ამბები მხვდებოდა, მაკრატელი მოვიმარჯვე და ქირურ- გიული ოპერაცია ჩავატარე. მართალია, მკითხველი ვეღარ გაეცნობა ზოგიერთ წვრილმანს (თუმცა ამით მას დიდად არაფერი დააკლდება), მაგრამ სამაგიეროდ ამ ოპერაციას ის უპირატესობა აქვს, რომ მკითხველს თავიდან ააშორებს არასასურველ ინტიმურ აღსარებათა მოსმენას, რის შელამა- ზებასაც, ვიმეორებ, ამოჭრა ვამჯობინე.

ახლა სიტყვა მივცეთ პასუხულ დუარტეს — იგი ხომ ბევრი საინტერესო ამბის მოყოლას გვპირდება.

ხელნაწერის თანახმაზე ვარილი

სენიორ ღონ ხოაკინ ბარერა ლოპესს

მერიდა

ღრმად პატივცემულო სენიორ,

მაპატიეთ, რომ ისედაც საკმაოდ ვრცელ წერილთან ერთად ჩემს მოთხოვნასაც გიგზავნით, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ ხესუს გონსალეს დე ლა რივას მეგობართაგან (ღმერთი ისევე შეუნდობს მას, როგორც თვითონ შემინდო მე, ამაში ეჭვი არ მეპარება) თქვენ ერთადერთი ხართ, ვისი მისამართიც დამამახსოვრდა. გადავწყვიტე ეს ნაწერი თქვენთვის გამომეგზავნა, რათა განვთავისუფლებულიყავი მისგან, თორემ მარტო იმის გაფიქრებაზე, ყოველივე ეს მე დავწერე-მეთქი, ჭირის ოფლი მასხამს. გარდა ამისა, ვაითუ, სასოწარკვეთილების წუთებში, ასეთი წუთები კი, ღვთის ნებით, ახლა მრავლადაა ჩემს ცხოვრებაში, ავიღო და გადავაგდო, მაშინ ხომ ვეღარავინ შესძლებს კარგად და- იმახსოვროს და ჩაიბეჭდოს თავში ის, რაც მე ძალიან გვიან გავიგე.

შევეცდები აგიხსნათ, რა მოხდა. ვინაიდან ჩემთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სიკვდილის შემდეგ, ჩემდა საუბედუროდ, ცუდად გამიხსენებენ და, მინდა, რამდენა- დაც შესაძლებელია, სინდისი დავიმშვიდო საჯარო აღსარებით, ეს კი მონანიების საკ- მათოდ მძიმე სახეობაა, გადავწყვიტე მომეთხრო ჩემი ცხოვრების ამბები. დიდი მეხსი- ერებით ვერასოდეს დავიკვივნიდი და, ადვილი შესაძლებელია, ბევრი რამ, საგულისხმოც კი, გადამავიწყდა, მაგრამ მე მაინც დავიწყე თხრობა იმისა, რაც თავიდან არ ამომგარ- დნია და რისი დაწერაც ხელმა არ იუარა. სხვა ამბებიც შემემთხვა და ვცადე კიდევ ამეწერა, მაგრამ მოგონებებით სული ისე ამემღვრა, რომ ვარჩიე გაჩუმებულიყავი და ეს ამბებიც სამუდამოდ დამევიწყებინა. როცა ჩაწერა დავიწყე, ვიცოდი, ჩემს ცხოვრებაში მოხდებოდა ისეთი რამ, რის აღწერას ვერაფრით ვერ შევძლებდი — ეს ჩემი სიკვდილი გახლავთ — ღმერთსა ვთხოვ, დააჩქაროს იგი. ამ საკითხზე თავი ბევრი ვიმტვრიე და — შე- მიძლია ის თრიოდე დარჩენილი დღე დავიფიცო, — ბევრჯერ შემეშინდა, გრძნობა არ დამეკარგა იმის გამო, რომ გონება ვერ მამღვდა პასუხს სად დამესვა წერტილი, რითი დამემთავრებინა. ვიფიქრე, უმჯობესია დავიწყო, ხოლო კვანძის გახსნა ღმერთს მივან- დო, — როცა იგი ხელს გამიჩერებს, დასასრულიც მაშინ იქნება-მეთქი. ასეც მოვიქეცი. და აი, დღეს ვგრძნობ, უკვე შემძაგდა საკუთარი ყბედობით საფსე ქალაქლების ეს გროვა. წე- რას თავს ვანებებ და თქვენთვის მომინდვია თქვენსავე წარმოსახვაში დაასრულოთ ჩემი ცხოვრება, რაც, ვფიქრობ, არ გაგიძნელდებათ — მე ხომ ცოტა ხნის სიცოცხლეა დამრჩე- ნია და თანაც არა მგონია ამ ოთხ კედელში რაიმე მნიშვნელოვანი გადამხდეს თავს.

როდესაც იმის შედგენას შევუდექი, რასაც ახლა თქვენ გიგზავნით, თავიდანვე მაწვა- ლებდა ფიქრი, თუ ღროს არასწორად ვივარაუდებ, ვილაცას უკვე ეცოდინება, დავამთავრებ თუ არა ჩემს მოთხოვნას ან რა ადგილას შევწყვეტ-მეთქი. პირდაპირ ჭკუიდან მშლიდა ის აკვირებელი აზრი, რომ ნებით თუ უნებლიეთ, ყველა ჩემი მოქმედება წინასწარ ცნობილი გზით მიდიოდა. ახლა, სხვა ცხოვრების ზღურბლთან მდგარი, უფრო მშვიდად ვარ. ღმერთ- სა ვთხოვ, ღირსმყოფ პატიებისა.

განცდილის მოყოლამ, ვატყობ, ერთგვარი სიმშვიდე მომგვარა, ის კი არადა, ხანდახან სინდისიც ნაკლებად მაწუხებს.

მწამს, იმასაც მიმიხვდებით, რაზეც ლაპარაკი არ ღირს, უმჯობესია, არც იცოდეთ.



გნანობ, რომ გზას ავცდი, მაგრამ ამქვეყნად შენდობას არ ვთხოვლობ. რატომ? იქნებ უკეთესიც კი იყოს აღასრულონ ის, რაც გადამიწყვიტეს, თორემ, ყველაზე მეტად მოსალოდნელია ისევ ძველ გზას დავადგე. არ უინდა შეწყალება ვითხოვო: ცხოვრებისაგან ძალიან ბევრი ბოროტება შევიძინე და ძალიან სუსტი აღმოვჩნდი, რათა ინსტინქტებს წინ აღვდგომოდი. დაე, აღსრულდეს რაც მიწერია.

დონ ზოაკინ, ამანათთან ერთად მიიღეთ ჩემი მობოდიშებაც, რომ შეგაწუხეთ და ყურად იღეთ ჩემი ვედრება — მაპატიოთ. ისე მოგმართავთ, როგორც დონ ხესუსს მიმართავდა თქვენი მორჩილი მსახური.

პასკუალ ღუარტი
ბადახოსის ციხე, 1937 წლის 15 თებერვალი.

მუხლი ზოაკინ ბარკა ლოკანის ხელით დაწერილი ანდერძისა, რომელიც უმამაკვიდრემოდ გადაეგო და თავისი ჟონება უინა სამსახურის ორდენის მონაწილეს დაუტოვა.

4. ვბრძანებ, კანაფით შეკრული კონვერტი, რომელიც ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში დევს და ზედ წითელი ფანქრით აწერია „პასკუალ ღუარტი“, წაუკითხავად, დაუყოვნებლივ ცეცხლს მისცეთ, ვითარცა კეთილი ზნეობის საწინააღმდეგო. მაგრამ თუ განგება ინებებს და აღნიშნული კონვერტი რაიმე ბოროტი ზრახვის გარეშე 18 თვის განმავლობაში ჩემი სურვილისამებრ არ დაიწვევა, ვუბრძანებ იმას, ვინც მას იპოვის, თავის საკუთრებად მიიჩნიოს და თავისი სურვილისამებრ მოექცეს.

დაწერილია სიკვდილის წინ მერიდაში (ბადახოსი), 1937 წლის 11 მაისს.

მუქვანი დიდებული არისტოკრატის დონ ხესუს გონსალეს დე ლარივას, ბრაფ ტორემეხიას ხსოვნას, რომელმაც, ავტორის ხელით რომ ავღებოდა, საყვარელოდ, უთხრა და გაუღიმა.

პ. დ.

1

სენიორ, ბოროტი კაცი არ გახლავართ, თუმცა, მიზეზი კი მქონდა გავბოროტებულყავი. ყველა მოკვდავი ერთ ტყავში ვიბადებით, მაგრამ სანამ გავიზრდებოდეთ, ბედისწერა თავისდა გასართობად ისეთნაირად და იმდენნაირად გვცვლის, თითქოს ცვილისა ვიყოთ და მერე სხვადასხვა გზით გვაგზავნის ერთი დასასრულისაკენ — სიკვდილისაკენ: ზოგს უბრძანებს, ია-ვარდით მოფენილ გზებზე იარეო, ზოგსაც ეკალბარდებში უკრავს თავს — შენით გაიკაფე გზაო. პირველნი უზრუნველად იყურებიან და ჩვილი ბავშვებივით შეჰკლიმიან თავიანთ ბედნიერებას, მეორენი კი ტრიალ მინდორში მცხუნვარე მზეზე იტანჯებიან და ოდნავ ხელის მიკარებაზეც კი კურდღელივით ფრთხებიან. განა ერთი და იგივეა, სხეულს სუნამოთი და ფერ-უმარულოთ იხელ თუ მოუშორებელ სვირინგებით იჭრელებ!

დავიბადე დიდი ხნის წინათ — ორმოცდათხუთმეტი წელი მაინც იქნება — ბადახოსის პროვინციის ერთ მივარდნილ სოფელში. სოფელი აღმენდრალეხოდან ორ ლიგაზე, გზის პირას მდებარეობდა; გზა სწორი და უსასრულო იყო უბუროდ დაღამებულ დღესავით, სწორი და უსასრულო — თქვენდა საბედნიეროდ ამას ძნელად წარმოიდგენთ — სიკვდილის მისჯილის დღეებივით.

მზის გულზე გადამლილი სოფელი მდიდარი იყო ზეთისხილის ხეებითა და, თქვენის ნებართვით, ღორებითაც. სახლები ისე ქათქათებდნენ, რომ მათი სითეთრის გახსენებაზეც კი თვალი მიჭრელდება. სოფლის მოედნის შუაგულში სამმილიანი ლამაზი შადრევანი იდგა. სოფელი რომ დავტოვე, მაშინ და უფრო ადრეც შადრევანში წყალი არ სჩქეფდა, და მაინც რა კეთილშობილური, რა ნატიფი გვეჩვენებოდა შიშველი ბიჭის ქანდაკებით დამშვენებული ეს შადრევანი, აუზის კიდები როზმარინივით ხვეულა ყვავილებით რომ ჰქონდა შემკული!



მოედანზე გამგეობის შენობა იდგა, თუთუნის ყუთივით დიდი და ოთხკუთხედი; მის კომპლექსში კი ღრუბლის ქულასავით თეთრი საათი მუდამ ცხრას უჩვენებდა, თითქოს მარტო სოლამაზისთვის დაედგათ და არა დროის საჩვენებლად. სოფელში, ცხადია, კარგი სახლებიც იდგა და ცუდიც ჩვეულებრივ, ცუდი სახლები სჭარბობდა. ერთადერთი, დონ ხესუსის ორსართულიანი სახლი ახარებდა თავს თავისი მოჩუქურთმებული ფერანდითა და ზედ შედგმული ქოთნის ყვავილებით. საერთოდ დონ ხესუსს ძალიან უყვარდა მცენარეები, და, დარწმუნებული ვარ, მოახლესაც უბრძანა გერანებს, გელიოტროპებს, პალმებს და პიტნას ჩილი ბავშვივით მოუარეო. დედაბერიც მუდამდღე ხის ჯამით დასუნსულებდა, მზრუნველად დასტრიალებდა და რწყავდა ნარგავებს, ისინიც პატივისცემას იმშვენებდნენ და თვალისგასახარად მწვანედ დაღანებდნენ. დონ ხესუსის სახლიც მოედანზე იდგა და თუმცა კი ფრიად შეძლებული და ხელგაშლილი პატრონი ჰყავდა, სხვა სახლებს თუ რამით სჯობნიდა, რაც უკვე მოგახსენეთ, ჩამოუვარდებოდა კიდევ — ფასადი შეუღებავი ქვისა ჰქონდა (რაც ძალიან აუბრალობდა), მაშინ როცა თვით უღარიბესთა სახლებიც კი, შეთეთრებული გახლდათ. დონ ხესუსს, ალბათ საამისო მიზეზი ჰქონდა. შესასვლელს ამშვენებდა, როგორც ამბობდნენ, ძვირად ღირებული ქვის ღერბები, რომლებზეც ფრთიანი მუზარადებით მორთული ძველ მეომართა თავები იყო გამოსახული. ერთ მეომარს თავი აღმოსავლეთისაკენ მიექცია, მეორეს — დასავლეთისაკენ, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, რომ სახლს იცავდნენ სწორედ ამ მხარეებიდან მოსალოდნელი საშიშროებისაგან. მოედნის ბოლოს დონ ხესუსის სახლს ესაზღვრებოდა ეკლესია, სამრეკლოს ზარი ისე თავისებურად რეკდა, გადმოცემა მიძნელებდა, თუმცა ახლაც ისე ნათლად მოდგას ყურში, თითქოს აქვე, მოსახვევიდან მესმოდეს.

ჩემი სახლი სოფლიდან დაახლოებით ორასიოდრე ნაბიჯზე იდგა. იგი პატარა იყო და ჩემი მდგომარეობისდამ შესაბამისად — ერთსართულიანი, მაგრამ ძალიან შევეჩვიე და ხანდახან მემამაყებოდა კიდევ. სიმართლე რომ ითქვას, სახლში ერთადერთი, რასაც შეეხედებოდა — სამზარეულო გახლდათ. შემოსულს პირველად იგი მოხვდებოდა თვალში. მუდამ სუფთა, საგულდაგულოდ შეთეთრებული, მართალია მიწური, მაგრამ კარგად დატკეპნილი და კენჭებით მოხატული სამზარეულო არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ბევრი სხვა სახლის სამზარეულოს, რომელთა პატრონები ცემენტის იატაკს ამჯობინებდნენ, ასე უფრო თანამედროვეაო. კერია ფართო და განიერი იყო, თაროებზე კოპწიანობდა ლამაზი ჭურჭელი: ცისფრად მოჭიქული სამახსოვრო დოქები, ცისფრად თუ ყვითლად მოხატული თეფშები — ზოგზე ადამიანის სახე რომ იყო გამოსახული, ზოგზე ყვავილი ან თევზი, ან კიდევ რაიმე სახელი ეწერა. კედლებზე სხვადასხვა საგნები ეკიდა: ლამაზ კალენდარს ამშვენებდა გემბანზე მდგარი მარაოიანი ქალიშვილის სურათი, რომელზეც ვერცხლისფერი საღებავით გამოეყვანათ წარწერა: „მოდეს-ტო როდრიგესი. კოლონიის მაღალხარისხიანი საქონელი. მერიდა (ბადახოსი)“. იქვე ეკიდა საზეიმო მუნდირში გამოწყობილი ესპარტეროს¹ ფერადი პორტრეტი, კიდევ ვიღაც-ვიღაცების ხაში თუ ოთხი ფოტოსურათი, ზოგი პატარა, ზოგიც ჩვეულებრივი სიდიდისა. ამ სურათებს მთელი ჩემი ცხოვრება ერთსა და იმავე ადგილზე ვხედავდი და ამიტომ არასოდეს მომსვლია აზრად შეკითხვა, ვინ არიან-მეთქი ზედ გამოსახული. კედელზე ეკიდა მძლვიძარა საათი, — არ გვეგონოთ ტყუილუბრალოდ ეკიდა, ზუსტად მუშაობდა, — და ფერად-ფერადი შუშისთავიანი ქინძისთავებით სავსე წითელი ხავერდის პატარა ბალიში. სამზარეულოში უბრალო და ღარიბული ავეჯი გვედგა — სამი სკამი (ერთი ძალიან კარგი ხარისხისა იყო, საზურგე და ფეხები დაგრებილი ხისა ჰქონდა, დასაჯდომი კი წნული) და უჭრიანი ფიჭვის მაგიდა, რომელიც სკამებთან შედარებით დაბალი იყო, მაგრამ თავის დანიშნულებას მაინც ასრულებდა. სამზარეულო მყუდრო იყო და მოსახერხებელი: ზაფხულის ღამეებში, როცა ცეცხლს არ ვანთებდით, კარს ფართოდ გავაღებდით და კერიის ქვაზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე — გრილოდა; ზამთრობით კი ნაკვერჩხალს კარგად თუ შევანვევდით, მთელი ღამე ინარჩუნებდა სიმბურვალეს და გვათბობდა. როცა ნაკვერჩხლებზე ალი ავარდებოდა, კედლებზე ჩვენი ჩრდილების ცქერით ვერთობოდით. ცეცხლის ალი ავარდებოდა და ჩაქრებოდა ხოლმე, ხანაც ისე ლიცლიცებდა, თითქოს ცეკვავსო. მახსოვს პატარას ცეცხლისა მეშინოდა და ახლაც კი, ამზნის კაცს გამაკანკალებს ხოლმე, მაშინდელი შიში რომ მახსენდება.

დანარჩენი გაუჩორკნავი და უბრალო ავეჯის აღწერით თავს აღარ შევაწყენთ. სამზარეულოსთან ერთად გვექონდა ორი ოთახი, — ოთახს მხოლოდ იშვიათად ვუწოდებთ, რომ აქ

¹ ესპარტერო ბალდომერო — XIX საუკუნის შუახანების ესპანელი ლიბერალური პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი.



ვეცხოვრობდით, თორემ სხვაფრივ არაფრად ვარგოდა — და, თავლა, უმეტესად ცარიელი და მოუვლელი. ახლაც არ ვიცი, რატომ ვეძახდით თავლას. ერთ ოთახში მე და ჩემს ცოლს გვეძინა, მეორეში ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ, სანამ ღმერთმა თუ ეშმაკმა არ წაიყვანა ისინი. მათი სიკვდილის შემდეგ ეს ოთახი თითქმის ცარიელი იყო. ჩემი და სოფელში რომ ჩამოვიდოდა, მხოლოდ სამზარეულოში იძინებდა და შემდეგშიც, ჩემი შვილებიც ფეხს აიდგაძნენ თუ არა, სამზარეულოსკენ მიიწევდნენ. თუმცა, ოთახები არც ისე სუფთა და მოწყობილი გახლდათ, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, დასაწუნიც არაფერი ჰქონდა — საშობაო ყინვებისა და ზაფხულის ხვატისაგან შეძლებისდაგვარად გვიფარავდა, ეს კი მთავარი იყო. რაც შეეხება თავლას, ხუ იტყვიო, ძისი ბნელი და პირქუში კედლები მძორისა და საბავჯის სუხად ყარდა.

საკვირველია, მაგრამ ჭაბუკობიდანვე დამჩემდა, როგორც კი ამ სუნს მოვშორდებოდი, უსასველო სევდა ხიყრობდა ხოლმე. მახსოვს პროვინციის დედაქალაქში რომ მივდიოდი წვეგაძდელთა შეკრებაზე, გზაში მთელი დღე გუნებაზე ვერ ვიყავი — ძონადირე ძალღვივით სულ ჰაერს ვყნოსავდი. სასტუმროში ძილის წინ ჩემივე შარვალი დავსუნე და მაძინვე მთელ ტაძში ცნლად დამიარა სისხლმა. ბალიში განზე გავწიე, შარვალი ორად მოვკეციე და თავქვეშ ააოვიდე. იმ ღამეს მკვდარივით მეძინა.

თავლაში გაივალტყავებული ჯაგლაგი ვირი გვება, ხოლო როცა საქმე კარგად აეწყობოდა, გულწრფელად უნდა ვაღიარო, ეს ხშირად არ ხდებოდა, უკაცრავად გახლავართ და, ორ-სამ დოოსაც გავიჩენდით ხოლმე. სახლზე ბაკი გვქონდა მიშენებული. დიდი არ იყო, მაგრამ ჩვენს მეთურიეობას აუდიოდა, შიგ ჭა გვქონდა ამოჭრილი, დროთა განმავლობაში იძულებული გავხდით ეს ჭა ამოძექოლა, რადგან შიგ უვარგისი წყალი ჩადგა.

საკს გვერდით დღეე ჩაუდიოდა. დღეე ხანდახან ნახევრამდე იყო დამშრალი, კალაპოტ-სავსე ხომ საერთოდ არასოდეს უნახავთ. ბოშათა ბანაკივით ჭუჭყიანსა და მყრალ წყალში კარგა გვარიან გველთევზებს დაიჭერდა კაცი და ხანდახან საღამოობით, საქმე რომ არ მქონდა, მეც ამით ვვრობოდი. ჩემი ცოლი ენამოსწრებული ქალი იყო და ამბობდა, გველთევზები ასეთი მსუქნები იმიტომ არიან, რომ იმასვე მიირთმევენ, რასაც დონ ხესუსი, ოღონდ მეორე დღესო.

თევზაობაში გართულს ბევრჯერ დამღამებია. შორს, თითქოს იმის შიშით, მიწას არ მოვწყდვო, კუსავით გართხმულიყო თუ გველივით დაგორგლილიყო აღმენდრალეხო, რომელიც ნელ-ნელა ანთებდა თავის ელექტრონათურებს. აბა, რა იცოდნენ ქალაქელებმა, რომ მათგან შორს ვიღაცამ თევზაობა მოითავა და ახლა ცნობისმოყვარედ შესცქერის, როგორ ინთება შუქი მათ სახლებში. მე კი ვიცი, რომ ამ სახლებში ჩემნაირი ადამიანები ცხოვრობენ, ჩემნაირად აზროვნებენ და ლაპარაკობენ. ქალაქელებს სინამდვილისა არაფერი გაეგებათ. აბა, რა იციან მათ, რომ იქვე, ქალაქიდან ორიოდ ლიგაზე, ტრიალ მინდორში, სოფელელმა კაცმა ანკესი აკრიფა, გველთევზებით სავსე კალათა ხელში მოიმარჯვა და ახლა მათზე ფიქრით ირობს თავს!

თევზაობა ვაუკაცისათვის არცთუ შესაფერის საქმიანობად მიმაჩნდა და დროს მოვიხელებდით თუ არა, უმეტესად სანადიროდ დავდიოდი. სოფელში გვარიან მონადირედ ვითვლებდით და უშნო თავმდაბლობის გარეშე რომ ითქვას, არც ცდებოდნენ. მეძებარი ძუკნა მყავდა, სწრაფი, ცბიერი და ბრაზიანი, მაგრამ ძალიან დამჭერე. დილდობით ხშირად დამყავდა ჭაობზე, სოფლიდან ლიგა-ნახევარზე პორტუგალიის საზღვართან და შინ არასოდეს ვბრუნდებოდიო ხელცარიელი. აქეთობისას ძალღვივით წინ მისწრებდა და გზაჯვარედინზე მრგვალ, ჩანჩქილ ქვასთან მელოდებოდა. ამ ქვას ახლა ისე გულთბილად ვიგონებ, თითქოს ადამიანი ყოფილიყოს, და უფრო დიდი სიამოვნებითაც, ვიდრე ბევრ ადამიანს მოვიგონებდი. ქვა განიერი და ჩაღრმავებული იყო. უკაცრავალი პასუხია, ჩემი უკანალი ისე მოხერხებულად ჩაცურდებოდა ხოლმე ღრმულში, ისე მოეწყობოდა, ადგომა მენანებოდა. დიდხანს ვიჯექი ხოლმე გზაგასაყართან ამ ქვაზე, მუხლებშუა თოფს ჩავიდგამდი, ვუსტვენდი, აქეთ-იქით ვიყურებოდი, ხანაც თუთუნს გავაბოლებდი. ძუკნა წინ დამიცუცქდებოდა, თავს გვერდზე გადასწევდა და თაფლისფერი გონიერი თვლებით შემომცქეროდა. გამოველაპარაკებოდი, ის კი, აქაოდა, უკეთ გავიგოო, ყურებს დაცქვეტდა ხოლმე. თუ გავჩუმდებოდი, წამოხტებოდა და კალიებს დასდევდა ან გვერდს შეიცვლიდა. წასვლისას მუდამ, თვითონაც არ ვიცი რატომ, თითქოს გამოსამშვიდობებლად, ქვას მივუტრიალდებოდი. ერთხელ მომეჩვენა, ჩემმა წასვლამ ქვა დაანადვლიანა-მეთქი, ვერ მოვითმინე, დავბრუნდი და ისევ დავჯექი. ძალღვივით ჩემ წინ ჩაცუცქდა და თვლებში შემომაჩერდა. ახლა კი ვხვდები, მოძღვრის გამოხედვა

ჰქონდა — გამომცდელად, ცივად, ფოცხვერივით შემომცქეროდა. თავით ფეხამდე კანკალმა ამიტანა, თითქოს ტანში დენმა დამიარა და საცაა ხელებიდან გამოხეთქავდა. ხაბირისი დიდ ხანია ჩამიქრა, ფეხებშია ჩადგმულ ერთლულიან თოფს ნელა ვუსვამდი ხელს. ძალუ დაჟინებით შემომცქეროდა, თითქოს პირველად მხედავდა, თითქოს რალაცაში მადანაშაულენდა. მისმა თვალებმა სისხლი ამიძვრია. ვგრძნობდი, ახლოვდებოდა ის წეტი, როცა აღარაფერი დამაკავებდა. მცხელოდა, გაუსაძლისად მცხელოდა, ძალის დაჟინებულ მზერას თვალს ვერ ვუსწორებდი.

თოფი ავიღე და გავისროლე, ხელახლა დავტენე და ისევ გავისროლე. ძალის სქელ შავი სისხლი ნელ-ნელა გაიშალა მიწაზე.

ბავშვობაზე დიდად სასიამოვნო მოგონებები არ შემომჩენია. მამაჩემს ესტებან ღუ-არტე დინისი ერქვა, პორტუგალიელი იყო. მე რომ დავიბადე, ორმოცს გადაცილებული, მა-ღალი და მთასავით მოსული კაცი გახლდათ. მზისგან გარუჯული კანი და დაბლა დაშვებული შავი უღვაში ჰქონდა. ამბობდნენ, ახალგაზრდობაში აწკეპილი უღვაში უყვარდა, მაგრამ ციხეში რქები შეატეხეს, უღვაშსაც ძალა გამოეცალა და კუბოს კარამდე ჩამოშვებული დარ-ჩაო. მამაჩემს დიდ პატივს ვცემდი და ძალიან მეშინოდა მისი, შეძლებისდაგვარად ვერიდებოდი და ვცდილობდი, ფეხებში არ გავბლანდოდი, პირქუში იყო და უკმეხი. ვერ იტანდა, ვინმე რომ ეურჩებოდა. მის ამ ახირებას ვაფასებდი კიდევ, რადგან ჩემთვისაც ხელსაყრელი იყო. რომ გააფთრდებოდა, ამას კი დიდი მიზეზი არ სჭირდებოდა, რისთვისაც გნებავთ გვცემ-და მეც და დედაჩემსაც. დედაჩემიც არ აკლებდა ხელს, იქნებ გონს მოვიყვანო, მე კი, მცირეწლოვანს, ისლა დამჩინოდა დავმორჩილებოდი — ხომ იცით, ბავშვის სხეული ძალიან მგრძნობიარეა.

ვერც მამას და ვერც დედას ვერ ვუბედავდი იმდროინდელი ამბების გამოკითხვას, როცა იგი ციხეში ჩასვეს. ვფიქრობდი, უმჯობესია არ გაალიზიანო ძაღლები, უამისოდაც ჩვეულებ-რივზე მეტად რომ გიდრენენ-მეთქი. მაგრამ, თავისთავად ცხადია, არც დამჭირვებია რაიმეს გამოკითხვა. გამოჩნდნენ ადამიანები (მოხალისენი მუდამ მოიძებნებიან, განსაკუთრებით ასე კანტიკუნტად დასახლებულ ადგილებში), რომელთაც არ დააყოვნეს ჩემთვის ყოველივე ჩაეკაკლათ.

მამა კონტრაბანდისტისთვის დაუჭერიათ, ეტყობა, კარგა ხანს ეზიდებოდა კონტრაბანდას, მაგრამ რაკი კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს და უნაკლო საქმიანობაც არ არსებობს, ხო-ლო სიტკბოს სიმწარე მოსდევს, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ყველაზე ნაკლებ ელოდა ჩი-ფათს — გულადებს თავდაჯერება ღუბავთ — მესაზღვრეები კვალში ჩაუდგნენ, ტვირთიანად დაიჭირეს და ციხეში უკრეს თავი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, რადგან მე არაფერი მახსოვს. ალბათ, ჯერ მოვლენილიც არ გახლდით ამქვეყნად.

მამისგან განსხვავებით დედაჩემი ტანსრულობით ვერ დაიკვეხნიდა, თუმცა კი სიმაღლე არ აკლდა. მაღალი იყო და ხმელ-ხმელი, ჯანმრთელი იერი არ ჰქონდა, პირიქით, ლოყვბჩაც-ვენის პირისახეზე ზაფრანის ფერი ედო, იტყოდით, ან ჭლექი სჭირს ან დიდი ხნის სიცო-ცხლე არ დარჩენიაო. ამასთანავე საშინელი ხასიათისა იყო. ავი და ბრაზიანი, ღმერთმა ქნას, თავისი წაბილწული ენისათვის იმქვეყნად პასუხი არ აგებინონ: წამდაუწუმ, სულ უბრალო მიზეზის გამო უშვერი სიტყვებით იცოდა ლანძღვა. ერთთავად შავი ტანსაცმელი ეცვა, წყალს ვერ ეგუებოდა, გულწრფელად გეტყვით, მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთხელ დაიბანა — ისიც მაშინ, როცა მამამ წამოსძახა, ლოთი ხარო, და უნდოდა მისთვის დაემტკიცებინა, წყლისა არ მეშინიაო. სამაგიეროდ ღვინო არ სძულდა ასერიგად. როგორც კი ორ კაპიკს მოიგდებდა ხელში ან ქმრის ყილეტში ამოქექავდა, უთუოდ ღუქანში ვამგზავნი-და ერთი ბოთლი ღვინის მოსატანად და ლოგინქვეშ დამალავდა, მამას რომ არ მიეგნო. პი-რის კუთხეებში დედას ჭადარა უღვაში ამოსვლოდა, უხეშ, აბურძგნულ გრუზა თმას კეფაზე იკრავდა. პირთან ნაჭრილობევი თუ პატარა, ვარდისფერი ლაქები ეტყობოდა, თითქოს საფან-ტის კვალიაო, ჩემი აზრით კი ახალგაზრდობაში საეჭვოდ უნდა ჰქონოდა დამუწუკებული სახე.

ჩემს მშობლებს დიდი სიამტკბილობა არ ჰქონდათ ერთმანეთში. როგორც ყველა გაუნათ-ლებელი აუამიანი, რომელთაც ამასთანავე განსაკუთრებული ღირსებები და მიღწევებები



არ გააჩნდათ, ვერ იქცეოდნენ ისე, როგორც უფალი გვიბრძანებს (ჩემდა საუბედროოდ, ეს ნაკლი შემკვიდრეობით მეც ძხვდა წილად), ხაკლებად ცდილობდნენ ღვთის მცავენი დაეცვათ და ინსტიტუტები დაეოკეათ. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ რაიმე მცოთე შიშუზზეც კი ატყდებოდა ერთი ოროძტრიალი და რამდენიმე დღეს არ ცხრებოდა, ხანდახან ბოლო არც კი უჩანდა. ჩხუბში, არც ერთის მხარს არ ვიჭერდი, გულახდილად რომ ვთქვა, ჩემთვის სულ-ერთი იყო, ვინ გაიმარჯვებდა. ხან ის მიხაროდა, მამა რომ გალახავდა დედას, ხან კი — პირი-ერთ, მაგრამ არასოდეს ვანიჭებდი ამას დიდ მნიშვნელობას.

დედამ წერა-კითხვა არ იცოდა, მამამ იცოდა და ისე ამაყობდა, რომ ყოველ ცისმარე დედას ამას აყვედრიდა და ხშირად, სულ რომ არაფერ შუაში იყო, გაუნათლებელ ყეყეჩს უწოდებდა, რაც დედაჩემს უმძიმეს შეურაცხყოფად მიაჩნდა და რის გამოც იგი ურჩხული-ვით გააფთრდებოდა ხოლმე. ხანდახან მამა შინ გაზეთს მოიტანდა და გვინდოდა თუ არა, სამზარეულოში დაგვსხამდა და უკანასკნელ ცნობებს ხმამაღლა გვიკითხავდა. შემდეგ ამ უკანასკნელ ცნობებზე მოჰყვებოდნენ მსჯელობას და სწორედ მაშინ გამცრიდა ტანში. ვიცოდი, მსჯელობა აუცილებლად მუშტი-კრივით დამთავრდებოდა. დედა ჯიბრზე ეუბნებოდა მამას, გაზეთში ვგ სულაც არ წერია და ყველაფერი შენ მოიგონეო, მამა ამ სიტყვებზე გონებას ჰკარგავდა, შეშლილივით ყვიროდა, გაუნათლებელ ყეყეჩსა და კუდიანს ეძახდა და ბოლოს უსათუოდ დასჭექდა, ასეთი დაწყობილი ლაპარაკი რომ მცოდნოდა, ნახავდი როგორც შეგირთავდიო. აბა, მაშინ იწყებოდა სერიო: დედა ლანძღავდა, ხეპრე და არამზადა, გაღლეტილი პორტუგალიელი ხარო. მამა კი, გეგონება, ამ სიტყვას ელოდაო, საცემრად ქამარს შეიხსნიდა და იქამდე დასდევდა დედას სამზარეულოში, სანამ არ მობეზრდებოდა. პირველ ხანებში ერთი-ორჯერ მეც მომხვდა ქამარი, მაგრამ უფრო რომ გამოვიბრძმედე და მივხვდი, გამშველებელს მეტი ხვდებოდა, თავს ვშველიდი, გავრბოდი და მათ მარტო ვტოვებდი, დაე, თვითონ მორიდდნენ-მეთქი.


რალა თქმა უნდა, ოჯახში გასახარელი არაფერი გვექონდა, მაგრამ ვინაიდან არჩევანი ჩვენ არ გვეუთვნის და ჯერ კიდევ დაბადებიდანვე ყველას თავისი ბედი დაანათლა განგებამ, ვცდილობდი შევგუებოდი ჩემს წილხვედრს — ეს იყო ერთადერთი გზა სასოწარკვეთილებაში რომ არ ჩავვარდნილიყავი.

ბავშვობაში, როცა ადამიანი უფრო დამყოლია, ცოტა ხანს სკოლაში მატარებდნენ. მამა ამბობდა, არსებობისთვის ბრძოლა არც ისე იოლია, უნდა მოემზადო და ერთადერთი საშუალება, რითაც შეიძლება ცხოვრებას აჯობო — ჭკუააო. ამას დაზეპირებულივით სულმოუთქმელად მოგაყრიდა ხოლმე. ამ დროს ხმა დაურბილდებოდა და ჩემდა გასაოცრად გამომეტყველებაც შეეცვლებოდა. შემდეგ თითქოს ინანაო, ხმამაღლა ხარხარებდა და, სიცილით გულს რომ ივრებდა, თითქმის ალერსით მეტყუოდა:

- ნუ მისმენ, შვილო, ვბერდები!
- შემდეგ ჩაფიქრდებოდა და კიდევ და კიდევ წყნარად გაიმეორებდა:
- ვბერდები! ვბერდები!

ჩემი სასკოლო განათლება დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც გითხარით, მამას ფიცხი და მბრძანებლური ბუნება ჰქონდა, მაგრამ ზოგიერთ საკითხში სუსტი და უნებისყოფო იყო. საერთოდ შევეამჩნიე, ნებისყოფას მხოლოდ უბრალო რამეში იჩენდა, ხოლო მნიშვნელოვან საკითხებში — გაუბედრობით თუ რატომ იყო არ ვიცი — იშვიათად გაჰქონდა თავისი. დედაჩემს არ უნდოდა სკოლაში მეგლო და მიზეზს იპოვიდა თუ არა, ხან სრულიად უმიზეზოდაც ჩამჩიჩინებდა, სიღარიბეში ცხოვრებას სწავლა არ სჭირდებოდაო. მისმა სიტყვებმა ნოყიერი ნიადაგი იპოვა — თავადაც არ მიტაცებდა გაკვეთილებზე ჯდომა — და მეც და დედაჩემმაც ბოლოს და ბოლოს დავითანხმეთ მამა, სწავლა მიმეტოვებინა. წერა-კითხვა ვიცოდი, მიმატება-გამოკლება შემეძლო და თუ დაუკვირდებოდა კაცი, მზად ვიყავი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. სკოლა რომ მივატოვე, თორმეტი წლისა გახლდით. მაგრამ დროს ნუ გავუსწრებთ — ყოველგვარ საქმეს წესრიგი უყვარს და ჩვენ ალიონზეც რომ ავდგეთ, მზე დაწესებულ დროზე აღრე მაინც ვერ ამოვა.

ძალიან პატარა ვიყავი, ჩემი დაიკო როსარიო რომ დაიბადა. ის დრო ბუნდოვნად მახსოვს და იქნებ სწორადაც ვერ ვადმოგცეთ იმდროინდელი ამბები, მაგრამ მაინც შეგეცდები და თუ ჩემი ნაამბობი სადმე უზუსტობით შეცოდავს, ჭეშმარიტებასთან მაინც უფრო ახლო იქნება, ვიდრე თქვენ წარმოიდგენთ და ივარაუდებთ. მახსოვს, როსარიო რომ დაიბადა, ცხელი დღე იყო — მგონი, ივლისი თუ აგვისტო იდგა. გადამხმარ ველებზე ნიაგი არ იძვროდა, ჭრიჭინობელები ისე ჭრიჭინებდნენ, თითქოს დედამიწა უნდა გაბურღონო. კაციც და პირუტყვიც მიმალუ-



ლიყო. მაღლა ხელმწიფესავით დაბრძანებულიყო მზე, ყველაფერს ანათებდა, ყველაფერს წვა-
და... დედაჩემი ყოველთვის ძნელად მშობიარობდა. ქალური ავადმყოფობა აწუხებდა, გამხდარი
იყო და ტკივილს ვედარ უძლებდა: საცოდავი, კეთილშობილებისა და დიდი ტიხსების მაგალ-
თად არასოდეს გამოდგებოდა, ჩემსავით არ შეეძლო ჩუმად და უხმოდ გადაეტანა განცდები
და ამიტომ ყველაფერს ყვირილით გამოხატავდა. სანამ როსარიო დაიბადებოდა, რამდენიმე
საათს ყვიროდა — მის გაჭირვებას ისიც დაერთო, რომ დიდხანს მშობიარობდა საერთოდ.
დედაჩემს თავს ადგა ერთი სოფლელი დედაკაცი, სენიორა ენგრასია, გამოცდილი ბებიაქალი,
ჯადოქარი და საერთოდ რაღაც იდუმალეობით მოცული ადამიანი. მან შინაური წამლები მოიტა-
ნა და დედაჩემს ტკივილის დასაამებლად მუცელზე დაადო, მაგრამ დედაჩემი მაინც ღრიალებდა
რაც ძალი და ღონე ჰქონდა. სენიორა ენგრასიამ აღარ იცოდა რა ექნა, უღმერთოსა და ქრის-
ტეს მოძულეს ეძახდა. ამაზე დედაჩემმა ისეთი კივილ-წივილი მორთო, ვიფიქრე, მართლა ემ-
მაკი ხომ არ შეუჯდა-მეთქი. დიდხანს არ გაუვლია და — მალე ნათელი გახდა, რომ ენით
აუწერელი ყვირილის მიზეზი ჩემი ახალდაბადებული დაიკო გახლდათ.

მამაჩემი დიდხანს სცემდა ბოლთას სამზარეულოში, როგორც კი როსარიო დაიბადა, დედა-
ჩემის საწოლთან მივიდა და ანგარიშმიუცემლად ლანძვდა დაუწყო, შე ზარმაცო, შე მატყუა-
რაო, თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქამრის ბალთას ურტყამდა. აქამდე მიკვირს, ცოცხალი
როგორ გადაურჩა. მერე წავიდა და ორი დღე არ გამოჩენილა. გაღეწილი მთვრალი დაბრუნდა,
საწოლთან მივიდა და დედას აკოცა. დედა არ განძრეულა... მერე თავლაში წავიდა დასაძინებ-
ლად.

3

მომცრო ყუთში მთელი ბალიშის მატყლი ჩაყარეს და როსარიოს საწოლი მოუწყვეს
დედის საწოლის გვერდით. საბანში ისე იყო გახვეული, მეშინოდა, არ დაიბრჩვეს-მეთქი. არ
ვიცი რატომ, მანამდე მეგონა, ჩვილი ბავშვები რძესავით თეთრი უნდა ყოფილიყვნენ და,
კარგად მახსოვს, როგორ ავიმრიზე მოხარშული კიბოსავით გაწითლებული, სლიპინა პატარა
დაიკოს დანახვისას. თავი შოშიას ბარტყივით თუ მტრედის ხუნდივით შეღინდლოდა, —
დროთა განმავლობაში ეს ღინღლი დაცვივდა, — პაწია ხელები საძაგლად ჰქონდა სილურ-
ჯემდე დაჭიმული და მომუშტული. სამი-ოთხი დღის შემდეგ, დასაბანად რომ შემოხსნეს
საფენები, დავაკვირდი და, უნდა მოგახსენოთ, ახლა ნაკლები ზიზღი მომგვარა. კანი დაწმენ-
დოდა, თვალს ჯერ კიდევ ვერ ახელდა, მაგრამ გეგონებოდათ, სადაცაა ქუთუთოებს აახამზა-
მებსო, თითქოს ხელებიც კი დაურბილდა. სენიორა ენგრასიამ (რა ჩვენი საქმეა, როგორი ადა-
მიანი იყო ის, გაჭირვებაში კი გამოგადგებოდა და...) როზმარინის ნაყენში კარგად გაბანა
ბავშვი. ისევ გაახვია სუფთა საფენებში, ჭუჭყიანი კი გასარეცხად გადააწყო. ბავშვმა შვებით
ამოისუნთქა და ღრმად ჩაეძინა. მამა ყუთთან იატაკზე ჩაჯდებოდა ხოლმე და საათობით და-
ჰყურებდა ჩვილს. შეყვარებულებით უყურებსო, ამბობდა სენიორა ენგრასია. მამაჩემის ჭეშ-
მარიტი ბუნება დამავიწყდა კიდევ. მერე წამოდგებოდა და სოფელში სასეირნოდ გასწევდა.
სულ რომ არ ველოდით, იმ დროს დაბრუნდებოდა და ისევ ყუთს მიუჯდებოდა — ისეთი
უწყინარი და თვინიერი ჩანდა, უცხო კაცი იფიქრებდა, თავად წმინდა როხი გამომეცხადო.

დაიკო სუსტი იყო, ჭიამკვდარა — აბა, დედის რძედაშრეტილი ძუძუები რა ძალას მის-
ცემდა! პირველ ხანებში ერთი-ორჯერ ისე ცუდად შეიქნა, კინალამ გამოგვეცალა ხელიდან.
მამა დარდობდა, ბავშვი გვეღუპებოდა და ღვინოს ეძალებოდა. ერთი სიტყვით, მე და დედა-
ჩემს შავი დღე გვადგა, ძველი დრო სანატრებელი გაგვიხდა. ასეა ადამიანი, რაცა აქვს, არ
უფრთხილდება, დაკარგავს და მერე მისტირის! მშობიარობის შემდეგაც დასუსტებულ და
ჯანშერყეულ დედაჩემს არაერთხელ მოხვედრია მამაჩემის მუშტები. მეც, თუ სადმე მომი-
ხელთებდა, თუმცა ჩემი დაჭერა იოლი საქმე არ გახლდათ, კარგ პანდურს ამომკრავდა ხოლ-
მე. უკაცრაული პასუხია და, ამ პანდურისგან უკანალოდან სისხლი მდიოდა, ბარძაყებზე კი
ისეთი კვალი მაჩნდებოდა, თითქოს გახურებული რკინით ამოუდაღავთო.

გოგონამ ცოტათი მოიხედა და მომაგრდა. წითელი ღვინით შეზავებული წვნიანი მოუხდა.
ვიდაცამ დედას ურჩია, ეს აჭამეო. სიარული გვიან ისწავლა, მაგრამ სამაგიეროდ ბუნებით
მკვირცხლი გახლდათ და ჯერ კიდევ სულ პაწაწინა ისე თავისუფლად და გაბედულად ატი-
ტიკდა, ყველას გვიკვირდა.

ის დროც გავიდა, როცა პატარები ერთმანეთს ჰგვანან. როსარიო გაიზარდა, ლამის
გასათხოვარი შეიქნა. ხვლიკზე უფრო საზრიანი იყო, კაცს ტვინი იმიტომ მისცა ღმერთმა.



რომ გაანძროს ცოტა. ჩვენს ოჯახში კი ოდითგან ტვინს არავინ შეუწუხებია. ამიტომ გოგონა ოჯახში დედოფლად დაგვიჯდა. ჩვენ კი მის დაკრულ სალამურზე ვცეკვავდით. ბუნებით კარგი გოგო რომ ყოფილიყო, მისგან აღამიანი დადგებოდა, მაგრამ, როგორც იცით, უფალმა არ ინება რომელიმე ჩვენთაგანი კეთილი ზნით გამოერჩია და როსარიომაც თავისი გონება სხვაგვარი საქმისაკენ მიმართა. მალე მიხვდებოდით, როსარიო ჩერჩეტი არ იყო, თუმცა სჯობდა ჩერჩეტი ყოფილიყო. არჩევდა კარგსა და ავს, მაგრამ ვერ იცლიდა კარგი საქმისთვის. ისე მარჯვედ და მოხერხებულად ქურდობდა, ხანგამოვლილი ბოშა დედაკაცი თუ შეედრებოდა, ნადრევად მიეტანა სასძელებს. მრჩეველი და ჭკუის მასწავლებელი არავინა ჰყავდა, მისი ნათელი გონება კეთილი საქმისკენ რომ წარემართა. ჰოდა, სულ უფრო ეშვებოდა წუმბეში და ერთ მშვენიერ დღეს — მაშინ თოთხმეტი წლისა გახლდათ — შინიდან ის მცირედიც გაიტაცა, რაც კი ღირებული გაგვაჩნდა, ტრუხილიოში გაიქცა და ელვირას დაწესებულებაში მოეწყო.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ამბავიც ატყდა ჩვენს ოჯახში: მამა დედას აბრალებდა, დედა — მამას... ყველაზე უფრო ქალიშვილის არყოფნა მამას დაეტყო. როსარიო ჩვენთან რომ ცხოვრობდა, მამა ცდილობდა არ ეჩხუბა, ახლა კი, რაკი ქალიშვილს აღარ ხედავდა, ყველგან და ყოველთვის შეეძლო უხამსობა ჩაედინა. საინტერესოა, რომ მამაჩემი, ვისაც ცოტა ვინმე თუ შეედრებოდა უხეშობასა და სიჯიუტეში, მხოლოდ როსარიოს უჭერებდა. როსარიოს ერთი შეხედვა საკმარისი იყო, რომ მამას რისხვა უცხრებოდა. ამის წყალობით არაერთხელ აგვცდენია მძიმე მუშტები. ვინ იფიქრებდა, რომ ამ ჯან-ღონიან გლეხკაცს სუსტი ბალღი დაიბოროტებოდა!

როსარიომ ტრუხილიოში ხუთი თვე გაძლო და ცოცხალ-მკვდარი, ციებ-ცხელებიანი დაბრუნდა შინ. თითქმის მთელი წელი ლოგინში გაატარა — მძიმე ციებ-ცხელებამ სიკვდილის პირას მიიყვანა. მამის დაჟინებით, — მამა ლოთი და ჩხუბისთავი კი იყო, მაგრამ ძველი ქრისტიანული ოჯახიშვილი გახლდათ და მტკიცედ იცავდა წეს-ჩვეულებებს, — აზიარეს და უკანასკნელი გზისთვის მოამზადეს. ყველა სენს, როგორც ცნობილია, ცვლილებები სდევს თან და ზოგჯერ დღისით ავადმყოფი ცოტას მოიხედავდა ხოლმე, მაგრამ ლამდამოებით ყველანი მის აღსასრულს ველოდით. მშობლები ცხვირჩამოშვებული დადიოდნენ და მახსოვს, ერთადერთი, რაც სიმშვიდეს ქმნიდა იმ სევდიან დღეებში, ის გახლდათ, რომ ჩვენს კედლებს ლაწალუწი აღარ გაუდიოდა. აი, როგორ დააშოშმინა შვილის ავადმყოფობამ მოხუცები!.. მე-ზობლის ქალები ერთიმეორეს არ აცლიდნენ, გვეუბნებოდნენ, ავადმყოფს ბალახის ნახარში ასვითო, მაგრამ ყველაზე მეტად სენიორა ენგრასიასი გვჯეროდა და რჩევისთვისაც მას მივმართეთ. მან გვიბრძანა, სასძელი მიგვეცა, ღმერთმა უწყის რა იყო, მაგრამ კეთილსინდისიერად ამზადებდა და ალბათ ამიტომ არგო კიდევ — როსარიო ნელ-ნელა, მაგრამ ნამდვილად ჯანზე მოდიოდა. შხამიან ბალახს მაგარი ფესვები აქვსო, ამბობს ანდაზა, არ იფიქროთ, როსარიოზე ცუდის თქმა მინდა, თუმცა მის უცოდველობაზეც ვერ დავდებ თავს — სენიორა ენგრასიას შერჩეული ნახარშები რომ დალია, სხვა რა გზა გვქონდა, ისღა დაგვრჩენოდა, გვეცადა. დრო გავიდა და როსარიო გამოჯანმრთელდა, ამასთანავე სილამაზე და სილაღეც დაუბრუნდა.

ჯერ მთლად გამოკეთებული არ იყო, ხოლო მშობლებმა გამხიარულებაც ვერ მოასწრეს — ქალიშვილზე დარდის გარდა საერთო არაფერი ჰქონდათ — რომ როსარიომ ისევ აიწყვიტა, მამის დანაშოვი ფული ჩაიჯიბა და თავიც არ დაუკრავს — ფრანგები რომ იტყვიან — გაფრინდა, ამჯერად აღმენდრალეხოს მიაშურა და ნიევეს-მადრიდელთან მოეწყო. ცხადია, მთლად ხელიდან წასულ არამზადსაც კი გულის სიღრმეში რაღაც კარგი რჩება ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ალბათ ამიტომ არ დაგვივიწყა როსარიომაც მთლად, დაბადების დღეზე თუ შობისას, ყილექს გამოგვიგზავნიდა ხოლმე. ეს ისე გვჭირდებოდა, როგორც აქლემს გალია, ჩვენ მაინც გვეძვირფასებოდა, რადგან თვითონ როსარიო მდიდრულად კი იცვამდა, მაგრამ უნდა ითქვას, თავზე ქონი არ გადასდიოდა.

აღმენდრალეხოში იგი ერთ კაცს გადაეყარა. ამ კაცმა დაღუპა ჩემი და, სიწმინდე კი არ დააკარგვინა, — იმ დროისათვის სიწმინდე დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა, — არამედ ქისა, ის ერთადერთი, რასაც სიწმინდის დაკარგვის შემდეგ უნდა გაფრთხილებოდა. ამ გაუბატონს ბაკო ლოპესი ერქვა, მეტსახელად კოხტა. უნდა ვაღიარო, მოხდენილი ვინმე გახლდათ, თუმცა ერთი თვალი შუშისა ჰქონდა. საკუთარი, ღმერთმა უწყის, რომელი გამირობის ჩადენის დროს დაეკარგა. ჰოდა, მისი გამოხედვა კაი მაგარი გულის ბატონსაც კი დააბნევდა. მაღალი იყო, წითური, ხმელ-ხმელი და ისეთი კვანწია სიარული იცოდა, რომ სწორად მოქცეულა ის, ვინც ამ კაცს პირველად კოხტა შეარქვა.



სხვა ხელობა არ გააჩნდა, თავისი სანდომიანობისა და ქალების სიტუტუტის წყალობით ირჩენდა თავს. მასაც რა ენადვლებოდა. სისაძაგლედ მიმაჩნდა, ამ გზით რომ ცხოვრობდა, თუმცა იქნებ იმიტომ ვამტყუნებდი კობტას, რომ თავად არ მომეცა ასეთი შესაძლებლობა ამბობდნენ, ოდესღაც ანდალუზიის მოედნებზე ხარებს ებრძოდაო, არ ვიცი, ვერწმუნო ამ ხმებს თუ არა, მაგრამ მე მგონი, ეს კაცი მართო ქალებთან იყო გულადი და რადგან ქალები, მათ შორის ჩემი დაც, ბრძად ენდობოდნენ, ისიც უზრუნველად ცხოვრობდა — ხომ იცით, ქალები გიჟდებიან ტორეროებზე.

ერთხელ, კაკაბს რომ ვეძებდი ბარდებში (დონ ხესუსის მამულში), კობტას წავაწყდი, მიყრუებულ ადგილას გამოსულიყო სასეირნოდ. აღმენდრალეხოდან ხუთასიოდე ნაბიჯზე ვიყავით. მორთულ-მოკაზმული გახლდათ — ყავისფერი ტანსაცმელი ეცვა, საჩიხიანი ქუდი ეხურა და ხელში წკებლა ეჭირა. ერთმანეთს მივესალმეთ. იმ გაიძვერამ, რაკი ნახა ჩემს დაზე არაფერს ვეკითხებოდი, ყოველნაირად სცადა გამოვეწვიე და მერე გავეკენწლე, მაგრამ არ ავყევი. შესაძლოა შემატყო ეს და გამოსამშვიდობებლად რომ გავუწოდეთ ერთმანეთს ხელი, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, თითქოს სხვათა შორის მკითხა:

- როსარიო როგორაა?
- შენ უკეთ გეცოდინება....
- მე?
- გეყოფა! ვითომ არ იცი!
- საიდან უნდა ვიცოდე?

ისე სერიოზულად მელაპარაკებოდა, ვინმე იფიქრებდა, ამ კაცს თავის სიცოცხლეში ტყუილი არ უთქვამსო. მიმძიმდა მასთან როსარიოზე ლაპარაკი, თქვენ გამიგებთ, რატომაც.

წკნელი ურცის ბუჩქს დასცხო.

- რაკი ასე გაინტერესებს, კარგად არის! ამის გაგება გინდოდა, არა?
- მომისმინე, კობტა, დიაცი კი არა ვარ, ენა მოვიქაო... ნუ მალიზიანებ! ნუ მალიზიანებ-მეთქი!

— თა გალიზიანებს? რა გინდა როსარიოზე რომ გაიგო? ან რა ხელი გაქვს მასთან? შენი დაა? მერე რა მოხდა? ჩვენ კი, თუ ამაზე მიდგა საქმე, ერთმანეთი გვიყვარს!

სიტყვით მჯობნიდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მისულიყო, ჩემი მიცვალებულების სული ნუ წამიწყდება, ხელის განძრევას არ ვაცლიდი, ისე მოგკლავდი. გადავწყვიტე, შევეშვებო-მეთქი, რადგან საკუთარი ხასიათი ვიცოდი, ეგეც არ იყოს, მამაკაცებს არ შეშვენით ჩხუბი, მით უმეტეს თუ ერთს თოფი უჭირავს ხელში, მეორე კი უიარაღოა.

— მომისმინე, კობტა, თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს. გიყვარს? ძალიან კარგი, ვგრე იყოს. მე რა შუაში ვარ?

- კობტა იცინოდა, ეტყობოდა, ჩხუბი უნდოდა.
- იცი, რას გეტყვი?
- მითხარი.
- შენ რომ ჩემს დასთან დაბრძანდებოდე, მოგკლავდი.

უფალმა უწყის, იმ დღეს გაჩუმებამ ერთი წლის სიცოცხლე მომაკლო, მაგრამ ჩხუბი მაინც არ მინდოდა, რატომ — არ ვიცი. გამიკვირდა, ასე რომ მელაპარაკებოდა. სოფელში ვერავინ გაბედავდა ჩემთვის თუნდაც ამის ნახევარი ეთქვა.

- ჰოდა, თუ ისიც შევამჩნიე, რომ დამდეგ, შუა მოედანზე, ხალხის თვალწინ მოგკლავ.
- მეტისმეტი მოგდის.
- ყელს გამოგჭრი.
- მომისმინე, კობტა!..

მას აქეთ გულზე ეკალი დამესო და დღემდე ვატარებ.

ახლაც არ ვიცი, მაშინვე რატომ არ ამოვიგლიჯე. გავიდა დრო და როცა როსარიო ისევ ჩამოვიდა ჩემთან ციების სამკურნალოდ, მომიყვა, იმ შეხვედრის მერე რა მომხდარა. სადამოთი კობტას ნივეესთან შეუვლია როსარიოს სანახავად.

- შენი ძმა კაცი არ ყოფილა, ჩვარია.
-
- ხმის გაგონებაზეც კი კურდღელივით ფრთხება.

და გამომექომაგა თურმე, მაგრამ ამაოდ — კობტამ გაიმარჯვა. მაჯობა ერთადერთ ბრძოლაში, სადაც დავმარცხდი მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც მჩვეოდა, ისე არ მოვიქეცი.



- ახლა კი სხვა საქმეზე ვილაპარაკოთ, გოგონი, ფული რამდენი გაქვს?
- რვა პესეტი.
- სულ ეს არის?
- მეტი გინდა? მძიმე დროა!

კოხტა როსარიოს სახეზე წკნელს იქამდე უტლაშუნებდა თურმე, სანამ არ მოსწყინდა.

მერე კი კვლავ უთქვამს:

- შენი ძმა კაცი არ ყოფილა, ჩვარია!
- დამ მთხოვა, თუ გინდა კარგად გავხდე, სოფელში დარჩიო.
- გულში ჩარჭობილი ეკალი შემირხიეს. ახლაც არ ვიცი, რატომ მაშინვე არ ამოვვლიჯე.


მაპატიეთ დაულაგებლად რომ ვყვები, იმის გამო, რომ მოვლენებს არ მივსდიე რიგით და ადამიანთა ბუნებაზე გიამბობთ მხოლოდ, აქეთ-იქით ვხტი ჯოხებს ქვეშ მოქცეულ კალიასავით. სხვანაირადაც რომ დამეწერა, მაინც დაულაგებელი ამბავი იქნებოდა, რადგან ენაზე რაც მომადგება ხოლმე, იმას ვყვები. მე ხომ არ ვცდილობ რომანი დავწერო — ვერც დავწერ და, რაც მთავარია, რომც დავაპირო, ვიცი, ისევ ამეშლება ლაპარაკის საღერდელი, თავს ვეუღარ შევიკავებ და ისე გავებმები და გავიხლართები საკუთარ მონაყოლში, რომ თავის დასაღწევ გზასაც ვეღარ გავიგნებ.

ჩვენთვისაც, ისევე როგორც ყველა სულიერისთვის, გადიოდა წლები. ცხოვრება ჩემს სახლში ჩვეულებრივად მიედინებოდა.

ქალიძვილის დაბადებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, როცა აზრად არავის მოუვიდოდა, რომ დედაჩემი ძამიკოს გვაჩუქებდა — ისე გამხდარი იყო და თანაც იმდენმა დრომ გაიარა, — მუცელი არ წაუშვა (არავინ უწყის, ვისგან იყო ფეხმძიმედ, ბოლო დროს მგონი სენიორ რაფაელთან უფრო დაძვრებოდა)! ასე რომ, გვინდოდა თუ არ გვინდოდა, დაწესებული დროისთვის ოჯახი უნდა გაზრდილიყო. ის დღე, საცოდავი მართო რომ დაიბადა — ასე დავარქვით ახალ ძამიკოს — ყოველმხრივ შავბნელი გახლდათ ჩვენთვის. ჯერ ერთი, დედამ მშობიარობის დროს ერთი აურზაური ატეხა, მერე კი მამა გარდაიცვალა. მამის სიკვდილი ისეთი ტრაგიკული რომ არ ყოფილიყო, სასაცილოდ არ ეყოფოდა ვინმეს. მართო რომ ქვეყანას მოევლინა, მამა უკვე ორი დღის ჩაკეტილი გვყავდა საკუჭნაოში: იგი ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა. პირველ ხანებში გვეჩვენებოდა, გადავრჩით საშიშროებას-თქო, მაგრამ მოგვიანებით, კანკალი რომ დააწყებინა, ყველა შევფიქრებდით. სენიორა ენგრასიამ გვითხრა, მაგის შეხედვაზე შეიძლება ქალს მუცელი მოსწყდესო და რაკი სხვა გამოსავალი არ გვქონდა, მეზობლების დახმარებით და დიდი სიფრთხილით — ისე იკბინებოდა, რომ მისწვდენოდა, ვინმეს მთელ ხელს მოაჭამდა — როგორც იქნა, დავამწყვდიეთ. დღემდე ტკივილითა და შიშით ვიგონებ იმ დროს... ღმერთო ჩემო, ძლივ-ძლივობით არ დავიმორჩილეთ! ლომივით ბრდღვინავდა, იფიცებდა, ყველას დაგხოცავთო, თვალები ისე უელავდა, უფალ ღმერთს რომ გავეწირეთ, ნამდვილად შეასრულებდა თავის ფიცს.

როგორც გითხარით, ორი დღე დამწყვდეული გვყავდა, ღრიალებდა და კარს ფეხებს ისე უბრაზუნებდა, იძულებული გავხდით კარზე ფიცრები აგვეჭედებინა. საბრალო მართო, დაბადებამდე ჯერ დედის ყვირილმა ააწრიალა, მერე კი გაცოფებული კაცის ღრიალმა. ჰოდა, სულაც არ მიკვირს, რომ შეშინებული და იდიოტი დაიბადა. მამა მეორე დღეს საღამოთი გაჩუმდა — მოგვთა თაყვანისცემის დღე იყო. მივხვდით, სული განუტევა. მის გამოსათრევად მივედით. იატაკზე იწვა, სახეზე საშინელება აღბეჭდოდა, თითქოს ჯოჯოხეთში მოხვდაო. ცოტა არ იყოს, შემეშინდა; ჩასისხლიანებული, თვალბგადმოკარკლული და ენაგადმოგდებული მიცვალებულის დანახვაზე დედაჩემს ტირილის მაგიერ (როგორც მოველოდი) სიცილი აუტყდა. მე ისღა დამრჩენოდა, თვალზე მომდგარი ცრემლი შემეკავებინა.

დასაფლავების დღეს მღვდელმა დონ მანუელმა სულის გასანათლებელი საუბარი გამიმართა. მისი ნათქვამიდან ბევრს ვერაფერს გავიხსენებ, მაგრამ ლაპარაკობდა იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, ზეცასა და ჯოჯოხეთზე, ქალწულ მარიამსა და მამის ხსოვნაზე. უკეთესია მამაჩემს სულაც თუ აღარ გავიხსენებ-მეთქი, ვუთხარი მე. დონ მანუელმა თავზე ხელი გადამისვა და მიბასუხა, სიკვდილს ადამიანები ერთი საუფლოდან მეორეში გადაჰყავს და ძალიან ეჭვიანობს,



როცა ადამიანებს გვძულს ის, ვინც სიკვდილს ღვთის სამსჯავროზე მიჰყავს. რა თქმა უნდა, ეს სულ სხვანაირად მითხრა მან — მისი სიტყვები ძალიან სამართლიანი იყო, ხშირად კი ცოტათი თუ განსხვავდებოდნენ ჩემი დაწერილისაგან.

იმ დღიდან დონ მანუელს შეხვედრისას მუდამ თავს ვუკრავდი და ხელზე ვკოცნიდი, მაგრამ როცა დავქორწინდი, ცოლმა მითხრა, ასეთ რაღაცეებს რომ აკეთებ, დიაცს ჰგავხარო და მეც, ცხადია, ამ დღიდან თავი აღარ დამიკრავს მღვდლისათვის.

მოგვიანებით გავიგე, თურმე დონ მანუელს ჩემზე უთქვამს, სანახევრე ამოსული ვარდიაო. ეს გავიგე თუ არა, მღვდლის წახრჩობა მომინდა მაშინვე, მაგრამ, ღმერთია მოწამე, შემდეგ ეს სურვილი გამინელდა. ბუნებით ძალიან ფიცხი გახლავართ, მაგრამ წყენა მალე გადამივლის ხოლმე და ბოლოს მიმავიწყდება კიდევ.

მარიოს ცოტა ტვინი რომ ჰქონოდა, ამქვეყნიურ ჭირ-ვარამთან გამოთხოვებისას დიდად არ უნდა დანადგლიანებულიყო. ცოტა ხანს იცხოვრა — თითქოს იყნოსაო, რა ნათესავეებიც ეყოლებოდა და სამოთხის უბიწო ჩვილთა საზოგადოება ამჯობინა. უფალი ხედავს, სწორ კვალს მიჰყვა — სიცოცხლესთან ერთად აურაცხელი ტანჯვა აიცილა თავიდან! ათი წლისაც არ იყო, რომ დაგვტოვა — ათი წლის სიცოცხლე ბევრი არ არის, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ ფეხზე დამდგარიყო და ლაპარაკი დაეწყო, თუმცა ვერც ერთი შეიძლო და ვერც მეორე. საცოდავი პატარაობიდანვე მიწაზე დახობავდა ქვეწარმავალივით და თავგვივით წრუწუნებდა — სულ ეს იყო, რასაც მიაღწია. მისი ცხოვრების პირველი დღიდანვე მივხვდი, ჭკუანაკლები დაიბადა და ასევე მოკვდებოდა. პირველი კბილი წლინახევრისას ამოუვიდა და ისე მრუდედ ეზრდებოდა, სენიორა ენგრასიამ (რამდენჯერ იყო იგი ჩვენი მფარველი ანგელოზი!) თოკით ამოგლიჯა, თორემ ენას გაუხვრეტდა. სწორედ იმ დღეებში, იქნებ იმიტომაც, რომ კბილის ამოგლეჯის შემდეგ ბევრი სისხლი გადაყლაპა, უკაცრავლი პასუხია და, უკანალზე სირსველასავით გამოაყარა. დაჩირქებული მუწუხები შარდმაც გაუღიზიანა და კანი სულ გასძვრა. მტკივან ადგილზე ძმრისა და მარილის საფენები დაადეს. პაწია ისე ჩხაოდა, ყველაზე გულცივ ადამიანსაც კი შესძრავდა.

ამის შემდეგ კარგა ხანს მოსვენებით ცხოვრობდა. პატარა ჩერჩეტი ბოთლებს ეთამაშებოდა (ბოთლები განსაკუთრებით მოსწონდა), საჩიხში ან კარის ზღურბლზე იწვა მზეზე. ჯანი შეემატებოდა და იმიტომ აწვედნენ იქ. ჰოდა, ცხოვრობდა ასე თავისთვის ხან კარგად, ხან ავად, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უფრო მშვიდად, ვიდრე დასაწყისში.

ცხოვრობდა ასე მანამ, ვიდრე ოთხი წლისას ბედი უკუღმა არ შეუტრიალდა და ორივე ყური, უკაცრავლი პასუხია, ღორმა არ მოაჭამა. აფთიაქარმა დონ რამინდომ ქსეროფორმის ყვითელი ფხვნილი მოაყარა და ისეთი საცოდავი შესახედავი იყო — გაყვითლებული და ყურებდაგლეჯილი მარიო, რომ კვირაობით, გულს გადააყოლებსო, და მეზობლის ქალები ვინ ნამცხვარს აძლევდა, ვინ ნუშს, ვინ კიდევ ღვთისხილს და შებოლილი ძეხვის ნაჭერს... საცოდავი მარიო! რა მადლიერება გამოსჭვივოდა მისი შავი თვალებიდან ამ დროს! აქამდე ხომ არ ჰქონდა და არ ჰქონდა დალხინებული სიცოცხლე, უკაცრავლი პასუხია და, ღორის შემდეგ სულ გაუმწარდა ყოფა. დღე და ღამე ცრემლს ღვრიდა და ღნაოდა უპატრონოსავით, რასაც მიუხედავდნენ, იმას ჭამდა და ისე გაიზარდა, რომ მეც კი, თვითონ რომ იშვიათად ვიბანდი (რატომ მოგატყუოთ?), მეც კი მეზიზღებოდა. ძამიკო, უკაცრავლი პასუხია და, ღორის დანახვაზე — ღორი კი ჩვენთან, პროვინციაში ყოველ ნაბიჯზეა — გაშმაგდებოდა, გიჟს ემსგავსებოდა, ჩვეულებრივზე ხმამაღლა ყვიროდა, ცდილობდა რაიმეს ამოფარებოდა და თვალებში ისეთი შიში ეხატებოდა, რომ მგონი ჯოჯოხეთიდან ამომძვრალ ეშმაკსაც კი შეაჩერებდა.

მახსოვს, ერთხელ, კვირაღღეს, ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს ბავშვი ისე გაშმაგდა და გაცოფდა, რომ ღმერთმა უწყის რატომ, ჩააფრინდა სენიორ რაფაელს, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ ჩვენს სახლში ისე დადიოდა, თითქოს თავისი დაპყრობილი მიწა-წყალი ყოფილიყოს და მოხუცს ფეხზე უკბინა. ნეტავ არ ეკბინა. სენიორ რაფაელმა მეორე ფეხით ისეთი წიხლი უთავაზა იმ ადგილას, სადაც ყურის მაგივრად ნაჭრილობევი აჩნდა, რომ მარიო უგრძნობლად, მკვდარვით გაგორდა ძირს, ხოლო ჭრილობიდან სითხე გადმოიღვარა. ბებერი ძალღი ისე ხარხარებდა, თითქოს გმირობა ჩაედინოს. იმ დღიდან ისე შევიძულე, საუკუნო ცხონებას გეფიცებით, პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში მოვკლავდი, უფალს რომ ჩემგან შორს არ წაეყვანა.

პაწია უგრძნობლად ეგდო, დედაჩემი კი — გარწმუნებთ, შიშმა ამიტანა მისი უსინდისობის დამნახავი — ხელს არ ჰკიდებდა, ის კი არადა, სენიორ რაფაელს აჰყვა სიცილში.



დმერთმა ხომ იცის, მინდოდა ბავშვი ამეყვანა, მაგრამ თავი შევიკავე... ერთი სენიორ რაფაელს ჩემთვის ქალაჩუნა დაეძახებინა, ხომ იქვე, დედაჩემის დი სულს!

გულის გადასაყოლებლად სოფელში წავიდი, გზაზე ჩემი და შემხვდა. იმხანაუ ჩვენთან ცხოვრობდა. ყოველივე რომ ვუამბე, მის თვალებში ისეთი სიძულვილი ამოვიკითხე, უნებურად გავიფიქრე, ამის მტრად გადავიდებოდა საშიში იქნება-მეთქი. რატომღაც კობია გამახსენდა და გუნებაში გამეცინა, დადგება დრო და ასეთი თვალებით ალბათ მასაც შეხედავს-მეთქი.

ორი საათის შემდეგ შინ დავბრუნდი, სენიორ რაფაელი დედას ემშვიდობებოდა, მარო კი საცოდავად კნაოდა, ისევ იმავე ადგილას იწვა იატაკზე დაძხობილი, ჭრილობაც უფრო გასწითლებოდა.

ჩემმა დამ (მეგონა, ჩხუბს დაიწყებდა), ბავშვი იატაკიდან აიყვანა და ვარცლში ჩააწვინა. იმ დღეს დაიკო ჩვეულებრივზე უფრო ლამაზი მეჩვენა — ცისფერი კაბა ეცვა, მზრუნველ დედასავით დაჰფოფინებდა ბავშვს, შვილი როსარიოს არ ჰყავდა და არც არასოდეს ეყოლებოდა.

ბოლოს და ბოლოს სენიორ რაფაელი წავიდა და დედამ მარო ხელში აიყვანა, ანანავებდა, მთელი საღამო ჭრილობას ულოკავდა ძალივით. ბიჭუნა ნებივრობდა და იღიმებოდა... ასევე მომღიმარს ჩაეძინა. მართალს გეუბნებით — მთელ ცხოვრებაში ერთხელ ვნახე, რომ მარო იღიმებოდა...


კარგა ხანს რაიმე უბედურება არ შემთხვევია მაროს — მაგრამ თუ ბედი ვინმეს დევნის, არაფრით არ მოეშვება, მიწაშიც რომ ჩაძვრეს, იქაც მიაგნებს. და აი დადგა დღე, როდესაც ბავშვი თვალდახელშეუა დაგვეკარგა. იგი ზეთით სავსე ქოთანში ვიბოვეთ ჩამხრჩვალის, როსარიომ იპოვა. თავით ჩაყუდებულყო შიგ და ცხვირი ქოთანის ძირზე მიეძვინა. ქოთნიდან რომ ამოვიღეთ, პირიდან ოქროსფერი ძაფივით წამოვიდა ზეთი, გეგონებოდათ, მუცელში გორგალი უდევსო. სიცოცხლეში ნაცარივით გამოხუნებული თმა ახლა ისე პრილებდა, უნებურად იფიქრებდით — სიკვდილმა მეორედ შვაო. აი ის უჩვეულო ამბები, რაც მაროს სიკვდილთან დაკავშირებით მახსოვს...

დედაჩემს არც შვილი უტირია. ასეთი უგულო ქალები, უბედური ბიჭმშოს ცხელართან ცრემლს რომ არ გადმოაგდებენ, ქვისგან უნდა იყვნენ გამოთლილი. ჩემს თავზე უნდა მოგახსენოთ და, არცა მრცხვენია ამისი, ვტიროდი, დიახ, ვტიროდი როსარიოსთან ერთად. ისე შემძულდა დედაჩემი და ისე სწრაფად მომედო მთლიანად ეს სიძულვილი, რომ ჩემივე თავისა შემეშინდა. უცრემლო ქალი იგივეა, რაც დამშრალი წყარო.

ბევრს ვფიქრობდი, რა მიზეზით იყო, რომ დედისადმი ჯერ პატივისცემა დავკარგე, წლების შემდეგ კი სიყვარულიც და დედას რომ შვილისაგან ეკადრება ისე აღარ ვეჭვოდო. მინდოდა მეხსიერებაში მომეძებნა ადგილი, როდის მექცა დედა მტრად, სასტიკ მტრად — რადგან არ არსებობს უფრო ბოროტი სიძულვილი, ვიდრე საკუთარი სისხლის სიძულვილია, — ისეთ მტრად, რომელზეც გადმოვანთხიე მთელი ბოდმა, რამეთუ ყველაზე მეტად გძულს ის, ვისაც ჰგავხარ, და ეს მსგავსება ყელში გაქვს ამოსულა. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ბოლომდე ვერაფრით ვერ ავხსენი. გარკვევით მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა, პატივს აღარ ვცემდი მას შემდეგ, როცა მივხვდი, არ გააჩნდა მისაბაძი თვისებები და სანამუშო მიდრეკილებანი, ხოლო გულიდან მაშინ ამოვირეცხე, როცა მისგან ჩადენილი აუარება ბოროტება გულში ვეღარ დავიტიე. მაგრამ შემძულდა, ძალიან შემძულდა უფრო მოგვიანებით — სიძულვილი სიყვარულივით ერთ დღეში არ მოდის — და, მგონი ძალიან არ შევცდები დროში, თუ ვიტყვი, რომ სიძულვილი მაროს გარდაცვალებისას ვიგრძენი.

ბავშვი ჩვრებით შევამშრალეთ, რათა განკითხვის დღეს ზეთში მოთხვრილი არ აღმდგარიყო, მიტკლის სუდარა გადავაფარეთ, სოფლიდან მოტანილი ალპარგატი¹ ჩავაცვით და თითქოს პეპელა დააფრინდაო, მიცვალებულს ყელზე ვარდისფერი ყელსახვევი ბაფთივით შევაბი. სენიორ რაფაელი მოუღბა მიცვალებულს, სიცოცხლეში უმოწყალოდ ებყრობოდა, ახლა კი კუბოს შეეკრაშიც მოგვეხმარა. გულმოდგინედ და საქმიანად მიდი-მოდიოდა, როგორც პატარ-

¹ ალპარგატი — ბაწრის ფეხსაცმელი.



ძალი ქორწილის შემდეგ — ხან ლურსმნებს დაავლებდა ხელს, ხან ფიცრებსა და თეთრ სა-
ღებავს. მისი მონღოლებითა და საქმიანი იერით გართულს სხვა არაფერზე შემეძლო მეფიქ-
რა. არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვიცი, რატომ იყო და რა მიზეზით — გული შეუზნებო-
და, სინამდვილეში ნეტარებისაგან აღარ იცის რა ქნას-მეთქი. დაბნეულად რომ ჩაიბურტყუ-
ნებდა: „ღმერთმა წაგვართვა! ანგელოზების სამყოფელი ზეცაშია!“ — ადგილზევე გავშემ-
დებოდი ხოლმე და ახლა იმის აღდგენა, რა მომდიოდა მაშინ, ჩემგან წარმოუდგენელ ძალას
მოითხოვს. კუბოს რომ დავტრიალებდით, აკვიატებულივით იმეორებდა: „ანგელოზების
სამყოფელი ზეცაშია! ანგელოზების სამყოფელი ზეცაშია!“ საათივით მიკაკუნებდა ეს სი-
ტყვები.

როგორ მზარავს იმ დღის მოგონება. მამაძალი, რა ეშმაკურად იქცეოდა ის მელია,
ისა! უმჯობესია სხვა რამეზე ვილაპარაკო.

სიმართლე რომ ვთქვა, არც არასოდეს ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდნენ ანგელოზე-
ბი, რადგან ამაზე საფუძვლიანად არასოდეს დავფიქრებულვარ. ერთი ხანობა მეგონა, ქე-
რათმიანი, ცისფერ ან ვარდისფერ გრძელ ქვედატანებში გამოწყობილი არსებები არიან-
მეთქი, მერე კარგა ხანს ვფიქრობდი, ღრუბლისფერი არიან, ხოლო ტანი პურის ღეროზე
უფრო თხელი აქვთ-მეთქი. ასეა თუ ისე, შემეძლია დაგარწმუნოთ, არასოდეს მიმიმსგავსე-
ბია ისინი ძამიკო მარიოსათვის და ალბათ ამიტომაც სენიორ რაფაელის სიტყვებში რაღაც
უსიამო, რაღაც ბოროტი ზრახვა თუ ძზაკვრობა მომესმა, — აბა, სხვას რას უნდა ელოდე
ასეთი უნამუსოსაგან.

მამაჩემის გასვენებისა არ იყოს, მარიოც ღარიბულად გავასვენეთ. კუბოსთან, რომ
არ გადავაჭარბო, ხუთი-ექვსი კაცი თუ შეიკრიბა: დონ მანუელი, მონასტრის მსახური სან-
ტიაგო, ლოლა, სანი-ოთხი მოხუცი ქალი და მე. წინ სანტიაგო მიდიოდა, სტვენა-სტვენით
ჯვარი მიჰქონდა და თან ერთ ქვას არ ტოვებდა ფეხწამოუკრავს. სანტიაგოს შემდეგ კუბო
მიჰქონდათ, კუბოს დონ მანუელი მიჰყვებოდა, შავ ანაფორაზე თეთრი რიზა მოფცვა,
სადალაქოში მუშტარს რომ წინსაფარს ააფარებენ მკერდზე, იმას ჰგავდა. მათ უკან ოთხი
დედაბერი ისეთი მოთქმა-ტირლით მიცუბცუბებდა, თითქოს ოთხივეს ერთად ეშვა ის, ვი-
საც დღეს მიწას აბარებდნენ.

იმხანად ლოლა თითქმის ჩემს საცოლედ ითვლებოდა. თითქმის-მეთქი იმიტომ ვამბობ,
რომ ერთმანეთის ცქერა დიდად გვისამოვნებდა ხოლმე, მაგრამ სიყვარულზე, სიმართლე რომ
ვთქვა, კრინტის დაძვრაც ვერ ვამებედა. რატომღაც მეშინოდა, დამცინებს-მეთქი და თუმცა
უმეტესად თვითონ დამსდევდა, რომ ნავსი გამეტეხა, მაინც მუდამ მორცხვობა მძლევედა.
ყოველთვის მომავლისთვის ვდებდი ისედაც გაჭიანურებულ საქმეს. მე ოცდარვა თუ ოც-
დაათი წლისა გახლდი, ის როსარიოზე უმცროსი იყო, ოცდაერთი-ოცდაორი წლისა.
შავგვრემანსა და შავთმიანს ისეთი უძირო შვიკი თვალები ჰქონდა, შეხედვით განგმირავდა
აღამიანს. ჯანიანი, რკინასავით მაგარი, ტანსრული გოგო იყო, კაცი იფიქრებდა, შეილოსნობა
გამოვლილი აქვსო. მაგრამ სინამდვილეს რომ არაფერში ვუღალატო, სანამ შემდგომ ამ-
ბებზე არ გადავსულვარ და არ დამვიწყნია, მიხდა მოგახსენოთ, რომ მაშინ ახალშობილივით
უმანკო იყო, მონაზონივით არ იცოდა მამაკაცის გემო — ამას იმიტომ გეუბნებით, რომ
ცუდი არაფერი იფიქროთ მასზე. შემდეგ რას ჩადიოდა, მხოლოდ ღმერთმა უწყის და მის
სინდისზე იყოს, მაშინ კი წარმოდგენა არ ჰქონდა მრუშობაზე. ისე მჯერა მისი სიწმინდე,
რომ ახლაც კი მზალ ვარ ეშმაკს მივყიდო სული — დამიმტკიცოს საწინააღმდეგო. ფეხს
ღონივრად ადგამდა და დანდობილად დადიოდა, მკვირცხლად და ამაყად ეჭირა თავი —
არც იფიქრებდი, უბრალო გლეხის გოგოაო, ხოლო მისი თმა, კეფაზე მსხვილ ნაწნავად
დაგორვლილი, გაგაკვირვებდათ თავისი დიდებულებით.

ისევე ამბავს დავუბრუნებდი. დაკრძალვა არ დაუყოვნებიათ. საფლავი ადრე იყო გაჭ-
რილი. ისღა დარჩენოდათ, მარიო შივ ჩაეშვათ და მიწა დაეყარათ. დონ მანუელი ლათი-
ნური ლოცვების კითხვას მოჰყვა. ქალებმა დაიჩოქეს. ჩაჩოქილ ლოლას შავ წინდებს ზე-
მით შიშველი ბარძაყი გამოუჩინდა, სარდელივით თეთრი და მკვრივი... მრცხვენია ახლა
რასაც გეტყვით, მაგრამ ღმერთმა ეს აღიარება სულის საცხონებლად ჩამითვალოს, ძალიან
მიჭირს და მრცხვენია ამის გამხელა: გამეხარდა ძმის სიკვდილი... ლოლას ფეხები ვერცხლივით
უბრწყინავდა, სისხლი თავში ამივარდა, ლამის გული საგულედან ამომივარდა.

თითქოს ბურანში ვიყავი, არ დამინახავს როდის წავიდნენ დონ მანუელი და ქალები,
როდესაც კვლავ შევიტანი გარემო, ვიგრძენი — ახალნაყარ მიწაზე ვიჯექი. მარიოს საფ-
ლავზე როდის დავჯექი ან რა დრო გავიდა, ჩემთვის მარადიული საიდუმლო დარჩა.



მახსოვს, სისხლი ისევ მიშხუოდა საფეთქლებში და გული ამოვარდნაზე მქონდა. მზე ჩადიოდა, მისი უკანასკნელი სხივები ჩემსავით ეულ, მოღვენილ კვიპაროსს ეხებოდა. ცხელი ღოდა, მაგრამ ძთელი სხეული მიკანკალებდა და განძრევა არ შემეძლო, თითქოს მგლის მზერას მივეჯაჭვე ადგილზე.

გვერდით ლოლა მედგა, მკერდი ძალუმად აუღ-ჩაუდიოდა.

— შენა ხარ? — ვკითხე.

— როგორც ხედავ.

— აქ რას აკეთებ?

— არაფერს, ისე...

წამოვხტი და ხელში ჩავაფრინდი.

— აქ რას აკეთებ-მეთქი?

— არაფერს! ვერ ხედავ? არაფერს!

ლოლა ისე მიყურებდა, შემეშინდა. ხმაც რაღაც იმქვეყნიური ჰქონდა — მოჩვენებასავით დახშული და სამარისეული.

— შენც შენი ძმასავითა ხარ.

მერე გააფთრებული ვებრძოდით ერთმანეთს. მიწაზე გართხმული ლოლა უფრო ლამაზი იყო... სუნთქვამოხშირებულს მკერდი აუღ-ჩაუდიოდა. თმით მიწას გავაკარი, არ ვეშვებოდი. ის კი ცდილობდა ხელიდან დამსხლტომოდა, იგრიხებოდა...

როდესაც კბენით დავასისხლიანე, დამმორჩილდა და ფაშატივით გაიტრუნა...

— ეს გინდოდა?

— ჰო!

ლოლა სწორი ჩაწიკწიკებული კბილებით მიღიმოდა... მერე თმაზე ხელს მისვამდა და ხმადაგუდული მეუბნებოდა:

— შენი ძმასავით არა ხარ, ვაჟკაცი ხარ!.. ვაჟკაცი ხარ!.. ვაჟკაცი ხარ!..

კარგად მახსოვს, მიწა რბილი იყო და ზედ ნახევარი ღუჟინი წითელი ყაყაჩო ფინა ჩემი მკვდარი ძმის სახელზე მოტანილი — ექვსი წვეთი სისხლი...

— შენს ძმას არა ჰგავხარ... შენ ვაჟკაცი ხარ!..

— გიყვარვარ?


— ჰო.

6

განგების ნებით ორი კვირა გავიდა, რაც წინა ნაწილი დავწერე. ამ დროის მანძილზე ხან დაკითხვები მართმევდა დროს, ხან ვეჭილთან შეხვედრები, ხან ადგილის გამოცვლა. ერთი სიტყვით, წუთიც არ მქონდა მოცლა, კალამი ხელში ამეღო. ახლა გადავიკითხე ქალღმერთის არც ისე სქელი შეკვრა. თავში ისეთი დომხალი მაქვს და იმდენი აზრი მიტრიალებს, რომ რამდენს არ ვფიქრობ, მაინც ვერაფერი გადამიწყვეტია. როგორც თავად ნახეთ, ბევრი ცუდი ამბავი გაიმბეთ უკვე. მეშინია, ვაითუ ძალა აღარ მეყოს დანარჩენი მოგითხროთ — ეს ხომ წინანდელზე უარესია. საშინელი სევდა მიპყრობს იმის გაფიქრებაზე, რა კირკიტა მესხიერება მქონია — ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ყველა ფაქტი, — ეპ, განა შეიძლება ცხოვრება უკან დააბრუნო! — ქალღმერთს ისე ნათლად ჩანს, როგორც სასკოლო დაფაზე. თან საინტერესოა, მაგრამ უფალი ხედავს, დასანანიცაა, — რამდენიმე წლის უკან ჭკუისათვის რომ მომეხმო, ახლა საკანში კი არა, ჩემს ეზოში მზეს მიფიცხებული ვიჯდებოდი, გველთვევებს დავიჭერდი ან ფერდობზე კურდღლებს ჩავუდგებოდი კვალში. თუ არადა, სულაც იმას გავაკეთებდი, რასაც ჩვეულებრივ დაუფიქრებლად აკეთებს ადამიანთა უმრავლესობა. ვივლიდი ჩემთვის თავისუფლად, როგორც დადის ისევ და ისევ ადამიანთა უმრავლესობა. წინ კიდევ დმერთმა იცის რამდენი ხნის სიცოცხლე მექნებოდა, როგორც ადამიანთა უმრავლესობას, ვისაც აზრადაც არ მოსდის, რომ შეუძლიათ აუჩქარებლად გალიონ სიცოცხლის წლები...

ახალი ადგილი წინანდელს სჯობია. ფანჯრიდან ბალი მოჩანს, ოთახივით მოვლილი და ვაწკრიალეული. ბალიდან მთებამდე გადაჭიმულა ადამიანის კანივით მუქი ტრიალი მინდორი, სადაც პორტუგალიისკენ მიმავალი ჯორები გამწკრივდებიან ხოლმე. სახლებს შორის კი სახედრები დაბაკუნობენ, ქალები და ბავშვები ჭასთან ფუსფუსებენ.

მე ვსუნთქავ საკანში შემოსულ მთის ჰაერს, სწორედ იმ ჰაერს, რომლის ჩასუნთქვაც



შესაძლოა ხვალ ან ზეგ მოუწიოს რომელიმე გზად მიმავალ მეხრეს. ვხედავ: კრე-
ლი პეპელა უაზროდ დაჰფარფატებს იზესუძშირებს, მერე საკანში შემოფრინდება, ორ
წრეს შემოუვლის და ისევ გაფრინდება — იქნებ ციხის უფროსის ბალახზეც კი დაჯდეს...
ქუდით ვიჭერ ჩემს ნასუფრალს დანატრებულ თავგს, ვუყურებ და ისევ ვუშვებ, მაინც რა-
მარჯვედ დურთა თავი სოროში, ალბათ ისევ გამოძვრება, რათა უცხო კაცის ულუფა
იგემოს, იმ კაცისა, საკანში მარტოდმარტო დიდხანს რომ არ იცხოვრებს და აქედან პირდა-
პირ ჯოჯოხეთში ამოყოფს თავს.

ალბათ არ დამიჯერებთ, ამ დღეებში სულს ისეთი მწუხარება და დარდი შემოაწვა, რომ
მზად ვარ თავდედობა ვიკისრო — ჩემი მონანიება წმინდანსაც შეეფერება. მაგრამ, ალბათ,
არ დამიჯერებთ, ჩემზე ხომ ბევრი ცუდი გსმენიათ... და მაინც გწერთ, იქნებ თვით ამ
სიტყვების გულისთვის, იქნებ იმიტომაც, რომ არ მშორდება აზრი: თქვენ შეძლებთ გა-
მიგოთ და ირწმუნოთ ის, რისთვისაც არ ვიფიცებ ჩემი სულის ცხონებას, დიდი ვერაფერი
იქნებოდა ამ ფიცის ფასი. ყელში ისეთი სიმწარე მაწვება, თითქოს ჩემს გულში სისხლის
მაგივრად ალოეს წვენი გადი-გამოდოდეს. მოვარდება, უკუიქცევა და პირში მწარე გემოს
დამიტოვებს, ენას დამინამავს და შიგნეულს გამომიშრობს თავისი მძიმე და მავნებელი
სუნით, აკლდამის ჰაერს რომ ჰგავს.

მცირე ხნით წერას თავი დავანებე — ოცი წუთი გავიდა, ერთი საათი თუ ორი, ვერ
გეტყვი... ბილიკზე — რა კარგად მოჩანდა ჩემი სარკმლიდან — ორი კაცი, ქალი და
ბავშვი მიმოდიოდნენ. აზრადაც არ მოუვიდოდათ, მე თუ ვუთვალთვალედი, — ისე თავისუფ-
ლად ეჭირათ თავი. ეტყობოდათ, კარგ გუნებაზე იყვნენ. მამაკაცები ოცდაათ-ოცდაათი წლის
იქნებოდნენ, ქალი — ოდნავ მათზე ახალგაზრდა, ბიჭუნა კი ექვსზე მეტისა არ უნდა ყოფი-
ლიყო. ფეხშიშველას პერანგი ჭიპამდე ძლივს სწვდებოდა, ბუჩქების ირგვლივ ბეჭეკასავით
დახტოდა, წინ გაიჭრებოდა, შეჩერდებოდა და ჩიტებს ქვებს დაუშენდა. არაფრით არ ჰგავდა
და მაინც როგორ მაგონებდა ჩემს ძმას, მარიოს.

ეტყობოდა, ქალი დედამისი იყო. აქაური ქალებივით მასაც მუქი კანი ჰქონდა და მთელ
სხეულში ისეთი სიხარული ჩაღვროდა, მისი ერთი შეხედვაც კი ბედნიერებას მოჰგვრიდა
კაცს. სულ არ ჰგავდა დედაჩემს, მაგრამ მაინც რატომ გამახსენდა იგი?

მომიტყვეთ, მაგრამ აღარ შემიძლია განვაგრძო წერა. ცოტაც და, ავტირდები... თქვენ
კი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მამაკაცი თუ თავს პატივს სცემს, დიაცივით არ უნდა ატირ-
დეს.

განვაგრძობ თხრობას. ვიცი, ნაღვლიანი ამბავია, მაგრამ მე თუ მკითხავთ, უფრო დასა-
ღონებელი ასეთი მსეჯლობა გახლავთ — ვერ უძლებს ამას ჩემი გული — მანქანა, რაიც იმ
სისხლს ამოძრავებს, ადამიანები ხანჯლის დარტყმით რომ დაღვრიან ხოლმე.

ცხადია, ხვდებით, რა თელილი გზებით წარიმართა ჩემი და ლოლას ურთიერთობა. ცოტა
ხანმა განვლო — ჩემი ძამიკოს დაკრძალვიდან ხუთი თვეც არ გასულა, რომ გამოოცა ახალმა
ამბავმა, თუმცა ამას ყველაზე ნაკლებად მე უნდა გავეოცებინე.

ეს ამბავი მოხდა ნოემბერში, წმინდა კარლოს ხსენების დღეს. ლოლასთან შინ მივედი,
ბოლო თვეებში მასთან თითქმის ყოველდღე დავდიოდი. როგორც ყოველთვის, დედამისი მაშინვე
ადგა და გავიდა. ლოლა ფერმკრთალი და რაღაც უცნაური მეჩვენა, ამას მერე მივხვდი.
ეტყობოდა, ახალი ნამტირალევი იყო და დიდი მღელვარებაც გადაეტანა. დიდად თამამი საუ-
ბარი არასდროს გვქონია, იმ დღეს კი ჩვენივე ხმა ისე გვაფრთხობდა, როგორც ტრიჭინები
ფრთხებიან ნაბიჯის ხმაზე ან კიდევ გნოლები მგზავრის სიმღერის გაგონებაზე. რაიმეს თქმას
დავაპირებდი თუ არა, სიტყვები კედელივით გამომშრალ ყელში მეჩხირებოდა.

- თუ არ გინდა, ნუ იტყვი.
- არა, უნდა გითხრა!
- მაშინ თქვი. მე რა, ხელს ხომ არ გიშლი?
- პასკუალ!
- ჰო, გისმენ.
- იცი რა?..
- რა?



— ვერაფერს ხვდები?

ახლა მეცინება, ასე რამ გამომამტერა, იმდენ ხანს როგორ ვერ მივხვდი-მეტეო.

— პასკუალ!..

— რა იყო!

— ფეხმძიმედ ვარ!

თავდაპირველად ვერ გავიგე, რა მითხრა. მოულოდნელობისაგან თითქოს გონება დავკარგე. გულში ერთხელაც არ გამივლია, რომ ის ამბავი, რასაც ახლა მეუბნებიან და რაც ასე ბუნებრივია, მართლა შეიძლებოდა მომხდარიყო. არ ვიცი, რაზე ვფიქრობდი მაშინ.

სისხლი ყურებში მომაწვა და ნაკვერცხლებივით ამიწითლდა: თვალები ისე ამეწვა, თითქოს საპონი მომხვედროდა...

ათი წუთი მაინც გავიდა სამარისებურ დუმილში. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, მაგრამ მაშინ არც შემიძინევია.

ლოლა ისე ქშინავდა, თითქოს ფლეიტას უბერავსო.

— ფეხმძიმედ ხარ?

— ჰო.

ლოლა ატირდა, არ ვიცოდი, რითი დამეწყნარებინა.

— ნუ სულელობ. ზოგი კვდება, ზოგი იბადება...

იქნებ ღმერთმა თავიდან ამამოროს ჯოჯოხეთის რაიმე სასჯელი იმ საღამოს გულჩვილობისათვის.

— მერედა, რა არის აქ უჩვეულო? დედაშენიც, სანამ შენ გზობდა, ფეხმძიმედ იყო, დედაჩემიც... — წელებზე ფეხს ვიდგამდი, რომ სანუგეშო სიტყვა მეტქვა. მანამდეც შევნიშნე, თითქოს ლოლა უეცრად შეცვალესო. — ეს ამბავი მუდამ ასე ხდება, ყველამ კარგად იცის. ჰოდა, რაღას წუხარ. — ლოლას მუცელზე ვუყურებდი, თუმცა კი ვერაფერს ვამჩნევდი. გადაფიტრებული, თმაგაწეწილი, საოცრად ლამაზი იყო. ახლოს მივუჩოჩდი და ლოყაზე ვაკოცე. მიცვალეზულივით გასციებოდა ლოყა, კოცნისას ისეთი ღიმილი მომაგება, ძველი დროის მოწამევებს რომ უმშვენებდათ სახეს.

— გიხარია? — ვკითხე.

— ჰო, ძალიან მიხარია! — ლოლა აღარ იღიმებოდა. — ძალიან გიყვარვარ?

— ჰო, ლოლა, ძალიან...

მართალს ვამბობდი, მაშინ მართლაც ძალიან მიყვარდა, — მას, ყმაწვილქალს, საშოში ბავშვი ჰყავდა, ჩემი ბიჭი, ვოცნებობდი მისთვის განათლება მიმეცა და ხალხში გამომეყვანა.

— ლოლა, ჩვენ დავქორწინდებით. საბუთები უნდა მოვაწესრიგოთ, ასე არ შეიძლება...

— ჰო.

ლოლამ თითქოს ამოიოხრა.

— დედაშენს დავუმტკიცებ, რომ ჭეშმარიტი მამაკაცი ვარ.

— ჰო, იმან იცის...

— არა, არ იცის!

გარეთ უკვე ბნელოდა, წასასვლელად რომ მოვემზადე.

— დაუძახე დედაშენს.

— რატომ?

— უნდა ვუთხრა.

— იცის.

— იცოდეს... მინდა თვითონ ვუთხრა!

ლოლა აღმა — რა ტანსრული იყო! — და გავიდა, ვუყურებდი და ისე შევხაროდი, როგორც არასდროს.

ცოტა ხნის შემდეგ დედამისი შემოვიდა.

— რა გინდა?

— იცით, რაც მინდა.

— ხედავ, რა დღეში ჩაავდე?

— კარგადაც მოგქცეულვარ. ჯერ პატარა გოგოა თუ რა?

დედამისი დუმდა. არ მეგონა, ასეთი დამყოლი ბუნებისა თუ იყო.

— მინდოდა მოგლაპარაკებოდით.

— რაზე?

— თქვენს ქალიშვილზე. ცოლად მინდა შევიერთო.



- სურვილი ცოტაა. საბოლოოდ გადაწყვიტე?
- დიახ, საბოლოოდ.
- მერე, კარგად მოიფიქრე?
- ძალიან კარგად.
- ასე მალე?
- დრო საკმაო მქონდა.
- მოიცადე, თვითონ მას დავუძახებ!..

დედამისი გავიდა და დიდხანს არ დაბრუნებულა. ეტყობოდა, დავობდნენ. ხელჩაკიდებული შემოიყვანა ლოლა.

- აი, შეხედე, ამას უნდა ცოლად შეგიერთოს. გაყვები?
- გაყვები.

— კარგია, კარგია... პასკუალი შესანიშნავი ბიჭია, ვიცოდი, ასეც მოიქცეოდა... აბა, გადაკოცნეთ ერთმანეთი!

- უკვე გადაკოცნეთ.
- კიდევ გადაკოცნეთ, ჩემს დასანახად.

ლოლასთან მივედი და ვაკოცე. ვაკოცე მთელი ძალით, მკერდზე მაგრად მივიკარი, დედამისს უურადლება არ მივაქციე, მაგრამ ეს პირველი, ნებადართული კოცნა არ მომეწონა. ის, პირველი, სასაფლაოზე, ახლა ასე შორეული რომ მეჩვენებოდა, უფრო ტკბილი იყო.

- შეიძლება დავრჩე?
- დარჩი.
- არა, პასკუალ, არ შეიძლება, ჯერ არ შეიძლება.
- შეიძლება, შვილო, შეიძლება. ეგ ხომ უენი ქმარი იქნება, ასე არ არის? დავრჩი და მთელი ღამე მასთან გავატარე.

მეორე დღეს დილიდანვე წავედი ეკლესიაში. დონ მანუელი ცისკრის წირვისთვის იმოსებოდა. წირვას დონ ხესუსის, მისი დიასახლისისა და ორი-სამი მოხუცი ქალისთვის ასრულებდა. გაუკვირდა ჩემი დაწახვა.

- აქ რა გინდა?
- დონ მანუელ, სალაპარაკო მაქვს თქვენთან.
- წირვის გამოსვლამდე დამიცდი?
- დიახ, სენიორ, არ მეჩქარება.
- კარგი, დამელოდე.

დონ მანუელმა სამოსსაცავის კარი გამიღო და მიმითითა ხის შეუღებავ, მაგარ და ქვასავით ცივ სკამზე, როგორც თითქმის ყველა ეკლესიაში დგას და რომლებზეც არაერთი ნეტარი წუთი განგვიცდია.

- ამაზე დაჯდები. დონ ხესუსი რომ დაიჩოქებს, უენც დაიჩოქე, წამოდგება, უენც აღდექი; დაჯდება, უენც დაჯექი.
- კეთილი, სენიორ.

წირვა ჩვეულებისამებრ ნახევარ საათს გაგრძელდა, მაგრამ ამ ნახევარმა საათმა ჩემთვის შეუმჩნევლად გაიარა.

როცა წირვა გამოვიდა, სამოსსაცავში დავბრუნდი. დონ მანუელი იხდიდა.

- აბა, გისვენ.
- ცოლის შერთვა მინდა.

— გიწონებ განზრახვას, შვილო ჩემო, გიწონებ! ქალები და მამაკაცები ღმერთმა აღამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად შექმნა. ვის თხოულობ? ლოლას?

- დიახ, სენიორ.
- დიდი ხანია გადაწყვიტე?
- არა, სენიორ, გუშინ...
- მხოლოდ გუშინ?
- მხოლოდ გუშინ. გუშინ მითხრა თავისი ამბავი.
- რაიმე შეემთხვა?

- დიახ.
- ფეხმძიმედ ხომ არ არის?
- დიახ, სენიორ, ფეხმძიმედაა.

— რას იზამ, შვილო ჩემო, თუ დაქორწინდებით, უფალი ყველაფერს შეგიწოდებთ.

ადამიანთა თვალშიც უფრო ამაღლდებით. ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვი ცოდვას და გალანძღვის მეტს არაფერს მოგიტანთ, ხოლო ქრისტიანული წესით დაქორწინებული მშობლებისთვის შვილი ღვთის წყალობაა. საბუთებს მოგიწესრიგებ. ნათესავები ხომ არა ხართ?

- არა, სენიორ.
- მით უკეთესი. ორი კვირის შემდეგ მოდი, ყველაფერი მზად იქნება.
- კეთილი, სენიორ.
- ახლა სად მიდიხარ?
- სამუშაოდ, სხვაგან სად უნდა წავიდე?
- იქნებ მანამდე აღსარება მითხრა?
- კარგი, ეგრე იყოს...

აღსარება გუთხარი და ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს ცხელ წყალში მახანავესო.

თვეზე ცოტა მეტი გავიდა და 12 დეკემბერს, გუადალუპის ღვთისმშობლის დღეს, რაც იმ წელიწადს ოთხშაბათს მოუწია, შევასრულე ყოველი წესი და რაგი ეკლესიისა და დაქორწინდით.

მტანჯავდა მოუსვენრობა და თითქოს მაფიქრებდა, თითქოს მაშინებდა ის ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც ვაპირებდი — ეშმაკმა წაიღოს, ქორწინება სახუმარო საქმე არ არის! დროდადრო ისეთი შიში და სისუსტე დამეუფლებოდა ხოლმე, რომ ნერწყვით, მზად ვიყავი ყველაფერი მიმეტოვებინა და სიტყვა გამეტება. ასეც მოვიქცეოდი, რომ არ მეფიქრა, მითქმა-მოთქმა ზეცას მიაღწევს-მეთქი, მე კი, რომ დავუკვირდე, ამისი არანაკლებ მეშინია. აჯობებს წყნარად ვიყო და მოხდეს, რაც მისაძინებია. ალბათ სასაკლაოზე გადენილი ცხვრებიც ასე მსჯელობენ, ჩემს თავზე კი უნდა ვთქვა, ხანდახან ნეგონა — მოახლოებული ჯვრისწერა ჭკუაზე შემშლის-მეთქი. არ ვიცი, გუშინათ თუ ვგრძნობდი, უბედურება რომ მელოდა. უარესი ის გახლდათ, რომ სწორედ იგივე გუშინი ვერ მპირდებოდა, უფრო ბედნიერი იქნები, ცოლს თუ არ შეირთავო.

ქორწილისთვის არაფერი დამიშურებია — შენი ნების საწინააღმდეგოდ დაქორწინება ერთია, ხოლო საზოგადოებაში მდგომარეობის განმტკიცება — მეორე. ქორწილი თუ მდიდრული არა, სხვებზე ნაკლები არ გვქონია. ვუბრძანე, ეკლესიაში ყაყახიები და აყვავებული როზმარინი შემოეტანათ. ეკლესია თითქოს უფრო მიმზიდველი და სტუმართმოყვარე გახდა და, ალბათ, ამიტომ ცივიც აღარ მეჩვენებოდა ფიჭვის სკამები და ქვის იატაკი. პატარძალს უმაღლესი ხარისხის შავი ტილოს კარგად მომდგარი კაბა ეცვა, თავზე ნათლიის ნაჩუქარი მაქმანის ფატა ეხურა, ხოლო ხელში ფორთოხლის ყვავილების თაიგული ეჭირა — ისეთი ტანადი და თვითდაჯერებული გახლდათ, დედოფალივით გამოიყურებოდა. მე ბადახოსში ნაყიდი წითელზოლიანი ცისფერი ლამაზი კოსტიუმი მეცვა, სწორედ იმ დღისთვის შავი ატლასის საჩიხიანი ქუდიც გავაახლე და დავიხურე, ყელზე აბრეშუმის ყელსახვევი შემოვიხვიე და მუცელზე ძეწკვი ჩამოვიკიდე. ლამაზი ნეფე-დედოფალი ვიყავით, გარწმუნებთ, — მართლა ლამაზი და კარგი ჩაცმული! ეჰ! რა შორს დარჩა ის დრო, როცა ხანდახან მეჩვენებოდა, თურმე ბედნიერება არსებობს-მეთქი.

ხელისმომკიდებლად გვყავდნენ აფთაქარ დონ რაიმუნდოს ვაჟიშვილი სებასტიანი და მღვდლის და სენიორა აურორა. დონ მანუელმა გვაკურთხა და იმსიგრძე ქადაგება წამოიწყო, ჯვრისწერაზე სამჯერ მეტი დრო რომ დასჭირდა. იცის ღმერთმა, ისეთი მოწყენილობა დამეუფლა, მხოლოდ მოვალეობის გამო გავუძელი ამ ქადაგებას. ისე ეტყობოდა, კეთილსინდისიერად მოუმზადებია სიტყვა!

როცა ჯვრისწერა დასრულდა, რისი იმედიც უკვე გადაწურული მქონდა, ყველანი ჩემს სახლში წავიდით, იქ დიდად მოსახერხებლად არა, მაგრამ მთელის გულით უხვად იყო გამოტანილი საჭმელ-სასმელი, რათა ყველას, ვინც გვეწვია, ბლომად ეჭამა და ესვა. ის კი არა, ორჯერ მეტი ხალხის სამყოფელიც კი იყო. ქალებისთვის გვქონდა ბურბუშელიანი შოკოლადი, ნუშის ტორტი, თაფლის ნამცხვარი, მამაკაცებისთვის — მანსანილია, შებოლილი სოსისი, სისხლიანი ძეხვი, ზეთისხილი, სარდინი. ვიცი, სოფელში ზოგიერთებმა გამგორეს, სადღილი არ გააკეთაო — ერთი ისინიც! გარწმუნებთ, იმათაც მოგვიჩაგვდი — უფრო ძვირი არ დამიჯდებოდა, მაგრამ თავის არიდება ვამჯობინე და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი



სული მქონდა ცოლთან ერთად გავცლოდი აქაურობას. ჩემი სინდისი სუფთაა — დაწესებული მოვალეობა სხვებზე ნაკლებად არ აღმისრულებია. ესეც საკმარისია ჩემი მხრივ, ხოლო რაც შეეხება ნიოტქმა-მოთქმას, არ ღირს კაცი აპყვეს მას.

სტუარტებს ვუმასპინძლე თუ არა, როგორც კი დრო ვიხელთე, ცოლი გამოვიყვანე და ფაშატზე შემოვიხვი. ცხენი საგანგებოდ ამ დღისთვის სენიორ ვისენტისაგან ნათხოვარი ლამაზი აღკაზმულობით მოვრთე. მეშინოდა, ცოლი არ გადმომივარდეს-მეთქი და ცხენი ნაბიჯით გამოვიყვანე, შარაგზაზე გავედით და მერიდისკენ ავიღეთ გეზი. იქ სამი დღე დავყავით — ჩემს ცხოვრებაში სამი ყველაზე ბედნიერი დღე. გზაზე ერთი ექვსჯერ კი შევჩერდი სულის ამოსათქმელად. ახლა მიკვირს და საკუთარი თავისაც არ ჩვერა იმის გახსენებისას, რა სიამოვნებით ვკრეფდით გვირილებს და ერთმანეთს თმაში ვუბნევდით. ეტყობა, ახლად დაქორწინებულები თავისდაუნებურად ბავშვებივით გულუბრყვილონი ხდებიან.

ცხენი თანაბარი, ზომიერი ჩორთით მიგვყავდა. ქალაქის შესასვლელთან რომის ხიდზე გავლისას კარგი საქმე ვერ დაგვემართა — მდინარემ დააფრთხო თუ ვინ იცის რა იყო, ცხენმა ისეთი წიხლი ჰკრა გამვლელ დედაბერს, რომ საცოდავი გადაყირავდა და კინალამ გუაღიანში არ მოადინა ტყაპანი! სასწრაფოდ ჩამოვხტი ცხენიდან: კეთილშობილ ადამიანს არ შეენის გაჭირვების უამს მიატოვოს დაშავებული, თუმცა დედაბერს, როგორც შევატყვე, არაფერი სტკენია, გულდაწყვეტილიც კი ჩანდა. რომ არ ეჩივლა, ერთი რეალი მივეცი, ზურგზე ხელი მოვუთათუნე, და ისევ ლოლასთან დავბრუნდი. ლოლა იცინოდა. მერწმუნეთ, მისმა სიცილმა ძალიან შემაწუხა. თითქოს წინასწარ ვიგრძენი თუ გულმა მიკარნახა ის ავი რამ, რაც მას მოგვიანებით შეემთხვა. არ შეშვენის ადამიანს მოყვასის უბედურებაზე იცინოს — ამას გეუბნებათ კაცი, ვინც მთელი სიცოცხლე ძალიან უბედური იყო. ღმერთი ისე გცემს, ჯოხი და ქვა არ სჭირდება და, ცნობილია, ვინც მახვილს იშიშვლებს... მეორე მხრივ კი კაცთმოყვარეობა არასოდეს არ არის ზედმეტი.

მირლოს ღამისსათვე სახლში დავბინავდით, შესასვლელთან მარჯვნივ, დიდ ოთახში. პირველი ორი დღე სულ ერთმანეთის ალერსში ვიყავით და გარეთ ცხვირი არ გავვიყვია. ოთახი კარგი იყო, მაღალი ჭერი წაბლის მტკიცე კოჭებს ემყარებოდა, იატაკზე ფილები მოეგოთ, ავეჯიც მოსახერხებელი და სასიამოვნო იდგა. მთელი სიცოცხლე ერთგული მეგობარივით გამყვა ამ საძინებელ ოთახზე მოგონება. ასეთი დიდებული საწოლიც ხომ არასოდეს მინახავს! კაკლის ხისა იყო, მოჩუქურთმებული სასთუმალი ჰქონდა და ზედ ოთხი მატყლის ლეიბი იდო, სუფთა და გაწკრივებული. რა ტკბილად გვეძინა ამ საწოლზე! პირდაპირ ხელმწიფის საკადრისი გახლდათ! მაღალსა და გაბერილ კამოდს მოოქროვილსახელურიანი ოთხი დიდი უჯრა ჰქონდა. კარადა ჭერამდე უწევდა და ძვირფას, ფართო სარკეს კაკლის ხისვე ორი ლამაზი შანდალი ორივე მხრიდან ჰქონდა დამაგრებული. ხელსაბანიც კი — ჩვეულები-სამებრ არსად რომ არ შეეხედება — ამ ოთახში ჭებტა იდგა: მსუბუქი, მორკალული ბამბუკის ფეხები და ჩიტებით მოხატული ქაშანურის თეთრი ტაშტი ძალიან ალამაზებდა. კედელზე, საწოლს ზემოთ დაკიდულ დიდსა და ოთხფრად შეფერადებულ ლითოგრაფიაზე ქრისტეს ვნება იყო გამოსახული. იქვე ეკიდა წითელ და ყვითელ ბაბთიანი, ფოჩებიანი დაირა, ზედ ჭრელი სევილიური სამრეკლო ეხატა და ორივე მხარეს ორი წყვილი კასტანეტი დაეკიდათ. ლამაზი სურათი „რომაული ცირკიც“ მუდამ დიდი ღირებულების ნაწარმოებად მიმაჩნდა. კამოდზე საათი იდგა, რომლის პატარა ციფერბლატი, თითქოს დედამიწაო, შიშველ მამაკაცს ედგა მხრებზე. საათს ცისფრად მოხატული ორი ძველი, მაგრამ სასიამოვნო შესახედავი ვაზა უშიშვინებდა გვერდს. სულ ექვსი სკამი გვქონდა, ორი სახელურიანი იყო. მაღალი საზურგე ჰქონდა, უკაცრაული პასუხია და, დასაჯდომზე წითელი ხავერდი გადაეკრათ. ისეთი მოსახერხებელი სკამები იყო, რომ შინ დაბრუნებულს ბევრჯერ მომნატრებია, ხოლო ახლა, აქ მყოფი როგორ ვნატრობ, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! დღემდე ვიხსენებ მათ, თუმცა ამდენი წელი გავიდა!

მე და ჩემი ცოლი დიდხანს ვტკბებოდით აქაური მყუდროებით და, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, თითქმის არ გავდიოდით ქუჩაში. აბა, რა გვესაქმებოდა ქუჩასთან, თუ აქ გვქონდა ყველაფერი, რასაც სხვაგან ვერ მოგვეცემდნენ?

იჰ, დამიჯერეთ, ცუდია, ბედი რომ არ გწყალობს კაცს: ეს ორი დღე ისე იყო სავსე ყველა სიკეთით, რომ კიდევ მიკვირდა, ღმერთმა როგორ გაიმეტა ჩემთვის.

მესამე დღეს, შაბათს პოლიცია დაგვესხა თავს: თურმე დედაბერი ნათესავებს შეუგულაინებიათ. გაიგეს თუ არა, პოლიციელი მოვიდაო, ბავშვები კარებს ჯგროდ მოაწყდნენ და ისე აჩხაღდნენ, მთელი თვე ყურებში ეს ხმა გვედგა. პატიმრის დანახვაზე ბავშვებში

ბოროტი სიმკაცრე იღვიძებს. ისე უყურებენ, როგორც იშვიათ ცხოველს, თვალები აენთებათ და ტუჩებზე უზნეო ღიმილი დასთამაშებთ ხოლმე, ასე უყურებენ ცხვარს, რომელსაც სასაკლავოზე კლავენ — მის ცხელ-ცხელ სისხლში ალპარგატს ასველებენ, ან ურმით გასრესილ ძაღლს — ჯობითაც რომ უჩიჩინებენ კიდევ ცოცხალია თუ არაო, — ან კიდევ ახალშობილ კნუტებს, ჭაში რომ იხრჩობიან და თან ქვებსაც ესვრიან, ან არადა, ისე შეუბრალებენი არიან, ამოათრევენ წყლიდან სათამაშოდ, რათა სიცოცხლე გაუგრძელონ და ამით მათი წამებაც გაახანგრძლივონ. პოლიციის მოსვლამ გუნება გამიფუჭა და, თუმცა კი ძალიან ვცდილობდი მშვიდი ვჩვენებოდი, მგონია, მღელვარებისაგან ვერ მოვახერხე.

პოლიციელთან ერთად ოცდახუთიოდე წლის ბიჭი გამოგვეცხადა, მოხუცის შვილიშვილი, მაღალ-მაღალი და პატივმოყვარე, რაც ამ ასაკს ახასიათებს ხოლმე და ამან მიხსნა სწორედ. როგორც მოგეხსენებათ, ადამიანებზე ყველაზე უკეთ მოქმედებს ქათინაური და დატენილი ქისა. ჰოდა, როგორც კი ვუთხარი, ყოჩაღი ხარ-მეთქი, ხოლო ხელში ექვსი პესეტი მივაჩიჩე, ტყვიასავით გავარდა ოთახიდან. ფეხქვეშ მიწას არ გრძნობდა სიხარული-საგან და, დარწმუნებული ვარ, ღმერთს შესთხოვა, ბებიაჩემი ცხენის ფლოქვებქვეშ ხშირად შეაგდეთ. პოლიციელმა უღვაშზე ხელი ჩამოიხვია, ჩაახველა, დამტუქსა ცხენის თავაწყვეტილი ტარებისათვის და, რაც მთავარია, — ალბათ იმიტომ, რომ დაზარალებული მხარე ასე სწრაფად მოეგო გონს, — ისე წავიდა, არავითარი უსიამოვნება არ მოუყენებია.

ლოლა სტუმრების დანახვაზე შიშისაგან გახევდა, მაგრამ რაკი მხდალი დიაცი არ გახლდათ, პირველი შეკრთომისაგან მალე გამოერკვა, ლოყებზე ისევ დაუბრუნდა ფერი, თვალები აუკიაფდა, ტუჩებზე ღიმილი მოეფინა და მყისვე დაუბრუნდა სილამაზე და საკუთარი თავის რწმენა. კარგად მახსოვს, სწორედ მაშინ შევნიშნე პირველად მუცელი ლოლას. ამის შემხედვარეს გული სიბრალულით შემეკუმშა, სწორედ ამ სინანულმა დაამშვიდა ჩემი სინდისი, ისე რომ მაწუხებდა — აქამდე სულ პატარა, ერთი ბეწო თრთოლვაც არ გიგრაქვნიან პირველი ვაჟის გამო. მუცელი ლოლას ჯერ კიდევ ოდნავ ეტყობოდა და რომ არაფერი მცოდნოდა, იქნებ ყურადღებაც არ მიმექცია.

მერიდაში რაღაც საოჯახო წვრილმანები შევიძინეთ, მაგრამ ვინაიდან სახლიდან ცოტა ფული გვქონდა წამოღებული, თანაც ექვსი პესეტი მოხუცის შვილიშვილს მივეცი, გადავწყვიტე სოფელში დავბრუნებულიყავი. წინდახედულ კაცს არ შეშვენიის უკანასკნელ კაპიკამდე დახარჯოს ფული. ისევ დავადგი ფაშატს უნაგირი და სენიორ ვინსენტეს მოცემული სადღესასწაულო აღკაზმულობა, ჩულო დასაჯდომ ტახტზე დავახვიე და ისევ ისე უნაგირზე შემოსმული ცოლით დავბრუნდით ტორემეხიოში. როგორც იცით, ჩემი სახლი აღმენდრალეხოს გზაზე იდგა, ჩვენ კი მერიდიდან ვბრუნდებოდით და სახლამდე რომ მიგვეღწია, ჩამწკრივებული სახლების წინ უნდა ჩაგვევლო. სადამოვდებოდა, თანასოფლელებმა ჩვენდამი სიყვარული — რაც იმ დროისათვის კიდევ არ აღმოფხვრილიყო — იმით გამოხატეს, რომ მე და ლოლას გულთბილად შეგვხვდნენ. ჩემი მარტოხელობისდროინდელი მეგობრების თხოვნას დავყევი და ფრთხილად, ისე, რომ ლოლასთვის ფეხი არ წამომეკრა, ცხენს თავზე გადავახტი. მათ თითქმის ხელში აყვანილი წამიყვანეს მამლაყინწა მარტინეტის ღუქანში. სიმღერით შევცვივდით ღუქანში, ღვინის სუნად ამყრალეზულმა მეღუქნემ ღიბზე მიმიკრა და ისე ღონივრად მომიჭირა მკლავები, კინალამ სული ამომხადა. ლოლას ლოყაზე ვაკოცე და შინ გავუშვი, მეგობრები მოინახულე და დამელოდე-მეთქი. მეფის ასულივით იჯდა ცხენზე, ტანადი და ამაყი, აბა, რას წარმოიდგენდა, რომ სწორედ ეს ცხენი შეგვამთხვევდა პირველ უსიამოვნებას.

ღუქანში კარგად ვიქეიფეთ — გიტარაც გვქონდა და იმდენი ღვინოც, თუ გინდა, გეზანავა. განწყობილებაც შესაფერისი სუფევდა და ქვეყანაზე საკუთარი თავის მეტი აღარაფერი გვახსოვდა, სმასა და სიმღერაში ვართულებს აღარ გვესმოდა, როგორ გადიოდა დრო. საკარბასი, სენიორ ხულიანის ვაჟი, სეგიდილიებს ისე სასიამოვნოდ მღეროდა, თითქოს ჩიტბატონა გალობსო! თუ მშვიდ სიმღერას მღეროდა, მოჯადოებულებით სმენად ვიყავით გადაქცეული, ხოლო თუ ბახუსისაგან თავს ააწყვეტდა, ჩვენც ავყვებოდით. თუმცა დიდად შეწყობილი ხმები არა გვქონდა, მაგრამ სამაგიეროდ სასაცილო სიტყვებს ვმღეროდით.

აფსუსს, რომ ადამიანებმა არ იციან, სადამდე მიიყვანს ხოლმე მათ წრეგადასული მხიარულება! აბა, წინასწარ რომ ვიცოდეთ, იმას მაინც შევძლებდით. ზოგიერთი უსიამოვნება აგვეშორებინა თავიდან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მამლაყინწასთან მოქეიფებს ყველას კისერი მოტყდა, რადგან ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ შეძლო დროზე თავის მოთოკვა.

ამბობენ, თევზს თავისი ხახა ღუპავსო, იმასაც ამბობენ, ჩემი ენა ჩემი მტერიაო და რაც



მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. იცოდეს ღმერთმა, ჩემი აზრით ამაში ჭეშმარიტების მარცვალი არის, რადგან, საკარასი თავის ქერქში რომ ჩატეულიყო, როგორც ამას უფალი გვიბრძანებს და სხვის საქმეში ცხვირი არ ჩაეყო, პატარა უსიამოვნებასაც აცილებდა თავიდან. ღვინო ცუდი მრჩეველია.

საკარასმა სიმთვრალეში სიცილ-სიცილით გვიამბო — არ ვიცი, ნამდვილი იყო თუ მონაგონი,—ერთი მტრედის ამბავი, თავის ბუდეში სხვის დედალ მტრედებს რომ იტყუებდა. იმ წუთში დავიფიცებდი (ახლაც შემიძლია დავიფიცო), რომ მე მგულისხმობდა. არასოდეს წვრილმანებზე გაბრაზება არ მჩვეოდა, მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე, აშკარად გესხმიან თავს — ყოველ შემთხვევაში, შენ გგონია ასე — მაშინ არ არსებობს არავითარი საშუალება თავი ისე დაიჭირო, ვითომ ეს ამბავი შენ არ გეხება, წაიყრუო და არ აფეთქდე.

მე ვუთხარი:

— მართალი გითხრა, ვერ გამიგია, რა არის აქ სასაცილო.

— ყველამ გაიგო, პასკუალ.

— ეგრე იყოს, არ უარყოფ, მაგრამ უნდა გითხრა, კარგ საზოგადოებაში, მე მგონია, ისე უნდა იხუმრო, ყველამ იცინოს უკლებლივ.

— ნუ გამწარდები, პასკუალ, ხომ იცი, ვინც ცხარობს...

— მე კი მგონია, ვაუკაცს არ შეშვენის ხუმრობიდან შეურაცხყოფაზე გადავიდეს.

— მაგას ჩემზე ამბობ?

— არა, გუბერნატორზე.

— მე კიდევ მგონია, ლაპარაკში უფრო დიდი გული გაქვს, ვიდრე საქმეში.

— ჩემი სიტყვა და საქმე ერთია. — წამოვდექი.

— გინდა, ქუჩაში გავიდეთ?

— არ არის აუცილებელი!

— დიდ გულზე კი ხარ!

მეგობრები განზე გადგნენ — ვაუკაცები არ ერევიან ორთა ბრძოლაში.

აუჩქარებლად გავხსენი დანა: ასეთ დროს ყოველგვარი აჩქარება, ყოველგვარი შეცდომა შეიძლება ჩვენთვის საბედისწერო აღმოჩნდეს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

ვეცი საკარასს და ხელის განძრევაც ვერ მოასწრო, დანა სამჯერ დავარტყი, საკარასი ერთიანად აცახცახდა. დონ რაიმუნდოს აფთიაქში რომ მიჰყავდათ, სისხლი შადრევანივით გადმოსჩქეფდა ჭრილობებიდან.

მომხდარი ამბით შეფიქრიანებული შინ სამი-ოთხი უახლოესი მეგობრის თანხლებით მივედი.

— ისევ არ გამიმართლა... ქორწილის მესამე დღეს!

ჩუმად, თავდახრილი მივდიოდით, თითქოს მიცვალებულს მივყვებოდით.

— ჩემი ბრალი არ არის, თვითონ მაიძულა. აბა, რას ყბედობდა!

— კარგი, გეყოფა, პასკუალ. თავს ნუ იკლავ მაგაზე ფიქრით.

— როგორ თუ მეყოფა, ვნანობ, გესმის? თუმცა უკვე გვიანაა...

თენდებოდა და მამლებმა ყივილით შესძრეს ჰაერი. ველს ურცის სურნელი ასდიოდა. არასოდეს სახლისკენ მიმავალი გზა ასე შორი არ მჩვენებია.

— აცივდა...

— არ ვიცი, ვერ ვგრძნობ.

— იქნებ მე მაკანკალებს!

— შეიძლება...

სასაფლაოს ჩავუარეთ.

— ძნელია, ალბათ, მიწაში წოლა!

— ყმაწვილო, რაეზს ამბობ, რა საოცარი აზრები მოგდის თავში?

— ჰო, მართალია...


ნაღალი და წვრილი კიპარისი აჩრდილივით, გუშაგივით დადგომოდა თავს საფლავებს.

— უშნო კიპარისია...

— უშნოა.

კიბარისზე თითქოს იღუმლად ხშიანობდა ჭოტი, ავბედითი ფრინველი.
— სადაგელი ფრინველია.
თითქოს ვიღაცის იღუმალი ხელი ჩემს სახლს უფრო შორს და შორს სწევდა.
— აგერ ის არის, ხომ?
— ის არის.
— რატომ არ გვითხარი?
— რა უნდა მეთქვა? არ იცოდი?
გამიკვირდა, სახლიდან ბაიბური არ ისმოდა. ჩვეულებისამებრ ქალები ჯერ იდევ აქ
ბეგულებოდნენ.
— მგონი სძინავთ.
— შეუძლებელია! შუქი უნთიათ!
სახლს მივუახლოვდით: შუქი მართლაც ენთო.
ზღურბლზე, სენიორა ენგრასია იჯდა. ისიც კიბარისზე შემომჯდარი ჭოტივით მოთქვამდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სახითაც ჭოტს ჰგავდა.
— აქ რას აკეთებთ?
— შენ გელოდი, შვილო.
სენიორა ენგრასიას იღუმალებით აღსავსე სიტყვები არ მომეწონა.
— აბა, შემეშვიო!
— არ შეხვიდე!
— ეს ჩემი სახლია!
— ვიცი, შვილო! დიდი ხანია, შენი სახლია... მაგრამ ახლა არ უნდა შეხვიდე.
— რატომ არ უნდა შევიდე?
— იმიტომ რომ, არ შეიძლება, შვილო. შენი ცოლი ცუდად არის.
— ცუდად არის? რა დაემართა?
— მუცელი მოსწყდა. ცხენმა გადმოაგდო.
გაშმაგებისგან თვალთ დამიბნელდა, აღარც ის მესმოდა, რას მელაპარაკებოდნენ.
— სად არის ცხენი?
— თავლაშია.
თავლის კარი ბაკში გადიოდა და ძალიან დაბალი იყო. შესვლისას წელში მოვიხარე.
არაფერი ჩანდა.
— ოჰ, ცხენო, ცხენო!
ფაშატი კედელს აეკრა. ფრთხილად გავხსენი დანა. ასეთ დროს ერთმა არასწორმა ნაბიჯმა შეიძლება დაგდუპოს კიდევც.
— ოჰ, ცხენო!
ფაშატი კუთხისკენ იხევდა: ისე მივუახლოვდი, შემეძლო გავაზე ხელი მომეთათუნებინა. პირუტყვი დაიძაბა, ათრთოლდა.
— ოჰ, ცხენო!
ერთ წუთში მოხდა ყველაფერი. ვეცი და ერთი ორჯერ მაინც ჩავურტვე დანა...
სქელი კანი ჰქონდა, საკარისის კანზე ბევრად სქელი...
თავლიდან გამოსულს ხელი მტკიოდა, ნიდაყვამდე სისხლში მქონდა მოსვრილი. პირუტყვს ხმა არ გაუდია, მხოლოდ უფრო ღრმად და სწრაფად სუნთქავდა, ვიდრე მაშინ, ულას რომ მიუშვებდნენ ხოლმე.

მართალს გეუბნებით, თუმცა, მოგვიანებით, გულმა რომ გადამიარა, სხვანაირად ვფიქრობდი, მაგრამ იმ წუთას მხოლოდ ერთი აზრი მიხვრეტდა ტვინს — ხომ შეიძლებოდა ლოლას მუცელი მანამ მოსწყვეტოდა, ვიდრე დაჯორწინდებოდი! რამდენ სიმწარეს, რამდენ იმედისგაცრუებას გადაურჩებოდი მაშინ!
ამ უბედურმა შემთხვევამ გამტეხა და საშინელ შავ ფიქრებში ჩამძირა. სოფელში ისე უბრაოდ დავეხეტებოდი, თითქოს პირი წყლით მქონდა სავსე. სანამ გონს მოვეგებოდი, თორმეტი დაუსრულებელი თვე გავიდა. ერთი წელი იყო თუ ცოტა ნაკლები გასული, რაც ის უბედურება დაგვატყდა თავს, რომ ლოლა ისევ ფეხმძიმედ შეიქნა. ვამეხარდა, ისეთივე სულწასულობა და მოუსვენრობა დამეუფლა, როგორც პირველი შვილის მოლოდინის დროს.



დრო კი არ მიტრინავდა, როგორც მე მსურდა, არამედ მიიზღაზნებოდა და სადაც არ უნდა წავსულიყავი, ჩვეული გააფთრება აჩრდილივით მსდევდა თან.

გულჩათხრობილი და ტყიური, პირქუში და ეჭვიანი ვაგხდი. რაკი არც ცოლსა და არც დედაჩემს ადამიანთა ხასიათებისა არაფერი გაეგებოდათ, ყველანი დაყურსული ვიყავით და ყოველ წუთს ჩხუბს მოველოდით. დაძაბულობა არაქათს გვაცლიდა, მაგრამ თითქოს ჩვენვე საგანგებოდ ვიწვევდით მას. მუდამ გადაკრული სიტყვა გველანდებოდა, ყველაფერში ხრიკებსა და ოინებს ვხედავდით. ვერც კი წარმოიდგენთ, რა მძიმე თვეები გადავიტანეთ.

ჭკუიდან მშლიდა იმის გაფიქრება, რომ ცოლს შეიძლება კიდევ მოწყვეტოდა მუცელი. მეგობრები ხედავდნენ ჭკუაზე რომ არ ვიყავი, ხოლო სწრაფია — მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო — ნაკლებად მეფერებოდა.

ჩვეულებისამებრ ვესაუბრებოდი ძალს:

— რა იყო, რა მოგივიდა, ჰა?

ვედრებით შემომყურებდა, კუდს ხშირ-ხშირად აქიცინებდა და წკმუტუნებდა. მისი ნაღვლიანი თვალები გულს ჩამწყვეტდა ხოლმე. მასაც საშოშივე დაეხოცა ლეკვები. რა იცოდა იმ ბრყვმა, როგორ ვიდარდე მისი უბედურება. სამი ლეკვი იყო, მკვდრები დაიბადნენ, — სამივე ერთნაირი, წებოვანი, ნაცრისფერი და თავგებივით გაქუცული. ბუჩქებთან ორმო ვავთხარე და სამივე დავმარხე. კურდღლებზე სანადიროდ გასულები სულის მოსათქმელად რომ შევჩერდებოდით ფერდობზე, ძალი უშვილო მდედრის სიმწარითა და გამშაგებით მიირბენდა საფლავთან და ყნოსავდა.

მერვე თვეზე, როდესაც ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, როცა ჩემი ცოლის ფეხმძიმობა სენიორა ენგრასიას რჩევა-დარიგების წყალობით სამაგალითოდ უნდა დასრულებულიყო, როცა ისე დიდი ხანი გავიდა და ისე ცოტა ხანი რჩებოდა მშობიარობამდე, თითქოს საშიშროებაზე აღარ უნდა მეფიქრა, მაგრამ ჩემი შიში და მოუთმენლობა ისე გაძლიერდა, რომ ამ დავიდარაბის გადამკიდე რაკი არ გავგიჟდი, დავრწმუნდი, ცხოვრებაში ჭკუიდან აღარაფერი შემშლის-მეთქი.

ზუსტად სენიორა ენგრასიას დათქმულ დროს — ისე უბრალოდ, რომ მაშინვე გამოკვირდა, — მოველინა ქვეყნიერებას ჩემი მეორე, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, ჩემი პირველი ვაჟიშვილი. სანათლავ ემბაზთან შას პასკუალი დავარქვით — მამამისის, თქვენი მონა-მორჩილის, სახელი. მე მინდოდა ედუარდო დამერქმია, რადგან წმინდანის სახელობის დღეს დაიბადა და ჩვენს მხარეში ასეთი წესია, მაგრამ ცოლმა, რომელიც იმხანად ძალიან მეფერებოდა, დაიყინა, შენი სახელი დავარქვათო. თვალებზე ლიბრი მქონდა გადაკრული და იმასაც დიდხანს არ დასჭირვებია ჩემი დაყოლიება. ახლა თვითონაც არ მჯერა, მაგრამ თავს დავდებ, რომ ასე იყო — ცოლის სიყვარულის მოზღვავებამ შემაცდინა, როგორც უწვერული ყრმა და გეფიცებით, მაშინ გულწრფელად მადლიერი ვიყავი ლოლასი.

ბუნებით ჯანსაღი და ძლიერი ლოლა ორ-სამ დღეში ისე მომჯობინდა, თითქოს არც კი ემშობიაროს. ჩემს სიცოცხლეში ისე არაფერს უმოქმედია ჩემზე, როგორც ამ სურათმა მოქმედდა: თმაგამილი ლოლა ჩვილს ძუძუს აწოვებს. მარტო ეს გადაწონიდა ასობით ჯანცდილ უსიამოვნებას.

საათობით ვიჯექი იატაკზე საწოლთან. ლოლა ჩუმად, თითქოს რცხვენიაო, მელაპარაკებოდა.

- ერთი უკვე გაგიჩინე.
- ჰო, გამიჩინე.
- ლამაზი...
- მადლობა უფალს.
- ახლა უნდა გავუფრთხილდეთ.
- ახლა ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ და გავუფრთხილდეთ.
- ღორებისაგან დავიცვათ...

მოსვენებას მიკარგავდა საცოდავი მარიოს გახსენება. ასეთი უბედურება რომ მოსვლოდა, ჩემს შვილს საკუთარი ხელებით დავახრჩობდი, რათა ტანჯვისგან მეხსნა.

- ჰო, ღორებისგან...
- კიდევ ციებ-ცხელებისგან.
- ჰო.
- მზის დაკვრისგანაც...

იმის გაფიქრებაზე, რომ ამ ნაზ ხორცის ნაჭერს — ჩემს ვაჟიშვილს — შეიძლებოდა ასეთი



ხიფათი შემთხვეოდა, ტანში დამბურძგლავდა ხოლმე.

- ყვავილზე ავუცრით.
- ცოტა რომ წამოიზრდება.
- და ყოველთვის ჩავაცმევთ ფეხსაცმელს, ფეხი რომ არ გაიჭრას.
- შვიდი წლისა სკოლაში მივიყვანოთ...
- მე კიდევ ნადირობას ვასწავლი...

ლოლა იცინოდა, ბედნიერი იყო! რაღა დაგიმალოთ, შევყურებდი მას — უბადლო სილამაზის პატრონს, ღვთისმშობელივით რომ აეყვანა ხელში ბიჭუნა და მეც ბედნიერად ვგრძნობდი თავს.

— საზოგადოებაშიც გამოვიყვანო!

აბა, საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ უფალი ღმერთი, რომელიც ყველაფერს თავის სურვილზე ატრიალებს, წაგვართმევდა ჩვენს ოცნებას, ჩვენს ერთადერთ განძს, ჩვენს სიმდიდრეს. აბა, რა ვიცოდით, რომ ჩვენს ბიჭუნას უფრო ადრე დავკარგავდით, ვიდრე ცხოვრების გზაზე გამოვიყვანდით! რაღა მაშინ გვტოვებს სიყვარული, როცა ის ყველაზე უფრო გვჭირდება?

ვერ ამეხსნა რატომ, მაგრამ ჩვენს პირმშოს რომ მეტისმეტად შევხაროდით, ეს ამბავი ძალიან მაფიქრებდა. მთელი ცხოვრება უბედურებას მიგრძნობდა გული. არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, წინასწარ რომ ვგრძნობ განსაცდელს. მოგვიანებით, რამდენიმე თვის შემდეგ, თითქოს ჩემს ავბედითობას ძალა რომ არ გამოცლოდა და თავი შეეხსენებინა, ეს ჩემი წინათგრძნობაც ამიხდა.

პაწიაზე მუდმივი და გაუთავებელი ლაპარაკის გამო ნელ-ნელა შემძულდა ცოლი. ვიცოდი, ადრე თუ გვიან ჩვენი ბიჭი დაგვტოვებდა, დაგვამწუხრებდა, ჩვენი კარ-მიდამო ნასახლარად გადაიქცეოდა, მაყვალი და ჭინჭარი შეედებოდა, ბაყაყები და ხვლიკები დაიდებდნენ ბინას. დარწმუნებული ვიყავი, ეს საშინელება არ აგვცდებოდა და მტანჯავდა იმის შეგნება, რომ ვერაფერს ვიღონებდი მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

ხანდახან, როცა პაწიას შევყურებდი, უნებურად ცრემლით ამევსებოდა თვალები, ვეალერსებოდი:

- პასკუალ, ჩემო ბიჭუნავ...
- იგი მრგვალ თვალებს შემომამჩყეტდა და გაიღიმებდა.
- ცოლი ჩავვერეოდა ხოლმე:
- პასკუალ, ხომ კარგი ბუთხუზა ბიჭი გვყავს, ჰა?
- ჰო, ლოლა, ღმერთმა ქნას, მომავალშიც ასეთი იყოს!
- ამას რატომ ამბობ?
- შენც ხომ იცი, პაწიები ძალიან ნაზები არიან.
- რას ამბობ, ცუდი არაფერი გაივლო გულში!
- არც ვფიქრობ, ოღონდ ძალიან უნდა გავუფრთხილდე ბავშვს.
- ჰო, ძალიან...
- პაწიები გაციებისაგან იხოცებიან...
- ერთი პირქარი და...

ჩვენი საუბარი ისე ნელ-ნელა ჩაკვდებოდა ხოლმე, როგორც ფრინველები და ყვავილები კვდებიან ჩუმი მორჩილებით, როგორც ბოროტი პირქარით გაციებული პატარა ბავშვები კვდებიან ხელად.

- მეშინია, პასკუალ.
- რისი?
- ბიჭი რომ მოგვიკვდეს.
- ეგ როგორ იფიქრე?
- ამ ასაკში ჩვილები ისეთი სუსტები არიან!
- ჩვენი ბიჭუნა მაგარია, ვარდისფერი ხორცი აქვს, მუდამ იცინის.
- მართალს ამბობ, პასკუალ. მე სულელი ვარ!
- ნერვიულად იცინოდა, თან ბიჭუნას გულში იკრავდა.
- კარმენს რითი მოუკვდა შვილი?
- ამბობენ, გაცივდაო.
- პირქარისგან დაემართა?
- მგონი.



- საცოდავი კარმენი, როგორ შეჭხაროდა თავის ბიჭუნას! სახით პირწავეარდნილი მამაო, ამბობდა, გახსოვს?
- მახსოვს.
- რაც უფრო ტკბილია იმედი, მით უფრო მწარეა მისი დაკარგვა...
- ჰო, რა თქმა უნდა.
- აი, წინასწარ რომ იცოდე, რამდენს იცოცხლებს თითოეული ბავშვი, შუბლზე რომ ვწეროს...
- გაჩუმდი!
- რად გავჩუმდე?
- არ შემიძლია შენი მოსმენა!
- თავში ბარი რომ ჩაერთყათ, ისე არ გამათგნებდა, როგორც ლოლას სიტყვებმა გამოაგნა.
- გესმის, ფანჯარა...
- რა ფანჯარა?
- ჭრიალებს, თითქოს პირქარია...
- ფანჯრის ჭრიალს წყნარი კვნესა დაერთო.
- ბავშვს სძინავს?
- სძინავს.
- მგონი სიზმარშია. კვნესის, თითქოს რაღაც სტკივა...
- გეჩვენება.
- ღმერთმა ქნას, სიცოცხლეს არ დავინანებდი...
- ბავშვის კვნესა ახალნაყარი მუხნარის ტირილს ჰგავდა ქარში.
- კვნესის!

ლოლა გავიდა ბავშვის დასახედად. მე სამზარეულოში დავრჩი, თუთუნს ვწევდი — უბედურება მუდამ თუთუნის წვევის დროს დამატყდება ხოლმე თავს.

კიდევ რამდენიმე დღე იცოცხლა. მიწას რომ დავუბრუნეთ, თერთმეტი თვისა იყო — თერთმეტი თვის სიცოცხლე და ზრუნვა ჩაგვიყარა წყალში ერთმა ბოროტმა პირქარმა.

ნამდვილად ღმერთი მსჯიდა ჩადენილ და ჯერ ჩაუდენელ ცოდვათა გამო! ნამდვილად ღმერთის მეხსიერებაში მტკიცედ ჩაჭედდითიყო, რომ უბედურება ჩემი ერთადერთი ხვედრი იყო, ჩემი ნაღვლიანი სიცოცხლის ერთადერთი გზა!

დამიჯერეთ, შეიძლება უიღბლობას შეეჩვიოს კაცი: ყოველთვის თავს ვინუგეშებთ, მორჩა, მეტი უბედურება აღარ დაგვატყდება-თქო თავს, მაგრამ მერე ჩვენდა საუბედუროდ ვხვდებით, ჯერ სადა ხარ, უარესი თურმე წინ გველის...

ასეთი აზრები იმიტომ მომდის თავში, რომ როცა ლოლას მუცელი მოსწყდა და საკარიასს ვეჩხუბე, მართალი მოგახსენოთ, მხოლოდ იმიტომ ვდარდობდი, რომ ვერც კი წარმომედგინა, თუ უარესს მოვესწრებოდი.

როცა პაწია პასკუალმა მიგვატოვა, მე სამ ქალს შევრჩი ხელში. ასე იყო თუ ისე, ცხოვრებამ ამ ქალებთან მაინც დამაკავშირა, მაგრამ ისინი ისევე ახლობლები იყვნენ როგორც ქუჩაში შემხვედრი პირველი კაცი და ისეთივე დვიძლები, როგორც მთელი ქვეყანა. მერწმუნეთ, ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ალერსით თუ შესაფერისი მოპყრობით შემსუბუქებინა ჩემთვის დანაკარგის სიმძიმე. პირიქით, თითქოს პირი შეკრესო, სიცოცხლეს მიწამლავდნენ. ეს სამი ქალი გახლდათ ჩემი ცოლი, დედა და და.

- ვინ იფიქრებდა, მე კი ისეთი იმედი მქონდა მათი თანაგრძნობისა.
- ქალი კაჭკაჭივით არის — უმადური და ბოროტი.
- გაუთავებლად ერთი და იგივე ეკერათ პირზე:
- წყეულმა ქარმა მოგვტაცა ანგელოსი!
- ცაში წაიყვანა, ჩვენგან, ცოდვილთაგან შორს!
- მზესავით ბიჭი იყო!
- როგორ იტანჯებოდა.
- ჩემს ხელში ამოხდა სული!



ნამდვილი სამგლოვიარო მოთქმა იდგა ჩემს სახლში, ღამის ქეიფივით ნაღვლიანი და გულისგამაწვრილებელი, სახედრის ნაბიჯით აუჩქარებელი და მძიმე.

ასე გრძელდებოდა ყოველდღე, კვირიდან კვირამდე... ეს იყო საშინელება, ზეცის სასჯელი, ნამდვილი ღვთის წყევლა!

მაგრამ თავს ვიკავებდი. სიყვარულმა მათდაუნებურად გულქვა და სასტიკი გახადამეთქი, ვფიქრობდი. ვცდილობდი არ გამეგონა, ყურადღება არ მიმექცია მათთვის, თოჯინების თეატრის წარმოდგენასავით მეყურებინა მათი მოქმედებისათვის, მათი სიტყვები გულთან ახლო არ მიმეტანა... ვფიქრობდი, დრო გავა და მოწყვეტილი ვარდივით დაჭკნება მათი გლოვა-მეთქი. სიჩუმეს განძივით ვინახავდი. ფუჭო ოცნებებო, დღითი დღე რად მაშორებთ იმათ ბედნიერ ხვედრს, ვინც იოლ გზებზე სანავარდოდ დაიბადა, რად დაგროთოთ ნება უფალმა ჩემს წარმოსახვაში დაგედოთ ბინა!

მზის ჩასვლისა ისე მეშინოდა, როგორც ცეცხლისა და ცოფისა. საღამოს შვიდი საათისთვის სამზარეულოში ლამპა რომ უნდა ამენთო, ყველაზე მეტად ეს მტანჯავდა. ყველაფერი გარდაცვლილ შვილს მაგონებდა — ჩრდილები, ალის თამაში, ღამის ხმაურიც, ოღნავ რომ ისმის, მაგრამ ყურებში ისე გუგუნებს, თითქოს სამჭედლოში რკინას კვერავენო.

იქვე ყვავებივით ჩამომჭდარიყო სამი შაოსანი ქალი, მიცვალებულივით მღუმარენი, მესაზღვრეებივით პირქუშნი და დაღვრემილნი. ხანდახან გავესაუბრებოდი, ვცდილობდი ნავსი გამეტეხა.

- ცივა.
- ჰო...

ისევ ვჩუმდებოდით ყველანი. მე არ ვებუებოდი.

— სენიორ გრეგორიო მგონი ჯორს აღარ ყიდის... ეტყობა, რალაციისთვის სჭირდება.

- ჰო...
- მდინარეზე იყავით?
- არა...
- სასაფლაოზე?
- არც იქ...

არაფერს შეეძლო ამ მდგომარეობიდან გამოეყვანა ისინი. არც მანამ და არც შემდეგ იმდენი არავისთვის მომითმენია, რამდენიც მათ ვუთმინე. თავი ისე მეჭირა, ვითომ მათ უცნაურ ქცევას ვერ ვამჩნევდი, მინდოდა ჩხუბი თავიდან ამეცილებინა, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე. იგი ისევე გარდუვალი იყო, როგორც სენი და ხანძარი, მზის ამოსვლა და სიკვდილი — მოსახდენი უნდა მომხდარიყო.

ყველაზე საშინელი ტრაგედია აღამიანს შეუმჩნევლად, მგლური ნაბიჯით მიეპარება ხოლმე და მორიელივით უეცრად, მალულად დაგესლავს.

თითქოს კვლავ ჩემ წინ სხედანო, ისე ნათლად ვხედავ სამივე ქალს, რომ დახატვაც შემძლია — ტუჩებზე სიყვარულში ხელმოცარული ქალების გესლიანი ღიმილი დასთამაშებთ, თვლები კედელს მიღმა, შორეთისთვის მიუბყრიათ. შეუბრალებლად ნელა მიიზღაზნებოდა წუთები, სიტყვები თითქოს საიქიოდან ისმოდა.

- დაღამდა.
- ვხედავთ...
- ჭოტი, ალბათ, ისევ კიპარისზე იჯდა.
- მაშინაც ასეთი ღამე იყო...
- ჰო.
- ცოტა უფრო გვიანი იქნებოდა.
- ჰო.
- ბოროტი ქარი ჯერ კიდევ დაჰქროდა ველზე.
- ...
- დაეხეტებოდა ზეთისხილის ხეებში...
- ჰო.

მღუმარება ზარის გუგუნავით მოედო ოთახს.

— ნეტავ ახლა სად დაჰქრის ის ქარი?

- ...
- ის ბოროტი ქარი!



ლოლამ ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა:

— არ ვიცი.

— ალბათ ზღვისკენ გაფრინდა!

— თან ბავშვების სიცოცხლე გაიყოლა...

დაჭრილი ძუ ლომივით გაადრჭიალა კბილები ჩემმა ცოლმა.

— გააჩენ — ლამის გაიფხრიწო! მერედა, რისთვის? ქარმა რომ წაგართვას შობილი? არ შეგრჩება ეს ამბავი!

— ნეტავ ქარის დახრჩობა შეეძლოს მიწისქვეშა წყლებს!

— მოხარულს გიცნობ!

— . . .

— შენს მცივანა სხეულს უამინდობის ეშინია!

— . . .

— ზაფხულის მზისაც ეშინია!

— . . .

— დეკემბრის ყინვისაც!

— . . .

— ამისთვის ვუვლიდი ჩემს ბაგეებს, ატმის კანივით ნაზ ბაგეებს!

— . . .

— ამისთვის ვუვლიდი ჩემს მკერდს, ჩემს მკვრივ მკერდს!

— . . .

— იმისთვის გაგიჩინე ორი შვილი, რომ ვერც ცხენის ჭენებისთვის გაეძლოთ და ვერც ლამის პირქარისათვის!

— . . .

ლოლა, თითქოს ეშმაკები შეუსხდნენო, გაშმაგებული ყვიროდა და ბრაზობდა გარეულ კატასავით... უხმოდ ვიტანდი სამართლიან საყვედურს.

— შენც შენი ძმისნაირი ხარ!

მუხანათურად და კმაყოფილებით ჩამცა ლახვარი ცოლმა...

ჭექა-ქუხილმა მინდორში თუ მოგვისწრო, რაღა აზრი აქვს გაქცევას — სულ ერთია, მაინც დავსველდებით და უფრო მეტადაც დავიღლებით. ელვა შეგვაშინებს, მეხის ხმა აგვაფორიაქებს, აღელვებული სისხლი საფეთქლებში და ყელში მოგვაწვება.

— ერთი მამაშენს, ესტებანს დაანახა, როგორ ამოიძუებ კუდს!

— . . .

— წყალ-წყალა სისხლი გაქვს, მიწაზე დაეცემა და მაშინვე შეიწოვს!

— . . .

— როგორ გიბედავს ცოლი ასე ლაპარაკს?

— . . .

ნეტა, როდის ჩაიგდებს ენას? მზე ყველასათვის ანათებს, მაგრამ ალბინოსს რომ აბრმავეებს, იმ სინათლეზე ზანგი თვალსაც არ დაახამხამებს.

— გეყოფა!

დედამ ვერ გაბედა წამოეძახა ჩემთვის ჩემი მწუხარება, მწუხარება, რაც გულში დამრჩა შვილის სიკვდილის შემდეგ, თერთმეტი თვის ვარსკვლავით ბიჭის სიკვდილის შემდეგ.

ძალიან გასაგებად, უკეთესად რომ არ შეიძლება, პირში მივახალე:

— ცეცხლი დავგზუგავს ორივეს, დედაჩემო.

— რომელი ცეცხლი?

— რომელსაც თქვენ ეთამაშებით.

სახეზე გაკვირვება გამოეხატა.

— მაგას რაზე ამბობ?

— იმაზე, რომ ჩვენ, მამაკაცებს, ულმობელი გული გვაქვს.

— რომელსაც არაფერი შეუძლია.

— რომელსაც ყველაფერი შეუძლია.



ჩემი ნათქვამისა არაფერი ესმოდა დედაჩემს, არ ესმოდა რას ვეუბნებოდი. მიყურებდა, მელაპარაკებოდა... ო, ნეტავ არ შემოეხედა!

— იცი, როგორ დაძრწიან მგლები ბარდებში, როგორ ავარდება ქორი ბარდებში, როგორ ჩასაფრდება გველი ლოდებში?

— . . .
— მამაკაცი უფრო სასტიკია, ვიდრე ყველა ეს ერთად აღებული.

— მერე მე რატომ შეუბნები ამას?

— ისე!

მინდოდა მეთქვა: „იმიტომ გეუბნები, რომ დაგნოცავთ ყველას!“

მაგრამ სიტყვები ვერ ამოვთქვი.

მხოლოდ ჩემი და შემომრჩა, ბედშავი და უნამუსო, წესიერ ქალებს მარტო მისი დანახვაც რომ შეუტაცხყოფდა.

— გაიგონე?

— გავიგონე.

— არაფრით არ დავიჯერებდი!

— არც მე დავიჯერებდი.

— არასდროს არ მიფიქრია, რომ ჩემი საქმე წასული იყო.

— არ არის შენი საქმე წასული.

ბუჩქნარში ქარმა გაიშრიალა. ეს ის ქარია, ზღვისკენ რომ გავარდება და ბავშვების სიცოცხლეს გაიყოლებს... საცოდავად ჭრიალებდნენ დარაბები.

როსარიომ წამოიტირა.

— რატომ ამბობ, ჩემი საქმე წასულიაო?

— მე არ ვამბობ.

— . . .

— ქალები ამბობენ.

ლამპის ალი თითქოს სუნთქავსო, ხან აბრიალდებოდა, ხანაც დაიწვედა. სამზარეულოში დატრიალებული აცეტონის მძაფრი, სასიამოვნო სუნი ნერვებს მიღიზიანებდა და სხეულს მიღელვებდა — საცოდავ, განადგურებულ სხეულს, იმხანად რომ ასე აკლდა მღელვარება.

ჩემი და ფერნაკლული იყო. ცხოვრებამ თვალბქვეშ თავისი სასტიკი ნიშანი ამოუღალა. მე იგი ძალიან მიყვარდა, ასევე ვუყვარდი მასაც.

— როსარიო, დაიკო...

— ბასკუალ...

— ცუდი დღე მოგველის ორთავეს.

— ყველაფერს მოევლება...

— ღმერთმა ქნას!

დედამ სიტყვა ჩაგვირთო:

— მაინც როგორ მოევლება?

გველავით ვერაგმა ჩემმა ცოლმა იქედნურად ჩაიქირქილა:

— უარესი რაღა იქნება, თუ მარტო ღვთის იმედითა ხართ!

ღმერთი მალლიდან დაგვყურებს, არწივის მზერა აქვს, იგი არც ერთ წვრილმანს არ ტოვებს უყურადღებოდ.

— რომ მოაგვაროს ღმერთმა, მაშინ?

— არა მგონია, ასე ძალიან ვუყვარდეთ ღმერთს...

როცა ადამიანს კლავ, იმ წუთში არაფერზე ფიქრობ, საკუთარი გამოცდილებით კარგად ვიცი, ხშირად არც გინდა მოკლა. უბრალოდ გძულს, გძულს მთელი სულით, უსაზღვროდ. გახსნი დანას და ფეხშველა მიდიხარ იმ საწოლთან, რაზეც შენი მტერი წევს. გარეთ ღამე ჩამოწოლილა, მაგრამ ფანჯარაში შემოჭრილ მთვარის შუქზე ყველაფერი კარგად ჩანს. საწოლზე მიცვალებული წევს, ის, ვინც საცაა მიცვალებული გახდება. უყურებ, გესმის მისი სუნთქვა. იგი არ იძვრის, მშვიდად წევს, თითქოს საფრთხე არც ემუქრებოდეს. საწოლი ძველია. ჭრიჭინით გაკრთობს, ვაითუ გაიღვიძოს და დააჩქაროს სისხლიანი აღსასრული. მტერი გვერდს იცვლის, საბანი ოღნავ ჩამოუცურდება. არა, არ გაუღვიძია. საბანში გახვეული მისი სხეული უფრო დიდი გეჩვენება. შეშფოთებული იხრები, ფრთხილად შეახებ ხელს, სძინავს, ღრმა ძილშია. მოფიქრებასაც ვერ მოასწრებს და...



მაგრამ ასე არ შეიძლება კაცი მოკლა, უსინდისობაა. ახლავე შევეტრიალდები და წავა-
ლო, ფიქრობ. არა, ვერ წახვალ, კარგა ხანია ყველაფერი გადაწყვეტილი გაქვს... ერთი
წუთი, ერთი მოკლე წუთი და მერე...

უკან დახევა არაფრით არ შეიძლება, გათენდება და დღის სინათლეზე შეგძრავს, გაგა-
ქვავებს მისი მზერა.

უნდა გაიქცე, უნდა გაიქცე სოფლიდან შორს, იქ, სადაც არავინ გიცნობს, სადაც შენს
სულში დაიბუდებს ახალი სიძულვილი. სიძულვილი წლობით მწიფდება; შენ კი ბავშვი
ადარა ხარ და, სიძულვილი ყელში გწვდება და სუნთქვას შეგიკრავს, სიცოცხლეს დაგ-
ტოვებს. გული მეტ სიმწარეს ველარ დაიტევს და ხელები უღონოდ ჩამოგიცვივდება...

თითქმის ერთი თვეა, არაფერი დამიწერია. ვეგდე ტახტზე და შევეყურებდი, როგორ გა-
დიოდა დრო — ხან ელვის სისწრაფით, ხანაც ტაატით დამბლადაცემულივით — თავი მოვხ-
სენი ოცნების გუდას — ეს იყო ერთადერთი რამ, რაც აკრძალული არა მქონდა. დამსკდარ
ჭერს შევეყურებდი და მასზე გაგლებულ ხაზებს ხან რას ვარქმევდი და ხან რას. ამ ერთ დაუ-
სრულებელ თვეში, თუმცა კი ამდენი დარდი და მღელვარება გადავიტანე, ცხოვრებისგან
მაინც მეტი სიამოვნება მივიღე, ვიდრე მთელი განვლილი წლების განმავლობაში.

ცოდვილ სულებს სიმშვიდე რომ მოეფინება, მათთვის იგივეა, რაც მინდვრისთვის წვი-
მა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თუმცა ძალიან დიდხანს, იმაზე მეტ ხანს, ვიდრე შესაძლე-
ბელია, არ მესმოდა, რომ სიმშვიდე ზეცის ლოცვა-კურთხევაა, ყველაზე ძვირფასი ლოცვა-
კურთხევა, რისი იმედიც გვაქვს ჩვენ, საცოდავებს, მუდამ შიშში მყოფთ, ახლა, როდესაც
ეს ვიცი, ახლა როდესაც სიმშვიდე და მასთან ერთად სიყვარული მიფარავს, ისეთი სიშმა-
გითა და სიხარულით ვტყბები, რომ ძალიან მეშინია — თუმცა ცოტა დროდა დამრჩია, სულ
ცოტა დრო! — აღსასრულამდე არ შემომეხარჯოს.

სიმშვიდე რამდენიმე წლის წინათ რომ მსტუმრებოდა, ალბათ ბერად შევდგებოდი.
ახლა რომ ასე ნათლად და კეთილად მესახება, არა მგონია, მაშინ ნაკლებად მოვეხიბლე.
მაგრამ უფალმა ეს არ იწება და აი, ციხეში ვზივარ, განაჩენი თავს დამტრიალებს და არ
ვიცი, რა სჯობს — უცბად დამატყდეს თავს თუ კიდევ გაგრძელდეს ჩემი ტანჯვა, რომელ-
საც, თუმცა ამდენი გადავიტანე, მაინც ძალიან ვაფასებ. დალაგებული ცხოვრება რომ
მქონოდა, იქნებ — თუ ხდება ასე საერთოდ — ნაკლებად დამეფასებინა. თქვენ გამიგებთ
სათქმელს.

ეს ერთი უსასრულო თვე ფიქრებს დავუთმე, ყველაფერი განვიცადე — სიმწარეცა და
სიხარულიც, დარდიცა და რწმენაც, სიძულვილიც და სასოწარკვეთაც... ღმერთო, რა სუსტია
ხორცი, შენ რომ განსაცდელი მოუვლინე! როდესაც ერთი სულიერი მდგომარეობა მეორეს
უთმობდა ადგილს, ციებ-ცხელებიანივით ვცახცახებდი და თვალები შიშის ცრემლით მეფ-
სებოდა. ძალზე ბევრია ოცდაათი დღე გამუდმებით იფიქრო ერთი და იგივე, სინდისი გქენ-
ჯნიდეს, მოუშორებლად გტანჯავდეს აზრი, რომ ჩადენილი ბოროტებისათვის ჯოჯოხეთში
მოხვდები... მშურს განდეგილისა, სახეზე სიკეთე რომ მოჰფენია, მშურს ცაში მონავარდე
ჩიტიისა, ზღვაში თევზისა და უღრანში მცხოვრები ნადირისაც კი — მათ ხომ მოგონებები არ
ტანჯავთ — იმაზე ცუდი არაფერია, როცა წარსული აღსავსე გაქვს ცოდვებით!

გუშინ აღსარება ვთქვი — თვითონ გამოვიძახე მღვდელი. მოვიდა მამაო სანტიაგო
ლურუენია, ერთი დაჩაჩანაკებული, კეთილი, ცულისხმიერი და ჭიანჭველასავით ფუსფუსა
ხუცესი. იგი აქაური კაპელანია და კვირაობით წირავს ასობით მკვლელის, ათიოდე მცველისა
და სამი-ოთხი მონაზონისათვის.

ფეხზე წამომდგარი შევხვდი.

— დილა მშვიდობისა, წმინდაო მამაო.

— სალამი, შვილო ჩემო, მითხრეს, გიხმობსო.

— დიახ, სენიორ, გიხმობდი.

მომიახლოვდა და შუბლზე მაკოცა. რამდენი წელია ჩემთვის არავის უკოცნია.

— აღსარების თქმა გინდა?

— დიახ, სენიორ.

— შვილო ჩემო, სიხარული მომგვარე დიდი!



— თავადაც მიხარია, წმინდაო მამაო.

— ღმერთი ყველაფერს შეგიწოდებს, კეთილზე კეთილია...

— დიახ, წმინდაო მამაო.

— და ბედნიერი, როცა გზადაბნეული ცხოვარი ისევ ფარაში დაბრუნდება...

— დიახ, წმინდაო მამაო.

— ხოლო უძღვები შვილი მამისეულ ჭერს მიაკითხავს კვლავაც.

ალერსიანად ეჭირა ჩემი ხელი და თვალეში ისე შემომცქეროდა, თითქოს სურდა უკეთ გამეგო მისი ნათქვამი.

— რწმენა სინათლეა, შუქია და ჩვენს სულებს ცხოვრების წყვედიადში გზას უკაფავს.

— დიახ...

— სასწაულთმოქმედი ბალზამია ავადმყოფი სულისათვის...

ღონ სანტიაგო აღელვებული იყო, ხმა აფორიაქებული ბავშვივით უთრთოდა. მიყურებდა და თან წმინდანივით მშვიდად იღიმებოდა.

— იცი, რა არის აღსარება?

მეწინოდა პასუხის გაცემა, ძლივს გასაგონად წავილულულე:

— მთლად კარგად არ ვიცი.

— ნუ გრცხვენია, შვილო ჩემო. დედის მუცლიდან არავის დაჰყოლია ამის ცოდნა.

ღონ სანტიაგომ რაღაც-რაღაცები ამიხსნა. ბოლომდე ვერ გავიგე, მაგრამ ვიგრძენი, სიმართლე უნდა ყოფილიყო. დიდხანს ვილაპარაკეთ, თითქმის შუადღიდან საღამომდე. როცა საუბარი დავამთავრეთ, მზე ჩასული იყო.

— მოემზადე შენდობის მისაღებად, შვილო ჩემო, რომელსაც უფალი ღმერთის სახელით გიბოძებ... ილოცე ჩემთან ერთად: უფალო იესო ქრისტე...

ღონ სანტიაგო რომ მლოცავდა, ყოველწამად ვცდილობდი თავში უკეთური აზრები არ მომსვლოდა და ვბედავ დაგარწმუნოთ, ლოცვა-კურთხევა ისე მივიღე, უკეთესად რომ არ შეიძლება. ცხოვრებაში ბევრჯერ შევგრცხვნილვარ, ძალიან ბევრჯერ, მაგრამ ასე — არასოდეს.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ამ დილით დაღლილი და დამტვრეული ავდექი, თითქოს ვინმეს ვეცემე. რაკი უფროსს ამდენი ქალღი ვთხოვე და რაკი მე, სულით დაცემულს, ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად სხვა საშუალება არ გამაჩნია ქალღლის თხუზნის გარდა, ხოლო ნაჯღაბნი რაც მეტი იქნება, მით უკეთესია, ვცადე იქნებ ისევ განვაგრძო თხრობა, განვაგრძო იმ ადგილიდან, სადაც შევჩერდი და ჩემი მოგონებები დავასრულო. ვნახოთ, იქნებ მეყოს ძალა, ძალა კი ცოტა როდი დამჭირდება. ხანდახან ვფიქრობ, მოგონებების მსვლელობა ცოტა რომ დაჩქარდეს, ჩემი მოთხრობა შუაზე გაწყდება, ხეიბარივით დარჩება-მეთქი, მაშინ მოუთმენლობა დამეუფლება ხოლმე და ვჩქარობ. მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია და ვცდილობ კიდევ შევიკავო ეს გრძნობები, ვინაიდან, ჩემი აზრით, ახლა რომ ვწერ, — ნელა და საქმისადმი დიდი გულისყურით — მოთხრობა მაინც მთლად ნათელი არ გამოდის და თუ მთლად ავუშვი და თავი ვერ შევიკავე, მაშინ ხომ ისეთი აბდაუბდა და უაზრობა გამოვა, მშობელი მამაც კი ესე იგი — მე ვერ ვიცნობ.

ამ ამბებს, რომელთა ასახვისათვის მთავარია მეხსიერება, ყველაზე ფაქიზი მობყრობა სჭირდება, რადგან თუ მოვლენები აურიე, საქმეს მერე ვერაფრით ვერ გამოასწორებ, ერთი ეგაა, ქალღლს დახვე და წერას ხელახლა დაიწყებ, ამას კი ყოველწამად ვცდილობ თავი ავარიდო — ვიცი, ხელახლა ცდას კარგი შედეგი არ მოსდევს: შესაძლოა, პატივმოყვარეობად ჩამითვალოთ გულმოდგინე ცდა, მეორეხარისხოვანი ამბავი კარგად გამომივიდეს, მაშინ როცა მთავარი არაფრად ვარვა. შესაძლოა, დაცინვითაც გაიფიქროთ, ბევრს კისრულობ, როცა ცდილობ, არ აჩქარდე, რათა უკეთესად გადმოგვცე ის, რასაც მავანი განათლებული ადამიანი სულ უბრალოდ გააკეთებდაო, მაგრამ, თუ გაითვალისწინებთ, რომ ოთხი თვე თითქმის შეუსვენებლივ წერა ჩემგან იმდენ ძალას მოითხოვდა, რაც არ დასჭირდებოდა სხვა რომელიმე საქმიანობას ჩემს ცხოვრებაში, მაშინ იქნებ გაამართლოთ ჩემი მსჯელობა.

ცხოვრებაში ყველაფერი ისე როდი ხდება, როგორც ერთი შეხედვით წარმოგვიდგენია. ამიტომ არის, როდესაც რაღაც საქმეს ხელს მოგვიდებთ, რაიმეზე მუშაობას დავიწყებთ, ისეთი გასაოცარი და სრულებით უცნობი მხარეები წარმოჩნდება ხოლმე, რომ ჩვენი პირველი წარმოდგენის კვალიც არ დარჩება, ასე მოგვდის, როდესაც წინდაწინ წარმოვიდგენთ ადამიანთა სახეებს ან ქალაქებს, სადაც მივემგზავრებით, ხოლო, როგორც კი სინამდვილეში ვნახავთ, მაშინვე გვაფიწყდება ჩვენი წარმოდგენილი. სწორედ ასე დამემართა ჩემი ნაჯღაბნის მიმართ —



თავდაპირველად ვფიქრობდი რვა დღეში დამემთავრებინა, დღეისათვის კი უკვე ასობით დღე გავიდა და მეცინება, ჩემი გულუბრყვილობის გახსენებაზე.

ვფიქრობ, ცოდვა არ არის, მოუთხორო ხალხს შენს უკვე მონანიებულ ცხელ საქციელზე, დონ სანტიაგომ მითხრა, შეგიძლია ასე მოიქცე, თუკი ეს განუგეშებსო და რადგან ჭეშმარიტად მანუგეშებს, დონ სანტიაგო კი, მგონი ამ საკითხებში ერკვევა, მკრეხელობად არ მიმაჩნია, ჩემი მოთხოვნის წერა ისევ განვაგრძო. ხანდახან მტკივნეულად განვიცდი ჩემი უღიმღამო ცხოვრების დიდსა თუ პატარა წვრილმან ამბებს ასე ზუსტად რომ აღვწერ, მაგრამ თითქოს წონასწორობის შესანარჩუნებლად, არის წუთები, როცა ჭეშმარიტად მიხარია — იქნებ იმიტომ, რომ თხოვნისას ვგრძნობ, რა შორსა ვარ ჩემი წარსულისაგან, თითქოს ვინმე უცხო ადამიანზე ყურმოკრულ ამბავს ვყვებოდე. რა დიდი სხვაობაა იმათ შორის, რაც იყო და რაც შეიძლებოდა ყოფილიყო. ნეტავ შემეძლოს ყველაფერი თავიდან დავიწყო! მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა, წარსულს ველარ მოაბრუნებ, რაკილა უღელს შეებმები, აღარ უნდა იწუწუნო, მომავლისთვის კი უნდა შეეცადო, იგივე არ განმეორდეს. მეც ვცდილობ, არ განმეორდეს, თუმცა ძალიანაც რომ მოვიწოდო, ციხეში რისი გაკეთება შემეძლია! მეტიმეტი თვინიერება არ გამომივიდეს, თითქოს მესმის თქვენი სიტყვები: საცდელს თავიდან უნდა ეცადო, ახლა გვიანია თითზე კბენაო, უმჯობესია ეს სიტყვები არ ითქვას, მაგრამ მაინც მინდა ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინო და დაგარწმუნოთ, რომ სამაგალითო ოჯახის კაცი ვიქნებოდი, ჩემი ცხოვრება თავიდანვე რომ დღევანდელი უშფოთველი გზით წასულიყო.

განვაგრძობ ჩემს ამბავს. მთელი თვე არაფერი დაწერო — დიდი პატივია იმ ადამიანისთვის, ვისაც სიცოცხლის წუთები აქვს დათვლილი, გადაჭარბებული სიმშვიდეა მისთვის, ვინც მოუსვენრობასაა მიჩვეული.

მოსამზადებლად დიდი დრო არ დამჭირვებია — ზოგ რამეს დაგვიანება არ ეგების, გაქცევაც ერთი იმათგანია. ფული ზარდახშიდან ქისაში გადმოვიყარე, საჭმელი ხურჯინში ჩავალაგე, ცუდი აზრების გუდა ჭაში ჩავუშვი, ფეხი ავიკრიფე, ქურდივით ღამის წყვილად შეფარებული გავიპარე სოფლიდან და ალაღბედზე დავადექი გზას.

გარიჟრაჟზე, დაღლილობისგან ძვლები რომ ამტკივდა, სამი ლიგა მაინც მქონდა გავლილი. დაყოვნება არ მინდოდა — ამ ადგილებში კიდევ შეიძლებოდა ვინმეს ვეცნე, ამიტომ გზასთან, ზეთისხილის ჭალაში ცოტა წავიძინე, წავიხემსე და გზა განვაგრძე იმ იმედით, რომ პირველივე შემხვედრ მატარებელში ჩავმჯდარიყავი. გზაზე გამვლელები გაოცებული შემომცქეროდნენ — ეტყობა, ნამდვილ მოგზაურსა ვგავდი, ხოლო გზისპირა სოფლელი ბავშვები ისეთი ცნობისმოყვარეობით მომდევდნენ, როგორც ბოშას ან სულელს აედევნებიან ხოლმე. მათ მოუსვენარ თვალებსა და ონავრულ საქციელში, რაც სულაც არ მწყინდა, თანაგრძნობა გამოსჭვიოდა. იმხანად ქალებისა ქოლერასავით რომ არ მშინებოდა, შეიძლება ბავშვებისათვის უმნიშვნელო რამე მეჩუქებინა თან წამოღებული ნივთებიდან.

მატარებელი დონ-ბენიტოში შემომხვდა, ბილეთი მადრიდამდე ავიღე იმ განზრახვით, რომ დედაქალაქში არ გავჩერდებოდი, გზას გავაგრძელებდი რომელიმე ნავსადგურამდე, საიდანაც შევძლებდი ამერიკაში ამომეყო თავი. მგზავრობა მესიამოვნა — ვაგონი მთლად მოუწყობელი არ გახლდათ, პირველად ვხედავდი ფანჯრებს იქით ველ-მინდვრების თავბრუდამხვევ ტრიალს. როცა ყველა მგზავრი ჩამოვიდა მატარებლიდან, მივხვდი, მადრიდში მოვსულვარ-მეთქი. მეგონა, დედაქალაქი ჯერ კიდევ შორს იყო და გული შემეფრთხილა — ასეთი განცდა ყოველთვის გვიჩნდება ხოლმე, როცა რაიმე დამაგვირგვინებელი, რასაც უკან ვერ დააბრუნებ, უფრო ადრე შესრულდება, ვიდრე მოელი.

ბევრი რამ გამეგონა მადრიდელ ჯიბგირებზე. მეც სწორედ ღამით ჩავედი მადრიდში — ქურდებისა და გაიძვერებისათვის მოსახერხებელ დროს. ამიტომ გადავწყვიტე, ჭკვიანური იქნება თუ ბინის ძებნას გათენებამდე გადავდებ, ღამეს კი სკამზე გავათევ-მეთქი. განაპირა მყუდრო სკამი მოვძებნე, მოხერხებულად მოვეწყვე ზედ და მკვდარივით ჩამეძინა მფარველი ანგელოზის იმედით. დასაძინებლად რომ ვწვებოდი, ვფიქრობდი, კურდღელივით ცალ თვალს დავხუჭავ, მეორე თვალით კი ვიფხიზლებ-მეთქი. თითქმის დილამდე მაგრად მეძინა, მაგრამ გავიდვიძე თუ არა, ვიგრძენი ძვლები გამციებოდა, ტანსაცმელი დამნესტიანებოდა და გადავწყვიტე სადგურში წუთიც არ გავჩერებულიყავი.




ქუჩაში რომ გამოვედი, კოცონთან მუშები შეგროვილიყვნენ. მეგობრულად მიმიღეს და ღულუნა ცეცხლთან გათბობაც მოვახერხე. საუბარი დასაწყისში არ აეწყო, მაგრამ მალე გამოცოცხლდა და, რაკი, ჩემი შეტყობით, ცუდი ხალხი არ უნდა ყოფილიყო, მადრიდში კი სწორედ მეგობრები მჭირდებოდა, ერთი მაწანწალა, იქვე რომ ამეტორლიალა, ბოთლ ღვინოზე გავვზავნე. იმ ღვინიდან არც მე და არც ჩემთან მყოფთ წვეთიც არ გავგისინჯავს, — ყმაწვილი მარჯვე აღმოჩნდა, ფული გამოგვართვა და თავი დაგვიკრა. თუმცა ყველა იცინოდა ყმაწვილის ეშმაკობაზე, მტკიცედ გადავწყვიტე მუშებისთვის პატივი მეცა, რადგან მათთან მეგობრობა ხელს მაძლევდა. გათენდა თუ არა, ყავახანაში ჩავიყვანე და რძიან ყავაზე დავპატიყე მთელი პატიოსანი საკრებულო. დიდად მადლობელნი დამჩნენ და საბოლოოდ დამიამხანაგდნენ კიდევ. ბინაზე ჩამოვადე სიტყვა და ერთმა მათგანმა, სახელად ანხელ ესტევესმა, შემომთავაზა, ათ რეალად შეგიფარებ და გაჭმევ დღეში ორჯერო. თავდაპირველად მომეჩვენა, ძვირი არ არის-მეთქი, მერე კი ვინანე. სანამ მასთან ვცხოვრობდი მადრიდში, ყოველ ცისმარე დღე სულ ცოტა ათ რეალს კიდევ იჯიბავდა, რადგან სალამოობით კარტის თამაშის დროს მიგებდა ხოლმე. ეს თამაში ძალიან იტაცებდა მასაც და მის ცოლსაც.

მადრიდში თითქმის ორი კვირა დავყავი და მთელი ეს დრო გართობას მოვანდომე. ვცდილობდი რაც შეიძლება იაფად გამოვსულიყავი, ხელსაყრელ ფასებში ვყიდულობდი ათასგვარ საჭირო წვრილმანს ფოსტის ქუჩასა თუ დიდ მოედანზე. სალამოთი, მზის ჩასვლისათვის, საბაჟოს ქუჩაზე მდებარე კაფე-შანტანში მივდიოდი ერთი პესეტის დასახარჯავად. კაფე-შანტანს „სამოთხის კონცერტი“ ერქვა. ვახშობამდე იქ ვიჯექი და მსახიობ ქალებს შევყურებდი. შემდეგ ტელკის ქუჩაზე ესტევესის სხვენისკენ გავწევდი ხოლმე. ჩემი მისვლის დროისათვის თვითონ მუდამ შინ იყო. ცოლი მოხრაკულ ხორცს დაგვიდგამდა ბოსტნეულით. ჯერ იმას შევექცეოდით, შემდეგ კი ორ მეზობელთან ერთად, ყოველ სალამოს რომ ამოდოდნენ სხვენზე, მივუსხდებოდით მაგიდას, რომლის ქვეშაც ნაკვერცხლებზე ტაფა იდგა, ჩვენც ფეხებს თითქმის ნაკვერცხლებზე შევაწყობდით და განთიადამდე კარტს ვთამაშობდით.

ესტევესის ცოლი კონსეპსიონ კასტილიო ლოპესი, როგორც თვითონ გამეცნო, ახალგაზრდა ტანდაბალი ქალი იყო, სახეზე ეშმაკური იერი დასთამაშებდა და სიმპათიურ, ქედმაღლურ და ცბიერ შეხედულებას აძლევდა. თუ მითქმა-მოთქმას დავუჯერებთ, საერთოდ ასეთები არიან მადრიდელი ქალები. სრულიად ურცხვად მიცქერდა, რაზეც გნებავთ იმ თემაზე მელაპარაკებოდა, მაგრამ როგორც მასთან დაახლოება გადავწყვიტე, აშკარად მაგრძნობინა, ნურას უკაცრავად, ამოა შენი ცდა, ვერაფერს გამოდნებიო. მას უყვარდა თავისი ქმარი, ამქვეყნად ქმარზე უკეთესი არავინ ეგულებოდა. დასანანია, ძალიან კარგი და სასიამოვნო ქალი იყო, თუმცა ჩემთვის რომ გეკითხათ, ჩვენებური ქალებისაგან ძალიან განსხვავდებოდა. რაკი თვითონ გათამამების სულ მცირე საბაბსაც არ მაძლევდა, თანაც მეც ვმორცხვობდი, ადგა და ნელ-ნელა დამშორდა და ისე გაიზარდა ჩემს თვალში და ბოლოს და ბოლოს ისეთი მიუწვდომელი მეჩვენა, რომ ფიქრადაც აღარ გამივლია მასთან დაახლოება. ქმარი სულთანვივით ეჭვიანობდა და ვფიქრობ, ნაკლებად ენდობოდა ცოლს, კიბეზეც კი არ უშვებდა მარტო. მახსოვს, ერთხელ ბაღში სასეირნოდ რომ მიმიწვია, გამუდმებით საყვედურობდა ცოლს — იმას არ შეხედო, ამას არ შეხედო. ქალი კმაყოფილი და ალერსიანი გამომეტყველებითაც კი იტანდა ამ საყვედურობებს, რამაც ყველაზე მეტად შემაცბუნა. ამას არ მოველოდი. ერთხელ ბაღში ვსეირნობდით. ესტევესმა უცებ ჩხუბი აუტეხა ჩვენკენ მომავალ მამაკაცს. ისეთი სიტყვების კორიანტელი დააყენეს, რომ მათი ყვირილიდან ნახევარს ვერ გაარკვევდა კაცი: თუმცა ერთი რამ ნათელი იყო, იმ მამაკაცმა კონსეპსიონს სხვანაირად შეხედა და ამიტომ შეებნენ ერთმანეთს. აქამდე ის მაოცებს ყველაზე უფრო, რომ ორივემ ერთმანეთი ისეთი სიტყვებით გამოლანძღა, ზღვა ვერ გარეცხავდა, თუმცა არც ერთს არ უცდია სიტყვიდან საქმეზე გადასულიყო. ერთმანეთს დედა აგინეს, არამზადა და რქიანი უძახეს, ნაწლავებს დაგაყრვეინებო, იმუჭრებოდნენ, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ერთმანეთისთვის თითიც არ დაუკარებიათ. გამაოცა მათმა უცნაურმა ქცევამ. საუბარში არ ჩავრეულვარ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, ცხადია, მეგობარს მივეშველდებოდი. ლანძღვა-გინება რომ მოსწყინდათ, ორივე თავთავის გზას დაადგა და ამით დამთავრდა ყველაფერი.

კარგი ამბავია, მე და ჩემმა ღმერთმა! სოფლელებიც ქალაქელებივით მხოლოდ ყვირილით რომ ვკმაყოფილდებოდეთ, ციხეები დაცარიელდებოდა და უკაცრიელ კუნძულებს დაემსგავსებოდა!

ერთი-ორი კვირის შემდეგ, მადრიდი კარგად ვერც კი გავიცანი — ამ ქალაქს ასე ერთბაშად ვერ გაიცნობ — რომ გადავწყვიტე, გზა განმეგრძო. მცირეოდენი ბარგი შეგკარი, ყვე-



ლაფერი ნაყიდ ჩემოდანში ჩავალაგე, მატარებლის ბილეთი ვიწოვე და ესტუმვის თანხლებით, ბოლო წუთამდე რომ არ მომშორებია, ამჯერად სხვა სადგურში წავედი. ლა-კორუნისკენ გავემართე, იქო მითხრეს, ამერიკაში მიმავალი გემები ხვდებიანო ერთმანეთს. ნავსადგურამდე მისვლას უფრო დიდი დრო მოვანდომე, ვიდრე სოფლიდან მადრიდამდე. უფრო გრძელი გზა იყო, მაგრამ რაკი უმეტესად ღამით უნდა მემგზავრა, მე კი ისეთი კაცი არ ვახლავართ, მატარებლის რყევასა და ხმაურში არ დამეძინოს, დრომ ჩემთვის უფრო სწრაფად გაირბინა, ვიდრე ვფიქრობდი. გავიდვიძე და, სულ მალე ზღვის პირას აღმოვჩიდი. ისე არაფერს დავუთრგუნევიარ ცხოვრებაში, როგორც ზღვას — ისეთი ვრცელი და ღრმა მეჩვენა.

აუცილებელი საქმეები მოვათავე თუ არა, საბოლოოდ მივხვდი, რა გულუბრყვილო ვიყავი, როცა მჯეროდა, რაც ჯიბეში პესეტები მაქვს, ამერიკამდე ჩამიყვანს-მეთქი. მანამდე აზრადაც არ მომსვლია მეფიქრა, რა ღირდა ხომალდის ბილეთი! სააგენტოში ერთ სალაროს მივადექი, იქიდან მეორეში გამგზავნეს. იქ ერთი სამი საათი მაინც ვიდექი რიგში და როცა მოლარესთან მივედი, რათა მეკითხა, საით ჯობდა წავსულიყავი და რა ელირებოდა ბილეთი, მან ხმა არ გამცა, ზურგი შემაქცია, თუმცა მაშინვე მომიბრუნდა. ხელში ქაღალდები ეჭირა.

— მარშრუტები, ბილეთის ღირებულება... ლა-კორუნიადან გემი გადის ყოველი თვის ხუთ და ოც რიცხვებში.

შევეცადე, იქნებ როგორმე მოველაპარაკო-მეთქი ჩემი მგზავრობის თაობაზე, მაგრამ ამაოდ. სიტყვა ისე ცივად გამაწყვეტინა, დავიბენი.

— გთხოვთ, ნუ შეჩერდებით.

სახლში, სადაც დავბინავდი, ჩემ გარდა ერთი არტილერიის სერჟანტიც ცხოვრობდა. მან გადაათვალიერა სააგენტოში მოცემული ქაღალდები, მაგრამ როგორც კი ფასი და გადახდის პირობები მითხრა, სული კინალამ გამეპარა. უცებ გამოვიანგარიშე, რომ ფული ნახევარ ბილეთზეც არ მეყოფოდა. ჩემ წინაშე ძნელი ამოცანა იდგა, ამოხსნა კი ვერ მეპოვა. აღრიან ნოგეირა — ასე ერქვა სერჟანტს — მამხნევებდა, თვითონ ზღვის გაღმა ნამყოფი იყო და დაულაღვად მიყვებოდა ჰავანასა და ნიუ-იორკზეც კი. რა დასამალია, მოჯადოებულივით ვუსმენდი და დაბადებიდან არავისი ასე არ შემშურებია, მაგრამ მესმოდა, რომ მისი ლაყბობა არაფერს მარგებდა. ერთ მშვენიერ დღეს ვთხოვე, ამაზე მეტი აღარაფერი მითხრა-მეთქი, რადგან გადავწყვიტე სამშობლოში დავრჩენილიყავი. სახეზე ისეთი გაოცება გამოეხატა, როგორც არასოდეს მენახა, მაგრამ რაკი ყველა გალისიელივით ისიც ტაქტიანი და თავშეკავებული კაცი ვახლდათ, ამაზე კრინტიც აღარ დაუძრავს.

თავს ვიმტვრევდი, ვფიქრობდი, რა მეღონა, და რადგან მდგომარეობიდან თავის დასაღწევი ყოველგვარი საშუალება ხელს მაძლევდა, ოღონდ კი სოფელში არ დავბრუნებულყავი. ყოველნაირ სამუშაოს ვებლაუჭებოდი: სადგურში ჩემოდნებს ვეზიდებოდი, ფუთებს ვათრევდი, სასტუმრო „რკინიგზაში“ მზარეულს ვეხმარებოდი, ერთხანს თამბაქოს ქარხნის ღამის დარაჯადაც ვმუშაობდი. ცოტ-ცოტა ყველაფერი ვსინჯე, ვიდრე საზღვაო ნავსადგურში ჩემი ხეტიალის დასასრულს, აპაშკას სახლში არ დავიდე ბინა, თუთიყუშის ქუჩაზე, მარცხენა მხარეს, ცოტა ზევით რომ მდებარეობს. იქ მსახურად დავდექი, მაგრამ ჩემი მთავარი მოვალეობა იყო დაწესებულებიდან გამებრძანებინა ყველა, ვისაც სასიკეთო პირი არ უჩანდა.

აპაშკასთან წელიწადნახევარი დავყავი, მანამდე კარგა ექვსი თვე უგზო-უკვლოდ ვიხეტიალე მშობლიურ კერას მოშორებულმა. სულ უფრო ხშირად ვიხსენებდი სახლ-კარს და ვნაღვლობდი იქაურობაზე. აპაშკასთან სამზარეულოში მქონდა ლოგინი გაშლილი და ფიქრითაც პირველ ხანებში ძილის წინ ვფიქრობდი ხოლმე. ფიქრები ისე ნელ-ნელა შემომეჯარა, საშველს აღარ მაძლევდა. ბოლოს კი ისეთი ნაღველი დამეუფლა, როგორც ლა-კორუნიაში იტყოდნენ — წუთებს ვითვლიდი, როდის მეღირსებოდა გზისპირა სახლში შესვლა. ვფიქრობდი, ოჯახი კარგად შემხვდება-მეთქი — დრო ყველაფრის მკურნალია — და უკან დაბრუნების სურვილი ისე იზრდებოდა, როგორც სოკო ნაწვიმარზე. მოვალეებს გასესხებული ფულის დაბრუნება ვთხოვე, ცოტა გამაწვალეს, მაგრამ რომელი საქმე გაკეთებულა ამქვეყნად უმტკივნეულოდ! ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ჩემს მფარველებს დავემშვიდობე და ჩემი სოფლის გზას დავადექი, თან წინასწარ ვტკბებოდი, რა ბედნიერება მელოდა გზის დასასრულს. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ჩემს არყოფნაში ეშმაკი თავის ნებაზე განაგებდა სახლსაც და ჩემს ცოლსაც. სიმართლე რომ ითქვას, გასაკვირი არცაა, ჩემს ცოლს, ახალგაზრდა ლამაზ ქალს, უქმროდ ცხოვრება რომ გაუძნელდა. გაქცევა ჩემი ყველაზე დიდი ცოდვაა, სად მივრბოდი, რომ მივრბოდი. აკი მკაცრადაც დამსაჯა ღმერთმა...

შვიდი დღე გავიდა, რაც შინ დავბრუნდი და ცოლმა, პირველად ასე ალერსიანად რომ შემხვდა, — ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა — ჩემი იჭვები გაფანტა.

— საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია, ძალიან ცივად რომ შეგხვდი.

— პირიქით, რას ამბობ!

— არ გელოდი, გესმის? შენი დაბრუნების იმედი არ მქონდა.

— ახლა გიხარია?

— კი, ახლა მიხარია...

ლოლა თითქოს შეიცვალაო, გადასხვაფერებულიყო.

— არასოდეს არ გავიწყდებოდი? — მკითხა.

— არასოდეს. აბა, რატომ დავბრუნდებოდი?

ცოლი ისევ გაჩუმდა.

— თრი წელი დიდი დროა...

— დიდი დროა.

— თრ წელიწადში ვინ იცის, დედამიწა რამდენჯერ შემობრუნდება.

— თრჯერ. ლა-კორუნიაში მიიხრა ერთმა მეზღვაურმა.

— ლა-კორუნია არ მიხსენო!

— რატომ?

— იმიტომ, ეშმაკსაც წაუღია ეგ შენი ლა-კორუნია. — ამ სიტყვებზე ხმა გაეზარა, თვალები ჩაუშავდა — ვიჯექი აქ და ვმარჩიელობდი, ვაითუ ამ თრ წელიწადში ჩემმა ქმარმა სულიც განუტევა-მეთქი.

— კიდევ რას იტყვი?

— არაფერს. — ლოლა მწარედ ატირდა. ძლივს გასაგონი ხმით გამომიტყდა: — შვილი უნდა შემეძინოს.

— ისევ შვილი?

— ისევ.

ადგილზევე გავშეშდი.

— ვისგან?

— ნუ მკითხავ!

— არ გკითხო? მინდა და გკითხავ! შენი ქმარი ვარ!

მთელი ხმით იყვირა:

— კარგი ქმარი კი ხარ! მომკალი და ეგ არის, თრი წელი მიმატოვე. ისე გამეჩეცი, თითქოს ჭირიანი ვიყო! ქმარი!..

— გაჩუმდი!

უმჯობესია, შენ გაჩუმდიო, სინდისი მეუბნებოდა. გავა დრო, ბავშვი დაიბადება.. მეზობლები მოჰყვებიან ჭორაობას, როგორ მღალატობდა ცოლი, ცხვირს ამიბზეკენ, ჩემს დანახვაზე აჩურჩულდებიან...

— დავუძახო სენიორა ენგრასიას?

— სენიორა ენგრასიამ უკვე გამსინჯა.

— რა გითხრა?

— ყველაფერი კარგად მიდისო.

— მაგას არ გეკითხები...

— აბა, რას მეკითხები?

— ისე... ეს საქმე ჩვენ სამმა უნდა მოვაგვაროთ.

ცოლმა ვედრებით შემხვდა.

— პასკუალ, აბა, რას ამბობ?

— კარგადაც ვიცი, რასაც ვამბობ, ლოლა. ეგ ხომ პირველი არ არის.


— პასკუალ, არც ერთი არ მეცოდებოდა ასე. ვგრძნობ, ეს იცოცხლებს...

— ჩემდა სამარცხვინოდ!

— შეიძლება შენდა საბედნიეროდ, ხალხმა ხომ არაფერი იცის!

— ხალხმა? ისე გაიგებს, როგორც თრჯერ თრი თხისა!

ლოლა გალახული ბავშვივით იღიმებოდა, გული მტკიოდა მის შემხედვარეს.



— იქნებ ისე მოვახერხოთ, რომ არ გაიგონ!

— მაინც გაიგებენ!

იცის ღმერთმა, ბოროტმომქმედი არ ვიყავი, მაგრამ ჩვეულება ისე ბოროტად აღმინა, როგორც ცხენს აღვირი. მამაკაცურ ღირსებას უფლება რომ მოეცა, ვაპატიებდი, მაგრამ ქვეყანა ასეა მოწყობილი და ფუჭი შრომაა აღმა აუყვე მდინარეს.

— სჯობს დავუძახოთ!

— სენიორა ენგრასიას?

— ჰო.

— არა, ღვთის გულისათვის! აღარ მინდა მუცლის მოშლა! — იატაკზე დაეცა და ფეხებს მიკოცნიდა. — მთხოვე და სიცოცხლეს მოგცემ!

— არ მჭირდება შენი სიცოცხლე.

— თვალებს მოგცემ, სისხლს მოგცემ იმის ნაცვლად, რომ გაწყენინე.

— არ მინდა.

— ჩემი მკერდი, თმა, კბილები წაიღე! ყველაფერს მოგცემ, რასაც ისურვებ, ოღონდ შვილს ნუ წამართმევ, მე მხოლოდ ეს მაცოცხლებს!

ყველაფერს აჯობებდა ეტირა — იტირებდა, იტირებდა, ძალა გამოეცლებოდა და ბოლოს დამშვიდდებოდა, გონს მოვიდოდა.

ეტყობა, ყველაფერი დედაჩემის, წყეული შუამავლის ბრალი იყო. მემალეობდა, ცდილობდა თვალში არ შემჩხიროდა. აბა, რა იქნებოდა! სიმართლეს ხომ ძნელად ვუსწორებთ თვალს. დედა რაც შეიძლება ცოტას მელაპარაკებოდა, მე რომ ერთი კარიდან შევიდოდი, ის მეორედან გავიდოდა, საჭმელს დათქმულ დროზე მიმზადებდა, რაც ჩვენს ოჯახში არც მანამ, არც შემდეგ არასოდეს მომხდარა (ძნელია ამის აღიარება, მაგრამ თუ შენი შიში არ ექნათ, მოსვენებას არ მოგცემენ) და ისეთი დამყოლი გახდა, რომ მეუხერხულეობდა კიდევ. არ მინდოდა მასთან ლოლაზე მეტქვა რამე, ეს ჩვენ ორის საქმე იყო და ჩვენვე უნდა გადაგვეჭრა.

ჰოდა, დავუძახე მას, ესე იგი, ლოლას და ვუთხარი:

— შეგიძლია დამშვიდდე.

— რა იყო?

— არავინ არ მოიყვანს სენიორა ენგრასიას.

წეროსავით ერთ ადგილზე გაშეშდა.

— შენ ძალიან კეთილი ხარ, პასკუალ.

— უფრო კეთილი, ვიდრე შენა გგონია.

— და ჩემზე უფრო კეთილი.

— მაგაზე არ გელაპარაკები ახლა. ვისთან იყავი?

— ეგ არ მკითხო!

— ლოლა, სჯობს, ვიცოდე.

— მეშინია.

— გეშინია?

— ჰო, მოკლავ.

— ასე გიყვარს?

— არ მიყვარს.

— მაშინ რატომ არ მეუბნები?

— იმიტომ, რომ გაჩენის დღიდან სისხლი გაცხია შუბლზე.

ეს სიტყვები ჩემს მეხსიერებას დამლასავით დააჩნდა, სანამ ვიცოცხლებ, მემახსოვრება, მოვკვდები და ჩემთან ერთად მოკვდება.

— რომ დაგიფიცო, არაფერს ჩავიდენ-მეთქი?

— არ დაგიჯერებ.

— რატომ?

— იმიტომ, ვიცი ფიცს გატეხ, პასკუალ, შენ ხომ ვაჟკაცი ხარ!

— მადლობა ღმერთს, რომ ასე ფიქრობ, მაგრამ არც სიტყვის გატეხა მჩვევია.

ლოლა ჩამეხუტა.

— ნეტავ არაფერი იყოს გასახსენებელი და რამდენიმე წლის სიცოცხლეს დავთმობდი.

— მჯერა.

— რათა გეპატიებინა ჩემთვის!

— მიპატიებია, ლოლა, მაგრამ მეტყვი...

— ჰო.

სახე გაუფითრდა და დაემანჭა, არასოდეს ასეთი არ მინახავს, საშინელმა შეშმა-შემამ-ყრო, შინ დაბრუნებულმა უბედურება მოვიტანე-მეთქი თან. მოვეხვიე ლოლას, თავზე ხელს ვუსვამდი და ისეთ ნაზ სიტყვებს ჩაფურჩულებდი, რაც კი ყველაზე ერთგულ ქმარს შეეძლო წარმოეთქვა, ვეალერსებოდი ჩემს მხარზე მოყრდნობილს, ვგრძნობდი, როგორ იტანჯებოდა და მეშინოდა, ჩემი შეკითხვისგან გრძნობა არ დაეკარგა.

— ვინ იყო?

— კობტა!

— კობტა?

ლოლამ არ მიპასუხა.

იგი აღარ სუნთქავდა — თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა, სახეზე თმა ჩამოშლოდა... კიდევ ერთ წუთს როგორღაც თავს იკავებდა, მერე კი სამზარეულოს ქვის იატაკზე გაიშ-ხლართა.

მორიელები ამიფუთფუთდა გულში, სისხლის თითოეულ წვეთში გველი მეჭდა და მკბენდა.

გავვარდი ჩემი ცოლის მკვლელის, ჩემი დის პატიოსნების შემბლაღველის საძებნელად. იმ კაცმა ხომ ყველაზე დიდი სიმწარე მარგუნა ცხოვრებაში. მისი პოვნა გამიძნელდა, მემალეობდა. ამ ვიგინდარამ გაიგო ჩემი დაბრუნების ამბავი, გაიქცა და ოთხი თვე აღმენდრა-ლებოში არ გამოჩენილა. გადავწყვიტე ხელში ჩამეგდო, ნიევესის დაწესებულებაში წავედი და როსარიო ვინახულე... როგორ გამოიცვალა! დაბერდა, სახეზე ნაადრევი ნაოჭები გაუჩნდა, თვალები ჩაუცვივდა, თმაც ჩამოუსწორდა.

— რა გინდა, რაზე მოსულხარ?

— ერთი კაცი უნდა ვნახო.

— ვერ ყოფილა ვაჟკაცი, მტერს თუ გაურბის.

— ვერ ყოფილა ვაჟკაცი... სად არის?

— არ ვიცი. გუშინ გაემგზავრა.

— სად გაემგზავრა?

— არ ვიცი.

— არ იცი?

— არა.

ეტყობოდა, არ ტყუოდა. თავისი სიყვარული ჩემდამი იმით გამოხატა, რომ კობტა მიატოვა, შინ დაბრუნდა და მე მივლიდა.

— თუ იცი, შორს წავიდოდა?

— არაფერი უთქვამს ჩემთვის.

რას ვიზამდი, ბრაზი დავიოკე. ვაჟკაცს არ შეჭფერის ბედშავ ქალზე იყაროს ვიღაც ნაძირალას ჯაგრი.

— იცოდი, რაც ხდებოდა?

— ვიცოდი.

— და არაფერს ამბობდი?


— ვის ვეტყუოდი?

— არავის...

მართალს ამბობდა, არავინ ჰყავდა ისეთი, ვისაც გაენდობოდა... არის დარდი, სხვას რომ არ ააღელვებს, ის მარტომ უნდა ატარო მოწამებრივი ჯვარივით, ხოლო სხვებთან ხმა არ ამოიღო. ყველაფერს, რასაც შენ განიცდი, სხვას ვერ გაუმხელ, უმეტესწილად ვერც გაგიგებენ. როსარიო სოფელში წამომყვა.

— ერთი დღეც ვეღარ გავჩერდები აქ, დავილაღე.

შინ დამფრთხალი, თითქოს შეშინებული და მორჩილი დაბრუნდა. გაჩენის დღიდან არ მახსოვს ასეთი საქმიანი. ზრუნვით ამავსო, რისთვისაც სამაგიერო ვერ მივუზღე და, რაც უფრო უარესია, ახლა ხომ სულ ვეღარ გადავუხდი მადლობას. ცდილობდა მუდამ სუფთად მცემოდა, მშვენივრად დიასახლისობდა, თან ჩემთვის ორიოდვე კაპიკსაც ზოგავდა, შინ დაგ-



ვიანებით მისულს ცხელ სადილს მახვედრებდა... მომწონდა ასეთი ცხოვრება! ბუმბულაღვით მსუბუქად მიფრინავდა დღეები, ღამეებიც მონასტრის ღამეებით წყნარი იყო და უწინდელი შავბნელი აზრებიც თითქოს ნელ-ნელა შემომეცალნენ. ლა-კორუნიაში გატარებული ნეტარი დღეები შორეული მეჩვენებოდა, დანებით ჩხუბი კი ხანდახან სულ აღარ მახსოვდა ხოლმე. ლოლას სახელი გულში მძიმე ჭრილობად მქონდა ჩარჩენილი, თუმცა ნელ-ნელა მიშუშდებოდა და წარსული ამბებიც თანდათან მავიწყდებოდა. მაგრამ ჩემმა ბოროტმა ვარსკვლავმა, დაჟინებით რომ მდევნის, ჩემდა საუბედუროდ მოისურვა ეს მოგონებები გაეცოცხლებინა.

ეს ამბავი მარტინეტეს დუქანში მოხდა, სენიორიტო სებასტიანმა მითხრა.

— ნახე კოხტა?

— არა, რა იყო?

— არაფერი. ამბობენ, სოფელში გამოჩნდაო.

— ნუ მატყუებ!

— მე რას მერჩი, ძმაო! როგორც ვიცი, ისე ვყიდი. რატომ უნდა მოგატყუო?

დაუყოვნებლივ უნდა გამეჩვენებოდა, მართლაც ამბობდა თუ არა. შინისაკენ გავიქეცი, ისარივით მივჭროდი, მიწას ფეხს არ ვაკარებდი. ზღურბლზე დედაჩემს შევეჩხე. არაფერი მითქვამს, სამზარეულოში შევედი, როსარიო კერძს ურევდა.

— სად არის კოხტა?

როსარიო თითქოს შეკრთა, თავი ასწია და მშვიდად — ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით მშვიდად — მომიგდო:

— მე რატომ მეკითხები?

— იმიტომ რომ სოფელში ბრძანდება.

— სოფელში?

— ასე მითხრეს.

— აქ არ შემოუხედავს და...

— ნამდვილად?

— გეფიცები!

ფიცი არც უნდოდა, კოხტა მართლაც არ მოსულიყო ჯერ, მაგრამ მალე გამოცხადდა, ჯგრის პაპასავით დიდგულა, მამალივით გაფხორილი.

კარებში დადარაჯებულ დედაჩემს შეეჩხა:

— პასკუალი შინ არის?

— რად გინდა?

— ისე. ერთ საქმეზე უნდა მოვითათბიროთ.

— ერთ საქმეზე?

— ჰო, ერთ საქმეზე, ჩვენ ორს რომ გვეხება.

— შემოდი, სამზარეულოშია.

კოხტას ქუდი არ მოუხდია, სტვენა-სტვენით შემოვიდა სამზარეულოში.

— სალამი, პასკუალ!

— სალამი, პაკო! ქუდი მოიხადე, ქუჩაში კი არა ხარ.

კოხტამ ქუდი მოიხადა.

— სიამოვნებით მოვიხდი, თუ შენ ასე გინდა.

ცდილობდა მშვიდი და აუღელვებელი მეჩვენებოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ეტყობოდა, ვერ იყო მთლად დალაგებულად და ცოტა ეშინოდა.

— სალამი, როსარიო!

— სალამი, პაკო!

ჩემმა დამ ისე მხდალივით გაუღიმა, შემზარა. კოხტაც იღიმებოდა, მხოლოდ ტუჩები ჩათეთრებოდა.

— იცი, რატომ ჩამოვედი?

— თქვი.

— როსარიო უნდა წავიყვანო!

— ასეც ვიფიქრე, მაგრამ ვერ წაიყვან.

— ვერ წაიყვან?

— ვერა.

— ვინ დამიშლის?



- მე დაგიშლი.
- შენ?
- ჰო, მე. რა იყო, ხომ არ გეპატარავები?!
- არც ისე დიდი ვინმე ხარ...

იმ წუთში ხვლიკივით ცივსისხლიანი გავხდი და შემეძლო ყველა მოქმედება ზუსტად განმესაზღვრა. თვალთ გავზომე მანძილი და სიტყვის დამთავრება არც ვაცადე. წინანდელივით რომ არ გამეორებულყო, ისეთი ძალით ვლეწე სკამი სახეში, ცოცხალ-მკვდარი ცხვირპირით კერიას დაენარცხა. როგორღაც წამოდგა, დანა გამომგლიჯა ხელიდან. სახე ისე ანთებოდა, საშინელი შესახედავი იყო. ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული და ფეხზე ვერ დგებოდა. ხელი დავტაცე და გარეთ გავიყვანე.

- კოხტა, შენ მოჰკალი ჩემი ცოლი.
- კახპა იყო!
- ყოფილიყო, მოკვლით შენ მოჰკალი იგი. ნამუსი ახადე ჩემს დას...
- მე რომ შემხვდა, ნამუსისა არაფერი გააჩნდა!
- ესე იყო, მაგრამ დაღუპვით შენ დაღუპე! იქნებ გეყოს, ა? გინდოდა ჩემთან ჩხუბი და მიიღე კიდევ. შენი დამახინჯება და ნეკნების ჩამტვრევა არ მქონდა განზრახული...
- არა უშავს, შემხორცდება და მაშინ...
- მაშინ რა?
- ცოფიანი ძაღლივით მიგახვრეტ!
- მიფრთხილდი, ჩემს ხელში ხარ!
- არ მომკლავ!
- არ მოგკლავ?
- არა.

— ვითომ რატომ? ძალიან დარწმუნებული კი ხარ!

— ჯერ არ დაბადებულა ჩემი მომკვლელი კაცი. ყმაწვილი თავს იგულადებდა.

- ჰა, მიდიხარ?
- როცა მომესურვება, მაშინ წავალ!
- ახლავე წადი!
- დამიბრუნე როსარიო!
- არ დაგიბრუნებ!
- დამიბრუნე, თორემ მოგკლავ!
- მოკლავ, მაშ! წაეთრე, რაც მიიღე, გეყოს!
- მომცემ როსარიოს?
- არა!

კოხტამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ჩამეჭიდა, წაქცევა უნდოდა ჩემი. კისერში წავატანე ხელი და მიწას გავაკარი.

- წაეთრე აქედან!
 - არ წავეთრევი!
- ერთმანეთს შევებრძოლეთ, წავაქციე, მუხლი მკერდზე დავაჭირე და გამოვუტყდი:
- ვერ მოგკლავ, პირობა მაქვს მიცემული...
 - ვისთვის?
 - ლოლასთვის.

— ესე იგი, ვუყვარდი ლოლას?

მეტისმეტად თავხედი იყო. ფეხი უფრო მაგრად დავაჭირე... მკერდიდან ისეთი ხმა ამოდიოდა, თითქოს შამფურზე წამოგებულ ხორცი შიშხინებო... პირიდან სისხლი წასკდა. ფეხზე რომ წამოვდექი, თავი უღონოდ გადაუვარდა გვერდზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ანდრეი ლუკანო

გინდ ღაიჯერე, გინდ არა

გინდ ღაიჯერე, გინდ არა,
მქონდა ასეთი შემთხვევა:
ძაღლის და ჩემი შესვედრა
მოგავდა ორი უცნობი
მეგობრის ძვირფას შესვედრას.

გინდ ღაიჯერე, გინდ არა,
არა და — ნება შენია...
ვამაყობ ძაღლით, რომელმაც
ღევნის და გვემის წუთებში
იწამა კაცის გენია.

□

ასრელიუ ბუსუიოკი

მეტამორფოზა

ვით ვიღაც უცხომ გავიდვიდე დილაადრიან.
ვეძებ ლოგინში საკუთარ თავს და ვერ ვპოულობ.
ვეძებ და ვეძებ მაგიდის ქვეშ, ვეძებ ტახტის ქვეშ
და ვერ ვპოულობ.
ჩემს მაგიერ უცხო კაცი დგას.

აღბათ ბიჭებმა დამიგეს ფანდი, —
მათ კარგად ვიცნობ.
ეს მორიგი ხუმრობა იყო.
და მაინც ვეძებ კალათაში, ავტოკალამში,
ვეძებ ენციკლოპედიაში
და ვერ ვპოულობ.

არა ვარ არსად. ახლოვდება უამი სამხრობის.
ჩემი სენაკი მოჰგავს ბაბილონს.
ჰეი, ვინ მეტყვის, სადა ვარ ახლა,
მილიონს ვჩუქნი!

სარკმლით სიმღერა შემომეფეთა
და გაზაფხული.



ლივიუ ღამიანი

ონების გვერდი

(ტოტალური არქიტექტურის სიბლი)

ჩემი პროექტის სახურავი
თავისთავად იქნება უცხო,
ქარს გადუდგება მარმარილოს ხელისგულებით,
წვიმის ნიაღვარს — რიგი ისრების,
მზის ძლიერებას — მყიფე დარაკი.
შენი სიცილის გაგრძელება,
როგორც თხილნარში მოსტუნავე თხილის კაკუნი
მთოვარის შუქზე ივლის თეთრი საფეხურებით.

ბჭე გაიხსნება როგორც ჩემი გულის მუღამი,
უმშვენიერეს მინდვრის დარად პალატი. კორდის
ფოთლოვანივით შუქს აჰყვება მადლა კედელი.

როდის და როგორ ავაშენოთ ქალაქი იგი?
სად? და რისაგან? ახლავე! აგერ!
რაიც ხელთა გვაქვს რასაც მიწა ოდითგან გვჩუქნის.

ხით და ფიქალით ავაშენებთ ქალაქს, რომელსაც
ხედად ექნება მწვანე ბორცვი და ფუტკრის სკები
იზუზუნებენ ქუჩა-ქუჩა და ნელი წვიმა
და ნაკადული მოკისკასე ქვებიდან ქვებზე
წუთით შედგება შენს სარკმელთან და გაქვავდება.




ხავსისფერ სუროდ გავაცოცხლებთ ბეტონს სივრცეში,
აგურებს გავშლით ყვავილების ფერად ფურცლებად,
რადგან ამქვეყნად არ არსებობს სხვა სილამაზე,
სხვა სილამაზე უფრო დიადი.

ქვით და ბეტონით ნაგებ ქალაქს რჩება უფლება
ისევ იცხოვროს: ქუჩის რიტმით და მაჯისცემით.

მოდ, მობრძანდი! გაანათე საქმენი ჩვენი
და ნება დაგვრთე ავიღოთ ზომა.
თანაფარდობას დავიცავთ ქვაში:
გვაქვს მკერდი — საღი. და პირი — წმინდა.

გული — იქ არის. ზღვის ნაპირას ფეთქავს მწუხარე.
აივანზე — კი ფრთებია შენი
შორეულ შორეთს გასაფრენად გამზადებული.



ნიკოლაე დაბიშა

მესამე თვალში

გაზაფხულისგან ველარ ვარჩევ უკვე სამოთხეს,
და ნამის წვეთებს ცრემლებისგან, არა მაქვს ძალი,
თავბრუდამხვევი ვნებით ბრუნავს საწუთროს ეს დღე
აღმოჩენილი მესამე თვალით.

მე ჭინჭრისაგან ვერ ვარჩევ ჭინჭარს,
რომელიც ტყისპირ გადმოხატეს ყალამქრით გუშინ,
ვით ბურთი ბურთში ჭინჭრისძმა იჯდა —
ჭინჭრიფოთოლას ზურმუხტისფერად საყვარელ სულში.

და წვიმად ცვივა ღობი მარცვალი,
ჩვენ ვწმენდავთ ყანას და ახალი თესლისთვის გვინდა,
ის, რაც ვიხილე მესამე თვალით,
ხვალ უსათუოდ შეიქმნება ცხადი და წმიდა.

ეს ბალახები და ლურჯი მთები,
ვით ეს ფოთლები, მოშრიალე თეთრი ღრუბლებით,

ო, ეს სიჩუმე და მისი ფრთები
ხვალის წვიმაა და ჩვენ გვგვანან რაღაც უფლებით.

ის, რაც გაკეთდა ნადვლიანი თვალებით ოდეს
დავუსვამ წერტილს ჩემივე ძალით:
და ყვავს შემომჯდარს ახალგაზრდა გარგარის ტოტზე
ვხედავ ამ თვალით, მესამე თვალით.

ოცნებისაგან სინამდვილის გარჩევა მიჭირს,
აღვის სანთლისგან ვედარ ვარჩევ კელაპტარს მთვარის,
თავბრუდამხვევი ვნებით ბრუნავს სამყარო ირგვლივ
აღმოჩენილი მესამე თვალით.

თარგმნა ბენო კალანდიაშვილი



არსივ ჩიბოტარუ

მუსეაბი

ჯერ ერთად მივალთ,
სხვა გზას არ ვირჩევთ,
მივალთ ფიქრით და ჩვენი დარღებით,
მოვა დრო საზღვარს გადავაბიჯებთ
და სიბნელეში ჩავიკარგებით.

მოულოდნელი მოახლოება
ნუ შეგაშინებთ დამეუღლ ბინდის,
კაცი ამქვეყნად იყო დროებით,
იმ ქვეყანაშიც დროებით მიდის.

ნუ დაივიწყებთ რომ თითო-თითო
რკო ჩავიყოლოთ ბებერ ფესვებთან,
რომ უფრო ვიგრძნოთ წიაღის სითბო,
რითაც სხეული ამოგვევსება.

ჩვენ გაზაფხულზე გავიდგამთ ფესვებს,
კვლავაც ვიხილავთ დიად სინათლეს

და აღსრულდება სურვილი ესე,
რაც ვიოცნებეთ და მოვინატრეთ.

ჯერ კი ქარებით შენაწუსები —
რას ჩურჩულებენ ნეტა მუხები?

გ ა ნ ა ს ლ ე ბ ა

აქ ჩაუვლია ფეხშიშველ ფერიას,
ქვიშაზე მოჩანს ღამაში ნაკვალევი,
აწ ზღვა იპარავს მის ნაფეხურებს
და უხილავი ფსკერისკენ მიაქვს.

ირგვლივ ქვიშაა,
ტალღებია და ნაკვალევი,
განთიადისას აქ ჩაუვლია
ღამაზე ფერიას.

ვინ იცის —
იქნებ უიმედო და უსასოო
მოვიდა ზღვასთან აღსარებისთვის,
მწუხარების განსაქარვებლად?

სოველ ქვიშაზე დახატულია
მისი სხეულის იეროგლიფი —
ფიქრის და დარდის
თბილი ნაკვალევი.

აქვე, ახლორე ჩანს წყვილი ბუდე,
აწ ცარიელი,
ჩაღამებული ბრმის თვალებივით,
მიშტერებიან თითქოს ჰორიზონტს —
საითაც ახლა მიფარფატებს
ფრინველთა გუნდი.

აქ იკარგება ფეხშიშველა ფერიას კვალი,
სხვათა ნაკვალევს უერთდება,
აწ ზღვა იპარავს ამოუხსნელ იეროგლიფებს
და უხილავი ფსკერისკენ მიაქვს.

□

კეტრუ ზადნიკრუ

მთვალეთა

უფლის ნებაა, რომ ალვის აფრა
მენტოს თვალეში მწვანე ზმანებით,
მივაყურადო: უთვალავ არფას
როგორ ამღერებს პურის ყანები.

უფლის ნებაა ვუსმინო შრიალს,
ზეცით აივსოს თვალი თანდათან,
როცა მწიფს ველზე ჭვავი და შვრია
და ტყეს ეღება შუქი ქათქათა.

უფლის ნებაა, ჩემი იარა
სხვებსაც აცნობდე მამულის ამბავს,
ოთხივე მხარე შემოვიარო
და მივკვალავდე სამშობლოს მთა-ბარს.

უფლის ნებაა, ყველა შესებას
შევესმიანო ვით ვიოლინო,
რომ ყველგან ვიყო, ველზე გლეხებთან
ერთად ვიშრომო და ვირთნინო.

უფლის ნებაა, რომ გული ფეთქავს,
ძველი სათქმელი თვალეში ბრწყინავს,
მე ახლა გეტყვით, რაც უნდა მეთქვა,
და რაც მეამბნა დიდი ხნის წინათ.

უფლის ნებაა და უფლის მადლი,
როს ვუმზერ განვლილ დღეს ტანწერწეტას, —
მეგროვებინა ფიჭაში თაფლი
და ჩემს ლექსებში სული წვეთწვეთად.

ასეთი ბედი მქონია, ალბათ,
უნდა გამეგო ყველა ძახილი,
არ მყვარებოდა ბრძენკაცი ყალბად —
ხე-ნაყოფისგან ტოტებდახრილი.

სხვას არ ვინატრებ, არა და არა,
მხოლოდ ამგვარი ბედი მერჩივნა,
რომ ჩემი თავი მეძებნა მარად
და სამშობლოსთვის აღმომეჩინა.

ნოსტალგია

მდუმარე ბადი მორთულია
მნათობის ვერცხლით,
ვიხსენებ ყრმობას,
სამწუხაროდ ვერაფერს შევცვლი.

მაღალ ცაცხვებთან
გარდასულთა მოისმის ხმობა,
ვინ დააბრუნებს უნეტარესს,
გაქცეულ ყრმობას.

ვიხსენებ წარსულს,
ისევე ფიქრით მივალ ყრმობისკენ,
მაგრამ ამაოდ,
ვგრძნობ ვერასდროს ვედარ მოვისპენ,

ვედარ ვიხილავ
პირველყოფილ წვას და დიდებას,
ნელა მშორდება,
ფერმკრთალდება და იწრიტება.

და ცარიელ ფიქრს,
რადგან ახალს არაფერს ბადებს,
სახლში მივათრევ,
ვით უიღბლო მეთევზე ბადეს.

□

პრიპორა ვიერუ

გეგედრეპით...

წვიმავ, სივრცეში როს მოფრინავ
და ღრუბლებს ვხედავ, —
შენ გეგედრები,
დაარწყულე ბებერი დედა.

შენ გევედრები, ლურჯო ტყეო —
აშარ ამინდებს,
სუსხიან ქარებს დედაჩემი გამოარიდე.

თქვენ გევედრებით, ბალახებო —
დარიბ-დატაკი,
დედას ფეხშიშველს,
დაუფინეთ მწვანე ფარდავი.

შენ გევედრები, თეთრო მთაო,
და მთის ნაპრალო,
კვლავ დაიფარეთ სიკვდილისგან
დედა საბრალო.

□

ვასილე რომანოვი

შემოდგომის ელეგია

მე შევეჩვიე ჩვეულებრივ დღეთა დინებას,
მხოლოდ უამიყამ ამეგსება თვალი ოცნებით,
მოწყდა ფოთოლი,
ის უხილავ ძალას მინებდა,
არც კი მიკითხავს:
ეშინოდა ფოთოლს მოწყვეტის?!

შორს წეროების სამკუთხედი მზეზე მბრწყინავი,
მიექანება,
გადაიფრენს სამხრეთს მთებიანს,
არც კი მიკითხავს:
წეროები სად მიფრინავენ,
რად მიფრინავენ,
ანდა როდის დაბრუნდებიან.

წამი წარსული არასოდეს დამიბრუნდება,
ვერ გამოგია ამა სოფლის სევდა ფარული
და ფოთოლცვენას ულამაზესს,
მაგრამ ბუნდოვანს,
რა მოაქვს ჩემთვის —
მწუხარება თუ სიხარული?!

შენი სიზმარი

იჯდა გარგარზე უცხო ფრთოსანი —
მზე — ჯადოსნური და უხილველი,
ასე ნათელი და სხივოსანი
რამ დაგასიზმრა ცეცხლის ფრინველი?!

და შენ უსმენდი, როგორ მღეროდა
სიმღერისა და ლექსის მეუფე,
წვეთავდა სხივი ვაზის ღეროდან —
წამი, რომელსაც შენ დაეუფლე.

თარგმნა გივი ალსაზიშვილმა






ფრანგულიდან თარგმნა თინათინე ჟიჟოძემ

ალბერ კამიუ

1960 წლის 4 იანვარს, ნაშუადღევს, ერთი ფრანგული სოფლის გზაზე, პარსისაკენ დიდი სისწრაფით მიმავალ მანქანას უკანა ბორბლის საბურავი გაუსკდა, აცურდა, აქეთ-იქით მიაწყდა, ბოლოს ჭადრის ხეებს მიენარცხა და შუაზე გადაიხლიჩა... მიწაზე ოთხი ადამიანი ეგდო: ორი გულწასული ქალი, ცნობიერებადაკარგული და სასიკვდილოდ დაშავებული მძღოლი და კიდევ ერთი კაცი, რომელიც მაშინვე გარდაცვლილიყო და რომელსაც „მშვიდი, თითქოსდა გაოცებული“ გამომეტყველება შერჩენოდა სახეზე. ვინაობის გასაგებად ჯიბეები რომ გაუჩხრიკეს, რკინიგზის ბილეთი უპოვეს — პარიზში მიიჩქაროდა თურმე, მატარებლისთვის აღარ მოუცდია, მანქანაში ჩამჯდარა და ამგვარად... სამუდამოდ გასცილდა და გამოესალმა პარიზს, თავისიანებს, ამ ქვეყანას. ეს იყო მართლაცდა აბსურდული სიკვდილი ორმოცდაექვსი წლის კაცისა, ვისაც მთელი განათლებული მსოფლიო იცნობდა, როგორც პირველი რანგის მწერალსა და მოაზროვნეს, და ვის შემოქმედებასა და აზროვნებაშიც განსაკუთრებული ადგილი სწორედ აბსურდის შთაბეჭდილებასა და ცნებას ეკავა...

ალბერ კამიუ დაიბადა 1913 წელს ალჟირში, იქაური ფრანგი მუშა კაცის ოჯახში. დედა ესპანელი ჰყავდა. ერთი წლის ალბერს მამა ომში დაეღუპა. გიმნაზიაში მოწაფეობისას იტაცებდა ფილოსოფია, თეატრალური ხელოვნება, ფეხბურთი... ერთ კვირა დღეს დაძაბული მატჩის შემდეგ გაოფლიანებული რომ დაბრუნდა შინ, გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა, რასაც ტუბერკულოზი მოჰყვა. თუმცა მძიმედ იყო ავად და მატერიალურადაც უჭირდა, კამიუმ ფილოსოფიის სწავლა განაგრძო ალჟირის უნივერსიტეტში. ავადმყოფობის გამო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ფილოსოფიის მასწავლებლის თანამდებობაზე აღარ უზრუნია. მუშაობდა ჟურნალისტად ჯერ ალჟირში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში. ომის დროს მონაწილეობდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მოძრაობაში. სწორედ ამ პერიოდში დაუმეგობრდა იგი ჟან-პოლ სარტრს, მაგრამ 1952 წელს პოლიტიკურ საკითხებზე უთანხმოება მოუვიდათ და დაშორდნენ. 1957 წელს კამიუს ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურის დარგში.

კამიუმ შექმნა რომანები, მოთხრობები, პიესები, ფილოსოფიური და ლიტერატურული ესეები. ამ ნაწარმოებების ძირითადი შინაარსის მიხედვით მას მკვლევარები ეგზისტენციალისტ მწერალთა და მოაზროვნეთა რიგს მიაკუთვნებენ; თავად მან კი საგანგებოდ აღნიშნა, რომ შეუფერებლად მიაჩნია მისი გაიგივება ეგზისტენციალისტებთან. საჭმე ისაა, რომ კამიუს მხედველობაში ჰქონდა „ეგზისტენციალიზმი“ ვიწრო აზრით, იმათ კი, ვინც ეგზისტენციალისტებთან აერთიანებდნენ, ეს ტერმინი უფრო ფართოდ ესმით. ხოლო ამ ფართო გაგებით კამიუ მართლაც ეგზისტენციალისტია. ამიტომაც ეგზისტენციალისტური აზროვნების ზოგადი და ძირითადი მომენტების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი შემოქმედების გაგებისათვის.



ეგზისტენციალისტიკისათვის უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელია ადამიანის ყოფიერების რადიკალური კრიზისის განცდა და აღიარება. მას ამასთან ღრმად სწამს, რომ ადამიანმა ყველაზე ნაკლებ სწორედ საკუთარი ცხოვრების საიდუმლოება იცის. ყოველივე ამის შესაბამისად ეგზისტენციალისტური აზროვნება გამსჭვალულია შეხედულებით, რომ ადამიანის პრობლემა ყველა შესაძლო პრობლემათა შორის უაქტუალურესი და გადაუდებელი პრობლემაა.

„დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო თუ მზე დედამიწის გარშემო, ეს ძირითადად სულერთია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უმნიშვნელო საკითხია... ცხოვრების აზრის საკითხი უაქტუალურესია ყველა საკითხს შორის“, — წერდა კამიუ „სიზიფეს მითოსში“.

ეგზისტენციალიზმმა, ყურადღების ცენტრში რომ მოაქცია ადამიანი, ამასთან მისი სხვაგვარი, ტრადიციულისაგან განსხვავებული დახასიათებაც შეიმუშავა.

ადრინდელი იდეალისტური ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანის ცხოვრებას ყოვლად ძლიერი ღვთაებრივი გონება განაგებს და წარმართავს, ხოლო მე-19 საუკუნეში გავრცელებული და გაბატონებული ე. წ. პოზიტივისტური შეხედულებით ადამიანის საქციელი, ფიზიკური ნივთის მსგავსად, გარემომცველი პირობებითაა სავსებით განსაზღვრული. ორივე შემთხვევაში უგულვებელყოფილია ადამიანის თავისუფლება, ის, რომ ადამიანი ბოლოს და ბოლოს თვითონ განაგებს და წარმართავს თავის ცხოვრებას... ხოლო ეგზისტენციალიზმი სწორედ ადამიანის თავისუფლებაზე ამახვილებს ყურადღებას — მართალია, ადამიანის შესაძლებლობები მუდამ შეზღუდულია იმ პირობებით, რომლებშიაც უხდება ცხოვრება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის იგი თვითონ ირჩევს და სახავს თავისი ცხოვრების გზას... ადამიანისათვის ამიტომაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკუთარი არჩევანის შესაძლებლობების გარკვევა...

ადამიანის ძირითადი ადამიანური მისწრაფების საკითხში ეგზისტენციალიზმი მკვეთრად უპირისპირდება მე-19 საუკუნეში გავრცელებულ პოზიტივისტურ თვალსაზრისს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანი არსებითად სხვას არაფერს მიესწრაფის, თუ არა თვითშენახვას ცოცხალი ორგანიზმის სახით. ხოლო ეგზისტენციალისტები ფიქრობენ, რომ ადამიანს როგორც ადამიანს, არ შეუძლია ამ მისწრაფებით შეიზღუდოს... ადამიანი ის ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელმაც იცის თავისი „ორგანული“ არსებობის საზღვრის თაობაზე, რომელიც განიცდის ამ საზღვარს და მის მიღმა „სხვა არსებობაში“, საბოლოოდ, მარადისობაში გასვლას ანუ (სპეციალური ტერმინით რომ ვთქვათ), „ტრანსცენდირებას“ მიესწრაფის. ამიტომაც, რომ მას, თუკი კარგად ესმის თავისი თავისა, ისეთი მიზნის განხორციელებაში მონაწილეობა სურს, რომელიც ელემენტარულ არსებობაზე ზრუნვას აღემატება და რომელსაც საბოლოოდ მნიშვნელობა აქვს მთელი საზოგადოებისათვის, მომდევნო თაობებისათვის, მთელი ისტორიისათვის; ანუ სხვაგვარად, რომელსაც საყოველთაო, აბსოლუტური და მარადიული მნიშვნელობა აქვს.

ამგვარი მოსაზრებების მიხედვით, ეგზისტენციალიზმი დასავლეთის ტრადიციულ-კლასიკურ ფილოსოფიას ენათესავება; მაგრამ, მეორეს მხრივ, კიდევ უპირისპირდება — ეგზისტენციალიზმის მიხედვით, ტრადიციულ იდეალიზმში ზედმეტად გამარტივებულად და გაიოლებულად, საბოლოოდ გაყალბებულად იყო წარმოდგენილი ადამიანის „სხვა არსებობაში“, მარადისობაში „გასვლა“ და დამკვიდრება...

ადამიანი იმას მიესწრაფის, რომ თვითონ, ანუ სწორედ ეს კონკრეტული პიროვნება, დამკვიდრდეს მარადისობაში — ამიტომაც მან იმისათვის უნდა იზრუნოს, რომ საკუთარი ინდივიდუალურ-პიროვნული სახე ჩამოაყალიბოს და განამტკიცოს, ხოლო საამისოდ საჭიროა, რათა თავისი განსაკუთრებული, ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით მოქმედებდეს და ამ შესაძლებლობების შესატყვის საქმეს აკეთებდეს... ადამიანი, მაშასადამე, მიესწრაფის, რომ თავისი განსაკუთრებული შესაძლებლობების შესატყვის და ამავე დროს საყოველთაო მნიშვნელობის მქონე მიზანსა და საქმეს ემსახურებოდეს, რაც ძნელად მისაღწევი ჩანს; ძნელია საყოველთაო-საზოგადოებრივი იდეალისა და შესატყვისი ნორმების ქვეშ დააყენო თავი და ამასთან საკუთარი, განსაკუთრებული, ინდივიდუალურ-პიროვნული სახე არ დაჰკარგო.

ამ სიძნელეს კიდევ უფრო აღრმავებს ის გარემოება, რომ დროებითი, წარმავალი, რელატიური და ისტორიული ჩანს აგრეთვე ყოველი საყოველთაო-საზოგადოებრივი მნიშვნელობის იდეალი... ადრე ეს იდეალი ქრისტიანულ მოძღვრებაში იყო გამოხატული; ხოლო უკვე კარგა ხანია, რაც ევროპელ ადამიანს აღარ სჯერა ქრისტიანული მოძღვრებისა, მისთვის, როგორც ფრიდრიხ ნიცშემ გამოაცხადა, „ღმერთი მოკვდა“. ქრისტიანული იდეალი ერთხანს სამეცნიერო-ტექნიკურ-ინდუსტრიული პროგრესის იდეალმა შესცვალა, რომელიც შემდგომში ერთობ საეჭვო და ორაზ-

როვანი აღმოჩნდა — ამ მიმართულებით სვლამ კაცობრიობა სულიერი და ბოლოს ფიზიკური კატასტროფების წინაშე დააყენა... იდეალების მსხვერველს ამ გამოცდილებამ ევროპელ ადამიანს შთააგონა, რომ ყოველი მისი იდეალი, მიზანი, წამოწყება და საქმე მხოლოდ და მხოლოდ დროებითი და წარმავალია, რელატიური და ისტორიული მნიშვნელობისაა და, მაშასადამე მისთვის მოჭრილი ჩანს გზა მარადისობისაკენ... ადამიანი მყარი და უცვლელი, მარადიული მნიშვნელობის იდეალის აღმოჩენასა და ამ გზით მარადისობისადმი ზიარებას, „ტრანსცენდენციას“ მიესწრაფვის, მაგრამ ეს შეუძლებელი, უნაყოფო და ამაო მისწრაფება ჩანს, რაც აბსურდულ სიტუაციას ქმნის. ამგვარად, ადამიანის ცხოვრება აბსურდის გამოხატულებაა.

ამ შთაგონებითაა გამსჭვალული ეგზისტენციალისტური აზროვნება; თუმცა ეგზისტენციალისტები ამ მხრივ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — ერთნი მარადისობისა და მისადმი ზიარების ახლებურად გააზრების გზით „ტრანსცენდირების“ პერსპექტივის აღდგენას და ამგვარად აბსურდის გადალახვას ცდილობენ, ხოლო მეორენი — ადამიანის ცხოვრების შესაძლებლობების გააზრებას ამ პერსპექტივის გარეშე ანუ აბსურდის ნიადაგზე. ალბერ კამიუ ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის — იგი თავის ნაწარმოებებში აბსურდის ნიადაგზე ანუ მარადისობისადმი ურწმუნოებისა და ამ აზრით „ნიჰილიზმის“ პირობებში ადამიანის ცხოვრების შესაძლებლობებს არჩევს.

აბსურდის ნიადაგზე ცხოვრების ერთ-ერთი შესაძლებლობა, კამიუს მიხედვით, ბურჟუაზიული ცხოვრების წესში გამოიხატება... ცდილობენ არ შეიმჩნიონ აბსურდი, გარეგნულად იცავენ ღმერთისა და მარადისობისადმი რწმენით მოტივირებულ ტრადიციულ ნორმებსა და რიტუალს — ისე იქცევიან, ვითომცდა უყვარდეთ „მოყვასი“ და ა. შ. ნამდვილად კი სავსებით დაკარგული აქვთ მხედველობიდან მარადისობის პერსპექტივა და, რაჯან ადამიანთა შორის სიყვარულს თითოეულ მათგანში ჩაგდებული „მარადისობის ნაპერწკალი“ მტკირდება, სრულიადაც არ უყვართ ერთმანეთი, სავსებით გულგრილნი და დაპირისპირებულნი არიან ერთმანეთისადმი. კამიუ პირველ ყოვლისა ტყუილისა და თვალთმაქცობის ამ გზას უარყოფს და მას გულწრფელობის პოზიციას, ანუ აბსურდის გულწრფელი აღიარების პოზიციას უპირისპირებს.

აბსურდის გულწრფელი აღიარება იმაში გამოიხატება, რომ კაცი არ ინიღბება ადამიანურ ურთიერთობათა ტრადიციული ნორმებითა და რიტუალით, დაუფარავად ამჟღავნებს თავის სრულ გულგრილობას „მოყვასისადმი“ („უცხო“). გულწრფელობის ეს პოზიცია, თავისი რადიკალური სახით, წარმოგვიდგება, როგორც ღმერთის „ვაკანტური ადგილის“ დაკავების მცდელობა ანუ ტირანული აგრესია („კალიგულა“). შემდეგში კამიუმ „უღმერთო წმინდანის“ პორტრეტის დახატვა ანუ აბსურდის ნიადაგზე ჰუმანისტურ-ეთიკური პოზიციის შესაძლებლობის დასახვა სცადა („ჭირი“), ხოლო ბოლოს ეს შესაძლებლობა ისევ შეუძლებლობად შეუტრიალდა — „უღმერთობის“ პირობებში „წმინდანობა“ კვლავ წარმოუდგა როგორც ელემენტარული ეგოიზმის შემალამაზებელი და დამფარველი ნიღაბი („დაცემა“)...

„შეუძლია თუ არა ადამიანს მარადისობის დაუხმარებლად, მხოლოდღა თავის თავზე დაყრდნობით საკუთარი ღირებულებების შექმნა“, ანუ თავისი ცხოვრებისადმი აზრის მიცემა? — ასეთ კითხვას სვამდა კამიუ ერთ თავის სტატიაში; და მისი შემოქმედება შეიძლება მოკლედ შევაფასოთ, როგორც ამ კითხვაზე პასუხის დაუსრულებელი ძიება... დაუსრულებელი აგრეთვე იმ განსაკუთრებული აზრითაც, რომ სიკვდილმა მას ცხოვრების შუაგზაზე მიუსწრო. „იმ წამსაც კი, როცა ხეს შეასკდა, იგი ეძიებდა და კითხვებს სვამდა. არა მგონია, იმ წამის გამაყრუებელ ხმაურში მას პასუხი მოეძებნოს, არა მგონია, ეს პასუხები საერთოდ მოიძებნოს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მუდამ გვჭირდება ადამიანურ აბსურდს ნაზიარები კაცი, რათა მათ ეძიებდეს. ასეთები ბევრნი არ არიან ერთსა და იმავე დროს. მაგრამ სულ ცოტა, ერთი მაინც მოიძებნება ხოლმე სადმე და ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ყველანი გვიხსნას“, — წერდა უილიამ ფოლკნერი კამიუს დაღუპვის გამო.

აქ წარმოდგენილი „ღირიული ესეები“ კამიუს ადრინდელი ნაწარმოებია, რომლებშიაც თუმცა კი მთელი ძალით არა, მაგრამ თავისებურად მაინც ჩანს მისი აზროვნებისა და შემოქმედების ძირითადი მოტივი — ბუნების სტიქიებთან ურთიერთობით ტკბობას და ელემენტარული გრძნობადი არსებობის სიხარულს აქ უშუალოდ ემიჯნება ხოლმე იმის ტრავიკული განცდა, რომ ადამიანის ცხოვრებას ამის იქით გასაქანი არა აქვს, რომ ადამიანს არარაობაში დანთქმა ელის...

ზ. კაკაბაძე

ჯვრისწერა ტიბასაში

„ჯალათმა კარდინალ კარაფას აბრეშუმის თოკი წაუჭირა დასახრჩობად. თოკი გაწყდა. იგი გამოცვალეს. კარდინალმა ჯალათს შეხედა, მაგრამ სიტყვის ღირსი არ გახადა“.

სტენდლი. „ვიოლანტე პალიანო“.

გაზაფხულზე ტიბასაში ბინადრობენ ღმერთები და ისინი ერთმანეთს ესაუბრებიან მზის, სურნელოვანი აბზინდის, ვერცხლის ჯავშანში ჩამჯდარი ზღვის, ლაყვარლი ცისა და ყვავილებში ჩაფლულ იმ ნანგრევთა ენაზე, სადაც აქა-იქ დახორილ ქვებზე სინათლის შუქი უხვად დაღვრილა. არის საათები, როცა აქაურობა დამაბრმავებელი მზისაგან სულმთლად შავი ჩანს. წამწამებზე შუქისა და ფერების ათინათი გიციმციმებს და თვალი ამაოდ ცდილობს კიდევ სხვა რამე დაინახოს. მცენარეთა მოზღვავებული სურნელი ყელში გიღიტინებს და სულს გიხუთავს ამ პაპანებაში. შორს ძლივს ვარჩევ ვეებერთელა ჩაშავებულ შენუას, სოფლის გარშემო მდებარე ბორცვებიდან რომ ამოზიდულა და მტკიცე, მძიმე ნაბიჯით დაძრულა ზემოდან, რათა ზღვაში ჩააცუროს ფეხი.

სოფლის გზით ამოვდივართ, საიდანაც ყურე მშვენივრად მოჩანს. აქედან მოყვითალო-მოდურჯო სამყაროში შევდივართ და იქ გვეფრქვევა მწკლარტე სურნელი, ვითარცა სუნთქვა, ალყირის მიწას რომ ასდის ხოლმე ზაფხულობით. საითაც არ გაიხედავ, აგარაკთა გალავნებიდან ბუგენვილებს გადმოუყვია თავი. ბაღები მიმქრალი ხეტუხტითაა სავსე, უხვად მოფენილა ათქვეფილი ნაღების მსგავსად აქაფებული ჩაის ვარდები, რომელთაც ნაზი იასამნისფერი ტანკენარი ზამბახები შემოვლებია. ყოველი ქვა ვარვარებს. დილას, ოქროს ღილივით ბრჭყვიალა ავტობუსიდან რომ გადმოვდივართ, ყასბები წითელი მანქანებით სოფელს უვლიან და მცხოვრებთ საყვირით ატყობინებენ თავიანთ მოსვლას.

ნავსადგურიდან მარცხნივ რომ გაუხვიო, უღუღაბოდ ჩაწყობილი ქვის კიბე ნანგრევებისკენ წაგიყვანს დანამასტაკის ხეებსა და უცვეთელას ბარდებში. გზა ერთ პატარა შუქურას ჩაუვლის და მერე მინდვრებში იკარგება. ამ შუქურიდან დაწყებული ნაპირის ლოდებამდე, ზღვა რომ ჩაწუწვნით კოცნის, მიწა ხორციან ღეროზე ამოფეთქილი იისფერი, ყვითელი და წითელი ყვავილებითაა მოფენილი. მზის გულზე ვდგავართ, მსუბუქი ნიავი მხოლოდ ცალი მხრიდან გველაციცება სახეზე, და ვხედავთ, როგორ ეშვება ციდან ნათელი, როგორ იცინის, როგორ აჩენს მოელვარე კბილებს უნაოჭო, გადატკეცილი ზღვა. ვიდრე ნანგრევთა სამფლობელოში შევიდოდეთ, გვინდა ამ სურათს გარეშე მაყურებლის თვალით უკანასკნელად გადავხედოთ.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და აბზინდა ყელამდე გვწვდება. ლამის დაგვახრჩოს. მისი რუხი ღეროები თვალის დასალიერამდე მოსდებია ნანგრევებს, ამ პაპანებაში ტანში ზეთი აღუღებია და ასე გგონია, მთელ სამყაროში მიწიდან მზისკენ ასული თრობის სურნელით ზეცის გუმბათიც დამთვრალა და ტორტმანებსო. ჩვენ სიყვარულისა და სურვილის შესახვედრად მივაბიჯებთ. ჩვენ არ ვეძებთ არც შეგონებას, არც იმ მწარე ფილოსოფიას, ჩვეულებრივ დიადი საჩახაობისგან რომ მოითხოვენ. ყოველივე ფუჭი და უშინაარსო გვეჩვენება გარდა მზისა, კოცნა-ამბორისა და ველური სურნელისა. მე რომ მკითხოთ, აქ არც განმარტობებს ვეძებ. ამ ადგილებში ხშირად იმათთან ერთად მოვსულვარ, ვინც მყვარებია და იმ ადამიანთა სახეზე ის ნათელი ღიმილი ამომიკითხავს, აქ რომ სიყვარულის ხატება გაუცისკროვნებია. ამ ადგილებში წესიერებისა და ზომიერების გრძნობა სხვისთვის დამითმია. აქ მთელი არსებით ზღვისა და ბუნების დაუთკებელი თვითნებობის ტყვეობაში ვიმყოფები. გაზაფხულთან ნაქორწინები ნანგრევები კვლავ ქვებად ქცეულან, ადამიანის ხელით შექენილი ბზინვარება დაუკარგავთ და ისევ ბუნებას შეერთებიან. ამ უძლებ შვილთა დაბრუნების აღსანიშნავად ბუნებას უხვად მოუფრქვევია ყვავილები. ფორუმის ფილებს შორის ჰელიოტროპს ამოუყვია მრგვალი თეთრი თავი, წითელ ნემსიწვერას კი სისხლით მოუბკურავს ყველაფერი, რაც უწინ სახლები, ტაძრები და ქალაქის მოედნები ყოფილა. საუკუნეებმა კვლავ დედის უბეს დაუბრუნეს ნანგრევები იმ სწავლულთა მსგავსად, ვინც მეცნიერებამ ისევ ღმერთის აღიარებამდე მიიყვანა. ამჟამად




წარსულმა საბოლოოდ დატოვა ისინი და უკვე აღარაფერი აკავებთ იმ დიდ ძალას დაემოხრი-
ლონ, რომელიც ვარდნილ სხეულს მიწისკენ მიეზიდება.

რამდენი საათი გამიტარებია აქ, რამდენჯერ გადამიტელავს აბზინდა, ნანგრევებისთვის ხელი გადამისვამს და ვცდილვარ საკუთარი სუნთქვა სამყაროს მშფოთვარე ოხვრასთან შემე-
თანხმებინა. აქ მე, ველური სურნელებითა და მთვლემარე მწერთა ზუზუნით გაბრუებული, სიცხით მაძლარი ცის გაუსაძლის სიდიადეს თვალსა და გულს ვუხსნი. არც ისე ადვილია და-
უბრუნდე შენს თავს, დაიბრუნო დაკარგული თანხმობის გრძნობა. მაგრამ შენუას კლდეებს რომ ვუყურებდი, სულში უცნაური სიმშვიდის გრძნობა მისადგურდებოდა. აქ მე უკეთ ვსუნთქავდი, აქ სულიერ მთლიანობასა და სისავსეს ვპოულობდი, ხან ერთ ფერდობს ავყვებო-
ბოდი, ხან მეორეს და ყველგან რაღაც ჯილდო მელოდა. აგერ, აქ ტაძარი დგას, რომლის სვეტები მზის სრბოლას ათანაზომიერებენ. აქედან მთელი დაბა თითქოს ხელისგულზე ჩანს თავისი თეთრი და ვარდისფერი სახურავებით და მწვანე ვერანდებით. აგერ, აღმოსავლეთის ბორცვზე ბაზილიკაა ამართული: მისი კედლები ჯერ ისევ შემონახულა, გარშემო კი კარგა მან-
ძილზე ამოთხრილი სარკოფაგების მწკრივს დაინახავთ, რომელთა უმრავლესობა ისევ მიწასაა ჩახუტებული და ძლივსა ჩანს. სარკოფაგებში მიცვალებულნი განისვენებდნენ, ახლა კი შიგ
სალბი და ყვითელი ლეგკოიონი იზრდება. სენ-სალსის ბაზილიკა ქრისტიანულია, მაგრამ ყო-
ველთვის, როცა კი რომელიმე ნაპრაღში შეიხედავ, იქიდან მთელი სამყაროს მელოდია იჭრება გულში: ფერდობები ნაძვითა და კვიპაროსებითაა მოფენილი, ოციოდე მეტრზე კი ზღვა თეთრ-
ქოჩორა ტალღებს მოაგორებს. გორაკის თავი, სადაც სენ-სალსაა აღმართული, ვაკეა და ქარი იქ, ტაძრის სვეტებში უფრო მძლავრად თარეშობს. დილის მზის სხივებქვეშ სივრცე უდიდესი ნეტარებით სუნთქავს.

ლატაკნი არიან ისინი, ვისაც მითები დასჭირებიათ. აქ თვით ღმერთები გიწევენ კალაპო-
ტისა ან სარყეთა მაგივრობას, დღეთა სრბოლას რომ ნიშნად დაუტოვებია. როცა აქაურობას აღვწერ, ვამბობ: „ეს წითელია, ეს ლურჯი, ეს მწვანე, ეს ზღვა, ეს კი მთები და ყვავილები“. განა დიონისე უნდა ვახსენო იმისთვის, რომ ვთქვა, დანამასტაკის კვირტების ხელით გასრესა და ცხვირთან მიტანა მიყვარს-მეთქი? ან განა უსათუოდ დემეტრესადმი უნდა იყოს მიძღვ-
ნილი ის ძველისძველი ჰიმნი, რომელიც მერმე თავისთავად აღმიდგა მეხსიერებაში: „ბედნიერია ის ბინადარი ამა ქვეყნისა, ვინც ყოველივე ესე იხილა“. ხედავდე და ხედვად ჰყო ყოველივე მიწიერი, — როგორ შეიძლება ამ აღთქმის დავიწყება? ელევსინის მისტერიების მონაწილე-
თათვის ჭკრეტა საკმარისი იყო. მე ვიცი, აქაც კი ვერასოდეს დავუახლოვდები სამყაროს. უნდა გავშიშვლდე და ზღვაში შევცურო, მიწის სურნელისგან განვიბანო და ჩემი სხეულით ერთმა-
ნეთს გადავაჭდო ბაგეებშეწებებული ზღვა და დედამიწა, რომლებიც დასაბამიდან ოხვრით მიილტვიან, რათა ერთმანეთს გულში ჩაეკრან. ზღვაში ისე შევდივარ, თითქოს ცივი და მღვრიე ფისი იყოს, — ჯერ შემაჯრუოლებს, მერე ჩავყვინთავ, ყურები მიშხუის, ცხვირიდან წყალი მდის, პირი მწარე მაქვს, — მე კი მივცურავ და ალაბლაპებული მკლავები ხან ამომაქვს წყლი-
დან, რომ მზემ ოქროსფრად შემიღებოს, ხან კი წყალში ჩამაქვს; ზედ ყოველი კუნთი მითრთის, ირგვლივ წყალი ჩქეფს, ტალღებს ვწყდები, — და დასალიერი თვალთაგან მეკარგება. მერე ნაპირის ქვიშაზე ვეცემი, ჩემი ძვალ-რბილი კვლავ იძენს სიმძიმეს, ერთხანს უნდილად ვგდი-
ვარ, მზით გათანგული დროდადრო ჩემ მკლავებს დავცქერი და ვხედავ, როგორ მოგორავს ზედ წყლის წვეთები. იმ ადგილებზე კი, სადაც კანი გამშრალა, ოქროსფერი ღინღლი და მა-
რილის ნალექი მოჩანს.

აქ კარგად მესმის, რას ნიშნავს იყო რჩეული რჩეულთა შორის: ეს არის უფლება უზო-
მო სიყვარულისა. ამქვეყნად მხოლოდ ერთი სიყვარული არსებობს. როცა ქალის სხეულს მაგ-
რად ეხვევი, იგივეა, შეისრუტო ის უცნაური სიხარული, ზეციდან რომ ზღვას უერთდება. როცა მიწაზე დავეცემი და აბზინდებში ჩავეფლობი, რათა სხეული მათი სურნელით გამეყდინ-
თოს, წამსვე მეუფლება შეგრძნება, რომ იმ ჭეშმარიტების შესაბამისად ვიქცევი, რომლის ძალით მზე უნდა ანათებდეს, მე კი ერთ მშვენიერ დღეს წუთისოფელს გამოვესალმო. თით-
ქოს აღჩუხე ვაგდებ ჩემს სიცოცხლეს, სიცოცხლეს ქვებით გამთბარს, სიცოცხლეს აღსავსეს ზღვის ოხვრითა და კალიების ჭრიჭინით, ახლა რომ შემოსძახეს თავიანთი სიმღერა. ზღვაზე გრილი სიო ნავარდობს, ზღვა ლაყვარდისფერია. ეს ცხოვრება მე თავდავიწყებით მიყვარს და შეუჩერებლივ მინდა მასზე ვილაპარაკო: იგი ჩემი ბედის, ჩემი ადამიანური ბედის გამო სი-
ამაყეს მანიჭებს. თუმცა ხშირად უთქვამთ, სულაც არაფერია საამაყო, მაგრამ განა საამაყო არ არის ეს მზე, ეს ზღვა, ახალგაზრდულად მოფართხალე ეს ჩემი გული, ჩემი მარილიანი სხეული და ეს თვალშეუდგამი სივრცე, სადაც სინაზე და დიდება ერთმანეთს ყვითელი და



ლურჯი ფერებით შეხამებია. ეს ყოველივე უნდა დავიხსოვო და მათ უნდა მოვხმარო მთელი ჩემი ძალა და ჩემი უნარი. ამ ადგილებში ხელს არაფერი მიშლის ვიყო ის, რაც ვარ. აქ არაფერს ვიკრძალავ, არავითარ ნიღაბს არ ვიკეთებ: ჩემთვის საკმარისია მოთმინებით შევისწავლო, თუ ვით ვიცხოვრო. ეს ძველი მეცნიერებაა, მაგრამ ცხოვრების ყველა სხვა სიბრძნის ცოდნადა ღირს.

ვიდრე შუადღე მოაწევდეს, ნანგრევებით ჩამოვდივართ ნავსადგურის პატარა კაფეში. რა სასიამოვნო თავშესაფარია ეს გრილი, უმზეო დარბაზი, რა საამური დასაღვრია დიდი ჭიქით ყინულოვანი პიტნის წყალი, როცა საფეთქლებს სიცხისა და ფერთა სიუხვისაგან რაკარტუკი გაუდის! გარეთ ზღვაა, გზაზე — გავარვარებული ქვიშა. მაგიდას ვუზივარ და ვცდილობ მოჭუტული თვალებით სიცხისაგან გადათეთრებული ცის დამაბრმავებელი შუქი დავიჭირო. სახეზე ოფლი გვდის, მაგრამ ტანი გრილი გვაქვს, რადგან მსუბუქი ტილოს ტანისამოსი გვაცვია. დაღლილი ვართ, მაგრამ ბედნიერი იერი გვადევს, თითქოს დღეს ამ სამყაროსთან ჯვრისწერას ვზეიმობდეთ.

ამ კაფეში რიგიანი საჭმელი არა აქვთ, ხილი კი ბევრია, მეტადრე ატამი. ატამს ვჭამ და წვენი ნიკაპზე ჩამომდის. კბილი ატამში მაქვს ჩასობილი, საფეთქლებში სისხლის ფეთქვას ყურს ვუგდებ და აქეთ-იქით გაფაციცებით ვიყურები. ზღვაზე შუადღის ყოვლისმომცველი დუმილია ჩამომდგარი. ბუნებრივია, ყოველი წარმტაცი არსება თავისი სილამაზით ამაყოფს, და სამყაროს ეს სიამაყე დღეს ყველაფერში გამოსჭვივის. მაშ, რიდასთვის ვთქვა ცხოვრების სიხარულზე უარი, თუ ჩემთვის ცხოვრების სიხარული სხვა დანარჩენს არ გამოორიცხავს? განა რა სირცხვილია იყო ბედნიერი, მაგრამ დღეს რეგვენია გამეფებული. რეგვენს კი იმას ვეძახი, ვისაც ეშინია ცხოვრებით დატკბეს. ბევრი გვიჩიჩინეს, ნუ დაგავიწყდებათ, სიამაყე სატანური შეცოდებააო. ჩაგვძახოდნენ, — ფრთხილად იყავით, თავსაც დალუპავთ და თქვენს სასიცოცხლო ძალასაც! მას შემდეგ გავიგე, რომ გარკვეული სიამაყე თურმე მართლაც... მაგრამ ზოგჯერ არის წუთები, როცა უარს ვერ ვამბობ ჩემს უფლებაზე სიცოცხლით ვიამაყო, რამეთუ მთელ ქვეყანას პირი შეუკრავს ჩემს არსებაში ეს გრძნობა ჩანერგოს. ტიპასაში იხილო ყოველივე, — ეს იმას ნიშნავს, ირწმუნო კიდევ, და მე არ ძალმიძს უარყო იმის არსებობა, რასაც შეიძლება ხელით შევეხო და ბაგით მიველაშუქო. სულაც არა მსურს ხილულისაგან ხელოვნების ნიმუში შევქმნა, მაგრამ მინდა კი მოვყვე ამაზე. ეს კი სულ სხვაა. ტიპასა ჩემს თვალში იმ გმირებსა ჰგავს, რომელთა აღწერისას თავიანთი შეხედულებას სამყაროზე არაპირდაპირი გზით გვამცნობენ ხოლმე. ტიპასაც ხომ გვიმოწმებს ამ შეხედულებას, და ვაჟკაცურადაც გვიმოწმებს. დღეს ტიპასა ჩემი გმირია და ასე მგონია, მისი სიყვარულით აღწერისას ვთვრები და ვთვრები. ცხოვრებას და ცხოვრების აღბეჭდვასაც თავისი დროს აქვს. ბოლოს შემოქმედებასაც მოუწევს ხოლმე ჟამი, რაც უკვე ნაკლებ ბუნებრივია. ჩემთვის საკმარისია სხეულის ყოველი ნაკვთით ვიცხოვრო და ცხოვრება მთელი არსებით ვირწმუნო, ტიპასას ცხოვრებით ვიცხოვრო და აღვბეჭდო იგი, შემოქმედება კი შემდგომ მოვა. სწორედ ესაა თავისუფლება.

* *

ერთ დღეზე მეტი ტიპასაში არასოდეს დავრჩენილვარ. ყოველთვის დადგება ხოლმე წუთი, როცა გრძნობ, ბუნების სურათს მეტისმეტად შევაჩვიეო თვალი, ისევე როგორც ხშირად ხდება, რომ მხოლოდ კარგა ხნის მერე აღვიქვია მისი სიტურფე. მთები, ცა, ზღვა შეჩვეულ სახეებს ჰგვანან და უცაბედად გაგაკვირვებს მათი სიძაბუნე თუ მშვენიერება იმიტომ, რომ მანამდე მხოლოდ უყურებდი და ვერ კი ხედავდი. მაგრამ ყოველი სახე რომ მჭევრმეტყველი გახდეს, იგი ერთგვარად უნდა განახლდეს. ადამიანები ჩივიან, ყოველივე ძალიან მალე გვეყირჭდებაო, თუმცაღა უნდა გვიხაროდეს, ეს სამყარო მხოლოდ იმიტომ გვეჩვენება ახალი, რომ დავივიწყეთ, როგორია იგი.

სალამობით ვბუნდებოდი ხოლმე პარკის შედარებით მოვლილ და ბაღნარად ქცეულ კუთხეში, რომელიც შარავზას ემიჯნებოდა. სურნელებასა და მზის გახელებულ მცხუნვარებას რომ თავს დავალწევდი და სალამოს სიგრილეს შევეფარებოდი, გონება მიმშვიდდებოდა, მოთენთილი სხეულიც ტკბებოდა შინაგანი სიმშვიდით, რასაც დაკმაყოფილებული სიყვარული წარმოშობს. მერხზე ვჯდებოდი და შევეყურებდი, როგორ ერკალებოდა დაბას ყოველი მხრიდან სალამოს მწუხრი. ყელთამდე მაძლარი ვიყავი. ბროწეულის ხეს თავისი გაუშლელი კვირტები პატარა მუშტებივით გადმოეფინა, რომლებშიც გაზაფხულის მთელი იმედები მომწყვდებულ-

ყო. ჩემ უკან როზმარინი ხარობდა და მისი დამატრობელი სუნი მცემდა. ხეთა შორის გორაკები მოჩანდა, უფრო შორს კი ზღვის არშია, რომელზეც, მსგავსად უქარო ზღვაზე მოსრიალენი იალქნისა, ცის გუმბათი ესვენა უსაზღვრო სინაზით სავსე. გული უცნაური სიხარულით მეცხებოდა და ეს ისეთი სიხარული იყო, რასაც დამშვიდებული სინდისი გვანიჭებს ხოლმე. ასეთი გრძნობა მსახიობებს ეუფლებათ როლის კარგად შესრულების შემდეგ, ესე იგი, როცა მათი ქცევა, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, მათ მიერ განსახიერებულ იდეალურ გმირთა ქცევას შეეთანხმება, როცა მათ, ასე ვთქვათ, წინასწარ შექმნილ ნახატში დაისადგურეს და საკუთარი გულისცემით გააცოცხლეს იგი. სწორედ ამასვე ვგრძნობდი მეც: მე კარგად ვითამაშე ჩემი როლი. მე ჩემი ადამიანური საქმე შევასრულე და აქ რომ მთელი ეს ერთი გრძელი დღე ნეტარებას ვეძლეოდი, განსაკუთრებულ გამარჯვებად კი არ მიმიჩნევია, არამედ იმ მოწოდების ამაღლებებელ განხორციელებად, რაიცა გარკვეულ ვითარებაში გვავალებს ბედნიერნი ვიყოთ. მაშინ ჩვენ ისევ გვიბრუნდება მარტოობა, ოღონდ ამჯერზე ყოველმხრივ დაკმაყოფილებული.

* *


ახლა ხეები ჩიტებს დაეხუნძლათ. მიწა მძიმედ ოხრავდა, ვიდრე სიბნელეში ჩაიძირებოდა. პირველსავე ვარსკვლავთან ერთად სამყაროს სცენაზე ღამე ჩამოწვება. ნათელმოსილი ღმერთები თავიანთი ყოველდღიური სიკვდილის ჩრდილს შეეფარებიან. მაგრამ მათ სხვა ღმერთები შეცვლიან. უფრო პირქუშნი და დაძაბუნებულნი ისინი მიწის წიაღში წარმოიშვებიან.

მანამდე კი ხეებს შორის დარჩენილი ღიობებიდან ოქროსფერი მტვერი ცეკვავდა და ჩემამდე აღწევდა ტალღების დაუსრულებელი ტლაშუნი ნაპირის ქვიშაზე. აქ იყო ზღვა, მინდვრები, მღუმარება, კეთილსურნელება მიწისა... მე ვისუნთქავდი სურნელებით სავსე სიცოცხლეს, ვკბეხდი ამ თვალწარმტაცი სამყაროს უკვე მწიფე ხილს და მღელვარებით ვგრძნობდი, როგორ მდიოდა ტუჩებზე მისი ტკბილი წვენი. არა, მთავარი არც მე ვიყავ და არც სამყარო, მთავარი იყო მხოლოდ ის თანხმობა და მღუმარება, ჩემსა და სამყაროს შორის სიყვარული რომ წარმოექმნა, სიყვარული, რომელსაც, ღვთის მადლით, მარტო მე არ ვიჩემებდი და სიამაყის გრძნობით მთელ ტომს ვუნაწილებდი, ტომს მზითა და ზღვით შობილს, სიცოცხლის უნარით სავსეს, ტომს, რომელიც თავის დიდებას უბრალოებაში ჰპოვებს და, ზღვის პირად მდგარი, ცის მოკაშკაშე ღიმილს თანაზიარი ღიმილით უპასუხებს.

ქარი ჯემილაში

არის ადგილები, სადაც კვდება სული და იბადება ჭეშმარიტება, ვითარცა მისი პირდაპირი უარყოფა. ჯემილაში ქარი და მზე დამხვდა, მაგრამ ამაზე შემდეგ იყოს. ჯერ კი ის უნდა ითქვას, რომ იქ მეფობდა ღუმილი, მძიმე და ურყევი, მსგავსად გაწონასწორებული სასწორის ისრისა. ჩიტების ყიფივი, სამნასვრეტიანი სალამურის ხრინწიანი ხმა, თხების ბაკუნი, შორეული გუგუნე ცისა, — ეს ხმები ქმნიდა ამ ადგილებში სიჩუმისა და უკაცრიელობის გრძნობას. დროგამოშვებით გაიგონებდით ფრთების ფართხუნს, გამგმირავ ყვირის, და ქვეებს შორის განაბული ფრინველი აფრინდებოდა. რომელ გზასაც არ დაადგები, ნასახლარებში მიმავალ ბილიკს, პრიალა სვეტებს შორის გაყვანილ ფილებით მოფენილ დიდ ქუჩას, თუნდაც იმას, ტრიუმფალურ თალსა და ტაძარს შუა გორაკზე გამომდგარ ვეება ფორუმისაკენ რომ მიდის, ყველა გზა იმ ხრამებთან მიგიყვანს, უკიდვანო ცის ქვეშ ბანქოს ქალღმერთით გაშლილ ჯემილას ყოველი მხრიდან რომ ირგვლივ ერტყმიან. და შენც ერთბაშად ქვეებისა და ღუმილის პირისპირ აღმოჩნდები, მათ სამეფოში მომწყვდეული. ეს გრძნობა მით უფრო ვიძლიერდება, რაც უფრო იზრდება და ლილისფერდება შებინდებისას მთები. მაგრამ ჯემილას ზევანზე ქარი ქრის და ქარისა და მზის ეს საშინელი ორომტრიალი ამ ნანგრევებში ისეთ რასმე წარმოშობს, რაიც ადამიანს აგრძნობინებს, რაზომ დიდია მისი ერთობა განმარტოებასა და მკვდარი ქალაქის მღუმარებასთან.

ჯემილაში მისასვლელად დიდი დროა საჭირო. იქ გზად ვერ გაივლი და დიდხანსაც ვერ შეჩერდები. ჯემილადან ვერსად მოხვდები, ის არც ერთ ოლქს არ ემიჯნება. ეს ისეთი ადგილია, საიდანაც მხოლოდ უკან უნდა დაბრუნდე. მკვდარი ქალაქი ერთი გრძელი მიხვეულ-მოხვეული გზის ბოლოში მდებარეობს და ეს გზა უფრო გრძელი გეჩვენება, ვიდრე არის, ვი-



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს


ნაიდან ყოველ მოსახვევში გგონია, აი, ახლა გამოჩნდება ქალაქი და აი, ახლა, როცა ბოლოს და ბოლოს მკრთალად შეფერილ ზეგანზე უეცრად ძვლების ტყესავით ამართული მისი მოყვითალო ჩონჩხი დაილანდება, ჯემილა სიყვარულისა და თმენის იმ ალტქმის სიმბოლოდ წარმოგვიდგება, რომლისადმი მარტოოდენ ერთგულებას თუ შეუძლია სამყაროს მთრთოლვარე გული გაგვიხსნას. აქ, სულ რამდენიმე ხესა და გამხმარი ბალახის საუფლოში, იგი თავისი მთებითა და ქვევებით თავს იცავს ტლანქი ალტაცების, სურათოვნების სიყვარულისა და ფუჭი ფანტაზიისაგან.

ჩვენ დიდხანს ვიხეტიალეთ ამ უდაბურ დიდებულ სამყაროში. ქარი, შუადღისას რომ ოდნავ იგრძნობოდა, თანდათან გაძლიერდა და თითქოს მთელი სანახები აავსო. იგი შორს, აღმოსავლეთით მთებში უბერავდა და, ჰორიზონტიდან მოვარდნილი, ქვეებისა და მზის სამფლობელოში დათარეშობდა. მძლავრი ქარი შეუჩერებლად ზუზუნებდა ნანგრევთა შორის, ამ ქვის ცირკში მიწას აბორიალებდა, გორებად დახორილ დაცხრილულ ლოდებში დაშხუოდა, სვეტებს ზუზუნით გარს უვლიდა და დაუოკებელი ღმუილით თარეშობდა ცის ქვეშ გადახსნილ ფორუმზე. ქარი ხომალდის ანძასავით მაჭრიალებდა, ძვალ-რბილს მიმტვრევდა. თვალბდასისხლიანებულს და ტუჩებდახეთქილს კანი ისე გამომშრობოდა, ვეღარც კი ვგრძნობდი. მანამდე ჩემი კანის შემწეობით სამყაროს ხელრთვას ვარჩევდი, ქარი მასზე თავისი ალერსისა თუ რისხვის ასოებს წერდა, ზაფხულის სუნთქვით ათბობდა ან სუსხიანად იკბინებოდა. მაგრამ ქარმა ისე მგვემა, მთელი ერთი საათი ისე მანჯღრია და გამასავათა, რომ ბოლოს იმის გრძნობაც დამიკარგა, რას აღიბეჭდავდა ჩემი სხეული. როგორც მიქცევა-მოქცევა აპრიალებს ზღვის კენჭებს, ისე გამაპრიალა ქარმა თავით ფეხამდე. მე უფრო მეტად და მეტად ვეზიარებოდი ამ ძალას, რომლის ნება-სურვილზეც ვირყეოდი, და ბოლოს კიდევ შევერწყე, ყოვლისმომცველი ბუნების ძლიერსა და მეღერ გულისცემას შევუერთე ჩემი მაჯისცემა. ქარი იმ მხურვალე სიშიშვლის ყაიდაზე მძერწავდა, ჩემ გარშემო რომ იყო გამეფებული, და მის წამიერ ხვევნაში მე, თვითონ ქვა ამ ქვათა საუფლოში, სვეტისა თუ ზეთისხილის ხის სიმარტოვეს ვგრძნობდი ზაფხულის ცის ტატნობზე.

ქარსა და მზეში ამ შმაგმა განზანგამ მთლად დამიშრიტა სასიცოცხლო ძალები. ჩემს არსებაში ოდნავდა ფეთქავდა ნებისყოფა, სიცოცხლე ჩიოდა, გონება სუსტად მეურჩებოდა, მეჩვენებოდა, რომ სულ მალე ქვეყანაზე ყველაფერს და საკუთარ თავსაც კი დავივიწყებდი, ჰაერში გავიფანტებოდი და ამ ქარად, ამ სვეტებად, ამ თალად, ამ ქვის ფილებად გადავიქცეოდი, ამდენ სითბოს რომ გამოსცემენ. გადავიქცეოდი ამ ფერმკრთალ მთებად, უდაბურ ქალაქს რომ გარს შემორტყმია. აქამდე არასოდეს განმიცდია ესოდენ ძლიერი გრძნობა საკუთარი თავისგან განდგომისა და ამავე დროს სამყაროში ჩემი ყოფნა-არსობისა.

ღიახ, მე ვიმყოფები, და ამ წუთში ის მალეღვებს, რომ ამაზე შორს წასვლა აღარ ძალმიძს, როგორც სამუდამო პატიმრობას მისჯილ ადამიანს: ყველაფერი თანა აქვს, რაც მისთვის არის საჭირო. აგრეთვე ისეთ კაცს, ვინაც იცის, ხვალინდელიცა და ყველა დანარჩენი დღეებიც ერთმანეთის მსგავსი იქნება, ვინაიდან თუ აღაშინა თავისი აწმყო შეიცნო, ეს იმას ნიშნავს, სხვას აღარაფერს უნდა ელოდოს. მხოლოდ ყველაზე ტლანქი ბუნების სურათების აღქმას ასე თუ ისე სულიერ მდგომარეობაზე დამოკიდებული. ამ მხარეში ყველგან ისეთ რაღაცას ვგრძნობდი, რაც მე კი არ მომეტანა, არამედ მისთვის იყო ჩვეული. ეს ერთგვარი სიკვდილის შეგრძნება გახლდათ, რაიც გვაერთიანებდა. აქ, სვეტებს შორის, სადაც ახლა ირიბი ჩრდილები იწვა, შფოთი და მოუსვენრობა ჰაერში ისე ქრებოდა, როგორც დამფრთხალი ფრინველი. მის ადგილს კი რაღაც უღმობელი სიფხიზლე იკავებდა. შფოთი და მოუსვენრობა იმის გულში იბადება, ვინც ცხოვრობს. მაგრამ შემდგომ ეს ცოცხალი გული ჩერდება. ამის მეტს ვერას ამბობდა ჩემი ნათელმხილაობა. რაც უფრო იცრიცებოდა დღე, რაც უფრო ყუჩდებოდა ხმები და მკრთალდებოდა შუქი ბინდბუნდის ფერფლში, მე, საკუთარი თავისგანვე მიტოვებული, ვგრძნობდი, რა უსუსური ვიყავ ჩემს არსებაში მომწიფებულ უარყოფის ძალთა წინაშე.

ცოტა ვისმე თუ ესმის, რომ ბევრი რამ შეიძლება აიკრძალო, მაგრამ ამას განდგომილებასთან საერთო არაფერი აქვს. რას ნიშნავს აქ სიტყვები „მომავალი“, „კეთილდღეობა“, „მდგომარეობა“? რას ნიშნავს სულიერი განვითარება? თუ მე ჯიუტად უარს ვამბობ ამქვეყნად ყველანაირ „ოდესმეზე“, ეს ჩემთვის სწორედ იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ ჩემს საუნჯეს არ განვუდგე. არ მინდა ვირწმუნო აზრი, რომ სიკვდილი რაღაც სხვა ცხოვრების კარს გვიხსნის. ეს კარი ჩემთვის დახშულია. არა, ეს ის ზღურბლი არ არის, რომელსაც უნდა გადააბიჯო. ეს შემზარავი, საძაგელი რამ არის. ყველაფერი, რასაც მე მთავაზობენ, იქითკენაა მიმართული, რომ ადამიანი საკუთარი ცხოვრების ტვირთისგან იხსნან. მაგრამ როდესაც ვუცქერ, რა მძიმედ დაფრინავენ ჯემილას ცაში უცნაური დიდრონი ფრინველები, სწორედ ცხოვრების ამ




ტვირთს მოვითხოვ და ვიღებ კიდევ. ერთადერთი ის შემიძლია, რომ ამ პასიური ვნები-
სას მთლიანობა არ დაგვარგო, დანარჩენი კი ჩემზე არ არის დამოკიდებული. სიჭაბუქე შე-
ტისმეტად მომჭარბებია, რომ სიკვდილზე ვილაპარაკო. მაგრამ ვფიქრობ, თუკი მაიძულებენ
სიკვდილზე ვილაპარაკო, სწორედ აქ ვიპოვი საჭირო სიტყვებს, რათა გამოვთქვა შიშითა და
მღუმარე ძრწოლით აღქმული, ყოველგვარი იმედისაგან დაცლილი ის ჭეშმარიტება, რომ სიკ-
ვდილი გარდუვალია.

ყოველი კაცი მუდამ რაიმე ახლობელი იდეებით ცხოვრობს, ორი ან სამი იდეით. ახალი
ჭვეყნებისა თუ ახალი ადამიანების ხილვისას ამ იდეებს ვაშალაშინებთ და ვასხვაფერებთ. ათი
წელიწადი მაინც უნდა, ისეთი ახალი იდეა რომ მოგივიდეს თავში, რაზეც ღირდეს ლაპარაკი.
ბუნებრივია, ეს ცოტათი თავგზას უბნევს ადამიანს, სამაგიეროდ საშუალებას აძლევს სამყა-
როს თვალწარმტაც სახეს დააკვირდეს. აქამდე ის სამყაროს პირისპირ უყურებდა, ახლა კი
გვერდიდანაც უნდა შეხედოს. ახალგაზრდა კაცი სამყაროს პირისპირ შეჰყურებს, ჯერ ვერ მო-
უსწრია სიკვდილისა თუ არყოფნის იდეა გააშალაშინოს, მაგრამ იგი შიშის ძრწოლას ჰგვრის.
ეგების სწორედ ეს არის ახალგაზრდობა, ეს სასტიკი პირისპირ დგომა სიკვდილთან, ეს ფიზი-
კური შიში მზისმოყვარული ცხოველისა, წინააღმდეგ იმისა, რაც ჩვეულებრივ ითქმის ხოლმე.
ახალგაზრდობა, ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ, არავითარ ილუზიას არ იქმნის. მას არც დრო
გააჩნია, არც დვთისმოსაობა — თავისი თავისთვის ილუზიები შეიქმნას. და რატომღაც, როცა
აქაურ კუშტ ბუნებას შევყურებ, როცა მესმის ქვათა მწუხარე, დიდებული ლაღადი, როცა
დაისის სხივებში გახვეულ ავბედით ჯემილას ვხედავ, როცა იმედთა და ფერთა სიკვდილს ვესწ-
რები, მწამს, რომ ადამიანები, ვინაც ღირსია ადამიანად წოდებისა, სიცოცხლის უკანასკნელ
წუთებში ისე პირისპირ შეხედავენ არყოფნას, უარყოფენ თავიანთ იდეებს და ისევ მოიპოვე-
ბენ იმ უმანკობასა და სიალალეს, ბედისწერის წინაშე წარმსდგარ ანტიკური ხანის ადამიანთა
თვლებში რომ გამოკრთის. სიკვდილის ბრჭყალებში მათ კვლავ ახალგაზრდობა უბრუნდებათ,
ამ მხრივ არაფერია ავადყოფობაზე უფრო საძაგელი. იგი წამალია სიკვდილის წინააღმდეგ.
იგი გვაჩვენებს სიკვდილს. იგი გვასწავლის სიკვდილს და ამ სწავლების პირველი საფეხური სა-
კუთარი თავისადმი გულაჩუყებაა. იგი საყრდენია ადამიანისათვის, ვინც ძალუმაღ ცდილობს
გაუსხლტეს იმ უეჭველ ჭეშმარიტებას, რომ მთლიანად კვდება. მაგრამ ჯემილა... აქ მე კარ-
გად ვგრძნობ, — ცივილიზაციის ერთადერთი ნამდვილი პროგრესი, რომელსაც ადამიანი დრო-
დადრო ეზიარება, ისაა, რომ იგი ქმნის ადამიანებს, რომელნიც შეგნებულად კვდებიან.

მე მუდამ მაკვირვებდა ის ამბავი, რომ მაშინ, როცა ჩვენ სხვა საგნებზე ასე დახვეწილად
ვმსჯელობთ, სიკვდილზე მსჯელობისას აზროვნების უბადრუკობას ვიჩენთ. სიკვდილი ან სი-
კეთეა ან ბოროტება. მე მისი მეშინია ან მას ვუხმობ (როგორც ზოგიერთი ამბობს). მაგრამ
ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ყოველივე მარტივი და უბრალო ჩვენს გაგებას
აღემატება. რა არის ლურჯი ფერი და როგორ შეგვიძლია განვმარტოთ იგი? ასევე გვიძნელ-
დება სიკვდილზე მსჯელობაც. ჩვენ არ ძალგვიძს მსჯელობა ფერებზე და სიკვდილზე. მაგრამ
რა შეიძლება იყოს ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩემ წინაშე განრთხმული ადამიანი,
მძიმე, ვით მიწა, ეს ხომ ჩემი მომავლის პირველსახეა? და შემიძლია კი ნამდვილად ვიფიქრო
ამ მომავალზე? დიახაც. უნდა მოვკვდე-მეთქი, ვეუბნები ჩემს თავს, მაგრამ ეს არაფერს ნიშ-
ნავს, ვინაიდან ძალა არ შემწევს ის ჭეშმარიტება ვირწმუნო და მხოლოდ ის ძალმიძს, სხვისი
სიკვდილის მოწმე ვიყო. მე მინახავს, როგორ კვდებიან ადამიანები. ძალიან ხშირად ძაღლების
სიკვდილიც მინახავს. მათი ხელის დაკარება ძრწოლვით მავსებდა. ასეთ წუთებში ყვავილებზე,
ლიმილზე, ქალებზე ვფიქრობდი. და მესმის, რომ მთელი ჩემი შიში სიკვდილის მიმართ სიცო-
ცხლის მხურვალე სიყვარულის ბრალია. მე მშურს იმათი, ვინც იცოცხლებს და ვისთვისაც
ყვავილები და ქალები მთელი თავიანთი სისხლ-ხორციით იარსებებენ. შურიანი ვარ, რადგან
მეტისმეტად მიყვარს სიცოცხლე, რათა თავკერძა არ ვიყო. რა მესაქმება მარადიულობასთან?
შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს ლოგინად ჩავარდნილს მითხრან: „თქვენ ძლიერი ადამიანი
ხართ და ვერ დაგიმალავთ, მალე მოკვდებით!“ შენ კი, რაც ძალი და ღონე გაქვს, სიცოცხლეს
მოებლაუჭები, შიშით ძრწოლაატანილი უაზრო თვლებით სიცარიელეს ჩააცქერდები. რა არის
ამასთან შედარებით სხვა დანარჩენი! ამის გაფიქრებაზე საფეთქლებში სისხლი მაწვება და
ასე მგონია, ირგვლივ ყოველივეს დავლევ-დავამსხვრევ.

მაგრამ ადამიანები ისიცებიან მიუხედავად თავისი სურვილისა, მიუხედავად იმ ყველაფრი-
სა, რითაც ცხოვრებას ილამაზებენ. მათ ამშვიდებენ: „აი, როცა გამოჯანმრთელდები...“ —
ისინი კი კვდებიან. მე ეს არ მინდა. ვინაიდან, თუ ზოგჯერ ბუნება ტყუის, ზოგჯერ მართალსაც
გვეუბნება. ამ საღამოს ჯემილა სიმართლეს ამბობს, და ჰოი, რა გულში ჩამწვდომია მისი მწუ-



ხარე სილამაზე! რაც შემეხება მე, არ მინდა ვიცხოვრო ამ ქვეყნის წინაშე და არც ის მინდა, რომ მომატყუონ. მინდა ბოლომდე ვზილო ტვირთი სიცხადისა და გარდაუვალ დასასრულს შიშითა და ეჭვით შეპყრობილმა შევხედო. სიკვდილისა იმდენად მეშინია, რამდენადაც სამყაროს გამოვეყოფი, რამდენადაც ჩემს ბედს ცოცხალ ადამიანთა ბედს ვუკავშირებ, იმის მაგივრად, რომ მარადიული ცა ვჭვრიტო. შექმნა ადამიანი, რომელიც შეგნებულად მოკვდება, ნიშნავს შეამცირო ის მანძილი, სამყაროს რომ გვაშორებს და უსიხარულოდ დანებდებ ბედის ჩარხს იმ შეგნებით, რომ წუთისოფლის მშვენიერება და თვალწარმტაცობა სამუდამოდ უნდა დაკარგო. და ჯემილას გორაკების სევდიანი სიმღერის მოსმენაზე სულის სიღრმემდე ამ მოძღვრების მწარე ჭეშმარიტებით ვიმსჭვალე.

* * *

საღამო უამს ბილიკებით ავდივართ სოფლისაკენ. უკან დაბრუნებისას კი გვიხსნიან: „აქ მდებარეობს წარმართული ქალაქი. ის ადგილი კი, მოშორებით, ქრისტიანული ნაქალაქარია. უფრო მოგვიანებით...“ დიახ, ასეა. აქ ერთმანეთს ცვლიდნენ საზოგადოებები და ადამიანები. დამპყრობლებმა ამ მხარეს თავიანთი უნტეროფიცრული ცივილიზაციის დალი დაასვეს. მათ მდაბალი, სასაცილო წარმოდგენა ჰქონდათ დიდებაზე და თავიანთი იმპერიის დიდებას მათ მიერ დასახლებული ფართობით ზომავდნენ. მაგრამ სასწაული ის არის, რომ მათი ცივილიზაციის ნანგრევები თვით მათი იდეალის უარყოფაა. რადგან ამ ქალაქ-ჩონჩხს, ამოდენა სიმადლიდან რომ მოჩანს საღამოს ბინდში და მის ტრიუმფალურ თაღს თეთრი მტრედები დაჰფარფატებენ, სულაც არ აპყავდა ცამდე ძლევისა და ძალაუფლების ნიშნები. სამყარო ყოველთვის ამარცხებს ისტორიას. მე კარგად მესმის პოეზია ჯემილას ქვათა ლაღადისა, რაიც ამ მთებსა და მღუმარებაში ამ ცის ქვეშ ისმის: ეს არის პოეზია აზრის სიფხიზლისა და გულგრილობისა, სასოწარკვეთისა და სილამაზის ჭეშმარიტი ნიშნებისა. გული გვეკუმშება ამ სიღიადის წინაშე, რომელსაც უკვე ვტოვებთ. უკან გვრჩება ჯემილა, სადაც ცა ასე უფერული და ნაღვლიანია, სადაც ზეგნის მეორე მხარეს რომელიღაც ჩიტი გალობს, სადაც მთის ფერღობებზე ნაკადულებივით სწრაფად ჩამორბიან თხის ჯოგები, სადაც საკურთხევლის ფრონტონზე გამოკვეთილი რქიანი ღვთაება ცოცხალი სახით საღამოს მყდერ ბინდბუნდში გახვეულა.

ზავსული ალჟირში

ადამიანი ხშირად იღუმალად უზიარებს თავის სიყვარულს ერთ რომელიმე ქალაქს. ისეთი ქალაქები, როგორცაა პარიზი, პრაღა და ფლორენციაც კი, თავიანთ თავში არიან ჩაკეტილნი და ამრიგად იზღუდება მხოლოდ მათთვის დამსახურებული სამყარო. მაგრამ ალჟირი და ზოგი სხვა გარკვეული უპირატესობის მქონე ცენტრი, როგორც საერთოდ ყველა ზღვისპირა ქალაქი, ისეა გადახსნილი ცის ქვეშ, როგორც ბაგე, ან ჭრილობა. ის, რაც ადამიანს ალჟირში გიყვარს, ყველასათვის თვალსაჩინოა: ყოველი ქუჩის მოსახვევიდან მზირალი ზღვა, უხვად მომადლებული მზე, ერის სილამაზე. და როგორც ყოველთვის ხდება, ეგზომ დიდ ლირფობასა და ღვთის წყალობაში სხვა, უფრო იღუმალი სურნელებაც იმალება. პარიზში შესაძლებელია სივრცისა და ფრთების გაშლის ნოსტალგიამ მოგიცვას. აქ კი ადამიანი, ყოველ შემთხვევაში, თავისი სურვილებით მაინც არის დაკმაყოფილებული და უზრუნველყოფილი, და სწორედ აქ შეუძლია მას აწონ-დაწონოს თავისი ავლა-დიდება.

ცხადია, დიდხანს უნდა დაჰყო ალჟირში, რათა გაიგო, რაოდენ გამომფიტავია აქ ბუნებრივი დოვლათის სიჭარბე. აქ ისეთს ვერაფერს დაადებ ხელს, სწავლა, გაწვრთნა, გაუმჯობესება სჭირდებოდეს. ეს ქვეყანა სხვისგან ჭკუის სწავლებას შეჩვეული არ არის. ის არც რამეს გვპირდება, არც იმის საშუალებას გვაძლევს, რომ წინასწარ გაითვალისწინო რამე. ეს ქვეყანა იმას სჯერდება, რასაც გიბოძებს და თან გიბოძებს ბარაქიანად. ალჟირი ადამიანთა წინაშე მთლიანად გადახსნილია და მას იმავე წუთში გაიცნობ, რა წუთსაც მის სიტკბობას იგემებ. მისი სიამოვნებანი განუკურნავია, მისი სიხარული — იმედს მოკლებული. ეს ქვეყანა მხოლოდ ნათელმხილველ სულს მოითხოვს, ესე იგი, უნუგეშოდ შთენილ სულს. ის ადამიანისაგან ერთნაირად მოითხოვს ერთგულებასა და განჭვრეტის უნარს. ეს საოცარი ქვეყანა ადამიანს ჰკვებავს კიდევ, ბრწყინვალეობასაც ანიჭებს და უბედურსაც ხდის. არ უნდა გვიკვირდეს, რომ განცდათა ის სიმდიდრე, რითაც ამ ქვეყნის მგრძობიარე ადამიანია დაჯილდოებული, უკიდურეს ხელმოკლეობას ემთხვევა. განა არსებობს კი ჭეშმარიტება, რომელიც ერთგვარ სიმწარეს არ

შეიცავდეს? მაშ რა გასაკვირია, თუ ამ ქვეყნის სახე მხოლოდ მაშინ მომწონს, როცა მის ულატაკეს ადამიანთა შორის ვიმყოფები.

აქ ადამიანები მთელ თავის ახალგაზრდობას თავიანთი სილამაზის შესაფერისად ატარებენ. ამას მოსდევს დაკნინება და დავიწყება. მათთვის სხეული ფსონია, თუმცა ზშირად კარგად იციან, შეიძლება თავი წააგონ... ალჟირში, ვინც ახალგაზრდა და სიცოცხლისუნარიანია, ყველგან თავშესაფარი აქვს. ის თავადაც მოითხოვს შესაფერის მისაგებელს: ზღვის ყურეს, მზეს, ზღვაზე გადმომყურე ტერასებზე თეთრი და წითელი ფერების ციალს, ყვავილებსა და სტადიონებს, მაღალწვივიან ქალიშვილებს. მაგრამ ის, ვინაც უკვე დაკარგა ახალგაზრდობა, ველარაფერს მოებლაუჭება და ერთ კუთხესაც ვერ იბოვის, რომ სევდას თავი დააღწიოს. მაგალითად, იტალიის ტერასები, ევროპის მონასტრები ან პროვანსის გორაკები ისეთი ადგილებია, სადაც ადამიანს შეუძლია თავის მოდგმას გაექცეს და გულმშვიდად გათავისუფლდეს საკუთარი თავისაგან. მაგრამ იქ ყველაფერი განმარტოებასა და ჭაბუკთა სისხლს მოითხოვს მსხვერპლად. გოეთე სიკვდილის წინ სინათლეს უხმობს და ეს ისტორიული გამოთქმაა. ბელკურისა და ბაბელ-უედის კაფეებში კი ბებრუტუნები სხედან და თმაგადაგლესილი ყმაწვილკაცების ბაქი-აობას უსმენენ.


ასეთ დასაწყისსა და ასეთ დასასრულს გვანიჭებს ალჟირში ზაფხული. ამ თვეებში ქალაქი დაცარიელებულია. აქ რჩებიან მხოლოდ ღარიბები, და ცა. ღარიბებთან ერთად ნავსადგურში ჩამოვდივართ და ვეზიარებით ყველაფერს, რაც აქ ადამიანის საუნჯეს წარმოადგენს: თბილ წყალსა და ტანგარუჯულ ქალებს. საღამოთი კი ამ დოვლათით ყელთამდე სავსე ღარიბები მათი ცხოვრების ერთადერთ სამკაულს, მაგიდაზე გადაფარებულ მუშამბასა და ნავთის ლამპას უბრუნდებიან.

* *

ალჟირში უბრალოდ კი არ იტყვიან, „წამდლით, ზღვაზე ვიბანაოთ“, არამედ „წამოდით, ბანაობა დავირტყათ“. ნუ შევეკამათებით. ალჟირელები ნავსადგურში ბანაობენ, მერე კი ტივტივაზე მიდიან დასასვენებლად. თუ იქ უკვე ლამაზი ქალიშვილი წევს, ერთმანეთს გადასძახებენ: „აკი გეუბნებოდი, თოლია მოფრინდება-მეთქი!“ ეს ჯანსაღი დროსტარებაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ცხოვრება ამ ყმაწვილთა იდეალია, ვინაიდან უმრავლესობა მთელი ზამთარი ასე ცხოვრობს. ახალგაზრდობა ყოველდღე შუადღის მზეზე შიშველი ზის და მწირ საუზმეს შეექცევა. იმიტომ კი არა, რომ მათ წაკითხული ჰქონდეთ თავშესაწყენი ქადაგებანი ნატურისტებისა¹, სხეულის ამ პროტესტანტებისა (არსებობს სხეულის სისტემატურობა, რაც ისევე სასოწარმკვეთია, როგორც სულის სისტემატურობა), არამედ იმიტომ, რომ „მზეზე თავს კარგად გრძნობენ“. ჩვენ ალბათ სათანადოდ ვერასოდეს შევაფასებთ ამ ჩვეულების მნიშვნელობას ჩვენი ეპოქისათვის. პირველად მოხდა ორი ათასი წლის მანძილზე, რომ შიშველი სხეული ზღვის პირას გამოჩნდა. ოცი საუკუნის მანძილზე ადამიანს მიზნად ჰქონდა დასახული კადნიერებად გამოეცხადებინა ბერძენთა გულუბრყვილო შესამოსელი, რაც შეიძლება ნაკლებ გამოეჩინა ხორცი და ტანსაცმელი გაერთულებინა. მაგრამ დღეს და სწორედ დღეს ყველაზე მეტად ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მორბენალ ჭაბუკთ ამკობს დელოსის ათლეტთა მიმობრა. და როცა ამგვარად სხეულთან ახლოს და სხეულით ცხოვრობ, ადვილად შეამჩნევ, რომ მას აქვს თავისი იერი, თავისი ცხოვრება და რომ უგუნური საქციელიც ადვილად ჩაიღინოს, — თავისი ფსიქოლოგია². სხეულის ევოლუციას, ისევე როგორც სულისას, თავისი

1 ნატურისტები — ბუნების წიაღში ცხოვრების მომხრე ადამიანები.

2 არ ვიცი, რაოდენ მართებული ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ მე არ მომწონს ყიდის თვალსაზრისი სხეულის ხოტბის შესხმისას. ყიდი სხეულისგან ითხოვს სურვილის შეკავებას, რათა უფრო მწველი გახადოს იგი. ამგვარად ყიდი უახლოვდება მათ, ვისაც საროსკიპო სახლების ჟარგონზე „გონებადაბნეულებს“ თუ „ტვინნაღრძობებს“ უწოდებენ. ქრისტიანობას აგრეთვე სურს აკრძალოს სურვილი, მაგრამ უფრო ბუნებრივად. მისთვის სურვილი ხორცის მოკვდინებაა. ჩემს მეგობარ ვინსენტს, მეკასრეს და ბრასით ცურვის ჩემპიონს იუნორებში, კიდევ უფრო ნათელი შეხედულებები აქვს საგნებზე: როცა ღვინო მოუნდება, სვამს, როცა ქალი მოესურვება, ცდილობს მასთან დაწვეს, ხოლო თუ ქალი უყვარს, შეირთავს კიდევ (თუმცა ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა). გარდა ამისა ის ყოველთვის გეუბნებათ, ჩინებულად მიდის საქმეებში, რაც დიახაც ადასტურებს მოყირჭების აპოლოგიას (ავტ. შენიშვნა).



ისტორია, თავისი განმეორებანი, პროგრესები და უკმარისობანი გააჩნია. როცა მთელი ზაფხული ნავსადგურის პლაჟზე დადიხარ, კარგად გაქვს შეგნებული, რომ შენმა კანმა ერთდროულად ყველანაირად უნდა იცვალოს ფერი, დაწყებული თეთრიდან ოქროსფრამდე, შემდეგ ყავისფრამდე, და ბოლოს თამბაქოს ფერიც გახდეს, რაიცა გარდაქმნის ის უკიდურესი ზღვარია, ადამიანის სხეულს რომ ძალუძს. ნავსადგურს დაჰყურებს კასბას¹ თეთრი სათამაშო კუბები. როცა წყლის დონეზე იმყოფები, არაბთა ქალაქის მოთეთრო ფონზე სხეულები სპილენძის კოზმიდივითაა გაშლილი. ხოლო რაც უფრო ახლოვდება აგვისტო და რაც უფრო მატუ-ლობს მზე, მით უფრო თვალისმომჭრელი ხდება სახლების სითეთრე და ადამიანთა კანიც უფრო ირუჯება. მაშ, როგორ არ გავუთანაბრდე სხეულისა და ქვის ამ დიალოგს, მზისა და წელიწადის დროთა შესაბამისად რომ იცვლება? მთელი დილა ყვინთვაში გავატარე. ტალღების ქოჩრებზე სიცილ-ხარხარი ყვავილწნულებად ირხეოდა. ხოფებს ფართოდ ვუსვამდით და გარს ვუვლიდით წითელსა და შავ კარჭაპებს (ნორვეგიიდან მოსულნი ხის ათასნაირ სურნელს აფრქვევდნენ, გერმანიიდან მომავალნი ზეთის სუნით იყვნენ გაყდენთილნი; ნაპირზე ჩამწკრივებულთ დვინისა და ძველი კასრების სუნი ასდიოდა). იმ საათებში, როცა მზე ცის ყველა კუნჭულს აჩახჩახებს, სხეულებით დატვირთული ნარინჯისფერი ბაიდარა გიჟური სიჩქარით მიგვაქანებს. ხოლო როდესაც შეწყვილებული ფერადფრთიანი ხოფების რიტმულ ქნევას შეეცრად ვანელებთ და ნავსაყუდელის მშვიდ წყალს გასწვრივ მივყვებით, როგორ არ დავიჯერო, რომ ღმერთების რაღაც მძიმე ტვირთს მივათრევ გლუვ წყლებში და იმ ტვირთში ჩემ ძმათა სახეებს გარკვევით ვარჩევ?

ქალაქის მეორე ბოლოში კი ზაფხული ამის საპირისპიროდ უკვე სხვა სიმდიდრეს გვთავაზობს, მინდა ვთქვა, სიჩუმესა და მოწყენილობას-მეთქი. ყველა სიჩუმე ერთნაირი არ არის. ეს იმაზეა დამოკიდებული, ჩრდილში იბადება ის თუ მზეში. მთავრობის მოედანზე შუადღის დუმილია ჩამოწოლილი. მის გარშემო ხეების ჩრდილში არაბები ფორთოხლის ყვავილით დაინანთებულ ჩაციებულ ლიმონათს ჰყიდიან. უკაცრიელ მოედანს ჰკვეთს მათი შეძახილები: „ცივი ლიმონათი, ცივიი!“ ამ შეძახილის შემდეგ მზის ქვეშ ისევ მღუმარება მეფდება. გამყიდველის ტოლჩაში ყინული შეტრიალდება და მისი ოდნავი ჭახანი ჩემს ყურამდე აღწევს. სიესტა² და ირგვლივ ყოველივე დუმს. საზღვაო დაწესებულებათა ქუჩებზე ბინძურ სადალაქობთან გავლისას ამ დუმილს ბუზების გაბმული ზუზუნი გამცნობს, ფუტურო ლერწმის ფარდებს უკან რომ ანცობენ. იქ კი, კასბას მავრიტანულ კაფეებში სხეულები დუმან, ვერაფრით მოშორებიან თავიანთ ადგილებს, ჩაის ჭიქები ვერ დაუთმიათ და ერთი წამი დრო ვერ ჩაუგდიათ, რათა საკუთარი სისხლის ჩქეფას მიუგდონ ყური. მაგრამ აქ უმთავრესად ზაფხულის საღამოების დუმილი სუფევს.

ნუთუ ის ხანმოკლე წუთები, ვიდრე დღე ღამეში ჩაიძირებოდეს, ისეა აღვსილი იდუმალი ნიშნებით და ძახილით, რომ ალჟირი ასეააირად ახლობელი ხდება ჩემთვის? როცა ამ ქვეყანას რამდენიმე ხნით ვშორდები, მისი მზის ჩასვლა ისე წარმომიდგება, როგორც ბედნიერების აღქმა. ქალაქზე გადმომყურე ბორცვებში გზები დანამასტაკისა და ზეთისხილის ხეებს შუა მიიმართება და ჩემი გულიც მათკენ მიილტვის. იქიდან ვხედავ, როგორ მიიწევენ ყორნისფერ ფრინველთა გუნდები მწვანე დასალიერისკენ. მერე ერთბაშად მზისგან მიტოვებული ცა როგორღაც დუნდება და წითელ ღრუბელთა პაწაწინა ჯარი გაიწელება, ვიდრე ჰაერში მთლად არ განიფანტება. და თითქმის იმწამსვე გამოჩნდება ობოლი ვარსკვლავი, რომელიც ჩემ თვალწინ დაიბადა და აკაშკაშდა ცის სიღრმეში. მერე კი უცბად, თვალის დახამხამებაში ყველაფრის მშთანქმელი ღამე მოიცავს არემარეს. ო, ალჟირის მსწრაფლწარმავლო საღამოებო, რა გაგაგჩნიათ ესოდენ შეუდარებელი, ამდენ რამეს რომ აღვირს ხსნით ჩემს არსებაში? თქვენგან ჩემს ტუჩებზე დატოვებული სიტკბოება ღამეში ისე ქრება, გულის მოყირპებასაც ვერ ვასწრებ. იქნებ ეს არის მისი გამძლეობის საიდუმლოება? ეს ქვეყანა მღელვარედ, ფარულად გელაციცებათ, მაგრამ იმ წუთებში, როცა მკერდში ალერსით გიკრავთ, გული მთლიანად მას ეძლევა. პადოვანის პლაჟზე დანსინგები ყოველდღე ღიაა. ამ ვეებერთელა, სანაპიროს ბოლომდე გაჭიმულ სწორკუთხა ყუთში, რომელიც ზღვის მხრიდან გახსნილია, მთელი უბნის ღარიბი ახალგაზრდობა საღამომდე ცეკვავს. ხშირად დავრჩენილვარ იქ რაღაც არაჩვეულებრივი წამის მოლოდინში. დღისით დარბაზს ფარდულები ეფარება. მზის ჩასვლის მერე მათ უკან მისწევენ ხოლმე და მაშინ დარბაზი ცისა და ზღვის ნიჟარათა ქვეშ წარმოქ-

¹ ციხე-სიმაგრე მაროკოსა და ალჟირში.
² აღმოსავლეთის ქვეყნებში შუადღის დასვენება, შუადღის ძილი.

მნილი უცნაური მწვანე შუქით ივსება. როცა ფანჯრებისგან მოშორებით ზიხარ, მარტო ცას ხედავ, ჩინურ ჩრდილებში კი მოცეკვავეთა სახეები მონაცვლეობით გაკრთება ხოლმე. ხანდახან ვალსს უკრავენ და მაშინ მწვანე ფონზე შავი პროფილები შეუპოვრად ტრიალებენ, როგორც ფონოგრაფის დისკოზე დამაგრებული გამოჭრილი სილუეტები. ამის მერე ღამე სწრაფად ილევს და მასთან ერთად სინათლეებიც. მე არ ძალმიძს ავხსნა, რას ვხედავ ამ წარმავალ წუთებში აღმაფრთოვანებელსა და იღუმალს. ყოველ შემთხვევაში, ერთი ტანწერწეტი მშვენიერი ქალი მაგონდება, რომელიც შუადღიდან საღამომდე შეუსვენებლივ ცეკვავდა. მას ჟასმინის ყელსაბამი ეკიდა, ეცვა შემოტმასნილი ცისფერი კაბა, წელიდან ქობამდე ოფლით დასველებული. ქალს ცეკვისას თავი უკან გადაეგდო და იცინოდა. როცა მაგიდებს ჩაუქროლებდა, სხეულისა და ყვავილების სურნელს ტოვებდა. საღამოს მოცეკვავე ვაჟთან ჩახუტებული მისი ტანი ვეღარ დავინახე, მაგრამ ცის ფონზე ისევ მონაცვლეობით ტრიალებდა ხან თეთრი ჟასმინი და ხან შავი თმა, და როცა ქალი დაძაბულ ყელს უკან გადაიგდებდა, მისი სიცილი ჩემს ყურს აღწევდა, ვაჟის პროფილი კი ანაზღეულად მისკენ იხრებოდა. თუ მე უმანკობაზე რაიმე წარმოდგენა მაქვს, ამგვარ საღამოებს უნდა ვუმადლოდე. ჯერჯერობით კი იმას მივხვდი, რომ ეს მგზნებარე არსებანი აღარ უნდა დავაშორო ცას, სადაც მათი სურვილები ერთმანეთს შეცილებიან და შეჯიბრებიან.

* *

ალჟირში თითქმის ყველა უბნის კინოში პიტნის კანფეტები იყიდება, რომლებზეც წითლად ამოკვეთილია ის კითხვა-პასუხი, სიყვარულთან ერთად რომ ჩნდება ხოლმე. 1 — კითხვები: „როდის შემირთავთ?“ „გიყვარვართ თუ არა?“ 2 — პასუხები: „სიგიჟემდე მიყვარხართ“, „გაზაფხულზე“. ნიადაგის მოსინჯვის შემდეგ ყმაწვილი კაცი ამ კანფეტს გაუგზავნის მეზობელ ქალიშვილს, რომელიც ან უპასუხებს ან იმით დაკმაყოფილდება, რომ თავს მოისულელებს. ბელკურში ხშირად შეხვდებით ამნაირი გზით შეუღლებულ ცოლ-ქმარს. პიტნის კანფეტების გაცვლა-გამოცვლაში დიდძალი ახალგაზრდობაა ჩაბმული. და ეს ამ ქვეყნის ახალგაზრდობის მეტ ნაწილს დადებითად ახასიათებს. შესაძლებელია ახალგაზრდობის ნიშან-თვისება ბედნიერების იოლად მიღწევის სწორედ ეს საუცხოო მისწრაფება იყოს. მაგრამ უმთავრესად ეს სიცოცხლისაკენ ის გამალებული ლტოლვაა, რაიცა სიცოცხლის განიავებას უახლოვდება. ბელკურშიც და ბაბ-ელ-უედშიც ადრე ქორწინდებიან. აქ შრომას ძალიან ადრე იწყებენ და ათი წლის ასაკში უკვე მოწიფული მამაკაცის გამოცდილება აქვთ. ოცდაათი წლის მუშა მთელ თავის ცხოვრებას უკვე ფსონში ჩასულა, ახლა ის ოჯახურ სიმყუდროვეში ელის თავის დასასრულს. მისი კეთილდღეობა უეცარი და უმადური იყო. ასევე მთელი მისი ცხოვრებაც. აქ ყოველ კაცს კარგად ესმის, ისეთ ქვეყანაში გავჩნდი, სადაც ყველაფერი იმისათვის მენიჭება, რომ უკანვე წამერთვასო. ესოდენ დიდ სიუხვესა და ბარაქაში ცხოვრება დიდი ვნებების მრუდეთი მიიმართება, უეცარი, მომთხოვნელი, დიდსულოვანი ვნებების მრუდეთი. აქ ცხოვრება არ აშენებს, აქ იგი წვავს. ასეთ მდგომარეობაში იმისათვის აღარავის სცალია, რომ მოვლენას ჩაუფიქრდეს და უკეთესი გახდეს. აქ, მაგალითად, ჯოჯოხეთის ცნება მხოლოდ ხუმრობაა, მეტი არაფერი. ასეთი წარმოდგენები კი უაღრესად სათნო ადამიანებისთვისაა ნებადართული. მე დიახაც მგონია, რომ სიტყვა „სათნოება“ მთელ ალჟირში ყოველგვარი მნიშვნელობის გარეშე იხმარება, იმიტომ კი არა, რომ აქ ადამიანებს პრინციპები აკლიათ. აქ ადამიანებს ზნეობა აქვთ, და საკმარისად უჩვეულო ზნეობაც. ალჟირელი კაცი დედას „მუდამ კარგად ექცევა“, ქუჩაში საკუთარი ცოლისადმი პატივისცემას მოითხოვს ყველასგან, ფეხმძიმე ქალთან თავაზიანია, არასოდეს ერთ მოძალადეს ორი კაცი არ შეუტევს, რადგან ეს „უკადრისი საქციელია“. ვინც ამ უმარტივეს მცნებებს არ იცავს, „კაცი არ არის“, და ამით ყველაფერი ითქმის. ჩემი აზრით, ყოველივე ეს სწორია და საფუძვლიანი. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრნი ვართ, ვინც შეუცნობლად შემოვიწახეთ ქუჩაში მოძრაობის წესები, ეს ერთადერთი უანგარო საქციელი. ამავე დროს ალჟირში უცხოა მედუქნის მორალი. ჩემ გარშემო ისეთი კაცი ბევრი მინახავს, ვისაც სახე თანაგრძნობით განემსჭვალება, როცა პოლიციელები დაჭერილ კაცს გაატარებენ, და თუმცა ჯერ არც იცის, იმ კაცმა იქურდა, მამა მოჰკლა თუ მხოლოდ წესები დაარღვია, „ვაი, შე უბედუროო“, — იტყვის, ანდა ერთგვარი აღტაცების გრძნობით დაადევნებს: „აბა, უყურეთ ამ თავზე ხელაღებულსაო“.

არის ხალხი გაჩენილი დიდებისა და ცხოვრებისათვის. ეს ადამიანები სწორედ ისინი

არიან, რომლებიც მოწყენილობისადმი არაჩვეულებრივ მიდრეკილებას იჩენენ. სწორედ მათ-ვე ახასიათებს ყველაზე დიდი შიშის გრძნობა სიკვდილის მიმართ. თუ მხედველობაში არ მოვიტყუდებით გრძნობებით მოგვრილ სიხარულს, სხვაფრივ ეს ხალხი ფრიად სულელურად ირთობს თავს. ბულის¹ მოყვარულთა საზოგადოება და „მეგობრული“ ბანკეტები, სამფრანკიანი კინემატოგრაფი და სოფლის გართობანი წლების მანძილზე ჰყოფნით და კიდევ ოცდაათ წელიწადს ეყოფათ მოსაგონრად. კვირა დღე ალჟირში ყველაზე ავბედითი დღეა. სხვაგვარად როგორ მოახერხებდა ეს ბედუქუდმართი ხალხი მითებით შეემოსა თავისი ესოდენ დუხჭირი ცხოვრება? აქ ყველაფერი, რაც სიკვდილთან ახლოა, სიცილს ან ზიზღს იწვევს. ეს ყოველგვარ რელიგიასა და კერპებს მოკლებული ხალხი ცხოვრებას ბრბოში ატარებს, მარტობაში კი კვდება. არ მეგულება იმაზე უფრო მახინჯი რამ, ვიდრე დედამიწის ზურგზე ულამაზესი ადგილის პირდაპირ გაშენებული სასაფლაოა ბრიუს ბულვარზე. შავ ქვაში უგემოვნოდ ჩამჯდარი აჩონჩხილი ძეგლები შემზარავი კაეშნით გივსებს გულს ამ ადგილებში, სადაც სიკვდილი თავის ნამდვილ სახეს გიჩვენებს. „ყველაფერი წარმავალია, გარდა მოგონებისა“, — გეუბნებიან გულივით გამოჭრილი საფლავის დაფები. და ყველა დაჟინებით მოითხოვს იმ სასაცილო უკვდავებას, რომელიც მოსიყვარულე გულს ასე იაფად უზის. ეს ფრაზები ყოველგვარ სასოწარკვეთილებას აშოშმინებს. ისინი მიცვალებულებს მიმართავენ მეორე პირში: „ჩვენ მუდამ გვემახსოვრები“. ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა, ვინაიდან ჭირისუფალი სხეულსა და სურვილებს იმას აძლევს სესხად, ვინც უკეთეს შემთხვევაში შავ სითხედ ქცეულა. ზოგან მარმარილოს ყვავილებსა და ჩიტებში ჩაფლულ წარწერაზე ასეთ გულუხვ დაპირებას ამოიკითხავთ: „შენს საფლავს ყვავილი არასოდეს მოაკლდება“. მაგრამ აქ ჭირისუფალს უმაღვე უნუგეშებია თავი: წარწერა მოვარაყებელი ალებასტრის ყვავილის კონაში ჩაუსვამს, რათა იაფად გამოსულიყო (ასევე გულარხეინად არიან ის უკვდავნი, ვისაც სახელი და დიდება იმ უბრალო ადამიანთა წყალობით ხვდა, უკვე დაძრულ ტრამვაის რომ ახტებიან სიცოცხლის დასასრულამდე). ხოლო რაკი შენს საუკუნეს უცილობლად ფეხდაფეხ უნდა მიჰყვე, ხანდახან ჩვეულებრივ მეყოლია ჩიტს მძივის მახინჯი თვითმფრინავით ცვლიან, სადაც მფრინავად წყვილი ფრთით შეიარაღებული ერთი მშვენიერი და უმანკო ანგელოზი ზის ყოველგვარი ლოგიკის წინააღმდეგ.

მაგრამ მე მინდა მკითხველს ისიც ვამცნო, რომ სიკვდილის ის სურათები არასოდეს შორდება ცხოვრებისეულს. აქ ფასეულობანი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. როცა ალჟირელი მეჩირაღდნეები ცარიელ კატაფალკს მიაჩახრახებენ, მათი საყვარელი ხუმრობაა, ლამაზ გამვლელ ქალს გადაულაპარაკონ: „აქ ხომ არ ამოხვალ, ტურფავ?“, რაიც ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია სიმბოლოდ მივიჩნიოთ, მაშინაც კი, უკეთუ მოვლენა უსიამოვნოა. არც ის ეჩვენებათ ღვთის გმობად, როცა ვინმეს სიკვდილის გაგონებაზე ერთმანეთს თვალს ჩაუკრავენ და იტყვიან: „საცოდავი, ველარ შემოსძახებს ძველებურად“. ან იმ ორანელი ქალისა არ იყოს, რომელსაც ქმარი არასოდეს ჰყვარებია, საფლავის ქვაზე კი წაუწერია: „ღმერთმა მომცა, ღმერთმავე წამართვა“. უნდა გამოვტყდე, რომ საბოლოო ჯამში ვერ ვხედავ, რა გააჩნია წმინდა სიკვდილს, და პირიქით, კარგად ვხედავ იმ მანძილს, შიშსა და პატივისცემას შორის რომ არსებობს. აქ ყველაფერი შიშს გაუმსჭვალავს, რაკი ისეთ ქვეყანაში კვდება, სადაც ბუნება სიცოცხლისაკენ გიხმობს. და მაინც აქ, ამ სასაფლაოს კედლებთან უნიშნავენ პაემანს ბელჯურის ყმაწვილკაცები ქალიშვილებს, ესენი კი მათ თავიანთ ალერსსა და ამბორს სთავაზობენ.

კარგად მესმის, ასეთ ხალხს ყველა ვერც დააფასებს და ვერც აღიარებს. აქ გონებრივ განვითარებას არავინ ნისდევს, ისევე როგორც იტალიაში. ეს ერი გონების მიმართ გულგრილია. იგი მხოლოდ სხეულს სცემს თაყვანს. ის აძლევს მას ძალას, აქედან მოდის მისი გულუბრყვილო ცინიზმი და ის ბავშვური პატივმოყვარეობა, რისთვისაც ასე სასტიკად ისჯება, ამ ერს ჩვეულებრივ გონების სიჩლუნგეს უკიჟინებენ, ესე იგი, ხედვისა და ცხოვრების საკუთარ ყაიდას. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ამგვარი დაძაბული ცხოვრება უსამართლობის გარეშე შეუძლებელია. და თუმცა ამ ხალხს არც წარსული გააჩნია, არც ტრადიციები, იგი პოეზიის გრძნობითაა დაჯილდოებული. მე კარგად ვიცი ამ პოეზიის ფასი: იგი ტლანქია, ხორციელი, სინაზეს მოკლებული, როგორც მათი ცა, ეს ჭეშმარიტად ერთადერთი რამ, რაც გულს მითრთოლებს და ძალთა მოკრების უნარს მაძლევს. ცივილიზებული ხალხების პირუკუ, ეს ხალხი შემოქმედი. და როცა პლაჟზე წამოგორებულ ამ ბარბაროსებს ვუ-

¹ სამფრანკეთში პოპულარული თამაში ბირთვის ფორმის საგორავით.


ყურებ, ერთი უგუნური იმედი მიღვივის: შესაძლებელია ეს ხალხი ანგარიშმიუცემლად ისეთი კულტურის შექმნის გზას ადგას, რომლის მეოხებითაც ადამიანის სიდიადე ბოლოს და ბოლოს თავის ჭეშმარიტ სახეს იპოვის. თავის აწმყოში მთლიანად ჩაფლული ეს ხალხი მითების გარეშე, ნუგეშის გარეშე ცხოვრობს. მან მთელი თავისი ავლადიდება ამ მიწას შეაღია და იმიტომაც სიკვდილის წინაშე უმწეოა. ფიზიკური სილამაზის ძღვენი მას ბუნებამ უხვად მიჰმალდა. ამასთან ერთად საოცარი სიხარბეც მიანიჭა, რაიცა მუდამ თან ახლავს იმ სიუხვესა და ბარაქას, მომავალი რომ არ გააჩნია. ყველაფერს, რაც აქ კეთდება, მარადიულობისადმი ზიზღისა და მომავლისადმი უზრუნველობის დაღი აზის. ეს ხალხი სიცოცხლეს ესწრაფვის და აქ რომ რაიმე ხელოვნება გაჩენილიყო, ისიც დროის იმ სიძულვილს დაემორჩილებოდა, რამაც დორიელებს თავიანთი პირველი სვეტი ხეში გამოაჭრევინა. და მაინც, დიახ, მაინც შესაძლებელია ზომიერება და ამასთან სიჭარბეც დაინახო ამ ძლიერსა და ვნებებით გატაცებულ ხალხში, ამ ყოველგვარ სინაზეს მოკლებულ ზაფხულის ცაში, რასთან შედარებით ყველა ჭეშმარიტება, თუნდაც უსიამოვნო ჭეშმარიტება, მაინც გასაცხადებელია და რაზეც ვერავითარმა მაცდუნებელმა ღვთაებამ ვერ აღბეჭდა იმედისა თუ მონანიების ნიშნები. ამ ცასა და მისკენ მიქცეულ სახეებს შორის ისეთი არაფერია, რომ მითოლოგია, ლიტერატურა, ეთიკა ან რელიგია ჩაეჭიდოს. სამაგიეროდ, ბევრია სხეული, ბევრია ვარსკვლავი და ისეთი ჭეშმარიტებაც, რომელიც ხელშესახები გახლავთ.

* *

გრძნობდე კავშირს მიწასთან, სიყვარულს რამდენიმე ადამიანისადმი, იცოდე, რომ ყოველთვის მოიძებნება ადგილი, სადაც შენი გული თანხმობას ჰპოვებს, ეს რწმენა უკვე დიდი რამაა ადამიანის ერთი სიცოცხლისათვის. მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ კმარა. ამ სულიერი განწყობილების სამშობლოში ყველაფერს ახასიათებს განსაზღვრული წუთისკენ მისწრაფება. „დიახ, სწორედ იქ უნდა დავბრუნდეთ უკან“. ეს ის კავშირია სამყაროსთან, რომელსაც პლოტენი¹ ნატრობდა. განა საოცრება არ არის, ასეთი კავშირი რომ კიდევ არსებობს დედამიწაზე? აქ კავშირი მზისა და ზღვის სახელებით გადმოიცემა, მას ადამიანი სხეულით გრძნობს და ამიტომაცაა იგი მწარეც და დიადიც. მჯერა, რომ არ არსებობს არც ზეადამიანური ბედნიერება და არც მარადიულობა ღვთა მრუდის გარეშე. ერთადერთი, რაც მადლეებს, ეს არის ყბადალებული და უმთავრესი ფასეულობანი, ეს შედარებითი ჭეშმარიტებანი. სხვა „იდეალების“ გაგებისათვის სულის სიღრმე არ მყოფნის. და არა იმიტომ, რომ თავი მინდა მოვისულელო, არამედ იმიტომ, რომ ვერ ვხვდავ აზრს ანგელოზთა ბედნიერებაში. მე მხოლოდ ვიცი, რომ ეს ცა ჩემზე მეტხანს იარსებებს. მაშ, რას დავარქვა მარადისობა, თუ არა იმას, რაც ჩემი სიკვდილის შემდეგ იარსებებს? ამ მსჯელობით სულაც არ გამოვხატავ ცოცხალი არსების შემწყნარებლობას იმის მიმართ, რაც მის პირობებს წარმოუშვია. ეს სულ სხვა რამ არის. ძნელია იყო კაცი და კიდევ უფრო ძნელია იყო სპეტაკი კაცი. მაგრამ იყო სპეტაკი, ეს იმას ნიშნავს, კვლავ ჰპოვო ის სულიერი ნავსაყუდელი, სადაც ხალხის ნათესაობას გრძნობ, სადაც ნაშუადღევის მცხუნვარე მზის გაშმაგებულ მაჯისცემას სისხლის ჩქეფა უერთდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამშობლოს მხოლოდ მაშინ აფასებ, როცა მას კარგავ. იმათთვის, ვინც საკუთარ თავს მეტისმეტად უწამებია, სამშობლო მხარე ის არის, სადაც მათ დევნიან. არ მინდა ავყია ვიყო, არცთუ გავაზვიადო რამე, მაგრამ ამ ცხოვრებაში უპირველეს ყოვლისა სულს ის მინადგურებს, რაც ჩემს წინააღმდეგაა. ის, რაც ცხოვრებას ალაფრთოვანებს, ამავე დროს მის უაზრობასაც ზრდის. მე მესმის, რომ ალჟირის ზაფხულში მხოლოდ ერთი რამაა ტანჯვაზე უფრო ტრაგიკული, და ეს ერთი ბედნიერი კაცის ცხოვრებაა. და თუმცა იგი ტრაგიკულია, შეიძლება უფრო დიდი ცხოვრების გზა იყოს, რადგან მას კაცი შეუცდომლად წინ მიჰყავს.

სინამდვილეში ბევრი თავს ისე აჩვენებს, თითქოს სიცოცხლის სიყვარული ჰქონდეს, რათა თვით სიყვარულს აარიდოს თავი. ბევრი საკუთარ ძალას გართობასა და „ცდებზე“ ხარჯავს. მაგრამ ეს სულის გარეგნული გამოხატულებაა. იშვიათი მოწოდებაა საჭირო, რომ ცხოვრებაში მხოლოდ სიტკბოების მძებნელი დარჩე. ადამიანის ცხოვრება მისი გონების დაუხმა-

¹ პლოტენი (205—270) — ნეოპლატონური სკოლის წარმომადგენელი ფილოსოფოსი. ფილოსოფიას ასწავლიდა რომში, სადაც ანტიკურ დოქტრინებს და ქრისტიანიზმს ქადაგებდა.



რებლად ხან წინ და ხან უკან მიედინება, ერთსა და იმავე დროს მარტოობაში და ყოფნაში. როცა ბელკურის მამაკაცებს ვაკვირდები, როგორ შრომობენ, როგორ არჩენენ უფლ-შვილს, ერთხელაც რომ არ დაიწუწუნებენ, რაღაც იდუმალ სირცხვილს ვგრძნობ. ცხადია, ილუზიებს არ ვიქმნი. ასეთ ცხოვრებაში, მე რომ ვლაპარაკობ, დიდი სიყვარული არ არსებობს, ალბათ აჯობებდა მეტქვა, დიდი სიყვარული აღარ არსებობს-მეტქი. მაგრამ ეს ადამიანები, ყოველ შემთხვევაში, არაფერს შეუდრკნენ. ქრის სიტყვები, რომელთა აზრი ჩემთვის მუდამ გაუგებარია, მაგალითად, „შეცოდება“. ოღონდ, ვფიქრობ, ის კი გავიგე, რომ ამ ადამიანებს ცხოვრებაში არავითარი შეცოდება არა აქვთ. იმიტომ, რომ თუ აქ არსებობს რაიმე შეცოდება ცხოვრების წინაშე, ეს იმის გამო კი არაა, რომ კაცი ცხოვრებით გულგატეხილია, არამედ იმიტომ, რომ სხვა ცხოვრების იმედი აქვს, იმედი აქვს, რომ ცხოვრების უღმობელ სიდიადეს თავს დააღწევს. ამ ადამიანებმა პატიოსნად იცხოვრეს. ისინი ზაფხულის ღმერთებმა ოცი წლის ასაკში ცხოვრების მხურვალე სიყვარულით შექმნეს, თუმცა მომავლის ყოველგვარი იმედი კი წარუკვეთეს. ორი კაცის სიკვდილს დავსწრებივარ. ისინი ღუმდნენ, თუმცა ორივე შიშის ზარს მოეცვა. ასე სჯობს. პანდორას ყუთიდან, სადაც ყოველგვარი ადამიანური ბოროტება ფუთფუთებდა, ბერძნებმა იმედი ყველაზე ბოლოს ამოიყვანეს, როგორც ყველაზე საშინელი ბოროტება. ამაზე უფრო ამაღლევებელი სიმბოლო არც მეგულება, რადგან იმედი საპირისპიროდ იმისა, როგორც გვგონია, იგივეს ნიშნავს, ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, ყველაფერი დათმო. ხოლო ცხოვრება დათმობა არ არის.

აი, ყოველ შემთხვევაში, მკაცრი გაკვეთილი ალყირული ზაფხულისა. მაგრამ ჟამი უკვე თრთის და ზაფხულიც მერყეობს. სექტემბრის პირველი წვიმები ამოდენა მძვინვარებისა და დაძაბულობის შემდეგ განთავისუფლებული მიწის პირველ ცრემლებს ჰგვანან, თითქოს ზაფხულის ბოლო დღეებში ეს ქვეყანა ალერსში ჩაძირულა. ამასობაში კი ტუხტის ხეები მთელ ალყირს სიყვარულის სურნელს აფრქვევენ. საღამო ჟამს, ნაწვიმარზე მთელი დედამიწა და მომწარო ნუშის სურნელიანი თესლით მოპკურებული მისი წიაღი ისვენებს, რათა ზაფხულის თვეებში კვლავ მზეს მინებდეს. და სწორედ ეს სურნელია, კვლავ ადამიანისა და მიწის ჯვრის-წერას რომ გვამცნობს. ის ჩვენში მთელ ქვეყანაზე არსებულ ერთადერთ ნამდვილ ვაჟკაცურ სიყვარულს აღძრავს და ეს სიყვარული განწირულია და დიდსულოვანი.

ღაბრუნება ტიკასაში

სულით მშფოთვარემ გასცურე შენ შორს მამისეული სადგომიდან, გადასჭერ ზღვის კბოდეთა ორმაგი ზღუდე და ახლა ცხოვრობ უცხო მხარეში.

„მ ე ღ ე ა“

ხუთი დღე გადაუღებლად აწვიმდა ალყირს, ისე რომ ბოლოს ზღვაც დააღტო ძირით ძირამდე. ცას ძირი არ უჩანდა და ყურეს განუწყვეტლივ ასხამდა წებოვანი დელგმა. ვეებერთელა ღრუბელივით ქუფრი და დუნე ზღვა ზანტად ეხეთქებოდა გადარეცხილ ნაპირს, მაგრამ წყლის ზედაპირი მაინც თითქოს უძრავი ჩანდა წვიმის მჭიდრო საბურველის ქვეშ, მხოლოდ დროდადრო თუ გადაურბენდა ოდნავ შესამჩნევი დელგა, მღვრიე ჯანღში გაახვევდა ზღვას და მერმე ეს ჯანღი სველი ბულვარებით გარშემორტყმული ნავსადგურისკენ მიიწევდა. მას უერთდებოდა ნესტიან გაყდენთილი ქალაქის თეთრი კედლებიდან ანაორთქლი ოხშივარი. საითაც არ უნდა მიბრუნებულიყავ, ყველგან წყალი იყო, მას თითქოს სუნთქავდი, თითქოს სვამდი ჰაერთან ერთად.

მე დავეხეტებოდი გადარეცხილი ზღვის პირას ამ დეკემბრის ალყირში, ჩემთვის რომ მუდმივი ზაფხულის ქალაქად დარჩა, და მოლოდინში ვიყავი. ევროპის წყვილიადს, ზამთრის სახეებს გამოვექეცი, მაგრამ სიცილს ეს ზაფხულის ქალაქიც მიეტოვებინა და მას კუზიანი, სველი ზურგი შემოექცია ჩემთვის. საღამოობით გაჩირადდნებულ კაფეებს ვაფარებდი თავს და ჩემს ასაკს ნაცნობ მეინახეთა სახეზე ვკითხულობდი, თუმცა მათი სახელები აღარც მახსოვდა. ეს კი ვიცოდი: მე და ისინი ერთდროულად ვიყავით ახალგაზრდები, ახლა კი ახალგაზრდები აღარ არიან.

მე მაინც ჯიუტად ველოდი, თუმცა კარგად არ მესმოდა, რას, — შესაძლებელია ტიპასაში დაბრუნების შემთხვევას. მაგრამ როცა შენი სიყმაწვილის ადგილებს დაუბრუნდები და ორმოცი წლის ასაკში შეეცდები გააცოცხლო ყველაფერი, რაიც ოცი წლისას გიყვარდა ან ასე ძლიერ გახარებდა, ეს, რა თქმა უნდა, უგუნურებაა და უკვალოდ არასოდეს ჩავივლის. მე ხომ კარგად ვიცოდი, რომ ეს სიგიჟე იყო. ომის დამთავრების პირველ წლებში ერთხელ უკვე დავბრუნდი ტიპასაში, როს ჩემი სიყმაწვილის დასასრული ვიგრძენი. აქ ალბათ ის თავისუფლება მინდოდა მეპოვა, რომლის დავიწყება ვერ შევძელი. მართლაც ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ნანგრევებში დილაობით დავეხეტებოდი ხოლმე, აბზინდის სუნივით ვთვრებოდი, ლოდებს ვეფიცებოდი და ვკრეფდი სუსტფურცლიან წვრილ-წვრილ ადრეულ ვარდებს. მხოლოდ შუადღისას, როცა სიცხისაგან გაბრუებული კალიებიც კი ყუჩდებიან, თავს ვარიდებდი მზის მცხუნვარებას, გარშემო რომ ყველაფერს წვავდა. ხანდახან ლამამობით ვარსკვლავებით მოელვარე ცის ქვეშ ვიწექი და ჩემს თვალს რული არ ეკარებოდა. ჭეშმარიტად მაშინ ვცხოვრობდი. თხუთმეტი წლის შემდეგ აქ ისევ ზღვის ნაპირიდან რამდენიმე მეტრით დაშორებული ჩემი ნანგრევები დამხვდა. უსიცოცხლოდ მზირალი ხეებით დაფარულ მინდორზე მივიწყებული ქალაქის ქუჩების კვალს დავეძებდი და ხელით ვეალერსებოდი ბორცვებზე შემორჩენილ ხორბლისფერ სვეტებს, ყურეს რომ გადაჰყურებდა. მაგრამ ახლა ნანგრევებს გარშემო მავთულხლართი ჰქონდა შემოვლებული და შიგ შესვლა მხოლოდ ზოგიერთ ადგილას იყო ნებადართული. გარდა ამისა, ალბათ მორალის თვალსაზრისით, აკრძალული იყო იქ ლამით სეირნობა, ხოლო დღისით შეიარაღებული ყარაული შეგეფეთებოდათ. იმ დილას, ცხადაა, სრულიად შემთხვევით, მთელ ნაქალაქარს აწვიმდა.

გონებააბნეული დავეხეტებოდი უკაცრიელ სველ მინდვრებში და ვცდილობდი ჩემს არსებაში ის ძალა მაინც მეპოვა, რომელსაც აქამდე ერთხელაც არ უღალატნია და მშველოდა ცხოვრება ისე აღმეჭვა, როგორც სინამდვილეში იყო, რაკი ერთხელ ვიწამე, რომ მისი შეცვლა არ შემეძლო. მე კი მართლაც არ შემეძლო დროის წყართა სათავემდის ასვლა, არ შემეძლო სამყაროსთვის დამებრუნებინა ის სახე, მე რომ მიყვარდა და კარგა ხნით ადრე რომ გაქრა. დიახ, 1939 წლის 2 სექტემბერს საბერძნეთში ვერ წავედი, როგორც განზრახული მქონდა. სამაგიეროდ ომმა მოაღწია ჩვენამდის და მერე საბერძნეთსაც ეწვია. როცა შავი წყლით სავსე სარკოფაგებსა და იალღუნის გაწუწულ ხეებს შეეყურებდი, კვლავ ვიგრძენი, მანძილსა და წლებს, ამ ცხელ ნანგრევებსა და მავთულხლართს რომ ერთმანეთს აშორებდა, ჩემშიაც დაეტოვებინათ კვალი. ბავშვობიდანვე სილამაზის ჭკრეტაში აღზრდილს, რაც იმ დროს ჩემს ერთადერთ სიმდიდრეს წარმოადგენდა, იმთავითვე განცდათა სისავსე მიწვოდა. შემდეგ გაჩნდა მავთულხლართი, ესე იგი ტირანია, ომი, პოლიცია — დრო დადგა ამბოხებისა, უნდა დავმორჩილებოდი ომის წესებს, დღის სილამაზე მოგონებადღა დარჩა. ახლა კი ამ ტალახიანმა ტიპასამ მოგონებებიც ტალახით დაფარა. რომელ სილამაზეზე, განცდათა სისავსეზე ან სიჭაბუკეზე შეიძლებოდა ლაპარაკი! ხანძართა ალზე უეცრად გამოჩნდა სამყაროს ძველი თუ ახალი ნაოჭები. სამყარო სწრაფად მოხუცდა და ჩვენც მასთან ერთად მოვხუცდით. კარგად ვიცოდი, აღტყინება, რასაც აქ ვეძებდი, მხოლოდ იმას ეწვევა, ვინაც არ უწყის, თუ აღტყინება დაეუფლება. თუნდაც სულ მცირე უმანკოების გარეშე არ არსებობს სიყვარული. მაგრამ სად არის უმანკობა? იმპერიები ემხოზოდნენ, ერები და ადამიანები ერთმანეთს ყელს ჰლადრავდნენ. პირი წაბილწული გვექონდა. თავდაპირველად უღანაშაულონი ვიყავით და ეს თვითონაც არ ვიცოდით. ახლა კი უღანაშაულო დამნაშავენი გავხდით: საიდუმლოება ჩვენს ცოდნასთან ერთად მატულობდა. აი ამიტომაც მივდევდით ჩვენ, — განა დაცინვა არაა, — ზნეობას. მე, ბეჩავი, სათნოებაზე ვოცნებობდი! ჩემი უბიწოების ხანაში არ ვიცოდი, ზნეობა თუ არსებობდა. ახლა ეს ვიცი, მაგრამ ძალა არ შემწევს მის სიმალღემდე ავადწიო. ამ ზღვისპირა ბორცვებზე, ოდესღაც რომ ასე მიყვარდა, მეჩვენებოდა, თითქოს დანგრეული ტაძრის სველ სვეტებს შორის ვიღაცას ფეხდაფეხ მივდევდი, და მისი ნაბიჯების ხმა ქვის ფილებსა და მოზაიკაზე ახლაც მესმის, თუმცა იმ ვიღაცას უკვე ვერასოდეს დავეწეოდი. პარიზს გავემგზავრე და რამდენიმე წელი გავიდა, ვიდრე ისევ აქ დავბრუნდებოდი.

მაგრამ მთელი ეს წლები ბუნდოვნად ვგრძნობდი, რაღაც მაკლდა. თუ ერთხელ მაინც ბედნიერი ყოფილხარ და ძლიერად გყვარებია, მერე ცხოვრებაში ისევ და ისევ იმ მცხუნვარებას და სანათლეს ეძებ. სილამაზესა და მასთან დაკავშირებულ ხორციელ ბედნიერებაზე უარი რომ თქვა და მარტოოდენ უბედურთა სამსახურისთვის გადადო თავი, ეს სულის ისეთ სიდიადეს მოითხოვს, რაც მე არ გამაჩნია. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტებას იმით ვერასოდეს მოიძიებ, რაიც განსაკუთრებულობას იჩემებს. ცალკე მდგომი სილამაზე მანჭვა-გრეხა-




ში გადადის, განკერძოებული სამართლიანობა კი — ჩაგვრაში. ის, ვისაც უნდა პირველს ემსახუროს და მეორეს კი სათვალავში არ აგდებს, არც ერთს და არც თავის თავს არ ემსახურება, საბოლოო ჯამში კი უსამართლობას ემსახურება ორმაგად. და აი, დგება დღე, როცა ასეთი მოუქნელობის შედეგად აღარაფერი გვჩნდება, ყველაფერი უკვე ნაცნობი და გამეორებული გვეჩვენება ცხოვრებაში. ეს არის უამბი განძევებისა, გამოფიტული ცხოვრებისა, სულიერი სიკვდილისა, რათა ისევ აღსდგე, საჭიროა განცდათა სიუხვე, თავდავიწყება ან სამშობლო. ერთ დილას, რომელიღაც ქუჩის მოსახვევში მკერდზე მაცოცხლებელი ცვარი დაგეცემა და მერე თუნდაც აორთქლდეს, მისი სიგრილე დიდხანს გაგყვება. სწორედ ეს არის აგრერიგად გულს რომ სჭირდება. მე ისევ გზას უნდა გავდგომოდი.

და ახლა, როცა კვლავ დავეხეტებოდი ალჟირში, დავეხეტებოდი ამ თავსხმაში, რომელსაც თითქოს ჩემი წასვლის დღიდან არ გადაეღო და როგორც მაშინ მეგონა, არც არასოდეს გადაიღებდა, ატანილს იმ დიდი სევდით, წვიმითა და ზღვის სუნით გაჟღენთილ ჰაერში რომ იგრძნობოდა, შემყურეს ნისლიანი ცისა, ამ თავსხმისაგან გაქცეულ ადამიანთა ზურგებისა, შემყურეს კაფეებისა, სადაც გოგირდისფერი შუქი სახეებს ამახინჯებდა, — მე მაინც ჯიუტად რაღაცის იმედი მქონდა. განა არ ვიცოდი, რომ ალჟირის წვიმები ერთ წუთში გადაიღებს ხოლმე, თუმცა კი გგონია, გადაღებას პირი არ უჩანსო. ჩემი ქვეყნის მდინარეებიც ხომ ასეა: რაღაც ორ საათში აღიდრებიან, ნაპირებს გადმოხეტქენ, ათასობით ჰექტარ მიწას წალეკენ და მერე ერთბაშად იშრიტებიან. ერთ საღამოს მართლაც შეწყდა წვიმა. ერთ ღამეს კიდევ შევიცადენესტიანი, თვალისმომჭრელი დილა ამოვიდა სუფთა ზღვაზე. დაუსრულებელი წვიმებით გადარეცხილ, მთლად გამჭვირვალე ლაყვარდოვანი ცის კაბადონიდან მოცახცახე შუქი იღვრებოდა და ყოველ სახლსა და ხეს წარმტაც შუქს ჰფენდა. ალბათ ასეთივე შუქი ციაგებდა სამყაროს შექმნის დილას. მე ისევ ტიპასას გზას გავუდექი. ამ გზის სამოცდაცხრა კილომეტრიდან ერთი კილომეტრიც არ არის, ჩემი მოგონებებითა და განცდებით არ იყოს მოფენილი. მშფოთვარე ბავშვობა, მოზარდის ოცნებანი მორახრახე ავტობუსში, დილა, ქალიშვილები, პლაჟი, ძალის გამოსაჩენად მუდამ გამზადებული ჭაბუკური კუნთები, საღამოობით მსუბუქი კაეშანი, თექვსმეტი წლის ბიჭს გულს რომ უკუმშავს, ცხოვრების წყურვილი, დიდება, — და მთელი ამ წლების მანძილზე ერთი და იგივე ზეცა, დაუშრეტელი ძალით რომ აფრქვევს სინათლეს, ეს გაუმაძღარი ზეცა, მრავალი წლის განმავლობაში ერთიმეორეზე რომ შთანთქავს საბედისწერო შუადლის საათებში ზღვის პირზე ჯვარცმულ მსხვერპლთ. როგორც კი გზამ სპილენძისფერი ვენახებით დაფარული საელი და მისი ბორცვები ჩამოიტოვა და ნაპირისკენ იწყო დაშვება, დასალიერზე ისევ გადაიხსნა დილაობით თითქმის შეუმიჩნეველი, ასევე უცვლელი ზღვა, მაგრამ არ შევჩერებულვარ, რომ ზღვისთვის შემეხედა. მწაღდა ჩქარა მენახა შენუა — თითქოს ერთი დიდი ლოდისგან გამოჭრილი ვეებერთელა მთა, დასავლეთიდან რომ იცავს ტიპასას. ყურეს და მერე თვითონვე ეშვება ზღვაში. მას შორიდანვე ამჩნევთ: შენუა ცისფერი მსუბუქი ღრუბელივით ერთხანს ცას ერწყმის, მაგრამ რაც უფრო უახლოვდება, თანდათან სქელდება და გარსშემორტყმული ტალღების ფერს იღებს. იგი ანაზღად დაწყნარებულ ზღვაზე საოცარ აღმაფრენაში ყალყზე შემდგარ და უეცრად გაქვავებულ ტალღას მიაგავს. მიუახლოვდები ტიპასას და შენ თვალწინ ნელ-ნელა აიშრება კოპებშეკრული ვეებერთელა მოყავისფრო მწვანე მთა, თანდათან გამოიკვეთება ბებერი, ხავსმოდებული ღვთაება, მძლეთამძლე და შეურყეველი, თავშესაფარი და ნავსაყუდელი თავისი შვილებისა, რომელთაც მეც ვეკუთვნი.

შენუას ცქერაში გართულმა მავთულხლართები შევარღვიე და ნანგრევებში აღმოვჩინდი. დეკემბრის დიდებულ მზის სხივებზე, — ეს კი მთელ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ შეიძლება მოხდეს და ამის მომსწრე ადამიანს შეუძლია თავი ბედნიერად ჩათვალოს, — მე ვბოვე სწორედ ის, რის საძებნელადაც ვიყავ მოსული და რაც, მიუხედავად დროისა და სამყაროსი, მე მომეძღვნა, ჭეშმარიტად მხოლოდ მე, ამ მივარდნილ კუთხეში. ზეთისხილის ტოტებით დაფარული ფორუმიდან სოფლის ხედი იშლებოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა იქიდან, მხოლოდ მსუბუქი ბოლი აღიოდა გამჭვირვალე ჰაერში. ზღვაც დუმდა, თითქოს გაგუდულიყო მოციმციმე ცივი სხივების ღვარში. მხოლოდ შენუას მხრიდან მოსული შორეული მამლის ყივილი ქებათა-ქებას უგალობდა დღის წარმავალ დიდებას. ნანგრევების მხრიდან, სადამდეც თვალი სწვდებოდა, მხოლოდ დამსხვრეული ლოდები და აბზინდა, ხეები და საუცხოო სვეტები მოჩანდა ბროლისებრ გამჭვირვალე ჰაერში. ასე მეგონა, თითქოს დილა გაირინდა, მზე ადგილზე შედგა და დროც გაჩერდა-მეთქი. ამ შუქსა და ამ დუმილში ნელინელ დნებოდა მძვინვარებისა და სიბნელის წლები. ისევ მესმა თითქმის უკვე მივიწყებული ხმაური, თითქოს გული ჩემი, უკვე დიდი ხნის შეჩერებული, ისევ ნელ-ნელა იწყებდა ძვერას. გამო-

ფხიზლებული ახლა სათითაოდ ვარჩევდი ღუმლის უჩინარ ხმებს: ფრინველთა გაბმულ მო-
 ძახილს, ზღვის მსუბუქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ოხვრას, კლდის ძირს რომ ეხეთქებოდა, ხეტა შრის
 ალს, სვეტების მუნჯ სიმღერას, აბზინდების შარიშურს, ხვლიკების სწრაფ სრიალს. ეს ყვე-
 ლაფერი ჩემს ყურს სწვდებოდა. იმასაც ვგრძნობდი, როგორ მავსებდა ბედნიერების ტალღე-
 ბი, მეჩვენებოდა, თითქოს რომელიღაც ნავსაყუდელს მივადექი, ყოველ შემთხვევაში, ერთი
 წამით მაინც, და რომ ეს წამი არასოდეს არ დასრულდება. მაგრამ მალე მზე ცაზე შესამჩნე-
 ვად ამოიწვერა. მერე შაშივი აჭახჭახდა, თითქოს ხმა მოსინჯაო, და მაშინვე ყოველი მხრიდან
 ძლიერად იჭექა მხიარულმა, არეულ-დარეულმა აღტაცების ხმებმა. დღე აღვილიდან დაიძრა.
 ამ დღეს საღამომდე უნდა მივეყვანე. შუადღისას ქვიშიანი ფერდობიდან, რომელსაც ჰელი-
 ოტროპის ყვავილები თითქოსდა უკანასკნელი დღეების მძაფრი ღელვისაგან დატოვებული
 ზღვის ქაფივით მოსდებოდა, მე დავყურებდი ამ დროისთვის უკვე მოქანცულ ზღვას, რომე-
 ლიც ტალღებს ზანტად მოაგორებდა და ვიკლავდი ორმაგ წყურვილს, წყურვილს სიყვარუ-
 ლისა და აღტაცებისა, რაიც მთლიანად გიფიტავს სულს, თუკი დიდხანს ვერ დაიკმაყოფილე-
 ვინაიდან სხვას არ უყვარდე, ეს მხოლოდ უიღბლობაა, ნამდვილად უბედური მაშინა ხარ, როცა
 თავად არ გიყვარს. დღეს ყველას ეს უბედურება გვკლავს. იმიტომ, რომ სისხლი და ზიზღი
 გულს ფიტავს და აჭკნობს. გაუთავებელი ძებნა სამართლიანობისა შთანთქავს სიყვარულს,
 რომელიც მანვე წარმოშვა. იმ საყოველთაო გლოვა-გოდებაში, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, სიყვა-
 რული შეუძლებელია, მართოდენ სამართლიანობა კი არ კმარა. ამიტომ სძულს ევროპას დღის
 სინათლე და უსამართლობას მხოლოდ უსამართლობასვე უპირისპირებს. და აი, რათა სამარ-
 თლიანობისთვის ლპობა ამეცდინა, როგორც საუცხოო ნარინჯი, რომელსაც გულში მხოლოდ-
 და გამომხმარი მწარე ხორცი დარჩენია, მე ტიპასაში ერთხელ კიდევ აღმოვაჩინე, — საჭირო
 იყო ხელუხლებლად შემომენახა განცდათა სიახლე და სიხარულის წყარო, მყვარებოდა მზე,
 რომელიც უსამართლობას თავს არიდებს, და მისი შუქით შეიარაღებული დავბრუნებოდი
 ბრძოლას. მე აქ კვლავ ვბოვე ძველისძველი სილამაზე და დაუბერებელი ცა, და მივხვდი, რა
 იღბლიანი ვყოფილვარ, როცა ბოლოს და ბოლოს ჩავწვდი, რომ ჩვენი უგუნურების უმსგავს
 წლებში ამ ცის მოგონება არასოდეს დამიკარგავს. საბოლოო ჯამში სწორედ მან გადამარჩინა
 სასოწარკვეთას. მუდამ მახსოვდა, რომ ტიპასას ნანგრევები ჩვენს მშენებლობაზე და ჩვენს
 ნანგრევებზე ახალგაზრდაა. აქ ყოველდღე იბადებოდა სამყარო მარად ახალი შუქის ციალში.
 ჰოი, სინათლევ — შენ გიხმობდა ბედისწერის წინაშე მდგომი ანტიკური დრამის ყველა
 გმირი. შენ ჩვენთვისაც უკანასკნელი თავშესაფარი იყავი, — ახლა მე ეს კარგად ვიცოდი.
 ამ შუა ზამთარში როგორც იყო მივხვდი, რომ ჩემს არსებაში უძლეველი ზაფხული ფეთქდა.

ისევ დავტოვე ტიპასა და ევროპასა და მის ბრძოლებს დავუბრუნდი. მაგრამ მოგონება ამ
 დღისა ახლაც ნუგეშს მცემს და მეხმარება ერთნაირად გადავიტანო სიხარულიცა და ელდაც,
 არაფერი უკუვაგდო, ვისწავლო, როგორ გადავგრიხო ერთ დაჭიმულ სიმაღ თეთრი და შავი
 ძაფი. რა შემიძლია ვინატრო ამაზე მეტი ამ ჩვენს ძნელსა და მძიმე დროში? ვფიქრობ, რომ
 ყველაფერში, რაც დღემდე გამიკეთებია და მიტქვამს, შეიძლება განვასხვავოთ ეს ორი ძალა,
 თუნდაც ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ. მე ვერ დავგმე სინათლე, რომლის სამე-
 ფოში დავიბადე, მაგრამ არც იმ ვალდებულებებზე მინდა ვთქვა უარი, ჩვენმა ეპოქამ რომ
 დამაკისრა. მეტისმეტად აღვილი იქნებოდა ტიპასას ნაზი სახელისათვის სხვა უფრო მკლერი და
 სასტიკი სახელები დაგვეპირისპირებინა: თანამედროვე ადამიანის სულის ხვეულები ჩემთვის
 კარგადაა ნაცნობი, ვინაიდან მე ისინი თავიდან ბოლომდე განვვლე, სულის მაღალი მწვერ-
 ვალებიდან დაწყებული ბოროტმოქმედებათა ფსკერამდე. რასაკვირველია, ყოველთვის შეიძ-
 ლება მოისვენო და ძილს მიეცე მწვერვალზე, ან ბოროტმოქმედებაში ეძიო თავშესაფარი, მაგ-
 რამ როცა არსებულის რაიმე ერთ ნაწილზე უარს ამბობ, თავადვე უარს ამბობ არსებობაზე.
 ამრიგად, ან ცხოვრებაზე უარი უნდა თქვა, ან ის ნამდვილად შეიყვარო. არსებობს ერთგვარი
 სურვილი ცხოვრებისა, როცა სინამდვილეს უცილობლად იღებ, და ამ სიკეთეს მე ქვეყნად
 ყველაზე მეტად ვეთაყვანები. კარგი იქნებოდა ეს სურვილი ხანდახან მაინც გამომეჩინა,
 იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ჩვენი ეპოქა მოითხოვს ადამიანი საკუთარი თავის ერთგული
 დარჩეს ავშიც და კარგშიც. ამიტომ ვცდილობ არასოდეს არაფერს მოვარიდო თავი და მუ-
 დამ მახსოვს, რომ სინამდვილეს ორი სახე აქვს. დიახ, არსებობს სილამაზე და არსებობენ
 დამცირებულნი. და რაც უნდა ძნელი იყოს ეს განაზრახი, ჩემი სურვილია არასოდეს ვულა-
 ლატო არც ერთსა და არც მეორეთ.



მაგრამ ესეც ზნეობის ქადაგებას წააგავს, ჩვენ კი რაღაც ისეთისთვის ვცხოვრობთ, რაც ზნეობაზე მაღლა დგას და უფრო დიდია. ო, რა კარგი იქნებოდა მისი სახელის თქმა რომ შეგვეძლოს! მაგრამ ვაი, რომ ვდუმვართ. ტიპასადან აღმოსავლეთით სენ-სალსას გორაკზე სალამო ბინადრობს. მართალია, ჯერ არ დაბნელებულა, მაგრამ სინათლის ოდნავ შესამჩნევი კლება დღის დასასრულს გვამცნობს. ამ ღამესავით მსუბუქი ნიაფი ქრის, უეცრად წყნარი ზღვის ზედაპირი ირხვეა და დიდი უდაბური მდინარის მსგავსად თითქოს ცისკიდურის ერთი ბოლოდან მეორისაკენ მიიმართება. ცა ბნელდება და აი, იწყება დრო მისტერიებისა, ღამის ღმერთებისა, უზომო ნეტარებისა. როგორ აღვწერო ეს ყველაფერი? პატარა მონეტის ცალ მხარეზე, აქედან რომ მიმაქვს, ქალის მშვენიერი პირისახე ჩანს. ის მეუბნება ყველაფერს, რაც დღეს იქ შევიტყვე. მეორე მხარე ჟამთა სვლისაგან შელანძულია და უკან დაბრუნებისას მთელი გზა თითებით ვგრძნობ მის თითქმის გადაშლილ ზედაპირს. სხვას რას მეტყვის ეს უტუჩო პირი, თუ არა იგივეს, რასაც ჩემს გულში მქდერი სხვა იდუმალი ხმა მეუბნება, ყოველ ცისმარე დღეს ჩემს უვიცობასა და ბედნიერებაზე რომ ჩამჩიჩინებს?

„საიდუმლო, მე რომ დავეძებ, ზეთისხილის ხეობაშია ჩაფლული ბალახისა და გრილი იების ქვეშ, ერთ ძველ სახლთან, სადაც ვაზის ლერწის სუნი ტრიალებს. ოც წელიწადზე მეტია, რაც ეს და სხვა მისი მსგავსი ხეობები შემოვლილი მაქვს. ბევრი სიტყვაძუნწი თხის მწყემსი გამომიკითხავს, ბევრი გავერანებული ნანგრევის კარზე მიმიკაკუნებია. ხანდახან, როცა ჯერ ისევ ნათელ ცაზე ობოლი ვარსკვლავი ამობრწყინდებოდა და დედამიწაზე ნაზი შუქი წვიმად დაიდვრებოდა, ასე მეგონა, ვიცი-მეთქი ეს საიდუმლო, და მართლაც ვიცი. შესაძლებელია ახლაც ვიცი. მაგრამ ეს საიდუმლო არავის სჭირდება და, რასაკვირველია, არც მე მჭირდება. მე ხომ არ შემიძლია ჩემს მახლობელთ გავეთიშო. მე ვცხოვრობ ჩემს ოჯახში, რომელსაც ჰგონია, რომ ქვისა და ნისლისაგან ნაგები მდიდარი და მახინჯი ქალაქები დაიმორჩილა. ეს ოჯახი დღედაღამ ხმამაღლა ლაპარაკობს, მის წინაშე ყველა ქედს იხრის, ხოლო თვითონ კი არავის უხრის ქედს: ის ყოველგვარი საიდუმლოების მიმართ ყრუ არის. თუმცა მისი ძლიერებით მიდგას სული, მაინც დიდ სევდას მგვრის და ხდება ხოლმე, რომ მისი ყვარული მღლის. მაგრამ მისი უბედურება ჩემი უბედურებაცაა, ძარღვებში ერთნაირი სისხლი გვიჩქვფს. მე მისი თანამოზიარე, მასავით ავადმყოფი და მასავით მყვირალა ვარ: განა მე არ ვყვიროდი იმ ქვების გარემოცვაში? ჰოდა, ახლა ვცდილობ დავიწყებას, დავაბიჯებ ჩვენს რკინისა და ცეცხლის ქალაქებში, ვაეკაცურად ვუღიმი ღამეს, ვუხმობ ქარიშხალს, — და ერთგული ვრჩები მისი. მე, ამიერიდან მოქმედმა და ყურდახშულმა, მართლაც დავივიწყე. მაგრამ ვინ იცის, როცა დასაღუპად მომწიფებულნი ერთ მშვენიერ დღეს უილაჯობისა და არცოდნისაგან სიკვდილის პირას აღმოვჩნდებით, იქნებ შევძლო ხელი ავიღო ჩვენს მყვირალა აკლამებზე, წავიდე, იმ ხეობაში დავისვენო, სადაც იგივე შუქი დაჰნათის, და უკანასკნელად გავიხსენო ის, რაიც უკვე ვიცი“.





რუსულიდან თარგმნა სოლომონ დეპურხანაშვილმა

ოქტომბრის შუა რიცხვებში, გახურებულ მუშაობაში რომ ვიყავით, კაბინეტის კარებში მოულოდნელად გამოჩნდა ა. ნ. მაიკოვი. მე მისი სურათი მქონდა ნანახი და მაშინვე ვიცანი.

-- ო, რა პატრიარქალურად ცხოვრობთ, — ხუმრობით უთხრა ფეოდორ მიხაილოვიჩს, — მთავარი კარი ღია დაგრჩენიათ, მთელი სახლი რომ გაიტანონ, პატრონი არავინაა.

ფეოდორ მიხაილოვიჩს, ეტყობოდა, გაუხარდა მაიკოვის დანახვა, მაშინვე გამაცნო და უთხრა: ეს „ჩემი ერთგული თანაშემწეაო“, რაც მე ძალიან მესიამოვნა. აპოლონ ნიკოლაევიჩმა, ჩემი გვარი რომ გაიგონა, მაშინვე მკითხა, ახლახან რომ მწერალი სნიტკინი გარდაიცვალა, თქვენი რა იყო (ჩვეულებრივ ყველა მწერალი გაცნობისთანავე ამას მკითხავდა ხოლმე) და მერე წასასვლელად აჩქარდა, მუშაობაში ხელს შეგიშლითო. ფეოდორ მიხაილოვიჩმა მაიკოვი გვერდითა ოთახში გაიყვანა. იქ ოც წუთს საუბრობდნენ, მე კი ამ დროს ნაკარნახევს ვათეთრებდი.

მაიკოვი კაბინეტში შემობრუნდა, ბოდიში მომიხადა და ფეოდორ მიხაილოვიჩს სთხოვა, ჩემთვის რაიმე ეკარნახა. იმ დროს სტენოგრაფია ახალი ხილი იყო და ყველას აინტერესებდა. ფეოდორ მიხაილოვიჩმა შეუსრულა თხოვნა და ნახევარი გვერდი მიკარნახა. მე მაშინვე ხმამაღლა წავიკითხე ჩანაწერი. მაიკოვი ყურადღებით ათვალთვლებდა სტენოგრაფას, თან გაიძახოდა:

— არა, ამისი არაფერი გამეგებაო.

აპოლონ ნიკოლაევიჩი ძალიან მომეწონა. ადრეც მიყვარდა, როგორც პოეტი. ეს სასიამოვნო შთაბეჭდილება კიდევ უფრო გამძლიერდა მას შემდეგ, რაც ფეოდორ მიხაილოვიჩმა იგი დაახასიათა, როგორც არაჩვეულებრივად კეთილი და შესანიშნავი ადამიანი.

დრო გადიოდა, და ფეოდორ მიხაილოვიჩიც მეტის გატაცებით მუშაობდა. იგი ზეპირად აღარ მკარნახობდა. ღამით მუშაობდა და დილით ხელნაწერიდან კითხულობდა. ხანდახან იმდენს დამახვედრებდა ხოლმე დაწერილს, რომ მერე შუალამემდე ვუნდებოდი მის გადათეთრებას. სამაგიეროდ როგორის სიამაყით განვაცხადებდი ხოლმე მეორე დღეს ნამატი გვერდების რაოდენობას. როგორ მსიამოვნებდა ფეოდორ მიხაილოვიჩის ღიმილი, როცა ვარწმუნებდი, მუშაობა სწრაფად მიდის და ეჭვი არა მაქვს, დროულად დავასრულებთ-მეთქი:

ჩვენ ერთად მივყვებოდით კვალდაკვალ ახალი რომანის გმირთა ცხოვრებას. ორთვეს უკვე გვყავდა საყვარელი გმირები და საძულველი გმირები, რომელთა მიმართაც მტრულად განვეწყვეთ. მე შემეყვარდა ბებია და მისტერ ასტლეი, ავითვალწუნე პოლინა და მთავარი გმირი, რომელსაც ვერასდიდებით ვერ ვაპატიე სულმოკლეობა და თამაშით გატაცება. ფეოდორ მიხაილოვიჩი მთლიანად „მოთამაშის“ მხარეზე იყო და ამბობდა, ბევრი მისი ვნებათაღელვა თავად განშიცდიაო. იგი მარწმუნებდა, შეიძლება ძლიერი ხასიათი გქონდეს, და ეს

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1, 1979.



საკუთარი ცხოვრებით დაამტკიცო, მაგრამ ამასთან არ გაგაჩნდეს ძალა, რომ დასძლიო რუ-
ლეტის თამაშისადმი სიყვარული.

ხანდახან მე თვითონ მათეობდა საკუთარი სითამამე, როცა რომანზე ჩემი აზრის გამოთ-
ქმას ვავებდავდი, მაგრამ არანაკლებად მაკვირვებდა ის მოთმინებაც, რომლითაც ეს ნიჭიერი
ადამიანი ისმენდა ჩემს თითქმის ბავშვურ შენიშვნებსა და მსჯელობას. სამი კვირის განმავ-
ლობაში ერთად მუშაობამ ჩემი ძველი საქმიანობა თითქმის მეორეხარისხოვან გატაცებად აქ-
ცია. ოლხინთან შეთანხმებული ვიყავი და სტენოგრაფიის ლექციებზე აღარ დავდიოდი. ნაცნო-
ბებსაც იშვიათად ვხვდებოდი. ერთი სიტყვით, მთელი არსებით გამიტაცა სამუშაომ, მეტადრე
კი არაჩვეულებრივმა საუბრებმა, რომლებსაც შიგა და შიგ გავმართავდი ხოლმე. უნებურად
ფეოდორ მიხაილოვიჩს იმ ახალგაზრდებს ვადარებდი, ვისაც ჩემს წრეში ვხვდებოდი. რა
ფუჭი, უშინაარსო მეჩვენებოდა მათი ლაპარაკი ჩემი საყვარელი მწერლის თავისებურ საუ-
ბართან შედარებით.

ახალი იდეების შთაბეჭდილებებით დატვირთულს შინ მოწყენილობა მეუფლებოდა, ერთი
სული მქონდა, როდის გათენდებოდა მეორე დღე, რომ მალე მივსულიყავი ფეოდორ მიხა-
ილოვიჩთან.

სამუშაო დასასრულს უახლოვდებოდა და გული მწყდებოდა, რომ მალე ჩვენი ნაცნობო-
ბაც შეწყდებოდა. როგორ გამიკვირდა და თანაც გამიხარდა, როცა დოსტოევსკიმაც გულის-
ტივილით იგივე აღნიშნა.

— ანა გრიგორევნა, იცით რას ვფიქრობ? აი როგორ შევეთვისეთ ერთმანეთს, ასე
მეგობრულად ვხვდებით ყოველდღე, ასე ტკბილად ვსაუბრობთ და ნუთუ რომანის დაწერის
შემდეგ ყველაფერი უნდა დასრულდეს? ძალიან ვწუხვარ ამაზე. უთქვენოდ მოვიწყენ. სადღა
გნახავთ?

— ზომ გაგიგონიათ, ფეოდორ მიხაილოვიჩ, — აღელვებით ვუთხარი მე. — მთა მთას არ
შეხვდება, თორემ კაცი კაცს ყოველთვის შეხვდებაო.

— მაგრამ სად, როგორ?

— სადმე, რომელიმე საზოგადოებაში, თეატრში, კონცერტზე...

— თქვენ კარგად იცით, საზოგადოებასა და თეატრებში იშვიათად დავდივარ, ან რა
შეხვედრათ, ასეთ დროს ზომ ორ სიტყვასაც ვერ ვეტყვით ერთმანეთს, რატომ ოჯახში არ
მიმიპატიებთ?

— რატომაც არა, მობრძანდით, ძალიან გაგვახარებს თქვენი სტუმრობა, ოღონდ ვში-
შობ, მე და დედაჩემი მოსაუბრეებად ვერ გამოვადგებით.

— როდის შემიძლია მოვიდე?

— ამაზე შევთანხმდებით, როცა რომანს დავამთავრებთ, — ვუთხარი მე. — ჩემთვის ახლა
ერთი რამ არის მთავარი, დროზე დავამთავროთ სამუშაო.

ახლოვდებოდა პირველი ნოემბერი, როცა ფეოდორ მიხაილოვიჩს სტელოვსკისთვის უნდა
ჩაებარებინა რომანი. იგი შიშმა შეიბყრო. სტელოვსკიმ რაიმე არ მოიფიქროს, შარი არ მომ-
დოს და უარი არა თქვას რომანის მიღებაზეო. მე, როგორც შემეძლო, ვაწყენარებდი ფეოდორ
მიხაილოვიჩს.

შევპირდი, ყველაფერს გავიგებ და ვეტყვით, რა უნდა გააკეთოთ, თუ თქვენი ეჭვი
გამართლდება-მეთქი. იმავე საღამოს ვთხოვე დედას, ენახა ნაცნობი ვეჭილი. იმან ურჩია, რომ
რომანის ხელნაწერი ჩაბარებოდა ნოტარიუსს ან იმ უბნის პრისტავს, სადაც სტელოვსკი ცხოვ-
რობდა, ოღონდ აუცილებლად ოფიციალური პირის ხელმოწერით. იგივე ურჩია სამოქალაქო
მოსამართლემ ფრეიმანმაც (სკოლის ამხანაგის ძმამ), ვისაც ფეოდორ მიხაილოვიჩმა რჩევის-
თვის მიმართა.

29 ოქტომბერს ფეოდორ მიხაილოვიჩმა რომანის დასასრული მიკარნახა. ასე რომ, რომანი
„მოთამაშე“ დასრულდა. 4-დან 29-ოქტომბრამდე, ოცდაექვსი დღის განმავლობაში ფეოდორ
მიხაილოვიჩმა დაწერა შედითხაბიანი დიდი ფორმატის რომანი, რომელიც ჩვეულებრივ ათ
თაბახს მოიცავდა. ფეოდორ მიხაილოვიჩი უსაზღვროდ კმაყოფილი იყო და მითხრა, თუ სტე-
ლოვსკისთან ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, განზრახული მაქვს, ჩემი მეგობრები
რესტორანში ვაქეიფო (მხედველობაში ჰყავდა მაიკოვი, მილიუკოვი და სხვები) და წინას-
წარ მიმიწვია ნადიმში მონაწილეობის მისაღებად.

— ყოფილხართ როდესმე რესტორანში? — მკითხა მან.



— არა, არასოდეს.

— ჩემს წვეულებაზე ხომ მოხვალთ? მინდა დავლიო საყვარელი თანაშემწის სადღეგრძელო, უთქვენოდ რომანს დროულად ვერ დავამთავრებდი. მაშ ასე, ხომ მეწვევით?

დედას ვკითხავ-მეთქი ვუბასუხე, გულში კი გადავწყვიტე, არ წავსულიყავი.

რაკი ბუნებით მორცხვი ვიყავი, ვიცოდი, მოწყენილი ვიქნებოდი და საერთო მხიარულებას ხელს შევეშლიდი.

მეორე დღეს, 30 ოქტომბერს, ფეოდორ მიხაილოვიჩის წინააღმდეგ ნაკარნახევი მივუტანე. ჩემს დანახვაზე წამოწითლდა, რალაც განსაკუთრებულად მომესალმა. ჩვეულებისამებრ გადავთვალეთ ნაწერი ფურცლები და როგორ გავიხარეთ, როცა იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით, ფეოდორ მიხაილოვიჩმა აღმითქვა, დღესვე გადავიკითხავ რომანს, ჩავასწორებ და ხვალ დილით სტელოვსკის მივუტანო, იქვე გადმომცა გასამრჯელო 50 მანეთი, მაგრად ჩამომართვა ხელი და მხურვალე მადლობა მითხრა იმ დიდი სამსახურისათვის, რაც მე გავუწიე.

ვიცოდი, რომ 30 ოქტომბერი ფეოდორ მიხაილოვიჩის დაბადების დღე იყო და გადავწყვიტე შავი შალის კაბის ნაცვლად, რომელსაც ყოველდღიურად ვატარებდი, ჩამეცვა ლილისფერი აბრეშუმის კაბა. ფეოდორ მიხაილოვიჩი ყოველთვის თალხში მხედავდა, თვალი ჰქონდა მიჩვეული და ახლა, როცა ახალ კაბაში მნახა, შენიშნა, რომ ძალზე მიხდებოდა და თან დასძინა, გრძელ კაბებში უფრო ტანწერწეტა ჩანხარო. ძალიან გამახარა ამ შექებამ, მაგრამ სიამოვნება წამამწარა ფეოდორ მიხაილოვიჩის ძმის ქვრივმა, რომელიც დაბადების დღის მოსალოცად ეწვია მაზლს. ფეოდორ მიხაილოვიჩმა ერთმანეთს გაგვაცნო, თან რძალს აუხსნა, რომ ჩემი ხელშეწყობით მოასწრო მან რომანის ვადამდე დამთავრება და მოსალოდნელი უბედურებისაგან დაიხსნა თავი. მიუხედავად ამ სიტყვებისა, ემილია ფეოდოროვნამ ცივად და ქედმაღლურად გადმომხედა, რამაც ძალიან გამაჟვირვა და გული დამწყვიტა. ფეოდორ მიხაილოვიჩს არ მოეწონა რძლის უპატივცემულო საქციელი და ამის შემდეგ უფრო მეტი ყურადღებით მეპყრობოდა, მერე შემომთავაზა, გადამეთვალეფრებინა ახლად გამოსული წიგნი. ემილია ფეოდოროვნა კი განზე გაიყვანა და რალაც ქალაქში აჩვენა.

შემოვიდა აბოლონ ნიკოლაევიჩ მაიკოვი, თავი დამიკრა, მაგრამ, ეტყობოდა, ვერ მიცნო. შემდეგ ფეოდორ მიხაილოვიჩისაკენ მიბრუნდა და ჰკითხა, რომანის საქმე როგორ მიდისო. ფეოდორ მიხაილოვიჩი რძალს ელაპარაკებოდა, მისი შეკითხვა ვერ გაიგონა და არაფერი უბასუხნია. მაშინ გადავწყვიტე, მის ნაცვლად მე მეპასუხა და მაიკოვს ვუთხარი: რომანი გუშინ დამთავრდა და უკანასკნელი თავი ახლახან მოვიტანე-მეთქი. მაიკოვი მყისვე ჩემსკენ წამოვიდა, ხელი გამომიწოდა და მომიბოდიშა, უცებ ვერ გიცანითო, მითხრა: მე ახლომხედველი ვარ, თქვენ კი შავ კაბაში უფრო დაბალი ჩანდითო. ბოლოს მკითხა, რომანზე, რა აზრისა ხართო. მე აღტაცებული ვიყავი ჩემთვის უკვე ძვირფასი ნაწარმოებით და ვუთხარი, რომანში რამდენიმე მეტად ცოცხალი და უჩვეულო ხასიათი-მეთქი (ბებია, მისტერ ასტლეი და შეყვარებული გენერალი). ჩვენ სულ ოცი წუთი ვისაუბრეთ. ძალიან გამაადვილდა ამ საყვარელ, კეთილ ადამიანთან საუბარი. ემილია ფეოდოროვნას უკვირდა და ლამის გაგიჟდა, მაიკოვი ასე ყურადღებით რომ მომეპყრო. მაგრამ შუბლი მაინც არ გახსნა, როგორც ჩანს, ვილაც სტენოგრაფს თავისი მაღალი ყურადღების ღირსად არ თვლიდა.

მაიკოვი ჩქარა წავიდა. მეც მის კვალს გავყევი, არ მსურდა ემილია ფეოდოროვნას ქედმაღლობისთვის მეცქირა. ფეოდორ მიხაილოვიჩი ამოდ მთხოვდა დავრჩენილიყავი და ცდილობდა გაექარწყლებინა რძლის უზრდელობა. მან კარებამდე მიმაცილა და გამახსენა, რომ ჩემთან უნდა მიმეწვია სტუმრად. შევპირდი, სიტყვას არ გადავიდოდი.

— მერედა, როდის შემიძლია მოვიდე. ხვალ?

— არა, ხვალ შინ არ ვიქნები. გიმნაზიის მეგობართან ვარ მიწვეული.

— ზეგ?


— ზეგ? — ზეგ სტენოგრაფიის ლექცია მაქვს.

— აბა, მაშინ ორ ნოემბერს.

— ოთხშაბათს, ორში, თეატრში მივდივარ.

— ღმერთო ჩემო! როგორი მოუცლელი ყოფილხართ, ანა გრიგორევნა, ასე მგონია თქვენ განგებ იმიზეზებთ, ალბათ არ გინდათ, მოვიდე თქვენთან. სიმართლე მითხარით.

— არა, მერწმუნეთ, ძალიან გავვიხარებოდა თქვენი მოსვლა, მობრძანდით 3 ნოემბერს, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაინცდამაინც ხუთშაბათს? ასე გვიან? მანამდე ძალიან მოვიწყენ უთქვენოდ.
რა თქმა უნდა, მე მისი ნათქვამი ალერსიან ხუმრობად ჩავთვალე.

მაშ ასე, დასრულდა სანეტარო დრო, დადგა მოსაწყენი დღეები. მთელ თვეს ისეთი ზალისით მივეწურებოდი სამუშაოზე, ისე მსიამოვნებდა ფეოლორ მიხაილოვიჩთან შეხვედრა და მასთან საუბარი, რომ სხვაგვარად ყოფნა მეძნელებოდა. ეს უკვე მოთხოვნილებად მექცა. აღრინდელმა საქმიანობამ ჩემთვის აზრი დაკარგა, იგი უკვე არარაობად, უსარგებლოდ მეჩვენებოდა, ფეოლორ მიხაილოვიჩის სტუმრობის მოლოდინიც არ მახარებდა, პირიქით, სულს მიშფოთებდა. მესმოდა, რომ ვერც ჩემი კეთილი დედა და ვერც მე, ვერ გამოვდგებოდიტ ჭკვიანი და ნიჭიერი დოსტოევსკის თანამოსაუბრედ. აქამდე თუ ხალისიანად ვსაუბრობდით, ეს, ჩემი ფიქრით, მხოლოდ იმიტომ, რომ საუბარი იმ საქმის ირგვლივ ტრიალებდა, რომელიც ორივეს გვაინტერესებდა. ახლა კი ფეოლორ მიხაილოვიჩი სტუმრად მოვიდოდა, ისეთ სტუმრად, რომელიც უსათუოდ „უნდა შეიქცია“. ამიტომ უნდა მომეფიქრებინა მომავალი საუბრის თემა, თან იმაზე ფიქრიც მტანჯავდა, ამოდენა მანძილზე მისი წამოსვლა, უღიმღამოდ გატარებული საღამო საოცრად მგრძნობიარე ფეოლორ მიხაილოვიჩის გაუქარწყლებდა: ჭველი შეხვედრების შთაბეჭდილებას, იფიქრებდა, ასეთი მოსაწყენი ნაცნობობა რაში მჭირდებოდაო. ფეოლორ მიხაილოვიჩის ნახვაზე ვოცნებობდი, ამასთანავე მინდოდა, მას თავისი დაპირება დაეწყებოდა და სტუმრად არ მოსულიყო ჩვენთან.

ვცდილობდი, ისე მოვქცეულიყავი, როგორც მხიარულ ადამიანებს ჩვევიათ, თავს ძალას ვატანდი, რათა გამეფანტა მჭუნვარება, ვესტუმრე მეგობარს, მეორე საღამოს კი სტენოგრაფიის ლექციებზე წავედი, ოლხინმა მომილოცა სამუშაოს დამთავრება. დოსტოევსკიმ წერილით აუწყა ეს ამბავი და მადლობას უძღვნა სტენოგრაფის რეკომენდაციისათვის, ვისი დახმარებითაც შესძლო რომანის სასურველად დამთავრება. ფეოლორ მიხაილოვიჩი დასძენდა, რომ ამგვარად მუშაობა ხელსაყრელი გამოდგა მისთვის და რომ შემდეგშიც ასე იმუშაებდა.

ხუთშაბათს, სამ ნოემბერს, დილიდანვე შევუდექი სამზადისს დოსტოევსკის დასახვედრად: უნდა მეყიდა ისეთი მსხალი, მას რომ უყვარდა, რითაც თავად მიმასპინძლდებოდა ხოლმე. მთელი დღე მოუსვენრად ვიყავი. 7 საათი რომ მოახლოვდა, ჩემს მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ გახდა 8-ის ნახევარი, 8 საათი, ის კი არ ჩანდა, უკვე იმედი გადავიწყვიტე, ალბათ მოსვლა გადაიფიქრა, ან დაპირება დაავიწყდა-მეთქი. 9-ის ნახევარზე გაისმა ნაწიკრი ზარის ხმა, მე გავეშურე ფეოლორ მიხაილოვიჩის შესახვედრად და ვკითხე:

— როგორ მომაგენით, ფეოლორ მიხაილოვიჩი?

— აი, ეს მესმის, — მხიარული კილოთი მიპასუხა, — თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს არ გიხაროდეთ, რომ მოგაგენით. მე კი 7 საათიდან გეძებთ, რამდენი ვიარე, ვიღას არ ვკითხე, ყველამ თითქოს იცის, რომ კოსტრომის ქუჩაა. აქვეა, მაგრამ როგორ უნდა მოაგნო, ვერავინ გეუბნება. მადლობა ღმერთს, ერთი ღვთისნიერი კაცი შემხვდა, კოფოზე შემოჯდა და მე ვეტლეს ასწავლა, საით წასულიყო.

შემოვიდა დედაჩემი. მე მაშინვე გავაცანი ის ფეოლორ მიხაილოვიჩის, რომელიც მოხდენილად ეამბორა ხელზე და უთხრა, რა დიდად იყო დავალებული ჩემგან. დედამ ჩაი გაამზადა. ფეოლორ მიხაილოვიჩმა კი ამასობაში მიამბო, რამდენი ხათბალა გადაიტანა, რომ სტელოვსკისთვის ხელნაწერი ჩაებარებინა. როგორც ვვარაუდობდით, სტელოვსკიმ იეშმაკა. თვითონ პროვინციაში წასულა, მსახურმა კი განაცხადა: არ ვიცი, როდის დაბრუნდებაო. მაშინ ფეოლორ მიხაილოვიჩი სტელოვსკის გამომცემლობის კანტორაში მოსულა და ცდილა ხელნაწერი კანტორის გამგისთვის. ჩაებარებინა, მაგრამ მას ცივი უარი უთქვამს: უფროსისაგან ამის ნებართვა არ მიმიღიაო. ნოტარიუსთან მისვლა დოსტოევსკის დაგვიანებია, ხოლო კვარტალის სამმართველოში უფროსთაგან არავინ დახვედრია, სხვებს კი უთქვამთ საღამოსთვის შემოიარეთო. მთელი დღე ამ ტანჯვაში გაუტარებია. ბოლოს, საღამოს ათ საათზედა მოუხერხებია კვარტალის სამმართველოში ხელნაწერის ჩაბარება და ზედამხედველისაგან ცნობის მიღება.

ჩაის ვსვამდით და ისე თავისუფლად ვსაუბრობდით, როგორც ყოველთვის. ჩემგან საგანგებოდ მოფიქრებული თემა არც გამხსენებია, იმდენი ახალი და მნიშვნელოვანი სათქმელი გაგვიჩნდა. ფეოლორ მიხაილოვიჩმა მოხიბლა დედაჩემი, რომელმაც პირველად დაირცხვინა კიდევ „სახელგანთქმული“ მწერლის სტუმრობით. საერთოდ დოსტოევსკის შეეძლო ყოფილიყო მომხიბვლელი. შემდეგში ბევრჯერ მინახავს, როგორ მოუჯადოებია თვით მის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ადამიანებიც კი.

დოსტოევსკიმ სხვათაშორის მითხრა: ერთ კვირას დავისვენებ და მერე „დაწამალი“ დასაჯელის“ უკანასკნელი ნაწილი უნდა დავიწყო. თქვენი დახმარება დამჭირდება, ჩემი კეთილი ანა გრიგორევი. ძალიან გამიიოლდა თქვენთან მუშაობა. მინდა, ძველებურად ვიმუშაოთ, იმედი მაქვს, თანამშრომლობაზე უარს არ მეტყვიან.

— დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით, — ვუპასუხე მე, — მაგრამ არ ვიცი, რას ფიქრობს ოლხინი, ეგებ ახალ სამუშაოზე სხვა წაგახმაროთ.

— მაგრამ მე მივეჩვიე თქვენი მუშაობის მეთოდს. და უსაზღვროდ კმაყოფილიც ვარ. სამწუხაროა, თუ ოლხინი სხვა სტენოგრაფის გამოგზავნას აპირებს, რომელსაც შეიძლება მე ვერც შევეთვისო. თუმცა, იქნებ თქვენ აღარ გსურთ ჩემთან მუშაობა? მაშინ, რა მეთქმის.

ძალიან შეწუხებული ჩანდა. ვცადე დამემშვიდებინა და ვუთხარი, ოლხინი ალბათ არ იქნება წინააღმდეგი, მაგრამ მე ვალდებული ვარ, მას დავეკითხო-მეთქი.

დაახლოებით 11 საათზე ფეოდორ მიხაილოვიჩი მოემზადა წასასვლელად. გამომშვიდობებისას პირობა ჩამომართვა, რომ პირველ ლექციაზევე მოველაპარაკებოდი ოლხინს და წერილიც გამატანა. ძველი მეგობრებით დაფშორდით ერთმანეთს და ესოდენ სასიამოვნო საუბრით აღტაცებული სასადილო ოთახში დავბრუნდი, მაგრამ ათ წუთსაც არ გაუვლია, რომ მოსამსახურე ქალი შემოვიდა და თქვა: ფეოდორ მიხაილოვიჩის მეეტლეს სიბნელეში ბალიში მოპარესო. მეეტლე ძალიან შეწუხებულა, მაგრამ როგორც კი ფეოდორ მიხაილოვიჩი შეპირებია, ახალი ბალიშით დაგასაჩუქრებო, მაშინვე დამშვიდებულა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი და ამ ამბავმა ძალიან ამადლევა. რა წარმოდგენა ექნებოდა ამის შემდეგ ფეოდორ მიხაილოვიჩს ჩვენზე, ალბათ მეორედ აღარ მოისურვებდა მოსვლას ამ მივარდნილ ადგილას, სადაც შეიძლებოდა ისიც მეეტლესავით გაეძარცვათ. წყენისაგან ლამის ავტირდი, დიდებულად გატარებული საღამო ამ სამწუხარო შემთხვევამ რატომ ჩავვიმწარა-მეთქი.

მეორე დღეს ჩემს დას, მარია გრიგორევი სვატკოვსკაიას ვესტუმრე. მასა და მის მეუღლეს, პავლე გრიგორევიჩს, ვუამბე, როგორ ვმუშაობდი დოსტოევსკისთან. ჩემი და ყურადღებით მისმენდა, ხშირად მაწყვეტინებდა სიტყვას. ყველაფერს დაწვრილებით მეკითხებოდა, გამომშვიდობებისას კი მითხრა:

— ნეტოჩკა, ამოდ აღტაცებულხარ დოსტოევსკით, შენს ოცნებას განხორციელება არ უწერია, და მადლობა ღმერთს, რომ არც უწერია. ის ხომ ავადმყოფი კაცია, თანაც ყელამდის ვალებშია ჩაფლული.


მე გაცხარებით ვუპასუხე, რომ დოსტოევსკით სრულიადაც არა ვარ გატაცებული და საერთოდ არაფერზედაც არ „ვოცნებობ“, უბრალოდ, მიხარია ასეთ გამოჩენილ ადამიანთან საუბარი. და მადლობელი ვარ იმ ყურადღებისა და სიკეთისათვის, რაც ჩემდამი გამოიჩინა-მეთქი.

ღის სიტყვებმა მაინც ამადლევა და, შინ დაბრუნებული, ჩემს თავს ვეკითხებოდი: „ნუთუ მაშა მართლს ამბობს და მე ნამდვილად „აღტაცებული“ ვარ ფეოდორ მიხაილოვიჩით, ნუთუ ეს მართლა სიყვარულის დასაწყისია. ეს ხომ უგუნური ოცნებაა, მაგრამ თუ ეს მართლაც სიყვარულის დასაწყისია, მაშინ როგორღა მოვიქცე? ხომ არა სჯობს, რაიმე საპატიო მიზეზით უარი ვთქვა შემოთავაზებულ სამუშაოზე, აღარ ვიფიქრო ფეოდორ მიხაილოვიჩზე, ვეცადო ნელ-ნელა დავივიწყო იგი, რაიმე საქმეს მოვკიდო ხელი და ისევ დავიბრუნო სულიერი სიმშვიდე; რაც ესოდენ ძვირფასი იყო ყოველთვის ჩემთვის. იქნებ, მაშა სცდება და ჩემს გულს ისეთი არაფერი ემუქრება? მაშ რატომ მივატოვო სტენოგრაფიული სამუშაო? რატომ მივატოვო ის მეტად სასარგებლო და გულთბილი საუბრები, ამ სამუშაოს წყალობით რომ ვისმენდი ხოლმე?“

ამას გარდა მებრალებოდა თვით ფეოდორ მიხაილოვიჩიც, ვისაც ასე სჭირებოდა ჩემი სტენოგრაფიული დახმარება. ვერა, მას ვერ მივატოვებდი, მით უფრო, რომ ოლხინის მოწაფეთაგან არავინ მეგულებოდა (გარდა ორისა, ისინიც უკვე მუშაობდნენ), ვანც მე ნემცვლიდა და შესძლებდა, ჩემსავით ჩქარა ჩაეწერა ნაკარნახევი და დროზე ჩაებარებინა იგი.

ასეთი ფიქრები მიტრიალებდნენ თავში და მოსვენებას აღარ მაძლევდნენ.

გათენდა კვირადღე, 6 ნოემბერი: იმ დღეს ნათლიაჩემისთვის უნდა მიმელოცა დაბადების დღე. იგი ჩვენგან შორს ცხოვრობდა და მხოლოდ საზეიმო დღეებში თუ ვესტუმრებოდი ხოლმე. დღეს მას ბევრი სტუმარი ეყოლებოდა და ვფიქრობდი, დარდს ცოტა გულს გადავავლოებ-მეთქი. როგორც ვთქვი, ნათლიაჩემი შორს ცხოვრობდა, აღარჩინის ხიდთან, ამიტომ იქ წა-



სასგულელად აღრიხანად მოვემზადე. ვიდრე მეეტლე მოვიდოდა, ფორტეპიანოს მიფუჭეჭი და შუ-
სიკის ხმაში ზარის დარეკვა არ გამოგონია. ამ დროს მამაკაცის ფეხის ხმა მომესმა. მოვიხედე
და როგორ გამიკვირდა, თანაც გამიხარდა, როცა ფეოდორ მიხაილოვიჩი დავინახე. მას გაუ-
ბედავი და დაბნეული გამომეტყველება ჰქონდა.

— ანა გრიგორეენა, ეს რა ჩავიდინე? — მითხრა მან და ხელი მაგრად ჩამომართვა, — მას
შემდეგ რაც თქვენ გაგმორდით, ძალზე მოვიწყინე, დღეს დილიდანვე ვყოყმანობდი, წამოვსუ-
ლიყავი თუ არა თქვენთან. ეგებ უხერხული იყოს-მეთქი, ვფიქრობდი. თქვენ და დედათქვენს
ხომ გავაოცებდათ ასეთი ნაჩქარევი სტუმრობა? ხუთშაბათს ვიყავი და აი, კვირას ისევ გამო-
გეტყვადეთ. არ მინდოდა წამოვსულიყავი, მაგრამ, როგორც ხედავთ, მაინც მოვედი!

— რას ამბობთ, ფეოდორ მიხაილოვიჩი, მეც და დედაჩემიც მუდამ მოხარული ვიქნებით
თქვენი სტუმრობისა.

ძალიან ვეცადე დამეწყნარებინა ფეოდორ მიხაილოვიჩი, მაგრამ საუბარი მაინც ვერ ეწ-
ყობოდა. ვერა და ვერ ვძლიე უგუნებობას და მხოლოდ შეკითხვებზე ვპასუხობდი, თავად კი
თითქმის არაფერს ვეკითხებოდი. თან ისიც მაშფოთებდა, რომ დარბაზის გათბობა ვერ მოვას-
წარით და იქ ძალიან ციოდა. ფეოდორ მიხაილოვიჩმა მაშინვე შენიშნა ეს.

— როგორ ცივა თქვენთან და თავადაც რა ცივი ხართ დღეს. — მითხრა, მერე შენიშნა
რომ ნაცრისფერი აბრეშუმის კაბა მეცვა და მკითხა, სად მიდიხართო.

როცა შეიტყო, სადაც მივდიოდი, აღარ დაგაყოვნებთო და თავისი ეტლი შემომთავაზა.
წავედი ერთად. რომელიღაც მკვეთრ მოსახვევში ფეოდორ მიხაილოვიჩმა ხელი წამაშველა.
როგორც სამოციანი წლების ყველა ქალიშვილი, მე წინააღმდეგი ვიყავი ყოველგვარი ყუ-
რადლებისა, როგორც იყო ხელზე კოცნა, ხელის წაშველება, ამიტომაც ვუთხარი:

- გთხოვთ, ნუ წუხდებით. არ გადავვარდები.
- ფეოდორ მიხაილოვიჩს, ვგონებ, ეწყინა და მიპასუხა:
- ძალიან კი მინდოდა, რომ გადავარდნილიყავით.

მე გადავიხარხარე და ჩვენ უკვე შერიგებული ვიყავით. ამის შემდეგ მთელ გზაზე მხი-
არულად ვლაცობდით და ჩემი უგუნებობაც გაიფანტა. გამომშვიდობებისას ფეოდორ მიხა-
ილოვიჩმა მაგრად ჩამომართვა ხელი და პირობა დამადებინა ერთი დღის შემდეგ მასთან
მოსალაპარაკებლად მივიდოდი „დანაშაულისა და სასჯელის“ თაობაზე.

1866 წლის 8 ნოემბერი, — ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ჩემი ცხოვრებისა:
სწორედ იმ დღეს მითხრა ფეოდორ მიხაილოვიჩმა, მიყვარხართ და ცოლად გამომეყვითო.
გაიარა ნახევარმა საუკუნემ და ჩემს მეხსიერებაში ისე ნათლად ჩარჩა ყველა წვრილმანი
იმ დღისა, თითქოსდა მხოლოდ ერთი თვე გასულიყოს მას აქეთ.

ნათელი ყინვიანი დღე იყო. ფეოდორ მიხაილოვიჩთან ფეხით წავედი და ამიტომაც ნა-
ხევარი საათი დავაგვიანე. ჩანდა, ფეოდორ მიხაილოვიჩი მოუთმენლად მელოდა, რადგან
ჩემი ხმა გაიგონა თუ არა, მაშინვე გამომეგება წინკარში.

— როგორც იქნა, გამოჩნდით! — მხიარულად მითხრა, თან პალტოს გახდაში მომეხმარა.
კაბინეტში ერთად შევედით. ამჯერად იქ მეტი სინათლე იყო. შევატყვე, რომ ფეოდორ
მიხაილოვიჩი ღელავდა და გამიკვირდა. აღზნებული და რაღაცნაირად აღტაცებული გამო-
მეტყველება ჰქონდა, რაც მის სახეს ახალგაზრდულ იერს აძლევდა.

— როგორ მიხარია, რომ მოხვედით, — დაიწყო ფეოდორ მიხაილოვიჩმა, — კინალამ
შევშინდი, ვაითუ პირობა დავიწყდეს-მეთქი.

- მერედა რატომ იფიქრეთ ეს. განა როდისმე გამიტეხია სიტყვა?
- მაპატიეთ ვიცი, პირიანი აღამიანი ხართ. მიხარია, კიდევ რომ გნახეთ.
- მეც მიხარია, ფეოდორ მიხაილოვიჩი, თანაც ასეთ კარგ გუნებაზე გხედავთ. რამე კარ-
გი ამბავი ხომ არ გაიგეთ?
- დიას, წუხელ არაჩვეულებრივი სიზმარი ვნახე.
- მართლა? — და გავეცინა.
- ნუ იცინით. მე სიზმრებისა მჯერა, სიზმრები მუდამ მიცხადდებიან. როცა ჩემი გან-
სვენებული ძმა მიშა ანდა მამაჩემი დამესიზმრება, განსაკუთრებით კი მამაჩემი, უკვე ვიცი,
რომ უბედურება მელის.
- მიამბეთ რა თქვენი სიზმარი?

— ხედავთ ამ ვეება იაკარანდის ყუთს? ჩემმა ციმბირელმა მეგობარმა ჩოკან ვალიხანოვ-
მა მაჩუქა იგი, ძალიან მიყვარს. მასში ვინახავ ხელნაწერებს, წერილებსა და ჩემთვის მოსა-



გონებლად ძვირფას ნივთებს. და აი, სიზმარში ვხვდავ, ვზივარ ამ ყუთის წინ და ქაღალდებს ვარჩევ. უცებ მათ შორის რაღაც ვარსკვლავით გაბრწყინდა. ვარჩევ ქაღალდებს, ის ვარსკვლავი ხან გამოჩნდება, ხანაც გაქრება. ამან ძალიან დამაინტერესა, დავიწყე ქაღალდების ნელ-ნელა გადაწყობა და მათ შორის ვიპოვე ერთი ციციქნა ბრილიანტი, მაგრამ ძალიან ლამაზი და ბრწყინვალეა.

— მერე, რა უყავით?

— უბედურებაც ეგაა, რომ აღარ მახსოვს. მერე სხვა სიზმრები შემომესივნენ, და აღარ ვიცი, სად წავიდა ბრილიანტი. კარგი სიზმარი იყო!

— სიზმარი, მგონი, პირიქით უნდა აიხსნას; — შევნიშნე და მყისვე ენაზე ვიკბინე.

ფეოდორ მიხაილოვიჩს სახე შეეცვალა, უფრო სწორად, მოედრებლა.

— თქვენ გგონიათ, რომ მე ბედნიერებას ვერ ვეწევი? რომ ეს ამაო იმედია? — სევდიანად წამოიძახა მან.

— მე არ ვიცი სიზმრების ახსნა და არც მჯერა მათი, — ვუბასუხე.

ძალიან ვნანობდი, რომ ფეოდორ მიხაილოვიჩს გუნება გაუფუჭებ და შევეცადე, როგორმე გამემხიარულებინა იგი. როცა მკითხა, თქვენ როგორ სიზმრებს ხედავთ, სასაცილო სიზმრები გავიხსენე.

— ხშირად ვნახულობ სიზმარში ჩვენი გიმნაზიის ყოფილ უფროსს, ძველმოდურ კულულებიან, წარმოსადგე ქალს, რომელიც ყოველთვის რაღაც მიზეზით მტუქსავს, მესიზმრება წითელი კატაც. ერთხელ იგი ჩვენი ბაღის ღობიდან პირდაპირ გულზე მომახტა და ძალიან შემაშინა.

— ბავშვი, მთლად ბავშვი, — გაიცინა ფეოდორ მიხაილოვიჩმა და ალერსით მომაჩერდა. — სიზმრებიც რომ ბავშვური გაქვთ! აბა, როგორ გაატარე დრო შენს ნათლიასთან, ძალიან იმხიარულე? — მკითხა შემდეგ.

— ძალიან. ვახშმის შემდეგ უფროსები ბანქოს მიუსხდნენ, ჩვენ კი, ახალგაზრდები. მასპინძლის კაბინეტში შევექუჩით და მთელი საღამო ვყაყაინებდით. იქ გავიცანი ორი ძალიან მხიარული და კარგი სტუდენტი.

ფეოდორ მიხაილოვიჩი მოიღუწა. გული დამწყდა, რომ ამჯერადაც უცებ შეეცვალა გუნება. მე არ ვიცოდი ეპილეფსიის თვისება და გავიფიქრე, მოახლოებულმა შეტევამ ხომ არ შეუცვალა-მეთქი გუნება, ტანში გამაჟრჟოლა...

კარგა ხანია უკვე ჩვევად გვექცა, როცა ფეოდორ მიხაილოვიჩთან სამუშაოდ მივდიოდი ხოლმე, იგი ჩვეულებრივად მიამბობდა, სად იყო ან რას აკეთებდა იმ საათებში, როცა მე მასთან არ ვიყავი. ახლა მე ვკითხე, უკანასკნელ დღეებში რას საქმიანობდით-მეთქი.

— ახალი რომანი მოვიფიქრე, — მიპასუხა მან.

— მართლა? საინტერესო რომანია?

— ჩემთვის ძალიან საინტერესოა. ოღონდ რომანის დასასრულს ვერაფერი მოგუხებრხე. ახალგაზრდა ქალიშვილის ფსიქოლოგიამ შემეშალა ხელი. მოსკოვში რომ ვიყო, ჩემს ძმის-შვილს, სონეჩკას გვითხავდი რჩევას, ახლა კი თქვენ უნდა დამეხმაროთ.

მე სიამაყით მოვემზადე ნიჭიერი მწერლის „დასახმარებლად“.

— ვინ არის თქვენი რომანის გმირი?

— მხატვარი. არც თუ ახალგაზრდა კაცი, მოკლედ, ჩემი ხნისა.

— მიამბეთ, მიამბეთ, გთხოვთ? — გთხოვე ახალი რომანით დაინტერესებულმა.

და ჩემს თხოვნას პასუხად მოჰყვა ბრწყინვალე იმპროვიზაცია. არასოდეს, არც მანამდე და არც მას შემდეგ მე არ მსმენია ფეოდორ მიხაილოვიჩისაგან ისეთი შთამბეჭდავი თხრობა, როგორიც მაშინ. რაც უფრო გაიტაცა თხრობამ, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ იგი საკუთარ თავგადასავალს მიამბობდა, ცვლიდა მხოლოდ მოქმედ პირებსა და გარემოს. მას თავი მოეყარა ყველაფრისთვის, რაც ადრე არაერთხელ უამბნია ჩემთვის ნაწყვეტ-ნაწყვეტად. მძივივით ჩამოსხმულმა მოთხრობამ ნათლად გადამიშალა თვალწინ მისი დამოკიდებულება განსვენებულ მეუღლესთან და ახლობლებთან.

ახალ რომანშიც ბავშვობის მძიმე ხვედრზე იყო მოთხრობილი. მხატვარი, ვისაც ადრევე გარდაეცვალა მამა, რაღაც მძიმე ავადმყოფობამ მთელი ათი წელი მოწყვიტა ცხოვრებასა და ხელოვნებას. მერე შეხვედრა ქალიშვილთან, რომელიც შეუყვარდა, ტანჯვა-წამება, რაც ამ სიყვარულმა მოუტანა, მეუღლისა და ახლობელი ადამიანების (საყვარელი დის) სიკვდილი, სიღარიბე, ვალები. გმირის სულიერი მდგომარეობა, მისი სიმართლვე, ახლობლებზე გულის გატება, ახალი ცხოვრების და სიყვარულისაკენ დაუოკებელი ლტოლვა, მძაფრი სურვილი ბედ-



ნიერების პოვნისა — ყველაფერი ისე, ცხადად და ნიჭიერად იყო აღწერილი, ეტყობოდა. თავად ავტორს განეცადა ისინი. მას ნატამალიც არ ეტყობოდა მხატვრული ფანტაზიისა.

გმირის დასახატავად ფეოდორ მიხაილოვიჩი მუქ საღებავებს არ იშურებდა, როგორც თვითონ ამბობდა, მისი გმირი ნაადრევად დაბერებული კაცი იყო, განუკურნებელი სენით შეპყრობილი (ხელის დამბლა), კუშტი და ეჭვიანი. მართალია, გული ნაზი აქვს, მაგრამ თავისი გრძნობები ვერ გამოუთქვამს. მხატვარი, შესაძლოა, ნიჭიერიცაა, მაგრამ ბედი არ სწყალობს. ერთხელაც ვერ მოახერხა თავისი იდეისთვის ხორცი ისე შეესხა, როგორც ოცნებობდა, ეს კი მეტად სტანჯავდა.

ვატყობდი, რომანის გმირი თავად ფეოდორ მიხაილოვიჩი იყო, ამიტომ თავი ველარ შევიკავე და შევაწყვეტინე:

- ფეოდორ მიხაილოვიჩ, რატომ აყენებთ თქვენს გმირს ამდენ წყენას?
- როგორც ვატყობ, თქვენ ის არ მოგწონთ.
- პირიქით, ძალიან მომწონს. მას არაჩვეულებრივი გული აქვს. წარმოგიდგინიათ, რამდენი უბედურება გამოიარა და მაინც უდრტვინველად გადაიტანა ყველაფერი. სხვას რომ ამდენი ტანჯვა განეცადა ცხოვრებაში, ალბათ გული გაუქვავდებოდა, თქვენს გმირს კი მაინც უყვარს ადამიანები და მზად არის დაეხმაროს მათ. არა, თქვენ მას უსამართლოდ ექცევით.
- დიახ, გეთანხმებით, მას ნამდვილად კეთილი, მოყვარული გული აქვს და როგორ მიხარია, რომ თქვენ ეს დაინახეთ.

— და აი, — განაგრძო თხრობა ფეოდორ მიხაილოვიჩმა, — თავისი ცხოვრების გადამწყვეტ წლებში მხატვარი ხვდება ახალგაზრდა ქალიშვილს, დაახლოებით თქვენი ასაკისას, ან ორიოდე წლით უფროსს. დავარქვათ მას ანა, რომ გმირად არ მოვიხსენიოთ. ეს ლამაზი სახელია...

ამ სიტყვებმა დამარწმუნა, რომ გმირ ქალიშვილში ის გულისხმობდა ანა ვასილევნა კორვინ-კრუკოვსკის, თავის ყოფილ საცოლეს. იმ წუთში მთლად დამავიწყდა, რომ მეც ანა მერქვა, რადგან სულაც არ ვფიქრობდი, თუ ამ მოთხრობას რაიმე კავშირი ჰქონდა ჩემთან. ახალ რომანს (როგორც მე ვფიქრობდი) საფუძვლად უნდა დასდებოდა საზღვარგარეთ მყოფი ანა ვასილევნასაგან ახლახან მიღებული წერილი, რაზედაც წინა დღეებში მელაპარაკებოდა ფეოდორ მიხაილოვიჩი.

გმირი ქალის სახე მხატვრის სახისაგან განსხვავებული საღებავებით იყო დახატული. ავტორის სიტყვით, ანა იყო უწყინარი, ჭკვიანი, კეთილი, მხიარული ქალიშვილი, იგი ადამიანებთან ურთიერთობაში დიდი ტაქტით გამოირჩეოდა. ახალგაზრდობაში სილამაზეს დიდად ვაფასებდი, ამიტომაც ველარ მოვითმინე და ვკითხე:


- ლამაზი თუ არის თქვენი გმირი?
 - ლამაზი არ არის, მაგრამ არც ულამაზო ეთქმის. მე მიყვარს მისი სახე.
- მომეჩვენა, თითქოს ფეოდორ მიხაილოვიჩს ეს სიტყვები წამოსცდა და გული შემეკუმშა. კორვინ-კრუკოვსკის მიმართ შური აღმეძრა, შევნიშნე:

— ფეოდორ მიხაილოვიჩ, მეტისმეტად გააიდვალეთ ეგ თქვენი ანა, ნუთუ მართლა ასეთია?

— სწორედ რომ ასეთია. მე ის ზედმიწევნით შევისწავლე. მხატვარი, — განაგრძო თავისი ამბავი ფეოდორ მიხაილოვიჩმა, — მხატვრების წრეში შეხვდა ანას. რაც უფრო ხშირად ხვდებოდა მას, მეტად მოსწონდა და რწმუნდებოდა, რომ სწორედ მასთან ჰპოვებდა ბედნიერებას, მაგრამ ამაზე ოცნება თითქმის ფუჭად მიაჩნდა. მართლაცადა, ბედნიერების სანაცვლოდ რა უნდა მიეცა ხანდაზმულ, სნეულსა და ვალებში ჩაფლულ კაცს სიცოცხლით სავსე ქალიშვილისათვის, რომელსაც მხატვრის შეყვარება დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდებოდა და მთელი ცხოვრება სანანებლად ექნებოდა, თავის ბედს მხატვარს თუ დაუკავშირებდა? ან საერთოდ თუა შესაძლებელი, რომ ახალგაზრდა ქალიშვილმა, მამაკაცისაგან ხასიათითაც და ასაკითაც განსხვავებულმა, შეიყვაროს ჩემი მხატვარი? იქნება თუ არა ეს ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი? აი, ამაზე მინდოდა თქვენი აზრის მოსმენა, ანა გრიგორევნა.

— რატომაც არ შეიძლება. როგორც ამბობთ, ეგ თქვენი ანა ვილაც კეკლუცი გოგო კი არა, კეთილი და გულისხმიერი ქალიშვილია. მაშ რატომ არ უნდა შეიყვაროს მხატვარი? მერე რა, რომ ის ავადმყოფი და ღარიბია? ნუთუ სიყვარული სიმდიდრესა და გარეგნობაშია? ან რა მსხვერპლზეა ლაპარაკი? თუ უყვარს მხატვარი, მაშინ თავადაც ბედნიერი ყოფილა და სანანებელიც არაფერი ექნება!

მე ცხარედ ვლაპარაკობდი, ფეოდორ მიხაილოვიჩი მღელვარებით მისმენდა.



— და თქვენ ნამდვილად გჯერათ, რომ ქალიშვილს შეეძლო შეყვარებოდა მხატვარი გულწრფელად? სამუდამოდ?

იგი შეჩერდა, თითქოს ყოყმანობსო.

— ერთი წუთით წარმოიდგინეთ თავი მის ადგილას, — ათრთოლებული ხმით მითხრა მერე. — წარმოიდგინეთ, რომ მხატვარი მე ვარ, მე გაგიმხილეთ სიყვარული და ვთხოვეთ ცოლობა. რას მიპასუხებდით?

ფეოდორ მიხაილოვიჩის ისეთი მღელვარება დაეტყო სახეზე, ისეთი ტანჯვა გამოეხატა, რომ მე ბოლოს და ბოლოს მივხვდი, ეს უბრალო ლიტერატურული საუბარი არ იყო და ახლა ჩემი უარი უზარმაზარ დარტყმას მიაყენებდა მის თავმოყვარეობასა და სიამაყეს. შევხედე მის ადღევებულ, ჩემთვის მეტად საყვარელ სახეს და ვუთხარი:

— მე გიპასუხებდით, მიყვარხართ და მთელი ცხოვრება მეყვარებით-მეთქი.

აქ აღარ გავიხსენებ არაჩვეულებრივად ნაზ, სიყვარულით სავსე სიტყვებს, რასაც იმ დაუვიწყარ წუთებში მეუბნებოდა ფეოდორ მიხაილოვიჩი: ისინი წმიდათაწმიდად მიმაჩნია და საიდუმლოდ ვინახავ.

უდიდესმა ბედნიერებამ ისე დამთრგუნა და დამაბნია, რომ კარგახანს ვერ ვირწმუნე მისი სიმართლე. ვიხსენებ მხოლოდ, როცა თითქმის საათი გავიდა, ფეოდორ მიხაილოვიჩმა ჩვენი მომავლის გეგმებზე მკითხა, რა აზრისა ვიყავი, მე ვუპასუხე:

— განა ახლა რაიმეს განსჯა შემიძლია, მე ხომ ასეთი ბედნიერი ვარ?

არ ვიცოდით, როდის გადავიხდიდით ქორწილს, ამიტომ გადავწყვიტეთ ჯერჯერობით დედაჩემის გარდა არავისთვის გაგვემხილა ეს ამბავი; ფეოდორ მიხაილოვიჩი შემპირდა, ხვალვე მოვიდოდა და მთელი საღამო დარჩებოდა ჩვენსას, თანაც დასძინა: მოუთმენლად ველი ჩვენს მომავალ შეხვედრასო.

მან წინა კარებამდე მიმაცილა და მზრუნველად მომახვია თავსაბური. ის იყო, უნდა დავმშვიდობებოდე, რომ შემაჩერა და მითხრა:

— ანა გრიგორევნა, მე ახლა უკვე ვიცი, სად გაქრა ჩემი ბრილიანტი:

— ნუთუ სიზმარი გაგახსენდათ?

— არა, სიზმარი ვერ გავიხსენე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვიპოვე ბრილიანტი და განზრახული მაქვს, მთელი ცხოვრება თან ვატარო.

— სცდებით, ფეოდორ მიხაილოვიჩ, — გავიცინე მე, — ბრილიანტი კი არა, უბრალო კენჭი იპოვეთ.

— არა, დარწმუნებული ვარ, რომ ამჯერად აღარ ვცდები. — მითხრა ფეოდორ მიხაილოვიჩმა და გამომემშვიდობა.

აღფრთოვანებული წამოვედი ფეოდორ მიხაილოვიჩის სახლიდან. მახსოვს, ქუჩაში ხმამაღლა ვლაპარაკობდი. თითქმის ვყვიროდი. გამგულ-გამომგულს ველარ ვამჩნევდი.

ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა, ნუთუ ყველაფერი სინამდვილეა და არა სიზმარი? ნუთუ ის მართლა ჩემი ქმარი იქნება?

ხალხის ხმაურმა გამომაფხიზლა და მაშინდა გამახსენდა, რომ საღამოს ნათესავთან ვიყავი მიწვეული ჩემი ბიძაშვილის, მიხეილ ნიკოლაევიჩ სნიტკინის დღეობაზე. საფუნთუშეში შევედი (მაშინ იშვიათი იყო საკონდიტროები) სადღესასწაულო ნამცხვრის საყიდლად. ისე ვიყავი აღფრთოვანებული, ყველაფერი კარგად და საყვარლად მეჩვენებოდა, მინდოდა ყველას მოვფერებოდი, რამე სასიამოვნო მეთქვა ყველასთვის. თავი ველარ შევიკავე და ნამცხვრის გამყიდველ გერმანელ ქალიშვილს ვუთხარი:

— რა საოცარი სახის ფერი და ლამაზი ვარცხნილობა გაქვთ!


ნათესავთან უამრავი სტუმარი დამხვდა, დედაჩემი კი არ მოსულიყო. არადა დაპირებული იყო, უსათუოდ მოვალე. დავღონდი. როგორ მინდოდა, მალე მეხარებინა მისთვის ჩემი ბედნიერება.

ვახშამი მხიარულად მიდიოდა, მე კი რაღაც უცნაურობა მჭირდა: არ მესმოდა, რას მეუბნებოდნენ სტუმრები და ყველას გაურკვევლად ვპასუხობდი. სტუმართაგან ვიღაცას ფეოდორ მიხაილოვიჩი ვუწოდე. დამცინოდნენ, მე კი თავის ტკივილი მოვიმიზეზე.

ბოლოს გამოჩნდა დედაჩემიც. შემოსასვლელში მივეგებე, მოვეხვიე და ყურში ვუჩურჩულე:

— მომილოცე, მე საპატარძლო ვარ!

სხვა ველარაფრის თქმა ველარ მოვასწარი, რადგან დედას უკვე მასპინძლებიც გამო-



ეგებნენ. მახსოვს, მთელი საღამო გამომცდელად მიყურებდა იგი, რადგან მარცხი, სტუ-
მარტაგან ვინ იყო ჩემი საქმრო. შინ რომ დავბრუნდი, მაშინდა ავუხსენი, ლოსტოვესკის
გთხოვდები-მეთქი. არ ვიცი, გაუხარდა თუ არა ეს ამბავი დედას, მე მგონი რომ არა. იგი
გამოცდილი, ცხოვრებაში ჩახედული ქალი იყო და კარგად იცოდა, ღარიბი და ავადმყოფი
ქმრის ხელში ბევრ ტანჯვასა და მწუხარებას გამოვივლიდი, მაგრამ არც უფიქრია უარის
თქმა (როგორც ცდილობდნენ შემდეგში სხვები), რისთვისაც დიდი მადლობელი ვიყავი
მისი. ან ვის შეეძლო დავეყოლიებინე და უარი მეთქვა კარზე მომდგარ ბედზე, რამაც შემ-
დეგში, ჩვენი ერთად ცხოვრების მანძილზე, დიდი გაჭირვების მიუხედავად (ქმრის ავადმო-
ფობა, ვალები), ორივეს ჭეშმარიტი ბედნიერება გამოგვაცდევინა.

მეორე დღე, ცხრა ნოემბერი ძალიან გაჭიანურდა. აღრათრის გაკეთება აღარ შემიძლო,
დაწვრილებით აღვიდგინე გუშინდელი საუბარი და ყველაფერი სტენოგრაფიულ წიგნში
ჩავიწერე.

შვიდის ნახევარზე ფეოდორ მიხაილოვიჩი გამოჩნდა და ადრე მოსვლის გამო ბოდიში
მოიხადა.

— მოთმინება აღარ მეყო, ისე მეწადა თქვენი ნახვა.

— Nous sommes logees a la même enseigne *, — ვუბასუხე სიცილით. — მთელ დღეს
ვეღარაფერი გავაკეთე, სულ თქვენზე ვფიქრობდი, რა ბედნიერი ვარ, რომ მოხვე-
დით!

ფეოდორ მიხაილოვიჩმა მაშინვე შენიშნა, რომ ღია ფერის კაბა მეცვა.

— აქეთ რომ მოვდიოდი სულ იმაზე ვფიქრობდი, ისევ შავებში იქნებოდით თუ არა
და აჰა, ვხედავ, გამოგიცვლიათ კიდევ.

— მაშ როგორ, როცა ასე ბედნიერი ვარ. მაგრამ იცოდეთ, ვიდრე ჩვენს ამბავს
გამოვაცხადებთ, საზოგადოებაში თაღბებს ჩავიცვამ, შინ კი ასეთი ტანსაცმლით დაგიხვდე-
ბით.

— გიხდებათ ვარდისფერი. — მითხრა მან. — თანაც ძალიან გაახალგაზრდავებთ, მთლად
გოგონას ჰგავხართ.

ეს ისე თქვა, თითქოს ჩემი გაახალგაზრდავება სწყინდა. მე ვიცოდი და ვარწმუნებდი,
ძალიან მალე დავბერდები-მეთქი. თუმცა ამას ხუმრობით ვამბობდი, მაგრამ ჩემი ცხოვრება
ისე წარიმართა, სიბერისა რა მოგახსენოთ, და ხანშიშესულ დარბაისელ ქალს კი მალე და-
ვემგვანე, ისე რომ ჩვენ შორის ასაკობრივი განსხვავება თითქმის აღარც შეიმჩნეოდა.

, ოთახში დედაჩემი შემოვიდა. ფეოდორ მიხაილოვიჩმა ხელზე აკოცა და უთხრა:

— რაღა თქმა უნდა, უკვე იცით, რომ თქვენს ქალიშვილს ხელი ვთხოვე. იგი თანახმაა
ცოლად გამომყვეს, რითაც უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. მაგრამ მინდა მისი არჩევანით თქვენც
კმაყოფილი იყოთ. ანა გრიგორევნა ისე გაქებდათ, უკვე დიდ პატივსა გცემთ. პირო-
ბას გაძლევთ, ყველაფერს ვიღონებ, რათა თქვენი შვილი ბედნიერი იყოს. თქვენთვის კი
ერთგული და საყვარელი ნათესავი ვიქნები.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქორწინების თოთხმეტი წლის მანძილზე ფეოდორ
მიხაილოვიჩი მართლაც დიდი მოწიწებით და ყურადღებით ექცეოდა დედას და გულწრფე-
ლად უყვარდა იგი.

ფეოდორ მიხაილოვიჩმა თავისი ხანმოკლე სიტყვა საზეიმო იერით, ოღონდ ცოტა დაბ-
ნეულად წარმოთქვა, რაც მერე თვითონაც შენიშნა. დედაჩემი ძალიან აადრევა მისმა ნათ-
ქვამმა, იგი მოეხვია ფეოდორ მიხაილოვიჩს, სთხოვა გყვარებოდი და გამფრთხილებოდა.
მერე ატირდა.

შევეცადე, ეს არასასიამოვნო სცენა შემეცვალა და ვთქვი:

— ძვირფასო დედა, ჩქარა მოგვიტანეთ ჩაი, ფეოდორ მიხაილოვიჩი შეციებულია...

ვისხედით ძველებურ რბილ სავარძლებში, შევექცეოდით ჩაის და მხიარულად ვსაუბ-
რობდით...

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ზარმა დარეკა. მსახურმა ორი ახალგაზრდა კაცის
სტუმრობა გვაუწყა, ისინი სხვა დროსაც ყოფილან ჩვენთან, მაგრამ ამჯერად ძალიან მეწყი-
ნა დაუპატიჟებელი სტუმრების მოსვლა და დედას ვთხოვე:

— ბოდიში მოუხადეთ და უთხარით თავი სტკივა-თქო.

* ჩვენც მაგ დღეში ვართ (ფრანგ.).

— გთხოვთ უარს ნუ ეტყვი, ანა ნიკოლაევნა, — შემაწყვეტინა ფეოდორ მიხაილოვიჩმა, — მერე ჩემსკენ მობრუნდა და ხმადაბლა დაუმატა, — მინდა ახალგაზრდების წიგნი ვიხილო. აქამდე რომ სულ ჩვენთან, მოხუცებთან გბედავლით.

გამეღიმა და დედას ეთხოვე სტუმრები მოეპატივა. შემდეგ ისინი დოსტოევსკის წარვუდგინე. ახალგაზრდები ცოტა არ იყოს დააბნია სახელგანთქმული მწერლის მოულოდნელმა გაცნობამ. ჩვენი სადღესასწაულო განწყობილება რომ გამემართლებინა, სტუმრებს ვუთხარი, ახლა ხან დავასრულეთ ახალი რომანი და მის აღსანიშნავად ვზეიმობთ-მეთქი. ძალიან მინდოდა საუბარში დოსტოევსკისაც მიეღო მონაწილეობა. ამიტომ ვისარგებლე ერთ-ერთი ახალგაზრდის შეკითხვით, გაგიარათ თუ არა გუშინდელმა შაკიკმაო და ვთქვი:

— ეს თქვენი ბრალი იყო, თავი რომ ამტკიცდა, გამუდმებით მთელი საღამო ეწეოდით. განა შეიძლება, ფეოდორ მიხაილოვიჩ, ამდენის მოწევა?

— მოსამართლედ ვერ გამოვდგები, მე თვითონ ბევრს ვეწევი.

— მერე ეს ხომ ჯანმრთელობას ენებს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ისეთი ჩვევაა, რომელსაც კაცი თავს ვერ დააღწევს.

ამის შემდეგ დოსტოევსკის აღარ დაუღაბარაკნია, იგი ეწეოდა და გამომცდელად გვათვალისწინებდა, ხან მე, ხანაც სტუმრებს: ახალგაზრდები დელაგდნენ, ეტყობოდათ, კარგად იცოდნენ დოსტოევსკის სახელი. მერე მითხრეს, გუშინ, შენი წამოსვლის შემდეგ გადაწყვიტეთ სეროვის „იდეიის“ სანახავად წასვლა და როდის გეცლებათო. მე თავაზიანად, მაგრამ გადაწყვეტიტ ვუთხარი, თხერაში ვერ წამოვალ, რადგან სტენოგრაფიაში უნდა ვივარჯიშო, რომ ამხანაგებს დავეწიო-მეთქი.

— მაშ თხუთმეტ ნოემბერს კონცერტზე წამოდით, აღრე ხომ შეგვპირდით? — წყენით მითხრეს მათ.

— ვერც კონცერტზე წამოვალ.

— გახსოვთ, როგორ მოგეწონათ შარშან ეს კონცერტი?

— შარშან სხვა იყო. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. — ხაზგასმით ვუბასუხე მე.

ახალგაზრდებმა ზედმეტად იგრძნეს თავი და წასასვლელად მოემზადნენ. მე პატივი აღარ დამიწყია.

— კმაყოფილი ხართ ჩემი მოქცევით? — ვკითხე ფეოდორ მიხაილოვიჩს, ყმაწვილები რომ წავიდნენ.

— ჩიტივით ტიკტიკებდათ, სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ თაყვანისმცემელი განაწყენეთ და უარი უთხარით ყველაფერზე, რაც აღრე ასე გიტაცებდათ.


— დმერთმა ხელი მოუმართოთ, რაში მჭირდებიან ახლა ისინი. ახლა მე მხოლოდ ერთი ვინმე მჭირდება: ჩემი ძვირფასი, საყვარელი, დიდებული ფეოდორ მიხაილოვიჩი.

— ეს მე ვარ ძვირფასი და საყვარელი? — მკითხა სიხარულით. მთელი საღამო გულითადად ვსაუბრობდით. რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, რა სიამოვნებით ვიხსენებ ახლა იმ დღეებს.

სიკვდილი. დასაფლავება

ფეოდორ მიხაილოვიჩმა ბუნებით ძალზე შრომისმოყვარე ადამიანი იყო. მე მგონია, მდიდარიც რომ ყოფილიყო და საარსებო სახსრებზე ზრუნვა არ დასჭირვებოდა, მაშინაც ვერ გასძლებდა უქმად და ყოველთვის იბოვიდა თემას ლიტერატურული სამუშაოსათვის.

1881 წლის დისაწყისში ყველა ვალი გავისტუმრეთ, მთელი ცხოვრების მანძილზე მძიმე ტვირთად რომ გვაწვა, ხოლო „რუსკი ვესტნიკის“ რედაქციაში უკვე გარკვეული თანხა (ხუთას მანეთამდე) შემონახულიც გვქონდა. ახლა თითქოს არც იყო აუცილებელი, დაუყოვნებლივ წამოეწყო ახალი სამუშაო, მაგრამ ფეოდორ მიხაილოვიჩს არ სურდა დასვენება. გადაწყვიტა ხელახლა შესდგომოდა „დნევიკ პისატელიას“ გამოცემას, რადგან მაშინდელი მდგლვარე წლების რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის ირგვლივ ბევრი ისეთი მოსაზრება გაუჩნდა, რომლებმაც მოსვენება დაუკარგა და რომელთა თავისუფლად გამოთქმა საკუთარ ჟურნალშიდა თუ შეეძლო. ამასთანავე, 1880 წელს გამოსული „დნევიკ პისატელიას“ ერთადერთი ნომრის საყოველთაო აღიარებაც გვაიმედებდა, რომ ახალი გამოცემა მკითხველთა ფართო წრეს დაინტერესებდა. ფეოდორ მიხაილოვიჩსაც ხომ სწორედ ეს სურდა—თავისი იდეები ხალხში გავრცელებინა. „დნევიკ პისატელიას“ გამოცემას იგი ორი წლით ვარაუ-



დობდა, შემდეგ კი ოცნებობდა, დაეწერა „ძმები კარამაზოვების“ მეორე ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა თითქმის ყველა გმირი პირველი ნაწილიდან, ოღონდ ოცი წლის შემდეგ, ლამის თანამედროვე ეპოქაში. ამ ოცი წლის განმავლობაში მისი საკმაოდ ბევრის გაკეთებას მოასწრებდნენ, ბევრ ტანჯვა-წამებასაც გადაიტანდნენ. გათვალისწინებული რომანის გეგმა, მისი ნაამბობისა და ჩანაწერების მიხედვით, მეტად საგულისყურო ჩანდა და ჭეშმარიტად დასაინანია, რომ ამ გეგმის განხორციელება არ მოხერხდა.

„დნევიკ პისატელიას“ ხელმოწერამ წარმატებით ჩაიარა და იანვრის ოცისთვის ჩვენ უკვე გვყავდა... ხელისმომწერი.

ფეოდორ მიხაილოვიჩს ერთი კარგი ჩვევა ჰქონდა — ხელისმომწერთა ფულს იგი თავის საკუთრებად არ მიიჩნევდა მანამ, სანამ ხელისმომწერთ არ დააკმაყოფილებდა. სწორედ ამიტომ მან თავის სახელზე წიგნაკი გახსნა სახელმწიფო ბანკში, სადაც შემქონდა ხელისმომწერთა თანხა. ყოველივე ამის წყალობით შეგვეძლო დაუყოვნებლივ დაგვებრუნებინა ფული ხელისმომწერთათვის.

იანვრის დასაწყისში ფეოდორ მიხაილოვიჩი თავს ჩინებულად გრძნობდა. დადიოდა სტუმრად ნაცნობებთან და თანახმა იყო მონაწილეობა მიეღო შინაურ სპექტაკლებში, რომლის დადგმასაც ვარაუდობდნენ თებერვლის დასაწყისში გრაფინია ს. ა. ტოლსტაიას ბინაში. უნდა დაედგათ რამდენიმე სცენა გრაფ ა. კ. ტოლსტაის ტრილოგიიდან. ფეოდორ მიხაილოვიჩმა აიღო საქმოსნის როლი „ივანე მრისხანეს სიკვდილში“.

უკვე სამი თვე იყო, გულყრა აღარ დამართნოდა, მისი მხნე, ცოცხალი გამომეტყველება ყველას გვაიმედებდა, რომ ზამთარი მშვიდობიანად ჩაივლიდა. იანვრის შუა რიცხვებიდან ფეოდორ მიხაილოვიჩი „დნევიკის“ შედგენას შეუდგა, ამ ნომერშივე უნდოდა გამოექვეყნებინა თავისი მოსაზრებები და სურვილები „საერთო კრების თაობაზე“. სტატიის თემა ისეთი იყო, რომ ცენზურას შეიძლებოდა არც გაეშვა, რაც ძალიან აფიქრებდა ფეოდორ მიხაილოვიჩს. ეს ამბავი გრაფინია ს. ა. ტოლსტაიას პირით საცენზურო კომიტეტის ახლად დანიშნულმა თავმჯდომარემ ნიკოლაი სავიჩ აბაზამ შეიტყო. ნ. ს. აბაზამ სთხოვა ს. ა. ტოლსტაიას, გადაეცა ფეოდორ მიხაილოვიჩისათვის — ნუ გედარდებათ, თქვენი სტატიის ცენზორი თვითონ ვიქნებიო. 25 იანვარს გამზადებული სტატია სტამბას გადაეგზავნა ასაწყობად. ახლა მხოლოდ საბოლოო კორექტურადა იყო საჭირო, მერე ცენზორს გადასცემდნენ და ბეჭდვაც დაიწყებოდა. ასე რომ, ნომერი თავის ბოლოს მზად იქნებოდა.

25 იანვარი კვირა დღე იყო, ჩვენთან უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. მოვიდა პროფესორი ო. ფ. მილერი და ჩემს მეუღლეს სთხოვა, 29 იანვარს, პუშკინის გარდაცვალების დღეს გამოსულიყო ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც სტუდენტთა სასარგებლოდ იმართებოდა. ფეოდორ მიხაილოვიჩმა არ იცოდა რა ბედი ეწეოდა მის სტატიას, ხომ არ მოუხდებოდა მისი შეცვლა სხვა მასალით, ამიტომ პირველად უარი თქვა საღამოში მონაწილეობაზე, მაგრამ შემდეგ დათანხმდა. შემდგომ ყველანი აღნიშნავდნენ, რომ ფეოდორ მიხაილოვიჩი იმ საღამოს სრულიად ჯანსაღად და მხიარულად გამოიყურებოდა და საიმისო არაფერი ეტყობოდა, რაც რამდენიმე საათის შემდეგ მოხდაო.

26 იანვარს ფეოდორ მიხაილოვიჩი ჩვეულებისამებრ პირველ საათზე ადგა და როცა მასთან კაბინეტში შევედი, მიამბო, თუ რა ფათერაკი შეგემთხვა ღამით. კალმის ბუდე თავის კალმიანად მაგიდიდან გადმოვარდნოდა და წიგნების თაროების ქვეშ შეგორებულიყო. ამ კალმის ბუდეს იგი ძალიან უფრთხილდებოდა, რადგან თამბაქოს დასატენადაც იყენებდა. ფეოდორ მიხაილოვიჩი ამდგარა და საკმაოდ მძიმე წიგნების თარო რის ვაი-ვაგლახით თვითონ გამოუწვია. ალბათ ამ მიზეზით ერთბაშად გასკდა ფილტვის არტერია და თურმე პირიდან სისხლი წასკდა, მაგრამ, რადგანაც სისხლის დენა ძლიერი არ ყოფილა, ყურადღება არ მიუქცევია, თან ჩემს შეწუხებასაც მორიდებია. ძალიან შევშფოთდი, თუმცა მისთვის არაფერი მითქვამს, მაშინვე გავგზავნე მოსამსახურე, ბიჭი ჩემი ქმრის მუდმივ მკურნალთან ექიმ ი. ბ. ფონ-ბრეტცელთან და შევუთვალე დაუყოვნებლივ მოსულიყო. სამწუხაროდ ექიმი ავადმყოფთან აღმოჩნდა წასული და მხოლოდ ხუთ საათზე მოახერხა მოსვლა.

მიუხედავად ამისა, ფეოდორ მიხაილოვიჩი მშვიდად იყო, ბავშვებს ელაპარაკებოდა, ეხუმრებოდა. მერე „ნოვია ვრემიას“ კითხვა დაიწყო. სამ საათზე ერთი ნაცნობი, საკმაოდ გულკეთილი კაცი გვესტუმრა, რომელიც ძალიან უყვარდა ფეოდორ მიხაილოვიჩს. მაგრამ ამ კაცს ერთი ნაკლი ჰქონდა, კამათი უყვარდა. ახლაც, სიტყვა რომ ჩამოვარდა ზემოთ ნახსენებ „დნევიკის“ სტატიაზე, თანამოსაუბრემ რალაცის მტკიცება იწყო. ფეოდორ მიხაილოვიჩი, რომელიც სისხლის დენის გამო უგუნებოდ იყო, შეედავა და ცხარე კამათი გაიმარ-


თა. ბევრი ვეცადე, შემეჩერებინა მოკამათენი, მაგრამ ამაოდ. სტუმარი გავაფრთხილე, ფეოდორ მიხაილოვიჩი ცუდად არის და ამდენი ლაპარაკი, და თანაც ხმამაღალი, ავნებს-მეთქი. როგორც იქნა ხუთ საათზე სტუმარი წავიდა. სადილობა რომ დავაპირეთ, სწორედ ამ დროს ფეოდორ მიხაილოვიჩი დივანზე ჩამოჯდა და გაჩუმდა. უცებ დავინახე, რომ სისხლმა ნიკაბი წითლად შეუღება, მერე წვრილ ნაკადად ჩამოჟონა წვერზე. შემზარავად ვიყვირე. ჩემს ყვირილზე მოცვივდნენ მოსამსახურე და ბავშვები, ფეოდორ მიხაილოვიჩს არ შეშინებია, პირიქით ჩვენ გვამშვიდებდა, მერე ბავშვები საწერ მაგიდასთან მიიყვანა და ახლახან მიღებული ჟურნალის „სტრეკაზას“ ნომერი აჩვენა, რომელშიც მოთავსებული იყო კარიკატურა ორ მეთევზეზე, ბადეში გაბმულნი წყალში რომ ჩაცვენლიყვნენ. მან ლექსიც კი წაუკითხა ბავშვებს, თანაც ისე მხიარულად, რომ ბავშვები დაწყნარდნენ. თითქმის საათმა მშვიდად გაიარა, ამასობაში ექიმიც მოვიდა, როდესაც იგი ავადმყოფს სინჯავდა და მკერდზე რამდენჯერმე დაჰკრა თითი, ფეოდორ მიხაილოვიჩს ისევ წასკდა სისხლი, მაგრამ ამჯერად ისე ძლიერად, რომ გული შეუღონდა. როცა მოვასულიერეთ, მაშინვე მიმბრუნდა:

— ანია, გთხოვ, ახლავე დაუძახო მღვდელს, მინდა აღსარება ვუთხრა და ვეზიარო!

თუმცა ექიმი არწმუნებდა, საშიში არაფერიაო, მაგრამ რომ დამემშვიდებინა, მაინც ავასრულე მისი თხოვნა. ჩვენ ვლადიმირის ეკლესიის მახლობლად ვცხოვრობდით, ამიტომ მღვდელი მამა მეგორსკი ნახევარ საათში გვეახლა. ფეოდორ მიხაილოვიჩი მშვიდად და გულთბილად შეხვდა მას, კარგა ხანი მოანდომა აღსარების თქმას, მერე ეზიარა. მღვდელი რომ წავიდა, ბავშვებიანად შევედი კაბინეტში, რათა ფეოდორ მიხაილოვიჩისათვის საიდუმლო ზიარების მიღება მიმელოცა. მან დაგვლოცა, მერე ბავშვებს სთხოვა, თანხმობით ეცხოვრათ, ყვარებოდით ერთიმეორე, ვყვარებოდით მცხც და გამფრთხილებოდნენ. ბავშვები რომ გაისტუმრა, მადლობა გადამიხადა იმ ბედნიერებისათვის, რაც მას მივანიჭე და მთხოვა, მაპატიე, თუკი როდისმე უნებურად რაიმე გაწყენინეო. ცოცხალმკვდარი ვიდექი, ძალა არ შემწევდა მის სიტყვებზე რაიმე მეპასუხა. შემოვიდა ექიმი, ავადმყოფი დივანზე დააწვინა, ლაპარაკი და მოძრაობა აუკრძალა და მოითხოვა, სასწრაფოდ მოგვეყვანა ორი ექიმი. ერთი მათგანი ა. ა. პეფიფერი, მისი ნაცნობი იყო, ხოლო მეორე პროფესორი დ. ი. კოშლაკოვი გახლდათ, რომელსაც ჩემი ქმარი ზოგჯერ რჩევისათვის მიმართავდა ხოლმე. ექიმ ფონბრეტცელის ბრათიდან კოშლაკოვი მიხვდა, რომ ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაში იყო და მაშინვე მოვიდა. ამჯერად ფეოდორ მიხაილოვიჩი გასინჯვით აღარ შეუწყულებიათ. კოშლაკოვმა დაასკვნა, რადგან სისხლი ბევრი არ დაუკარგავს (სულ ორიოდე ჭიქა), შეიძლება „საცობი“ წარმოიშვას და ყველაფერი ამით დამთავრდესო. ფონ-ბრეტცელმა მთელი ღამე ფეოდორ მიხაილოვიჩის საწოლთან გაატარა. მას მშვიდად ეძინა. გამთენიისას, როგორც იქნამეც ჩამეძინა.

27 იანვარმა მშვიდად ჩაიარა. სისხლის დენა არ ეანმეორებულა. ფეოდორ მიხაილოვიჩი დამშვიდდა, გამხიარულდა, ბავშვების შემოყვანა მოასურვა და ჩურჩულათ კიდევ ესაუბრა მათ. დროდადრო შეწუხდებოდა მხოლოდ „დნევიჩის“ თაობაზე. იმ დღეს სუვორინის სტამბიდან დამკაბადონებელი მოვიდა და შესადარებელი გვერდები მოიტანა. აღმოჩნდა, რომ შვიდი სტრიქონი უნდა ამოგვეკლო, რათა მთელი მასალა ორ თაბახში ჩატეულიყო. ფეოდორ მიხაილოვიჩი აღელდა. ვურჩიე, რამდენიმე სტრიქონით შეემცირობინა წინა გვერდები, რაზედაც დამთანხმდა. დამკაბადონებელი ნახევარი საათით დავაყოვნე და ორიოდე ჩასწორების შემდეგ მასალა ფეოდორ მიხაილოვიჩს ვუჩვენე, იგი კმაყოფილი დარჩა. ჩემმა მეუღლემ რომ გაიგო, ჟურნალის ნომერი ანაწყობშივე გაეგზავნათ ცენზორისათვის, ხოლო ცენზორმა დაბეჭდვის ნება უკვე დართო, სავსებით დამშვიდდა.

ამასობაში ფეოდორ მიხაილოვიჩის ავადმყოფობის ამბავი მთელ ქალაქს მოედო. დღის ორი საათიდან შუალამემდე გაისმოდა სადარბაზო ზარის რეკვა. იძულებული გავხდით ზარი გამოგვერთო. ფეოდორ მიხაილოვიჩის ჯანმრთელობის გასაგებად მოდიოდნენ ჩაცნობები და უცნობები, მოჰქონდათ თანაგრძნობით სავსე წერილები, ავზავნიდნენ დებეშებს, მაგრამ ავადმყოფთან მნახველთა შეშვება აკრძალული გვქონდა, ამიტომ მე გავდიოდი ორი-სამი წუთით ნაცნობებთან და ვეუბნებოდი, როგორც იყო საქმე. ფეოდორ მიხაილოვიჩს ძალიან სიამოვნებდა საერთო ყურადღება და თანაგრძნობა. იგი ჩურჩულათ მეკითხებოდა ყველას ამბავს და ერთი გულთბილი წერილის პასუხიც კი დამაწერინა. მერე პროფესორი კოშლაკოვი მოვიდა და, რომ შეატყო, მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულიყო, ავადმყოფი ანუგეშა: ერთი კვირის შემდეგ წამოდგებით, ორი კვირის შემდეგ კი მთლიანად გამოჯანმრთელდებითო, თან ურჩია, რაც შეიძლება ბევრი იძინეთო. სწორედ ამიტომ ადრე დავ-



წევით. წინა ღამე სავარძელში გავატარე და ძალიან ცუდად მეძინა, ამიტომ ამ სახედისწერო ღამეს ლოგინი ფეოდორ მიხაილოვიჩის დივანის გვერდით, იატაკზე გავაშლივინე. რათა მას ადვილად მოეწვდინა ჩემთვის ხმა. უძილოს და დაღლა-დაქანცულს მალე ჩამეძინა, ღამე რამდენჯერმე წამოვდექი და ღამფის შუქზე დავხედე ჩემს ძვირფას ავადმყოფს. მას მშვიდად ეძინა. დილას დაახლოებით შვიდ საათზე გამომეღვიძა და დავინახე, რომ ფეოდორ მიხაილოვიჩი ჩემსკენ იყურებოდა.

— როგორ გრძნობ თავს, ჩემო ძვირფასო? — ვკითხე მე და მისკენ გადავიხარე.

— იცი, ანია, — თითქმის ჩურჩულით თქვა მან, — აი, უკვე სამი საათია, რაც მღვიძავს, სულ ვფიქრობდი და მხოლოდ ახლა შევიგნე ცხადად, რომ დღეს მოგვკვები.

— შენი ჭირიმე, რატომ ფიქრობ ასე? — ვუთხარი თავზარდაცემულმა, — ახლა ხომ უკეთა ხარ, სისხლის დენაც შეწყდა, ალბათ „საცობი“ წარმოიქმნა. როგორც კომლაკოვი ვარაუდობდა. თუ ღმერთი გწამს, თავს ნუ იტანჯავ ეჭვებით, გარწმუნებ, კიდევ დიდხანს იცოცხლებ.

— არა, ვიცი, რომ დღეს უნდა მოგვკვდე. ანია, სანთელი ანთე და სახარება მომაწოდე! ეს სახარება ფეოდორ მიხაილოვიჩის ტობოლსკში აჩუქეს (როცა იგი კატორღაში მიდიოდა) დეკაბრისტების ცოლებმა (პ. ე. ანენკოვამ, მისმა ქალმა ოლჯა ივანოვნამ, ნ. ი. მურავიოვ-აბოსტოლ ფონვიზინამ), რომლებმაც დიდი ხვეწნის შემდეგ დაიყოლიეს საპყრობილის ზედამხედველი, ნება დაერთო შეხვედროდნენ პოლიტიკურ პატიმრებს. ერთი საათი გაატარეს მათთან, გზა დაულოცეს, პირჯვარი გადასწერეს და ყველას სათითაოდ უსაჩუქრეს სახარება, ერთადერთი ნებადართული წიგნი საპყრობილეში*. კატორღაში ყოფნისას, ოთხი წლის მანძილზე ფეოდორ მიხაილოვიჩს წუთითაც არ მოუშორებია ეს წიგნი. შემდგომშიც ყოველთვის საწერ მაგიდაზე ედო იგი ხშირად, როდესაც რაიმეს ჩაიფიქრებდა ან რაიმე დააეჭვებდა, ალაღბედზე გადაშლიდა სახარებას და რაც პირველ (ხელმარცხნივ) გვერდზე ეწერა ხოლმე, იმას ამოიკითხავდა. ახლაც მოისურვა თავისი ეჭვი სახარებით შეემოწმებინა. თვითონ გადაშალა წმინდა წიგნი და მთხოვა წამეკითხა. გადაიშალა სახარება მათესი, თავი მესამე, მუხლი მეოთხმეტე: „ხოლო იოანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიხმს შენს მიერ ნათლის-ღება, და შენ ჩემდა მოჰხუალა? მიუგო იესომ და ჰრქუა მას: აცადე აწ, რამე თუ ესრეთ შეენის ჩუენდა აღსრულებათ ყოველი სიმართლე; მაშინ მიუწვა მას.“

— გესმის? „აცადე აწ“**, — ესე იგი, მე უნდა მოგვკვდე — წარმოსთქვა ჩემმა ქმარმა და წიგნი დახურა.

ცრემლი ვეღარ შევიკავე, ფეოდორ მიხაილოვიჩი მამშვიდებდა, სააღერსო სიტყვებს მეუბნებოდა და მადლობას მწირავდა ბედნიერი ცხოვრებისათვის. ჩემთან ერთად რომ გაატარა. მახარებდა ბავშვებს, მეუბნებოდა: შენი იმედი მაქვს, მჯერა ჩვენს შვილებს გაუფრთხილდებიო. მერე ისეთი სიტყვები მითხრა, ათასჯერ ერთ ქმარს რომ შეუძლია უთხრას თავის ცოლს თოთხმეტი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ:

— გახსოვდეს, ანია, ყოველთვის ძლიერ მიყვარდი და ფიქრშიც კი არ მიდალატნია შენთვის არასოდეს.

შემძრა მისმა გულთბილმა სიტყვებმა, თან შეშინებული და გაოგნებული ვიყავ, აღელ-

* — „მოხუცი ადამიანები“. „დნევიკ პისატელია“ (ა. გ. დოსტოევსკაიას წენიშ).

** — გასული საუკუნის ოციან წლებში გამოსულ სახარებაში ნახმარია სიტყვა „ნუ შეაყენებ“. უახლოეს გამოცემაში ეს სიტყვები შეცვლილია სიტყვებით „აცადე აწ“. სახარების შემდგომ გამოცემაში სწორედ ეს ადგილია გადმოცემული შემდეგი სიტყვებით: „ხოლო იოანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიხმს შენს მიერ ნათლის-ღება და შენ ჩემდა მოჰხუალა? მიუგო იესომ და ჰრქუა მას: აცადე აწ რამე თუ ესრეთ შეენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“. სახარების სიტყვებს, რომელიც სიკვდილის დღეს წაიკითხა ფეოდორ მიხაილოვიჩმა, ღრმა აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში. ეგებ ჩემი ქმარი რამდენიმე დღით მართლაც გამობრუნებულიყო, მაგრამ მისი გამოჯანმრთელება, სულ ერთია ხანგრძლივი არ იქნებოდა. პირველი მარტის ბოროტმოქმედების ჩადენის ცნობა, რომელიც ეხებოდა მისი საყვარელი, გლეხთა განმათავისუფლებელი მეფის სიკვდილს, ფეოდორ მიხაილოვიჩზე უეჭველად ცუდად იმოქმედებდა, მღელვარებისაგან ისევ გაუსკდებოდა შეხორცებული არტერია და იგი გარდაიცვლებოდა. რა თქმა უნდა, მისი გარდაც-

გებამ არ ავნოს-მეთქი, ამიტომ გემუდარებოდი, ნუ ფიქრობ სიკვდილზე. გულს ნუ გვიხეთქავ ყველას ასეთი იჭვინეულობით, გთხოვ, დაისვენო და დაიძინო-მეთქი. მან დამიჯერა და გაჩუმდა, თუმცა მშვიდ პირისახეზე ცხადად ეტყობოდა, სიკვდილზე ფიქრი არ შორდებოდა, და იმქვეყნიურ სამყაროში გადასვლა არ აშინებდა.

დილის ცხრა საათზე ფეოლორ მიხაილოვიჩს მშვიდად ჩაეძინა, თან ჩემი ხელი თავის ხელში ეჭირა. გაუძრევლად ვიჯექი. მეშინოდა უნებური მოძრაობით ძილი არ დამეფრთხო მისთვის, მაგრამ თერთმეტ საათზე ფეოლორ მიხაილოვიჩს უცებ გაეღვიძა, ბალიშიდან წამოიწია და სისხლი წასკდა. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, თუმცა ყველანაირად ვცდილობდი ხალისიანი იერი მქონოდა და დამერწმუნებინა, სისხლი ბევრი არ დაგიღვრია და, ალბათ, როგორც ამის წინ, ახლაც საცობი წარმოიშობა-მეთქი. ჩემი სიტყვების პასუხად ნაღვლიანად გადააქნია თავი, თითქოსდა დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილის წინასწარმეტყველება დღესვე უნდა აღსრულებულიყო. შუადღის შემდეგ ისევ იწყეს მოსვლა ნათესავებმა, ნაცნობებმა თუ უცნობებმა, ისევ მოჰქონდათ წერილები და დეპეშები. მოვიდა ფეოლორ მიხაილოვიჩის გერი, ვისაც წინა დღეს წერილით შევატყობინე ჩემი ქმრის ავადმყოფობის ამბავი. პავლე ალექსანდროვიჩს უნდოდა დაუყოვნებლივ შესულიყო ავადმყოფთან, მაგრამ ექიმმა არ შეუშვა. მაშინ მან ოდნავ შეღებული კარიდან დაიწყო თვალთვალი, ფეოლორ მიხაილოვიჩმა შენიშნა იგი და აღელვებულმა მიიხრა: „ანია, არ შემოუშვა ჩემთან, მავასთან ლაპარაკის თავი არა მაქვს. პ. ა. ისაევი კი ძალიან დედავდა და ყველას, ნაცნობსა თუ უცნობს, ეუბნებოდა: მამას ანდერძის წერილი არ აქვს შედგენილი და საჭიროა დაუყოვნებლივ ნოტარიუსის მოყვანა, რათა თვითონვე მარგუნოს ის, რაც მეკუთვნიყო. ავადმყოფის სანახავად მოსულმა პროფესორმა კოშლაკოვმა, გერის განზრახვა რომ გაიგო, წინ აღუდგა მის სურვილს და განაცხადა: ახლა მთელი ძალ-ღონე ავადმყოფის სიცოცხლის გადარჩენას უნდა მოვახმაროთ. ასეთი საქმიანი სცენა კი, სადაც მისი განკარგულება და ახსნა-განმარტება იქნება საჭირო, მხოლოდ მოახლოებულ სიკვდილზე ფიქრს განუმტკიცებს და აღსასრულს დააჩქარებს.“

არსებითად, ანდერძის წერილი აღარც იყო საჭირო: ლიტერატურული უფლებები ჯერ კიდევ 1873 წელს მე გადმომცა ფეოლორ მიხაილოვიჩმა. ხუთი ათასი მანეთის მეტი, „რუსკი ვესტნიკის“ რედაქციაში რომ იყო დარჩენილი, ფეოლორ მიხაილოვიჩს არაფერი გააჩნდა, ხოლო ამ მცირე თანხის მემკვიდრენი კი ჩვენ გიყავით — მე და ჩემი ბავშვები.


მთელ დღეს ერთი წუთითაც არ მოვშორებივარ ქმარს. მას ჩემი ხელი ეჭირა და ჩურჩულით მეუბნებოდა: „ჩემო საბრალოვ, ჩემო ძვირფასო, რის ანაბარა გტოვებ, როგორ გაგიჭირდებათ ცხოვრება“.

ვამშვიდებდი, ვანუგეშებდი, გამოჯანმრთელებდი-მეთქი, მაგრამ ცხადად ჩანდა, თვითონ არაფრის იმედი არა ჰქონდა და მხოლოდ იმაზე ფიქრი სტანჯავდა, ოჯახს უსახსროდ რომ ტოვებდა. ის თხზი-ხუთი ათასი მანეთი, რომელიც „რუსკი ვესტნიკის“ რედაქციაში ინახებოდა, ჩვენი ერთადერთი იმედი იყო.

ავადმყოფმა რამდენჯერმე მიხურჩულა: „ბავშვებს დაუძახეო“. და მეც ვეძახდი. ჩემი ქმარი ტუჩებს უწვდიდა მათ, ისინი კოცნიდნენ და ექიმის განკარგულებით მაშინვე გადიოდნენ. ფეოლორ მიხაილოვიჩი ნაღვლიანი თვლებით აცილებდა მათ. გარდაცვალებიდან ორი საათით ადრე ისევ მოიხმო ბავშვები და გვთხოვა, სახარება ფედიასათვის მიგვეცა.

ვალება არეულობის ღრთსაც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, მაგრამ ისეთს მაინც არა, როგორც მაშინ მოახდინა. მთელი საზოგადოების ყურადღება მომხდარ ბოროტმოქმედებაზე გადავიდოდა, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა სახელმწიფო ცხოვრებას ასეთ ტრაგიკულ მომენტში. 1881 წლის იანვარში, როცა ქვეყანაში თითქოს სიმშვიდე სუფევდა, ჩემი ქმრის სიკვდილი საზოგადოებრივ მოვლენად გადაიქცა. მას დასტიროდნენ პოლიტიკური შეხედულებებით განსხვავებული ადამიანები, საზოგადოების ყველა ფენა. სამგლოვიარო პროცესიისა და დასაფლავების უჩვეულო ზარ-ზეიმურობამ რუსული ლიტერატურისადმი საერთოდ გულგრილად განწყობილი აუარებელი მკითხველი და თაყვანისმცემელიც მიიზიდა. ამგვარად, ჩემი ქმრის დიადი იდეები უფრო ფართოდ გაგრცელდა და სათანადო შეფასება დაიმსახურა.

დიდსულოვანი მეფე-განმათავისუფლებლის გარდაცვალების შემდეგ კი, შესაძლოა, ჩვენს ოჯახსაც არა რგებოდა მეფის წყალობა, რის შემწეობითაც აღსრულდა ფეოლორ მიხაილოვიჩის ოცნება, რომ ჩვენს შვილებს მიეღოთ განათლება და შესძლებოდათ, მეფისა და სამშობლოს სამსახურში ჩამდგარიყვნენ (ა. გ. დოსტოევსკაიას შენიშ.).



მოელი დღის განმავლობაში აუარებელი ხალხი მიდი-მოდიოდა. მე მათთან არ გვედიო-
დი. მოვიდა აპოლონ ნიკოლაევიჩი მაიკოვი და ერთხანს ესაუბრა ავადმყოფს, ფეოდორ მი-
ხაილოვიჩი ჩურჩულთ პასუხობდა.

შვიდ საათზე სასტუმრო და სასადილო ოთახებში ხალხმა მოიყარა თავი. კოშლაკოვს ელოდნენ, რომელიც ჩვეულებრივად ამ დროს მოდიოდა ხოლმე. უცებ ფეოდორ მიხაილო-
ვიჩი თითქოს უშიშვოდ შეკრთა. დივანიდან ოდნავ წამოიწია და სისხლის ზოლმა ისევ შე-
ლება მისი სახე. მაშინვე ყინულის პატარა ნატეხები მივაწოდეთ ჩასაყლაპად, მაგრამ სისხ-
ლის დენა არ წყდებოდა; ამ დროს ისევ მოვიდა მაიკოვი თავისი ცოლით და გულკეთილმა ანა ივანოვნამ გადაწყვიტა ექიმ ნ. პ. ჩერეპნინის მოსაყვანად წასულიყო. ავადმყოფმა გო-
ნება დაკარგა. მე და ბავშვები მუხლებზე დაჩოქილნი ვიდექით მის სასტუმართან და ვტი-
როდით, მაგრამ რაც ძალი შეგვწევდა, ვცდილობდით ხმამაღლა არ გვექვითინა, რადგან ექიმ-
მა გაგვაფრთხილა, რომ უკანასკნელი გრძნობა, რომელიც ბოლომდე შერჩება ადამიანს ყურთასმენაა და სიჩუმის დარღვევამ შეიძლება შეაფერხოს აგონია და მომაკვდავის ტანჯვა გააჭიანუროსო. ჩემი ქმრის მაჯა ხელში მეჭირა და გარკვევით ვგრძნობდი, როგორ თანდა-
თან სუსტდებოდა იგი. საღამოს რვა საათსა და ოცდათვრამეტ წუთზე* ფეოდორ მიხაილოვი-
ჩი გარდაიცვალა. ექიმმა ნ. პ. ჩერეპნინმა მხოლოდ უკანასკნელ გულისცემასლა მოუსწ-
რო. **

აღსასრულის უამი რომ დადგა, მე და ჩემმა ბავშვებმა მწუხარებას გზა მივეცი. გულ-
ამოსკვნით ვტიროდით, ვყვიროდით გამწარებულები, ძვირფას მიცვალებულს ჯერ კიდევ თბილ ხელებსა და სახეს ვუკოცნიდით. ეს ყველაფერი ახლა ბუნდოვნად მახსენდება, მაგრამ მაშინ კი ცხადად ვგრძნობდი, რომ იმ წუთიდან დასრულდა საკუთრივ ჩემი, უსაზღვრო ბედნიერებით აღსავსე სიცოცხლე, სამუდამოდ დავობლდი სულით, და მე, ვისაც ასე ძლიერ, ერთგულად მიყვარდა ჩემი ქმარი, ვამაყობდი იშვიათად მაღალზნეობრივი თვისებებით და-
ჯილდოებული ადამიანის სიყვარულით, მეგობრობითა და პატივისცემით, ამ დანაკარგს ვერაფერი ამინაზღაურებდა.

განშორების იმ მართლაც უმძიმეს წუთებში ასე მეგონა, ქმრის სიკვდილს ვერ გადავი-
ტან-მეთქი, სადაცაა გამისკდება გული (ისე საშინლად მიცემდა იგი მკერდში) ან შევიშლები-
მეთქი.

რა თქმა უნდა, თითქმის ყველას გამოუცდია საყვარელი, ახლობელი ადამიანის დაკარ-
გვა, მასთან განშორების ღრმა მწუხარება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ადამიანი ამ მწუხარ-
ებას საკუთარ ჭერქვეშ, ახლობლებსა და ნათესავებს შორის გამოსცდის ხოლმე, ამიტომ შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი გრძნობები, არ მოერიდონ არავის და თავიც არ შეიკავონ. მე ასეთი ბედნიერებაც არ მერგო წილად. ჩემი ძვირფასი ქმარი აუარებელი ხალხის თვალწინ გარდაიცვალა. მათგან ბევრი უპარესად კეთილად იყო მის მიმართ გან-
წყობილი, ზოგი მათგანი კი სავსებით გულგრილად, როგორც მისი, აგრეთვე ჩვენი დაობლე-
ბული ოჯახის მწუხარების მიმართაც. თითქოსდა ჩემი უბედურების გასაძლიერებლად დამ-
სწრეთა შორის მოხვდა ერთი ლიტერატორი მ. მარკევიჩი. იგი ჩვენთან არასოდეს ყოფილა. ახლაც მხოლოდ გრაფინია ს. ა. ტოლსტაიას თხოვნით შემოველო, რათა ფეოდორ მიხა-
ილოვიჩის ჯანმრთელობის ამბავი გაეგო. კარგად ვიცნობდი მარკევიჩს და მჯეროდა, რომ იგი ვერ მოითმენდა და ჩემი ქმრის უკანასკნელ წუთებს აღწერდა. გულწრფელად ვწუხდი, რომ ჩემი საყვარელი ადამიანი მყუდროებაში, მისდამი ერთგულ ადამიანთა წრეში, მათ თვალწინ არ მიიცვალა. ჩემი შიში გამართლდა: მეორე დღესვე შევიტყვე, რომ მარკევიჩის „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ გაეგზავნა ამ სამწუხარო ამბის „მხატვრული“ აღწერა. ორი-სამი დღის შემდეგ სტატია წავიკითხე („მოსკოვსკიე ვედომოსტი“ № 32) და ბევრი რამ ვერ ვი-
ცანი. ვერც ის სიტყვები გავიხსენე, რაც თითქოს მე უნდა მეთქვა. ისინი არც ჩემს ხასი-
ათს და იმ წუთებში არც ჩემს სულიერ განწყობილებას არ შეესაბამებოდნენ. მაგრამ ყოფ-
ლად მოწყალე ღმერთმა ნუგეშიც მომივლინა: იმ მწუხარე საღამოს ათ საათზე ჩამოვიდა ჩემი ძმა, ივან გრიგორევიჩი სნიტკინი. იგი საქმეზე ყოფილიყო ჩამოსული სოფლიდან მოს-

* — ვილაცამ დამსწრეთა შორის (მგონი მარკევიჩმა) აღნიშნა გარდაცვალების დრო.
** — დიდი ხნის შემდეგ ნ. პ. ჩერეპნინმა მითხრა, იმ სტეტოსკოპს როგორც რელიქვიას ისე ვინახავო (ა. გ. დოსტოევსკაიას შენიშ.).



კოვს და უკვე სახლში დასაბრუნებლად გამზადებულს, თვითონაც ვერ ახსნა რატომ უცებ გადაწყვიტა ჩვენს სანახავად პეტერბურგში წამოსვლა. მართალია, რომელიღაც გაზეთში წაეკითხა ფეოლორ მიხაილოვიჩის ავადმყოფობის ამბავი, მაგრამ ამ ცნობისათვის დიდი ყურადღება არ მიექცია, ეფიქრა, ალბათ გულყრამ თუ შეუტიაო, რაც ზოგჯერ ხდებოდა ხოლმე. მატარებელს დაუგვიანებია და როცა სასტუმროში დაბინავებულა, მერე ჩვენთან წამოსულა. ეტლიდან გადმოსვლისას გაკვირვებულმა შეამჩნია, რომ ჩვენი ბინის ფანჯრები გაკაშკაშებული იყო. ხოლო შესასვლელთან ხიფთანში გახვეული ორი-სამი საეჭვო პირი ტრიალებდა, ერთი მათგანი ჩემს ძმას კიბეზე ამოჰყოლია და ჩურჩულით უთქვამს:

- ბატონო, ღვთის გულისათვის, თუ შეიძლება დამეხმარეთ, ეგებ მე შემიკვეთონ...
- რა უნდა შეგიკვეთონ? — უკითხავს ჩემს ძმას, რადგან მისი სიტყვებისა ვერაფერი გაუგია.

- მკვებოვენი გახლავართ, და კუბოს შეკვეთაზე მოგახსენებთ.
- ვინ არის აქ მკვდარი? — ანგარიშმიუცემლად უკითხავს ივან გრიგორევიჩს.
- ვილაც მწერალია, გვარი არ მაგონდება, მეეზოვემ მითხრა. — ჩემს ძმას თურმე კინაღამ

გული გაუჩერდა. სულმოუთქმელად ამოვარდა მაღლა, შესასვლელის ღია კარში შემოიჭრა, იქ რამდენიმე კაცი დახვდა, ქურქი გაიხადა და კაბინეტისკენ გამოქანდა, სადაც ჯერ კიდევ დივანზე ესვენა და ნელ-ნელა ცივდებოდა ფეოლორ მიხაილოვიჩის სხეული.


დივანთან ვიყავი დაჩოქილი, როცა კაბინეტში შემოსული ჩემი ძმა დავინახე, ტირილით მივეგებე. ერთმანეთს გადავხვით და ვკითხე: „შენ ვინ შეგატყობინა, ვანია, რომ ფეოლორ მიხაილოვიჩი გარდაიცვალა?“ უცბად დამავიწყდა, რომ ჩემი ძმა პეტერბურგში არა ცხოვრობდა, რომ ახლა ჩამოვიდა მოსკოვიდან. ამგვარად ვერასდიდებით ვერ გაიგებდა ამ ამბავს და ასე სწრაფად ვერ ჩამოვიდოდა. როგორც ჩანს, მოულოდნელმა უბედურებამ და მწუხარებამ ისე დამაბნია (პროფ. კოშლაკოვმა ხომ ჯერ კიდევ გუშინ დამამიბედა, ჩემი ქმარი გამოჩანმრთელდებოდა), რომ საღად აზროვნების უნარი დავკარგე.

აი, სწორედ ამ ძლიერი მწუხარების ჟამს ჩემი ძმის ჩამოსვლას ღვთის წყალობად ვთვლი, აღარაფერს ვამბობ იმაზე, უსაყვარლესი ძმისა და გულწრფელი მეგობრის ახლოს ყოფნა რა დიდი ნუგეში იყო ჩემთვის. ასეთ მძიმე წუთებში გვერდით მყავდა ახლობელი და ერთგული ადამიანი, ვისაც რჩევას ვკითხავდი და მივანდობდი ყველა წვრილმანი საქმის გაკეთებას, რაც ფეოლორ მიხაილოვიჩის დაკრძალვასთან იყო დაკავშირებული. სწორედ მისი წყალობით მე ყველა საზრუნავი ჩამომშორდა და თავი დავაღწიე ბევრი უსიამოვნო საკითხის გადაწყვეტას.

28 იანვარს მთელი საღამო, ისევე, როგორც მომდევნო ოთხი დღე (29 იანვრიდან 1 თებერვლამდე) ჩემს მეხსიერებაში დარჩა როგორც სულისშემხუთავი კოშმარი. დღესაც ბევრი რამ თვალწინ ცხადად მიდგას, ბევრი რამ დამავიწყდა და ბევრიც სხვათა მონათხრობიდან ვიცი. მაგონდება, იმავე საღამოს თორმეტ საათზე როგორ მოვიდა ჩვენთან ჩემი ქმრის სიკვდილით შეძრწუნებული ა. ს. სუვორინი. სუვორინს ძალიან უყვარდა ფეოლორ მიხაილოვიჩი და პატივს სცემდა მას. ყოველივე ეს სუვორინმა აღწერა „ნოვოე ვრემიაში“.

ღამის პირველ საათზე ყველაფერი გაკეთდა, რის გაკეთებაც აუცილებელი იყო. ძვირფასი მიცვალებული ტახტზე დაასვენეს თავისი კაბინეტის შუაგულში. სასთუმალთან ედგა წიგნების თარო, რომელზედაც ხატი ესვენა და ანთებული კანდელი იდგა. მიცვალებულს მშვიდი სახე ჰქონდა. გეგონებოდათ კი არ მომკვდარა, არამედ ძინავს და ძილში უღიმის იმ „დიად სიმართლეს“, ახლახან რომ შეიცნოო. შუაღამისას ხალხი დაიშალა. დასაძინებლად წავიყვანე მამის სიკვდილით გულმოკლული ბავშვები, მთელ საღამოს განუწყვეტლივ რომ ტიროდნენ. სამნი დავრჩით (დედაჩემი, ჩემი ძმა და მე). ახლა შეგვეძლო მიცვალებულთან ყოფნა ისე, რომ ხელი აღარავის შეეშალა. როგორც ბედისწერის დიდ მაღლს, ისე ვიგონებ იმ უკანასკნელ ღამეს, როდესაც ჩემი ძვირფასი ქმარი ჯერ კიდევ თავის ოჯახს ეკუთვნოდა და შემეძლო მოწმეთა თანდასწრების გარეშე მოურიდებლად და თავშეუკავებლად გამოემხატა ჩემი მწუხარება, გული მეჭერებინა ტირილით. გულმოდგინედ მელოცა მიცვალებულის სულის განსასვენებლად და ძვირფასი ცხედრისათვის პატიება მეთხოვა იმ უმნიშვნელო, თუმცა ოჯახურ ყოფაში გარდაუვალი წყენის გამო, რაც შეუცნობლად თუ მიუხვედრელობით მიმეყენებინა სიცოცხლეში მისთვის. ჩემი ძმა და მე დილის ოთხ საათამდე დავრჩით განსვენებულის კუბოსთან. ბოლოს, როგორც იქნა, ძმამ დამიყოლია და დასაძინებლად წავგედი. საჭირო იყო ძალ-ღონის მოკრება მეორე დღისათვის.

29 იანვარს თერთმეტ საათზე გვეახლა ერთი დარბაისელი ბატონი, რომელიც ჩვენთან



მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ ლორის-მელიქოვს გამოეგზავნა მანგრაფის სახელით მომისამძიმრა, ხოლო შემდეგ მაუწყა, რომ განსვენებულის დასაკრძალავი ფული უნდა გადმოგცეთო. არ ვიცი, რამდენს შეადგენდა ეს თანხა, მაგრამ უარი ვუთხარი. რაღა თქმა უნდა, კარგად ვიცოდი ყველა სამინისტროში არსებული წესი დაობლებული ოჯახებისათვის დახმარების გაწევისა. ასეთ დახმარებას, როგორც წესია, შეუტაცხოფად არავინ იღებს, მე კი ეს ამბავი თითქმის მეწყინა. მოხელეს ვთხოვე, შემოთავაზებული დახმარებისათვის დიდი მადლობა გადაეცა გრაფ ლორის-მელიქოვისათვის, თან ავუხსენი, რომ ამ დახმარების მიღება არ შემეძლო, რადგან ჩემს მორალურ მოვალეობად მიმაჩნდა, ქმარი საკუთარი დანაზოგებით დამემარხა. შემდეგ მოხელემ გრაფის სახელით გამომიცხადა, რომ ჩემს ბავშვებს სახელმწიფო ხარჯზე მიიღებდნენ იმ სასწავლებელში, სადაც მე მოვისურვებდი. ამაზედაც გულწრფელი მადლობა მოვახსენე მოხელეს, გულში კი მაშინვე გადავწყვიტე, რომ ჩემი შვილები აღზრდილიყვნენ არა სახელმწიფო ხარჯზე, არამედ თავიანთი მამის ნაშრომით, ხოლო შემდეგ დედის მეცადინეობით. სიხარულით უნდა განვაცხადო, რომ შევძელი შემესრულებინა ჩემს თავზე აღებული ვალდებულება. დიახ, ჩემი ბავშვები გაიზარდნენ მათი მამის თხზულებათა სრული კრებულების გამოცემის ხარჯზე. ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორად მოვიქციე, როცა შემოთავაზებულ დახმარებაზე უარი განვაცხადე, მწამს, ჩემი დაუვიწყარი ქმარიც სწორედ ასე მოიქცეოდა.

გაზეთებმა გამოაცხადეს თუ არა ფეოდორ მიხაილოვიჩის გარდაცვალება, თერთმეტი საათიდან დაიწყო განუწყვეტელი დენა ხალხისა. მოდიოდნენ ნაცნობები და უცნობები. ყველას უნდოდა ფეოდორ მიხაილოვიჩის კუბოსთან ელოცა. იმდენი ხალხი მოვიდა, რომ ხუთივე ოთახი გაიჭედა, ასე რომ, პანაშვიდის დროს მე და ბავშვები ძლივძლივობით მივიკვლევდით გზას კუბოსაკენ.

პანაშვიდის გადასახდელად მოვიწვიე ფეოდორ მიხაილოვიჩის სულიერი მამა*... მგალობლებად პირველ დღეს ვლადიმირის ეკლესიის მომღერლები მოვიყვანეთ, მთავარ პანაშვიდებზე კი (დღის პირველსა და საღამოს რვა საათზე) საკუთარი სურვილითა და ეკლესიის განმგებლის თანხმობით ისააკის ტაძრის მგალობელთა სრული გუნდი მოდიოდა ე. ვ. ბოგდანოვიჩის ხელმძღვანელობით, მაგრამ ჩვენგან დანიშნულ პანაშვიდებს გარდა ყოველ დღე სხვადასხვა დაწესებულებების ორი ან სამი დეპუტაცია გამოცხადდებოდა ხოლმე თავიანთი ეკლესიების მღვდლებისა და მგალობლების თანხლებით, და გვთხოვდნენ პანაშვიდის გადახდას განსვენებულის კუბოსთან. ასე გვეწვია საზღვაო კორპუსის დეპუტაცია, რომლის მღვდელმაც, მამა დეკანოზმა, ჩინებულ მგალობელთა გუნდის თანხლებით მეტად კეთილსახიერად ჩაატარა წირვა. არ ჩამოვთვლი იმ პირებს, ფეოდორ მიხაილოვიჩის პანაშვიდებს რომ ესწრებოდნენ. მოდიოდნენ ჩვენი ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ფეოდორ მიხაილოვიჩსა და დიდად აფასებდნენ მის ტალანტს. მოდიოდნენ მტრულად განწყობილი ადამიანებიც, მხოლოდ ახლა რომ მიხვდნენ, რა დიდი დანაკლისი განიცადა რუსულმა ლიტერატურამ. მათ გადაეწყვიტათ ჯეროვნად ეცათ პატივი ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი უკეთილშობილესი წარმომადგენლისათვის. ერთ საღამოს, აღმზრდელთან ერთად, პანაშვიდს დაესწრო მაშინ ჯერ კიდევ ჭაბუკი მთავარი დიმიტრი კონსტანტინოვიჩი, რამაც ძალიან გაგვაკვირვა და გაახარა დამსწრე საზოგადოება.

29 იანვარს დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ მეკითხებოდნენ, სად დავასაფლავებდით ფეოდორ მიხაილოვიჩს. კარგად მახსოვდა, როგორ მოეწონა ფეოდორ მიხაილოვიჩს ნოვოდევიჩის სასაფლაო, როცა იქ ნეკრასოვს ასაფლავებდნენ. ამიტომ გადავწყვიტე, იქ დამესაფლავებინა. ამ საკითხზე მოლაპარაკება სიძეს პ. გ. სვატკოვსკის ვთხოვე, ხოლო ადგილის არჩევა ჩემს ქალიშვილს ლიუბოვს დავავალე. ისინი ერთად გავგზავნე ნოვოდევიჩზე. უფრო იმ მიზნით, რომ ჩემს გოგონას გაეგლო ქალაქში და სუფთა პაერი ესუნთქა (საცოდავი ჩემი შვილები, მთელი სამი დღე ისხდნენ სახლში, ხალხით გაჭედილ ოთახებში და ყოველ პანაშვიდს ესწრებოდნენ. ჩემი ქალიშვილი ლიუბოვი მამამისის ტალანტის თაყვანისმცემელ ქალებს სამახსოვროდ ურიგებდა მიცვალებულის მკერდიდან აღებულ ყვავილებს).

მათი წასვლის შემდეგ გვეწვია „ს-პეტერბურგსკოე ვედომოსტის“ რედაქტორი ე. ვ. კომაროვი და ალექსანდრე-ნეველის ლავრის სახელით შემოგვთავაზა ადგილი ნებისმიერ სასაფლაოზე. „ლავრა — ამბობდა ე. ვ. კომაროვი, — გთხოვთ, უსასყიდლოდ მიიღოთ ადგილი

* — გამოტოვებულია ხელნაწერში.



და პატივად მიიჩნევს, თუკი ნეშტი მწერალ დოსტოევსკისა, მართლმადიდებლური სარწმუნოების თავგამოდებული ქომაგისა, განისვენებს ლავრის გალავანში“. ეს წინადადება ფრიად საპატიო გახლდათ და ნამდვილად მენანებოდა მასზე უარის თქმა. თუმცა ამასობაში საფლავის მიწა შეიძლება უკვე ნაყიდიც კი ჰქონდა პ. გ. სვატკოვსკის ნოვოდევიჩის მონასტერში. ვერ გადამეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავ, რა პასუხი მიმეცა კომაროვისათვის. საბედნიეროდ მალე ჩემი სიძე დაბრუნდა და თქვა, მონასტრის წინამძღვარმა (ილუმენმა) ხელი შეგვიშალა, გზა-კვალი აგვიბნია და ამიტომ საფლავის ადგილის ყიდვა ხვალისათვის გადავდეთო. მე ძალიან კმაყოფილი დავრჩი და რადგანაც ლავრა ნებისმიერ სასაფლაოზე გვთავაზობდა ადგილს, ვ. ვ. კომაროვს ვთხოვე ტიხვინის სასაფლაოზე შეერჩია ადგილი კარამზინისა და ჟუკოვსკის საფლავების ახლოს, რომელთა ნაწარმოებებიც ძალიან უყვარდა ფეოდორ მიხაილოვიჩს. იღბალზე პოეტ ჟუკოვსკის საფლავის გვერდით აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი. ასე შევარჩიეთ ჩემი დაუვიწყარი მეუღლის საუკუნო განსასვენებელი.

30 იანვარს დილის პანაშვიდზე მოვიდა სასახლის ეზოსმოდგარი ნ. ს. აბაზა და გადმომცა ფინანსთა მინისტრის წერილი, რომელიც მაუწყებდა, რომ „განსვენებულის მიერ რუსული ლიტერატურის წინაშე გაწეული სამსახურისათვის“ მე და ჩემს შვილებს ხელმწიფე-იმპერატორის მიერ გვენიშნებოდა ყოველწლიური პენსია ორი ათასი მანეთის ოდენობით. როგორც კი წავიკითხე წერილი და მხურვალე მადლობა მოვახსენე ნ. ს. აბაზას, მყისვე მივაშურე ჩემი მეუღლის კაბინეტს, რათა მისთვის მეხარებინა, რომ ამიერიდან მე და ბავშვები უზრუნველყოფილი ვიყავით. შევდგი თუ არა ფეხი ოთახში, სადაც მისი ნეშტი ესვენა, მომაგონდა, რომ იგი უკვე აღარ იყო ამქვეყნად და მწარედ ავტირდი (ასეთი გულმავიწყობა დამჩემდა ფეოდორ მიხაილოვიჩის სიკვდილის შემდეგ, რომელმაც დაახლოებით ორ თვეს გასტანა. ხან სახლში მოვიჩქაროდი, რომ სადილზე არ მეცდევინებინა, ხან ტკბილელულს ვყიდულობდი მისთვის, ხანაც, რაიმე ამბავს რომ გავიგებდი, გულში გავიფიქრებდი, ეს ახლავე უნდა შევატყობინო-მეთქი ჩემს მეუღლეს. რა თქმა უნდა, ერთი წუთის შემდეგ მომაგონდებოდა, რომ იგი აღარ იყო ცოცხალი და უღვთოდ ვიტანჯებოდი).

ახლაც ძრწოლვით ვიგონებ იმ დღეებს, როცა მისა ნეშტი ჩვენს სახლში ესვენა. განსაკუთრებით ის მტანჯავდა, რომ ბინა ერთი საათითაც არ თავისუფლდებოდა გარეშე პირთაგან. ხალხი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა სადარბაზო და უკანა შესასვლელიდან, გამოივლიდა ყველა ოთახს და კაბინეტში ჩერდებოდა, სადაც ზოგჯერ ისე იხუთებოდა ჰაერი და ისე ცოტა ჟანგბადი რჩებოდა, რომ კანდელი და კატაფალკის ირგვლივ დანთებული დიდი სანთლებიც კი ქრებოდა. უცხო ხალხი არა თუ დღისით, არამედ ღამითაც რჩებოდა ჩვენსა. ზოგს უნდოდა ღამე ეთია მიცვალებულის კუბოსთან, ზოგსაც კითხვა უნდოდა და საათობით კითხულობდნენ დავითს. მახსოვს, დაკრძალვის წინა საღამოს მიცვალებულის ნეშტთან დავითს კითხულობდა ადიუტანტი გრაფი ნიკოლაი ფეოდოროვიჩი გეიდენი, რომელიც ფეოდორ მიხაილოვიჩის ტალანტის დიდი პატივისმცემელი იყო. რასაკვირველია, ყველაფერი მოწმობდა ფეოდორ მიხაილოვიჩის თაყვანისმცემელთა მწუხარებასა და განსვენებულის ხსოვნისადმი მათ პატივისცემას. მე ისლა დამრჩენოდა, ეგზომ კეთილად განწყობილ ადამიანთა მიმართ რწმენის მადლობა გამომეთქვა, მაგრამ მადლიერებასთან ერთად გულში ვგრძნობდი ერთგვარ „წყენასაც“, რადგან საზოგადოებამ წამართვა საყვარელი ქმარი. მის გარშემო ახლა, მართალია, ის ადამიანები ტრიალებდნენ, რომელთაც იგი ძალიან უყვარდათ, მაგრამ მე, ყველაზე ახლობელს, არ შემეძლო პირისპირ დავრჩენილიყავ მასთან, არ შემეძლო კიდევ და კიდევ დამეკოცნა მისი ძვირფასი სახე და ხელები და როგორც გარდაცვალების პირველ ღამეს, მის მკერდზე ჩამომედო თავი. რაკი უცხო პირნი მეხვივნენ სულ მუდამ, იძულებული ვიყავი თავი შემეკავებინა და არ გამემჟღავნებინა საკუთარი გრძნობები, რადგან შესაძლო იყო, რომელიმე მოცილილ რეპორტიორს მეორე დღეს თითქოსდა ჩემი უბედურების გამომხატველი ათასგვარი სისულელით აეჭრებინა გაზეთი. ერთაერთი თავშესაფარი, სადაც ჩემს ნებაზე ვეძლეოდი სასოწარკვეთას, ეს სტუმრად ჩამოსული დედისთვის განკუთვნილი პატარა ოთახი იყო. როცა ძალა გამომეღოდა, იქ გავიდოდი, კარს ჩავკეტავდი, დედაჩემის საწოლზე დავემხობოდი და ვცდილობდი ნათლად წარმომედგინა, რა უბედურება დამატყდა თავს, მაგრამ იქაც არ მაძლევდნენ მოსვენებას: კარზე დამიკაკუნებდნენ და მეტყობდნენ, ამა და ამ დაწესებულების დეპუტაცია მოვიდა და პირადად თქვენ უნდა მოგისამძიმრონო. „თავშესაფარიდან“ გამოსულს, დეპუტაციის წარმომადგენელი საგანგებოდ მომზადებული ლამაზი სიტყვებით გაუთავებლად მიმტკიცებდა იმ დიდ მნიშვნელობას, რაც რუსული ლიტერატურისათვის ჰქონდა ჩემს ქმარს. ხაზგასმით



ლაპარაკობდა დიად იღებებზე, რომელსაც იგი ქადაგებდა და სინანულით აღნიშნავდა, „რადიდი დანაკარგი განაცდევინა მისმა სიკვდილმა მთელს რუსეთს“. ვიდექი და ვუსმენდი, მერე დეპუტაციის წარმომადგენელს მხურვალე მადლობას ვუხდიდი, ხელს ვართმევდი და დედაჩემთან ვავდიოდი. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მოდიოდა ახალი დეპუტაცია, ისევ მოითხოვდნენ ჩემს ნახვას და „თავშესაფრიდან“ ხელახლა გამოსული ისევ ვისმენდი, ვინ იყო ჩემი მეუღლე, „ვინ დაკარგა მისი სახით რუსეთმა“. სამი დღის განმავლობაში დაუსრულებლივ ერთი და იგივე სიტყვების მოსმენის შემდეგ სასოწარკვეთილება მიპყრობდა და საკუთარ თავს ვეუბნებოდი:

„ღმერთო ჩემო, როგორ მაწამებენ! რა მესაქმება, ვინ დაკარგა რუსეთმა? ასეთ წუთებში რა მტრუსეთება! იმას რატომ არ ამბობენ, მე ვინ დავკარგე, მე? მე ხომ ამ ქვეყნად ყველაზე საუკეთესო ადამიანი აღარა მყავს, იგი ხომ ჩემი ცხოვრების სიხარული, სიამაყე და ბედნიერება იყო! ჩემი მზე იყო, ჩემი ღვთაება! მე შემობრალეთ, მე! და ამ წუთებში მაინც ნურაფერს მეტყვიოთ რუსეთის დანაკლისზე!“

მრავალრიცხოვანი დეპუტაციის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი შეეცადა რუსეთის გარდა მეც შევბრალეობოდი. ამ თანაგრძნობამ ისე შემძრა, ისე ამიჩუყა გული, რომ უცნობს ხელზე ვეამბორე.

დარწმუნებული ვარ, იმ დღეებში აზრი დაფანტული მქონდა, რასაც სხვათაშორის ხელს უწყობდა მაშინდელი ჩვენი ცხოვრება. ხუთი დღის განმავლობაში (26-31 იანვარი) დახუთული ოთახებიდან არ გამოვსულვარ. ბოლო დღეს (30 იანვარს) თავს ველარ მოვერიე და გრძნობა ვერ მოვთოკე. ერთ ასეთ შემთხვევას კინალამ თან გადავყევი. პანაშვიდის შემდეგ ვიგრძენი, როგორ მომაწვა ყელში ბოლმა და ერთ ახლობელს ვთხოვე, ვალერიანის წვეთები მოეტანა. ჩემს ირგვლივ მყოფთ, მოსამსახურეს დაუწყეს ძახილი: სასწრაფოდ მოიტანეთ ვალერიანი, სად არის ვალერიანი? ვალერიანი ხომ კაცის სახელიცაა, მე კი გონებაარეულს სასაცილო აზრი ამეკვიატა: ქვრივი ტირის, მის დასამშვიდებლად კი ვილაც ვალერიანს მოუხმობენ-მეთქი. ამის გაფიქრება იყო და თავშეუკავებლად ავხარხარდი. თან სხვებთან ერთად ხმამაღლა ვყვიროდი: „ვალერიან, ვალერიან“. დამეწყო ისტერიკის ძლიერი შეტევა. თითქოს განგებ, მოსამსახურემ ვალერიანის წვეთები ვერ იპოვა, ამიტომ იმ წუთშივე აფთიაქში გაგზავნეს და თან დააბარეს ნიშადურის სპირტი გამოეყოლებინა, ვინცობაა გულშეწუხებულს მოსულიერება დამჭირებოდა. ათი წუთის შემდეგ ორივე წამალი მოიტანეს. მე კი ისევ ვხარხარებდი და ჩემს გარშემო თავმოყრილ მანდილოსნებს ხელებზე გამეტებით ვცემდი. ერთმა მათგანმა, სოფია ვიქტოროვნა ავერკიევამ, მტკიცე ხასიათის ქალმა, პატარა ჭიქაში ჩაასხა რომელიღაც სითხე და მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, ძალით დამალევინა. ენაზე ცეცხლი წამეკიდა, სწრაფად ამოვიღე ცხვირსახოცი და ის სითხე ზედ გადმოვანთხიე. როგორც მერე გამოირკვა, სოფია ვიქტოროვნას სიჩქარეში წამლის ბოთლები შეშლოდა და ვალერიანის ნაცვლად ნიშადური მოეცა. იმავე ღამეს გადამძვრა ტყავი პირის ღრუსა და ენაზე. მერეც, მთელი ერთი კვირის განმავლობაში სულ ტყავი მძვრებოდა. როცა ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მაშინდა მითხრეს, სპირტი რომ ჩაგეყლაპა, საყლაპავ მილსა და კუჭს დაგიწვავდა და შეიძლება არც გადარჩენილიყავიო.

დამავიწყდა მეტყვა, რომ ჩემი მეუღლის გარდაცვალების მეორე დღეს ჩვენთან მოვიდა სახელგანთქმული მხატვარი ი. ნ. კრამსკოი და განსვენებულის ნატურალური ზომის პორტრეტის დახატვა მოინდომა. ეს სამუშაო მან დიდებულად შეასრულა. მის სურათზე ფეოლორ მიხაილოვიჩი მიცვალებული კი არა მძინარე გეგონებათ, მას მომღიმარი და გასხივოსნებული სახე აქვს, თითქოს უკვე შეუცვნია ყველასათვის შეუცნობელი საიქიო ცხოვრების საიდუმლოებაო.

ი. ნ. კრამსკოის გარდა კიდევ რამდენიმე მხატვარი და ფოტოგრაფი იყო მოსული, რომლებიც ილუსტრირებული გამოცემისათვის ხატავდნენ და ფოტოაპარატით იღებდნენ ფეოლორ მიხაილოვიჩის პორტრეტებს.

მოვიდა აწ სახელგანთქმული, იმ დროს კი ყველასათვის უცნობი სკულპტორი ლეობოლდ ბერნშტამი და ჩემი ქმრის პირისახიდან ნიღაბი გადაიღო, რომლის მეშვეობითაც მოგვიანებით საოცარი სიზუსტით გამოძერწა ფეოლორ მიხაილოვიჩის ბიუსტი.

შაბათს, 31 იანვარს, ფეოლორ მიხაილოვიჩის ნეშტი ჩვენი ბინიდან ალექსანდრე ნეველის ლავრაში გადაასვენეს. არ შევუდგები სამგლოვიარო პროცესიის აღწერას, რადგან მრავალმა აღწერა იგი. თუმცა მთელი პროცესია წესიერად არც მინახავს, რადგან კუბოს მივყვებოდი და მხოლოდ იმას ვხედავდი, რაც ჩემს თვალწინ ხდებოდა. დამსწრეთა სიტყვით



სამგლოვიარო პროცესია დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა: ლატნებზე ასხმული გვირგვინების მთელი მწკრივი, გუნდ-გუნდად დაწყობილი ახალგაზრდობა, სამგლოვიარო საგალობლებს რომ აგუგუნებდნენ, მაღლა აწეული კუბო და კორტეჟს მიყოლებული ხალხის უზარმაზარი მასა — ყველაფერი ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ფეოდორ მიხაილოვიჩის ნეშტის პატივსაცემად გამართული სამგლოვიარო ზეიმის მთავარ ღირსებას ის წარმოადგენდა, რომ იგი წინასწარ მომზადებული არ იყო, შემდეგში კი ასეთი საზეიმო დასაფლავება წესად იქცა, მათი მოწყობა გაადვილდა. იმ დროს კი საზეიმო-სამგლოვიარო პროცესები (გარდა ნეკრასოვის დასაფლავებისა, რაც შედარებით სადად გამოიყურებოდა) არ იმართებოდა, დროც (ორი დღე) არ კმაროდა მათ მოსაწყობად. ჯერ კიდევ გამოსვენების წინა დღეს ჩემმა ძმამ, რომ გავეხარებინე, მითხრა, რვა დაწესებულება აპირებს გვირგვინის მოტანას. დილით კი გვირგვინების რიცხვმა სამოცდაათოთხმეტს გადააჭარბა. როგორც შემდეგ გამოიჩინა, ყველა დაწესებულებამ და კორპორაციამ საკუთარი სურვილით შეუკვეთა გვირგვინი და აირჩია წარმომადგენლები. ერთი სიტყვით, დოსტოევსკის გარდაცვალებამ, საერთო გლოვამ და გულწრფელმა სურვილმა, რაც შეიძლება საზეიმოდ აღენიშნათ დოსტოევსკის ხსოვნა, ერთმანეთის გვერდით დააყენა და გააერთიანა სხვადასხვა მიმართულების პარტიები.

სამგლოვიარო პროცესია ჩვენი სახლიდან თერთმეტ საათზე დაიძრა და მხოლოდ ორი საათის შემდეგ მიაღწია ალექსანდრე ნეველის ლავრას. მე ბავშვების გვერდით მივდიოდი და მწარე ფიქრები არ მშორდებოდა: როგორ აღვზრდი ჩემს შვილებს უმამოდ, ფეოდორ მიხაილოვიჩის გარეშე, რომელსაც ძლიერ უყვარდა ისინი? რა დიდი მოვალეობა დამაწვა ჩემი მეუღლის ხსოვნის წინაშე. შევძლებ კი ღირსეულად შევასრულო ეს მოვალეობა? მივყვებოდი კუბოს და ჩემს თავს ფიცს ვაძლევდი, მეცხოვრა ჩვენი ბავშვებისათვის. საკუთარ თავს აღთქმას ვაძლევდი, რომ სიცოცხლის დარჩენილი წლები ჩემი მეუღლის ხსოვნისა და მისი კეთილშობილი იდეების განდიდებისათვის შემეწირა. ახლა, როცა ცხოვრების მოახლოებულ დასასრულთან ვდგავარ, შემიძლია გულზე ხელი დავიდო და ისე ვთქვა, რომ რაც ჩემი მეუღლის ნეშტის გასვენების მძიმე უამს აღვუთქვი საკუთარ თავს, ისე შევასრულებ, რამდენადაც ამის ძალა და უნარი შემეწევდა.

იმავე საღამოს, 30 იანვარს, ალექსანდრე ნეველის ლავრის სული-წმინდის ეკლესიაში, სადაც ფეოდორ მიხაილოვიჩის კუბო ესვენა, გადაიხადეს პარაკლისი (საზეიმო მწუხრის ლოცვა), პარაკლისზე ბავშვებიანად მივედი, ეკლესია სავსე იყო მლოცველებით: განსაკუთრებით მრავლად მოსულიყო უმადლესი სასწავლებლებისა და სასულიერო აკადემიის სტუდენტობა. მათი უმეტესობა მთელი ღამე დარჩა ეკლესიაში. დოსტოევსკის კუბოსთან ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ დავითნის კითხვაში. ერთი ფრიად საგულისხმო ამბავი გადმომცეს შემდეგ — თურმე დასასუფთავებლად რომ მოსულან ეკლესიაში, პაპიროსის ერთი ნამწვიც ვერ უპოვიათ. ამას ძალიან გაუკვირვებია ბერები, რადგანაც ჩვეულებრივ, ხანგრძლივი წირვის დროს, ვინმე ფარულად ეწევა და იქვე გადააგდებს ხოლმე პაპიროსის ნამწვს. მაშინ კი განსვენებულის პატივისცემით არავის მოუწევია.

1881 წლის 1 თებერვალს ალექსანდრე ნეველის სული-წმინდის ეკლესიაში წესი აუგეს ფეოდორ მიხაილოვიჩის ნეშტს. ეკლესია დიდებულად იყო მორთული. ტაძრის შუაგულში ესვენა გვირგვინებით დაფარული კუბო. გვირგვინები დაეწყით ეკლესიის კედლების გასწვრივაც, ამალლებულ ლატნებზე. მათზე ოქროთი და ვერცხლით იყო აღბეჭდილი წარწერები. ყოველივე ეს ტაძარს განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებდა. წესის აგების დღეს ჩემს ძმასთან ერთად ნევის ლავრაში ჩემი ვაჟი და დედაჩემიც წავიდნენ. ჩემს ქალიშვილსა და მეზასეცკაია (პარტიზან დავიდოვის ქალი) დაგვპირდა წაყვანას, ვინც ჩემი მეუღლის ტალანტის დიდი თაყვანისმცემელი იყო. ათ საათზე წამოვედით ეტლით, ლავრამდე ასიოდე საჟენიც არ იქნებოდა დარჩენილი, როცა ზასეცკაიას კარეტა რომელიღაც ეტლს წამოეწია. მასში ერთი პოლკოვნიკი იჯდა. მან თავი დაგვიკრა, ხოლო ზასეცკაიამ ხელი დაუქნია. მოედანი ხალხით იყო გავსებული. ჭიშკართან ეტლით მისვლა შეუძლებელი გახდა. მეტი რა გზა გვქონდა, მოედნის შუაგულში ეტლი გავაჩერეთ. მე და ჩემი ქალიშვილი ჩამოვედით და ჭიშკრისაკენ გავემართეთ. ზასეცკაია კარეტაში დარჩა და პოლკოვნიკს დაელოდა. დიდი გაჭირვებით გავადწიეთ ხალხში, მაგრამ ჭიშკართან გავვაჩერეს და ბილეთები მოგვთხოვეს, რა თქმა უნდა, დარდისგან გაოგნებულს, ფაციფუცში, ბილეთები არც გამხსენებია, მეგონა უამისოდაც გავვიშვებდნენ. შემშვებს ვუთხარი „განსვენებულის ქვრივი ვარ, ეს კი ქალიშვილია-მეთქი“.

— აქ ბლომად მოვიდნენ დოსტოევსკის ქვრივები, — მივიღე პასუხი.



— მაგრამ თქვენ ხომ ხედავთ, რომ მთლად შავებში ვართ.

— ისინიც ასე მოვიდნენ. თუ შეიძლება თქვენი სადარბაზო ბილეთი გვაჩვენეთ.

რა თქმა უნდა, მე არც ეს აღმომაჩნდა. მაშინ ვცადე ჩემი გამეტანა. ვთხოვდი გამოეძახათ დაკრძალვის ხელმძღვანელთაგანი. ვასახელებდი გრიგოროვიჩს, რიკაჩევს, ავერკიევს, მაგრამ პასუხად მესმოდა: „სად უნდა ვეძებოთ ახლა ისინი, ამდენ ხალხში ასე იოლად იპოვი მათ?“

სასოწარკვეთამ შემიპყრო: რომ არაფერი ვთქვა იმაზე, რას იფიქრებდა ჩემზე ხალხი, წესის აგების დროს რომ ვერ დამინახავდნენ მეუღლის ნეშტთან, აუტანელი სურვილი მტანჯავდა უკანასკნელად გამოვთხოვებოდი ჩემს მეუღლეს, მელოცა, ერთხანს კიდევ მეტირამის კუბოსთან. არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. მეგონა, ზასეცკაია ალბათ უკვე შესული იქნება და ველარ დამეხმარება-მეთქი, მაგრამ რალაც ბედად იგი მალე გამოჩნდა. მისმა თანამგზავრმა დაადასტურა ჩემი ვინაობა. მაშინვე გაგვიშვეს და სირბილით გავემართეთ ეკლესიისაკენ, იღბალზე წირვა ახალი დაწყებული იყო. შესანდობელ ლიტურგიას მღვდელთმთავარი უსაჩინოესი ნესტორი, ვიბორგის ეპისკოპოსი, არქიმანდრიტებისა და მღვდელ-მონაზვნების ერთობლივი მონაწილეობით აღასრულებდა. წესის აგებაზე კი გამოვიდნენ: სასულიერო აკადემიის ლექტორი ი. ლ. იანიშვილი და ლავრის მოსაყდრე არქიმანდრიტი სიმეონი, რომელიც პირადად იცნობდა ჩემს მეუღლეს.

გულშიჩამწვდომად გალობდნენ ალექსანდრე ნეველის ლავრის და ისააკის ტაძრის გუნდები. წესის აგებამდე დეკანოზმა იანიშვილმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა და ნათლად წარმოადგინა ფეოდორ მიხაილოვიჩის, როგორც მწერლისა და ქრისტიანის, ყველა ღირსებანი.

წესის აგების შემდეგ კუბო ასწიეს და ეკლესიიდან გამოიტანეს დოსტოევსკის ტალანტის თაყვანისმცემლებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით დელავდა ახალგაზრდა ფილოსოფოსი ვ. ს. სოლოვიოვი. მთელი ტიხვინის სასაფლაო ხალხით გაიჭედა, მიცოცავდნენ ძეგლებზე, რკინის მოაჯირებზე, ისხდნენ ხეებზე, ამის გამო სამგლოვიარო პროცესიანელა მიიწევდა წინ დახრილი გვირგვინების ქვეშ. კუბოს საფლაოში ჩასვენების შემდეგ, ღია სამარესთან, დაიწყო სიტყვებით გამოსვლა. პირველმა ილაპარაკა ყოფილმა პეტრაშეველმა ა. ი. პალმამ, შემდეგ ო. ფ. მილერმა, პროფ. კ. ბესტუჟევი-რიუმინმა, ვლ. სოლოვიოვმა, პ. ა. გაიდებუროვმა და ბევრმა სხვამ. აქვე წაიკითხეს განსვენებულისადმი მიძღვნილი ლექსები. კუბოს გვირგვინები დააყარეს. გვირგვინების დიდი ნაწილი კი დაშალეს და სამახსოვროდ წაიღეს. მიჰქონდათ ყვავილები და პატარა ფოთლებიც კი. ოთხ საათზე სამარე ამოაშენეს და ტირილისა და მწუხარებისაგან დაოსებულ ბავშვებთან ერთად შინ დავბრუნდი. ხალხი კი გვიანობამდე არ დაშლილა.

□



ფრანგულიდან თარგმნა ივანე მაჭავარიანმა

იპოლიტ ტენის „ხელოვნების ფილოსოფია“ 1939 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის დავალებით ფრანგული ენიდან ივანე მაჭავარიანმა თარგმნა. თარგმანს რედაქცია გერონტი ქიქოძემ გაუკეთა და შემდეგ ასაწყობად სტამბას გადაეცა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო წიგნი არ დაბეჭდილა. დროთა განმავლობაში რედაქციასა თუ სტამბაში „ხელოვნების ფილოსოფიის“ თარგმანი დაიკარგა. შემდეგ აწყობილი და დასაბეჭდად გამზადებული თაბახები ჩემს არქივში აღმოჩნდა, მე მაშინ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში ვმუშაობდი და გამოყოფილი ვიყავი „ხელოვნების ფილოსოფიის“ რედაქტორად.

ალ. სიგუა

* *

ხელოვნების ისტორიის უმთავრეს ეპოქებს რომ გადავავლოთ თვალი, ვნახავთ, ხელოვნება ჩნდება და შემდეგ ქრება აზროვნების და ზნე-ჩვეულებათა იმ განსაზღვრულ მიდრეკილებებთან ერთად, რომელთანაც თვითონ ეს ხელოვნება იყო დაკავშირებული. მაგალითად, ბერძნული ტრაგედია (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე) ჩნდება მაშინ, როდესაც ბერძნები იმარჯვებენ სპარსელებზე, პატარ-პატარა რესპუბლიკური ქალაქების გმირულ ხანაში, იმ დიდი ბრძოლის დროს, როდესაც საბერძნეთი მთელ თავის ძალდონეს იკრებს, რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს მთელი განათლებული ქვეყნიერება. შემდეგ, ამ დამოუკიდებლობისა და ენერჯის გაქრობასთან ერთად, როდესაც დაკნინდა ბერძენთა ხასიათი და მაკედონელების მიერ დამარცხებული საბერძნეთი უცხოელების კუთვნილებად გადაიქცა, ჩვენ ვხედავთ ტრაგედიის გაქრობასაც. ასევე, გოტიკური არქიტექტურა ვითარდება ფეოდალური წესწყობილების საბოლოოდ დამყარების დროს ნახევრად აღორძინების ეპოქაში, მეთერთმეტე საუკუნეში, როდესაც ნორმანელების და ყაჩაღებისაგან განთავისუფლებული საზოგადოება იწყებს განვითარების გზით სვლას, და ქრება იმ დროს, როდესაც წვრილი, დამოუკიდებელი, მეომარი ბარონების ბატონობა და მისგან გამომდინარე ზნე-ჩვეულებანი იშლება, მეთხუთმეტე საუკუნის დამლევის, თანამედროვე მონარქიების გაჩენის გამო. ასევე, პოლანდიური მხატვრობა უდიდეს წარმატებას აღწევს იმ სახელოვან დროს, როდესაც პოლანდია შეუპოვარი და მამაცური ბრძოლის გზით საბოლოოდ თავისუფლდება ესპანეთის ბატონობისაგან, ებრძვის ინგლისს ტოლფასი იარაღით, და ევროპის სახელმწიფოთა შორის ყველაზე მდიდარ, ყველაზე თავისუფალ და განვითარებულ სამრეწველო ქვეყნად იქცევა.



სწორედ ასევე, ფრანგული ტრაგედია ჩნდება მაშინ, როდესაც მოწესრიგებულ, სათავადაზნაურო მონარქიასთან ერთად ლუი XIV დროს ბატონდება სამეფისკარო ცხოვრება, ბრწყინვალე რაუტები, ტურფადკაზმული არისტოკრატიული შინაყმობა და ქრება შაშინ, როდესაც პრივილეგიების მქონე საზოგადოება და სასახლის დერეფნების ზნე-ჩვეულებანი ეცემა რევოლუციის დარტყმისაგან.

მინდა შედარება მოვიხმო, რომ თქვენთვის უფრო საგრძნობი გახდეს ზნე-ჩვეულებისა და გაბატონებულ შესედულებათა გავლენა ხელოვნებაზე. თბილი ქვეყნიდან ჩრდილოეთისკენ რომ წახვიდეთ, ახალ სარტყელს მიაღწევთ, შენიშნავთ ნიადაგის სულ სხვა კულტურას და სულ სხვა მცენარეებს: ჯერ ალოე და ფორთოხალი; პატარა მანძილს რომ გაივლით, ზეთისხილი და ყურძენი გაჩნდება; მერე მუხა და შვრია; უფრო შორს — ფიჭვი, და ბოლოს ხავსი და ბოწვერა. ყველა სარტყელს აქვს ნიადაგის თავისებური კულტურა და მცენარეები; ერთიცა და მეორეც იწყება სარტყელის თავში და თავდება მის ბოლოში; ერთიცა და მეორეც თავის სარტყელთან არის დაკავშირებული და ეს სარტყელი წარმოადგენს მათი არსებობის აუცილებელ პირობას; თავისი არსებობით ან არარსებობით ის განაგებს ამ მცენარეთა გაჩენას ან დაღუპვას. და რა არის ეს სარტყელი, თუ არა ერთგვარი ტემპერატურა, ერთგვარი ოდენობა სითბოსი და ნესტიანობისა; ერთი სიტყვით, გაბატონებულ პირობათა რიგი არსებითად ანალოგიურია იმისა, რასაც ჩვენ ეს-ეს არის ახლა ვუწოდებთ საზოგადოების მსოფლმხედველობა და მისი ზნე-ჩვეულებანი. როგორც არსებობს ერთგვარი ფიზიკური ტემპერატურა, რომელიც თავისი ცვალებადობით იწვევს ამა თუ იმ მცენარის ჯიშის გაჩენას, — სწორედ ასევე, არსებობს ერთგვარი მორალური ტემპერატურა, რომელიც თავისი ცვალებადობით იწვევს ხელოვნების ამა თუ იმ დარგის გაჩენას და როგორც ფიზიკურ ტემპერატურას ვსწავლობთ, — რათა შევიგნოთ ამა თუ იმ მცენარის გაჩენა, — იქნება ეს სიმინდი თუ შვრია, ალოე თუ ნაძვი, — ისევე უნდა შევისწავლოთ მორალური ტემპერატურა, რომ შევიგნოთ ხელოვნების რომელიმე დარგის გაჩენა — კერძთაყვანისმცემლური ქანდაკებისა თუ რეალისტური ფერწერისა, მისტიკური არქიტექტურისა თუ კლასიკური ლიტერატურისა, ვნებიანი მუსიკისა ან იდეალისტური პოეზიისა. ადამიანის სულის შემოქმედებანი, როგორც ცოცხალი ბუნების ნაწარმოებნი, შეიძლება შევიცნოთ მხოლოდ მაშინ, თუ მათ შევისწავლით საკუთარ გარემოსთან დაკავშირებით.

თანამედროვე ესთეტიკა განსხვავდება ძველისაგან თავისი ისტორიზმით და დოგმატიზმის უარყოფით, ესე იგი, იმით, რომ ჩვენი ესთეტიკა არავის უბრძანებს — ამ წესებისამებრ განიხილოთ ხელოვნების ნაწარმოებნი. არა, ჩვენი ესთეტიკა იკვლევს და ადგენს ხელოვნების კანონებს. ძველი ესთეტიკა ჯერ მშვენიერების განსაზღვრას იძლეოდა და ამბობდა, მაგალითად, მშვენიერება ზნეობრივი იდეალის გამოსახვაა, ან — მშვენიერება უხილავის გამოსახვაა, ან კიდევ, მშვენიერება — ადამიანის ღონებათა გამოსახვააო, მერმე, ემყარებოდა რა ერთ-ერთ ამ განსაზღვრას, როგორადაც კანონმდებლობის რაიმე მუხლს, იგი ამართლებდა, სჯიდა, საყვედურს აძლევდა და წინამძღვრობდა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მე არა მხვდა წილად ამგვარი დიდი დავალების ასრულება. მე თქვენ წინამძღვრობას ვერ გაგიწევთ; ძალიან გამიჭირდება ამის ასრულება. სხვათა შორის, ჩვენთვის რომ ვთქვათ, აქამდის მხოლოდ ორი წესია აღმოჩენილი ხელოვნებაში: პირველი გვირჩევს — გენიოსად დაიბადებითო; მაგრამ ეს თქვენი მშობლების საქმე არის და არა ჩემი; მეორე გვირჩევს — ბევრი იშრომეთ, რომ, რაც შეიძლება სრულად, დაეუფლოთ თქვენს ხელოვნებას; ესეც თქვენი საქმე არის და არა ჩემი. ჩემი მოვალეობა ის არის მხოლოდ, რომ კარგად გავაცნოთ ფაქტები და ავიხსნათ ამ ფაქტების წარმოშობა. თანამედროვე მეთოდის არსი, რომლითაც მე ვცდილობ ვიხელმძღვანელო და რომელიც უკვე შეიჭრა ყველა საზოგადოებრივ მეცნიერებაში, ის გახლავთ, რომ იგი იკვლევს ადამიანის მიერ ქმნილს და, კერძოდ, ხელოვნების ნაწარმოებებს, როგორც ფაქტებს, რომელთა დამახასიათებელი თვისებების დადგენა არის საჭირო, როგორც განსაკუთრებული მიზეზთა შედეგისა; ამით ამოიწურება ჩვენი ამოცანა. ასე შეგნებული მეცნიერება არც ეკლესიისაგან განკვეთავს, არც ცოდვებს შეუნდობს. იგი არ გეტყვით, „აბუჩად აიგდეთ პოლანდიური ხელოვნება მისი მეტიმეტი სიტლანქის გამო, არამედ დასტკბით იტალიური ხელოვნებითო“. არც იმას გეტყვით — „შეიზიზღეთ გოტიკური ხელოვნება, რადგან იგი ჯანსაღი არ არის, და დასტკბით ბერძნული ხელოვნებითო“. არა, იგი სრულ თავისუფლებას გიტოვებთ ყველას, რომ საკუთარი გემოვნებით იხელმძღვანელოთ, უპირატესობა მისცეთ მას, რაც უფრო მეტად ეგუება თქვენს ტემპერამენტს და გულმოდგინედ შეისწავლოთ ის, რაც უკეთესად გამოხატავს თქვენს სულიერ მოთხოვნილებას.




ძალიან გრძელი იყო მიქელანჯელოს პირველი პერიოდი, არა ნაკლებ სამოცე წლისა; ამ დროის განმავლობაში შექმნილ მის ნაწარმოებებში თქვენ ხედავთ ძლიერებას და გმი-
რული დიდების გრძნობას; ამ გრძნობით არის გაუღენთილი მხატვარი, სხვა აღარაფერი
აგონდება. მრავალი გაკვეთანი, ურიცხვი ნახატი, საკუთარი გულის მუდმივი ანალიზი, ტრა-
გიკულ ვნებათა შესწავლა და მათი განსახიერება სხეულში, — ყოველივე ამას სმარობს რო-
გორც საშუალებას, რომ გადმოაფრქვიოს მშფოთვარე ენერჯია, რომლითაც აღსავსეა იგი.
აი, რა აზრს აღვიძრავთ თქვენ კაპელის სიქსტინის ყოველი კუთხე და მთელი კამარა. შედით
იქვე, პაულინის მეზობელ ეკვდერში და გასინჯეთ მიქელანჯელოს სიბერისდროინდელი ნა-
წარმოებები: „მოქცევა წმიდა პავლესი“, „ჯვარცმა წმიდა პეტრესი“, დააცქერდით თუნდაც
„უკანასკნელ განკითხვას“, რომელიც სამოცდაშვიდი წლისამ შექმნა. საქმის მცოდნენი, და
პროფანებიც, პირველი შეხედვითვე შენიშნავენ, რომ ორივე ფრესკა დახატულია მზამზარე-
ული რეცეპტის მიხედვით, რომ მხატვრის განკარგულებაშია ფორმათა ცნობილი რაოდე-
ნობა, იგი განსაზღვრული შაბლონით ხელმძღვანელობს, ერთიმეორეზე ალაგებს არაჩვე-
ულებრივ პოზებს, ხელოვნურად ამოკლებს განზომილებას და ჩვენ ვამჩნევთ, რომ ცოცხალი
შეშოქმედება, ბუნებრიობა, დიადი ლტოლვა, უმაღლესი ჭეშმარიტება, რომლითაც სავსე
იყო მისი პირველი პერიოდის ნაწარმოებნი, გაქრნენ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, შესუსტდ-
ნენ ხელოვნების ტექნიკის ბოროტად გამოყენების და ხელობად გადაქცევის გამო, და თუ
იგი მაინც სხვებზე მაღლა დგას, მეტად დაბლა დგას თავის თავთან შედარებით.

ყველა სკოლა (აქ შეუძლებელია გამოწკარვლის არსებობა), განიცდის გადაგვარებას და
დაცემას სწორედ იმიტომ, რომ იწყებს ზუსტ მიზანძვას და გაურბის ცოცხალ მოდელს. ასე
მოუვიდათ ფერწერაში მიქელანჯელოს მიმდევრებს; ასევე მოუვიდათ აკადემიკოსებს და ბუ-
დუარის მხატვრებს, რომლითაც დასრულდა XVIII საუკუნის ფრანგული ფერწერა. ლიტე-
რატურაში იგივე დაემართათ რომის დაცემის დროის მოღვექსეებსა და რიტორებს; მგრძნო-
ბიარე დეკლამატორ-დრამატურებს, რომლითაც დამთავრდა ინგლისური დრამა, და და-
ცემის ეპოქის იტალიაში მოსწრებული სიტყვების და დვლარჭნილი ფრაზების შემთხვევით.

შესაძლებელია თქვან, რომ ფოტოგრაფია, ტვიფარი, სტენოგრაფია — მექანიკური ხერ-
ხებია, ამიტომ თავი დავანებოთ მანქანას და ადამიანის ნაწარმოები შევადართო მისივე ხე-
ლით გაკეთებულ საქმეს. მაშ, მოვძებნოთ ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც რაც
შეიძლება ზუსტად დაცულია ორიგინალი. ლუერში არსებობს დენერის ერთი სურათი. დე-
ნერი გამადიდებელი შუშით მუშაობდა და ოთხ წელიწადს უნდებოდა ერთი პორტრეტის და-
ხატვას; მის დახატულ სახეებში არაფერია დავიწყებული: არც კანის დანაოჭება, არც ყვრი-
ძალის თვალთუხილავი წინწყლები, არც ცხვირზე მოფანტული შავი წერტილები, არც
მიკროსკოპული ძარღვების მოცისფრო განშტოებანი ზედაკანის ქვეშ, არც თვალის ელვა-
რება, რომელშიაც იხატება ახლომდებარე საგნები. მაყურებელი განცვიფრებული რჩება:
თავი ისე ცოცხლად არის დახატული, თითქოს ეს-ესაა გამოსცდებო ჩარჩოს; არახდროს
არავის არ მიუღწევია ასეთი სრულყოფისათვის; ეს არის მოთმინების უბადლო მაგალითი.
მაგრამ საერთოდ ვან დეიკის ერთი რომელიმე გაბედული ესკიზი ასჯერ უფრო ძლიერია,
და არც ფერწერაში, და არც სხვა რაიმე ხელოვნებაში ასეთ თვალთმაქცობას არავითარი
ღირებულება არა აქვს.

ამასვე ვხედავთ ლიტერატურაში. დრამატული პოეზიის საუკეთესო ნაწილი — ბერძნუ-
ლი და ფრანგული კლასიკური პიესები, უმეტესი ნაწილი ესპანური და ინგლისური დრამე-
ბისა, შორს უდგანან საზოგადო საზღვრის ზედმიწევნით გამოყენებას; პირიქით, განგებ შე-
აქვთ მასში ცვლილება. ეს დრამატურგი პოეტები ლექსად ალაპარაკებენ თავიანთ გმირებს
და მათ სათქმელს ზომას და ხშირად რითმას უყენებენ. აზიანებს თუ არა ხელოვნების ნა-
წარმოებს სინამდვილის ასეთი დამახინჯება? სრულიადაც არა. ამას ამტკიცებს გოეთეს
„იფიგენიას“ მაგალითი, რომელიც ჯერ პროზად იყო დაწერილი, შემდეგ კი ლექსად. იგი
პროზადაც მშვენიერია, მაგრამ გალექსილი განუზომლად მაღლა დგას. ცხადია, სწორედ ჩვე-
ულებრივი სასაუბრო ენის შესწავლა, რითმის და ზომის შეტანა შეუდარებელ ძალას, ნა-
თელ განდიდებას, ფართო და ურყევ ტრაგიკულ ჟღერას ანიჭებს გოეთეს თხზულებას, რომ-
ლის გაგონებისთანავე სული ამაღლდება ჩვეულებრივი ცხოვრების სისაძაგლეზე და ჩვენს
თვალწინ აღსდგებიან ძველი გმირები, პირველყოფილ ადამიანთა დავიწყებული ტომები,
მათ შორის, ღვთაებრივი ქალწული, ღმერთების ნების განმმართველი, კანონების დამც-
ველი, მოკვდავთა მწყალობელი, რომელშიც შეერთებულა ადამიანის ბუნების ყოველი სათ-



ნოება და დიდებულება, რათა სახელი გაუთქვას ჩვენს გვარს და აღამაღლოს ჩვენი სული. ყველაზე დიდი სკოლები ისინი არიან სწორედ, რომლებიც ცხოვრებაში არსებულ ტან-ნაფარდობას არღვევენ.

განვიხილოთ, მაგალითად, იტალიური სკოლა, მისი უდიდესი წარმომადგენლის — მიქელანჯელოს ნაწარმოები. ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ჩვენი დებულება, გავიხსენოთ მისივე შედეგები — მარმარილოს ოთხი ქანდაკება მედიჩების აკლდამაზე ფლორენციაში. ვისაც ორიგინალი არ უნახავს, უკიდურეს შემთხვევაში, მის ასლს ხომ იცნობს. ცხადია, ამ კაცების, მეტადრე მწოლიარე ქალების, რომელთაგან ზოგს სძინავს, ზოგი კი იღვიძებს, სხეულის პროპორციები ისეთივე არ არის, როგორც ეს სინამდვილეში აქვთ ადამიანებს. იმათ მსგავსს თვით იტალიაშიც ვერ მოძებნით. იქ თქვენ ნახავთ ლამაზ, მორთულ ყმაწვილ კაცებს. თვალგაბრწყინებულ და ველური შესახედაობის გლეხკაცებს, მკვრივკუნთებიან და ამაყი მოძრაობის მქონე აკადემიურ მოდელებს; მაგრამ ვერსად — ვერც სოფელში, ვერც დღეობაში, ვერც ატელიეში, იტალიაში იქნება თუ სხვაგან — დღეს თუ XVI საუკუნეში — რეალურად არსებულს არც ერთი კაცი ან ქალი არ წააგავს იმ მრისხანე გმირებს, იმ უზარმაზარ, სასოწარკვეთილ ქალწულებს, რომლებიც დიდებულმა ხელოვანმა მოათავსა სამარხ ეკვდერში. თავის საკუთარ ნიჭში და თავის საკუთარ გულში იბოვა მიქელანჯელომ ეს ტიპები. მათ შესაქმნელად საჭირო იყო განდევილის, მოაზროვნის, სიმართლისათვის მეზრძოლის სული, სული ალგზნებული და დიდებული. დაკნინებულ და გარყვნილ ადამიანთაგან, ღალატისა და ძალმომრეობის, ტირანიისა და უსამართლობის, სამშობლოსა და თავისუფლების ნანგრევებს შორის მივიწყებული სული; თვითონ მიქელანჯელოს სიკვდილს უქადდა ბედი; იგი გრძნობდა, რომ თუ ცოცხლობდა, მხოლოდ შეწყალებით და შეიძლება ცოტა ხნის ვადით; უჭირდა ქედის მოხრა და მორჩილება; და მთლიანად თავი შეაფარა ხელოვნებას, და ამგვარად, მონობის დუმილში იღებდა ხმას მისი დიდებული — დაკნინებულ და გარყვნილ ადამიანთაგან, ღალატისა და ძალმომრეობის, ტირანიის, ტკბილი არის ძილი და უფრო ტკბილია იქცე ქვად, სანამ სამარცხვინო დაძვირება გრძელდება. აღარაფერს ვხედავდე, აღარაფერს ვგრძნობდე, აი ჩემი ნეტარება. მაშ ნუ მალვიძებ. „ა, ჩუმად იყავ!“ აი, გრძნობა, რომელმაც შთააგონა მიქელანჯელოს ასეთი ფორმები; სწორედ ეს იყო, რის გამოსახატავადაც შესცვალა მან ჩვეულებრივი პროპორციები, დააგრძელა ტანი და მისი ნაწილები, ბარძაყებთან მოგრისა ტორსი, ჩააღრმავა თვალის ბუდეები. დაღარა შუბლი წარბშეჭმუხვნილი ლომის ნაოჭებით, მხარზედ დააგროვა კუნთების მთელი მთა, მყესები და ერთმანეთზე გადაბმული სერხემლის მალეები ისე დაძაბა, როგორც შაგრაღ მოჭიმული ჯაჭვის რგოლები, რომელნიც ეს-ეს არის ლამობენ გაგლეჯას.


ახლა განვიხილოთ ფლამანდური სკოლა, ამ სკოლის დიდი წარმომადგენელი ფლამანდური რუბენსი და ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი სურათი რუბენსის ნაწარმოებებში „კერმესი“. აქაც თქვენ ვერ იბოვით ჩვეულებრივი პროპორციების მიზიდვას. მიზრძანდით ფლანდრიაში, დააკვირდით ტიპებს, სწორედ მხიარულებისა და ქეიფის, დღესასწაულების დროს, ანტივერპენში ან სხვაგან; თქვენ ნახავთ გულკეთილ ხალხს, რომელიც კარგად სჭამს, ბევრს სვამს და სულაერი სიმშვიდით სწევს თამბაქოს, ნახავთ ხალხს ფლეგმატურსა და გონიერს, უფერულ, დიდრონ უსწორმასწორონაკვთებიან პირისახეებს, და თქვენ მოგაგონდებათ ტენირსის ფიგურები, რაც შეეხება „კერმესის“ საუცხოო ორფესა პირუტყვებს, იმათ მსგავსს ვერსად ნახავთ, რუბენსმა უთუოდ სადღაც სხვაგან გამოძებნა ისინი. რელიგიური ომების საძიანელებათა შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე განადგურებულ ფლანდრიას ედირსა საბოლოო მშვიდობიანობა და მოქალაქეობრივი უშიშროება. აქ ისეთი კარგი მიწაა, ისე კეთილგონიერია აქაური მცხოვრები, რომ ხალხმა მაშინვე მოიპოვა კეთილდღეობა და შეძლებული ცხოვრება. ქვეყანა გრძნობდა სიუხვეს და ყველაფრის ხელახალ სიჭარბეს, წარსულსა და აწმყოს შორის არსებული კონტრასტი ნეტარებისაკენ უბიძგებდა ნებაზე მიშვებულ მათს ტლანქ ინსტინქტებს ისევე, როგორც დამშეული ცხენებისა და ხარებისას, როცა მათ მწვანე ბალახში შეუშვებენ. თვითონ რუბენსი გრძნობდა ამ ინსტინქტებს და უხამსი, უხვი ცხოვრებით დაკმაყოფილებული ურცხვი ხორცის ველური, თავზვხელაღებული ღრეობის პოეზია გამოსატა დაურიდებელ გრძნობიერებაში, ავხორც გაწითლებაში, ყველგან გადაშლილი შიშველი ტანის სითუთრეში და სიქორფეში. ამ გრძნობის გამოსახატავად მან თავის „კერმესში“ გააგანიერა ტანი, შეასქელა გავა, დაკლაკნა წელი, აანთო დაწვი, აწეწა თმა, წაჰკიდა თვალებს თავდაუჭერელი გზნების ველური ცეცხლი, ლაგამი ახსნა ქეიფის არეულობას, სასმისების მტვრევას, მაგიდების გადაბრუნებას, ღრიალს, ხვევნა-კოცნას, ორგასა და ადამიანის მხეცობის უაღრესად



განსაცვიფრებელ გამარჯვებას, რომლის დარი თავის დღეში არსად დაუსასრულს მხატვრის კალამს.

ლომის ძირითადი ხასიათი, რომლის მიხედვით მას განსაზღვრული ადგილი უჭირავს ბუნებისმეტყველების კლასიფიკაციაში, გამომდინარეობს მისი მტაცებლური ბუნებიდან. თითქმის ყველა იმისი თვისება, როგორც ფიზიკური ისე მორალური, სწორედ ამ ხასიათიდან საზრდოობს, როგორც მთავარი წყაროდან. ჯერ ფიზიკური თვისებები: მჭრელი კბილები, ყბა — დამგლეჯი და დამმსხვრევი, და ასეც უნდა იყოს, რადგან მტაცებელი ცხოველია და საზრდოობს ხორციით, ცოცხალი ნადირით. რომ კარგად აამოძრავოს თავისი საზარელი ყბა, უნდა ჰქონდეს დიდრონი კუნთები და ამ კუნთების დასატევად ერთნაირი პროპორციის ფოსფორი საფეთქლებთან. მიუმატეთ ამას კიდევ ფეხის საზარელი ბრჭყალები, რომლებსაც იგრძელებს და იმოკლებს, ცქვიტი სიარული თათის წვერებზედ, ბარძაყების საზარელი დრეკადობა, რომელიც რესორივით ისვრის მას, დამის წყვილიადმი ნათლად მხედავი თვალები, რადგან ღამე არის საუკეთესო დრო ნადირობის. ერთმა ბუნებისმეტყველმა, ლომის ჩონჩხს რომ მაჩვენებდა, მითხრა: „ეს არის ყბა, რომელიც ოთხ თათზეა დამდგარი“. გარდა ამისა, ლომს შეთანხმებული აქვს ყოველი მორალური თვისებებურება: პირველ ყოვლისა, სისხლისმწყურვალება, ახალი ხორცის ჭამის მოთხოვნილება, ზიზღი ყოველგვარი სხვა საჭმლისადმი: მერე კიდევ ის ძალა და ნერვული გატაცება, რომლითაც უშველებელ ძალ-ღონეს იკრებს თავდასხმისა თუ თავდაცვის წუთებში; და ყოველივე ამასთან ერთად, ჩვეულებრივი მძინარობა, დაღვრემილი უძრავობა, როდესაც მოცლილი არის, და გაუთავებელი მთქნარება ნადირობის შემდეგ. ყველა ეს თვისება გამომდინარეობს მტაცებელი ცხოველის ხასიათიდან, და სწორედ ამიტომ ამ ხასიათს ვუწოდებთ ძირითადს.

ახლა სხვა მაგალითი განვიხილოთ, უფრო ძნელი: ქვეყანა მისი აუარებელი თვისებებურებით — ნიადაგის განსაზღვრული აგებულებით, გარეგნული შეხედულებით, კულტურით, მცენარეებით, ცხოველებით. ძირითადი დამახასიათებელი თვისება ამ ქვეყნისა ის არის, რომ მდინარეების ნალექისაგან შედგება მისი ნიადაგი, ესე იგი, იმ მიწისაგან, რომელიც მოაქვთ მდინარეებს და ნალექად ტოვებენ თავიანთ შესართავებში... ამ ერთი თვისებიდან გამომდინარეობს რიცხვმრავალი თვისებებურება, რომელიც განსაზღვრავს ნიდერლანდების არსებობის ფორმებს, არა მარტო მის ფიზიკურ ბუნებას, არამედ აგრეთვე გონებას, მცხოვრებთა ზნეობრივ და ფიზიკურ თვისებებს და მათ ნამუშევარს; პირველად აღვნიშნოთ უსულო ბუნებაში ტენიანი და ნოყიერი მინდვრები, მრავალი განიერი მდინარეებისა და შლამიანი ნიადაგის დიდძალი ნალექის შედეგი. ყოველთვის ამწვანებულია ეს მინდვრები, რადგან დიდი, მშვიდი და ზარმაცი მდინარეები და ტენიან, ბრტყელ ნიადაგში გაუჭირვებელი გაყვანილი ურიცხვი არსები ქმნიან მუდმივ სავსილეს. თქვენ თვითონ წარმოიდგენთ ახლა, მარტოდენ განსჯის ძალით, ამ ქვეყნის სურათს: ტყვიისფერი, წვიმიანი ცა, რომელიც ყოველთვის კოკისპირული წვიმების ბადით არის დასერილი და კარგ დარშაიც კი არ იშორებს ორთქლის მსუბუქ ნისლს, ნესტიანი მაწიდან რომ იწვევს ცისკენ და ქმნის გამჭვირვალე გუმბათს; თოვლის წვრილი ფანტელების ჰაეროვან ქსოვილს, ზემოდან რომ ეფინება დიდ, მრგვალ, ამწვანებულ კალთას, რომელსაც ბოლო არ უჩანს. სულიერ ბუნებაში — მდიდარი სამოვრების სიმრავლე ასაზრდოებს მშვიდ, მსხვილფეხა საქონელს, ხარბად მძოვარს ან დაყრილს ბალახში, რითაც თვალუწვდენელი მწვანე მინდვრების ზედაპირს აჭრელებენ მოყვითალო, თეთრი და შავი ლაქებით. აქედან — ქვეყნის სიმდიდრე რძითა და ხორციით, რომელიც ძარცვლელთან და ბოსტნეულთან ერთად აძლევს ხალხს უხვ და იაფ საჭმელს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყანაში წყალი ქმნის ბალახს, ბალახი — საქონელს, საქონელი — ყველს, ერბოს და ხორცს. ყველა ეს კი ლუდთან ერთად ქმნის ადგილობრივ მცხოვრებს. მართლაც, ეს მსუქანი ცხოვრება და ნესტიანი ჰაერით გაუღენთილი ფიზიკური ორგანიზაცია ქმნიან ფლამანდურ, ფლემატურ ტემპერამენტს, რეგულარულ ჩვეულებებს, გონების და ნერვების სიმშვიდეს, ცხოვრებით გონივრულად სარგებლობის უნარს, მუდმივ კმაყოფილებას, კეთილად მოწყობილობის გემოვნებას, და მაშასადამე, სისუფთავის გაბატონებას და კომფორტულ მოწყობას. იმდენად შორს მიდის ამის გავლენა, რომ ქალაქის გარეგნულ შეხედულებასაც კი ეტყობა. ნალექის ქვეყანაში ძნელი საშოვარია საშენებელი ქვა; ქვის მაგივრად დამწვარი თიხა — აგური და კრამიტი; რადგან ხშირი წვიმები იცის, მეტად დაქანებულად აკეთებენ სახურავს. მუდმივი ნესტიანობის გამო კი ფასადებს მოჭიქავენ. ამიტომ ფლამანდური ქალაქი გვეჩვენება მოწითალო ან ყავისფერი, ყოველთვის სუფთა, ხშირად პრიალა, წაწვეტებულ სახურავიანი სახლების ბადედ; აქა-იქ მოჩანს ამაღლებული ძველი ეკლესია, რიყის ქვით ან



საქართველოს
ქართული ენის
საქართველოს
საქართველოს

ცემენტის დაკირული კენჭებით აშენებული; დიდი მზრუნველობით მოვლილი ქუჩები სწორ-სახებად გაჭიმულან შეუდარებელი სისუფთავის ორ ტროტუარს შუა. ტროტუარებს ქოლან-ლიაში აგურისაგან აგებენ და ხშირად ქაშანურითაც ამშვენებენ; დილით, ხუთ საათზე, ქუჩაში ნახავთ დაჩოქილ მოსამსახურე გოგოებს, რომლებიც ტილოებით წმენდენ ტროტუარებს. შეიხედეთ გამჭვირვალე მინების იქით, შედით მწვანე ხეებით მორთულ კლუბში, სადაც პარკეტს გამუდმებულად ახალ-ახალ ქვიშას აყრიან ძველის მაგივრად; შედით საამო, ნათელი ფერებით შეღებილ სამიკიტნოში, სადაც მოჩანან მწყობრად დალაგებული ძომრგვალო, მუქი კასრები და მოყვითალო ქაფი გამოდის უცნაურად ჩამოსხმული მინის ჭიქებიდან. ჩვეულებრივი ცხოვრების ყველა ამ წვრილმანში დოვლათისა და მუდმივი კეთილდღეობის ყველა ამ გამოხატულებაში თქვენ დაინახავთ ძირითადი ხასიათის შედეგს, რომელიც გამოიხატება ადგილობრივ პავაში და მიწის ნიადაგში, მცენარეებსა და ცხოველებში, ადამიანსა და მის შემოქმედებაში, საზოგადოებასა და ცალკეულ პიროვნებაში.

ხელოვნებას მიზნად აქვს დასახული შუქი მოპფინოს ამას და თუ ხელოვნება აყენებს ამ ამოცანას, მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნებას არ ძალუძს მისი გადაწყვეტა, რადგან ბუნებაში ხასიათი არ არის მთავარი; ხელოვნება კი ხაზს უსვამს მის უპირატესობას. ხასიათი რეალური საგნების ფორმას განსაზღვრავს, მაგრამ ვერ წარმოაჩენს მას ამომწურავი სისრულით. იგი შეზღუდულია მოქმედებისას, რადგან ხელს უშლის სხვა გარემოებათა ჩარევა. მან ვერ შეძლო საკმარისად ძლიერი და თვალსაჩინო ბეჭედი დაესვა საგნებზე, რომლებიც მის კვალს ატარებენ. ადამიანი გრძნობს ამ ხარვეზს და მის შესავსებად მიმართავს ხელოვნებას.

ამასვე ვხედავთ უმაღლესი ხელოვნების ყველა ნაწარმოებში. რაფაელი რომ „გალატეას“ ხატავდა, მაშინ დაწერა, — რადგან ლამაზი ქალი იშვიათობაა, ამიტომ მივსდევო „საკუთარ იდეალს“. ეს იმას ნიშნავს, რომ მხატვარი, გამოდის რა თავისი წარმოდგენიდან ადამიანის ბუნებაზე, მის აუღელვებელ სიმშვიდეზე, ბედნიერებაზე, მის ამაყ და თავაზიან სიტურფეზე, ვერსად ჰპოვებს ცოცხალ მოდელს, რომელსაც საკმარისად ჰქონდეს ეს თვისებები. გლესი ქალი რომ უჯდა მოდელად, მას ხელები დამახინჯებული ჰქონდა შრომით, ხოლო ფეხები დაღრეცილი, თვალები შიშს, სირცხვილს ან ხელობით გამოწვეულ ვატლანქებას გამოხატავდნენ. თვითონ მის „ფორნარინას“ მეტად ძირს დაშვებული მხრები, გამხდარი ხელები და მკაცრი პირისახე ჰქონდა: როდესაც „ფარნეზინაში“ ხატავდა მას, რაფაელმა მთლად გარდაქმნა თავისი მოდელი და ამ მიზნისათვის განავითარა ტილოზე ხასიათი, რომელიც ცოცხალ სახეს ოდნავი ნიშნებით და ნაწყვეტებით ემჩნეოდა.

ამგვარად, ხელოვნების ნაწარმოების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ პირველ პლანზე გამოიყვანოს, ან რამდენადაც კი შეიძლება თვალსაჩინო გახადოს საგნის ძირითადი ან მთავარი ხასიათი მაინც; ამის მისაღწევად მხატვარი აშორებს ისეთ ნიშნებს, რომლებიც უმთავრესს ჰფარავენ, ირჩევს იმისთანებს, რომლებშიაც იგი მუდგანდება, ასწორებს, რომლებშიც შეცვლილად მოჩანს იგი და გადაამუშავებს იმისთანებს, რომლებშიც გაუქმებულად ეჩვენება იგი.

სხვადასხვა მხრივ რომ შევხედოთ ადამიანს, იგი წარმოადგენს ცხოველს, რომელიც ცდილობს თავი დაიცვას ბუნებისაგან და სხვა ადამიანთაგან, მან უნდა უზრუნველყოს თავისი სიცოცხლე საზრდოთი, ტანისამოსით, ბინით; თავი დაიცვას ავდრისაგან, ებრძოდოს შიმშილს და ავადმყოფობას. ყოველივე ამისათვის იგი ხნავს მიწას, ზღვებზე დაცურავს, მრეწველობისა და ვაჭრობის სხვადასხვა დარგში მუშაობს. გარდა ამისა, უნდა განაგრძოს თავისი გვარი და აიცილოს ძალმომრეობა სხვა ადამიანებისა. ამისათვის ქმნის ოჯახსა და სახელმწიფოს. ნიშნავს მოსამართლეებს, მოხელეებს, ადგენს კანონებს, კონსტიტუციებსა და არმიას. ამოდენა შრომის და გამოგონებათა შემდეგ ის მაინც არ გამოდის თავისი პირველყოფილი მდგომარეობიდან, იგი ისევ ცხოველად რჩება. ოღონდ უკეთ მომარაგებულია და უკეთ დაცული, ვიდრე სხვა ცხოველები; წინანდებურად მარტო თავისი თავისათვის და თავისი გვარისათვის ზრუნავს. ამ დროს ახალი უმაღლესი ცხოვრება იხსნება მის წინ — ცხოვრება ჭვრეტისა. მასში იღვიძებს ინტერესი — შეიგნოს ის მუდმივი და განმსაზღვრავი მიზეზები, რომელთაგან არის დამოკიდებული მისი და მის მსგავსთა არსება — შეიგნოს ძირითადი გაბატონებული საწყისები, რომლებიც განაგებენ ნივთების ყოველ ერთობლიობას და თავის ნიშანს ადებენ ყოველ წვრილმანს. ამის მისაღწევად ორი საშუალება მოეპოვება ადამიანს: პირველი არის მეცნიერება, რომლის საშუალებით იკვლევს არსებობის მიზეზებს და ძირითად კანონებს, ზუსტი ფორმულითა და განყენებული ტერმინებით გამოხატულს. მეორე არის ხელოვნება, რომლითაც ადამიანი გამოხატავს ამ მიზეზებს და ძირითად კანონებს არა მშრალ, ხალხისთვის მი-



უწვდომელი და მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტისათვის გასაგები განსაზღვრებით, არამედ თვალსაჩინო ფორმებში: არა მარტო გონებისათვის, არამედ სულ უბრალო ადამიანის გრძნობის შესაგნებად. ხელოვნებას ის თავისებურება აქვს, რომ ერთსა და იმავე დროს დიაღია და სალხური. იგი გამოსახავს ყველაზე უმაღლესს ყველასათვის მისაწვდომად.


შეადაროთ ხელოვნების ნაწარმოები მცენარეს და ვნახოთ, რა პირობებში შეუძლია მცენარეს ან მცენარეთა რომელიმე გვარს, მაგალითად, ფორთოხალს, განვითარდეს და გავრცელდეს მიწაზე. წარმოვიდგინოთ, რომ ქარმა მოიტანა და შემთხვევით დააბნია სხვადასხვაგვარი მარცვალი და თესლი. რა პირობებში შეუძლია ფორთოხლის თესლს აღმოცენდეს, გაიზარდოს, აყვავდეს, გამოიღოს ნაყოფი, ყლორტები, ხეები, მთელი გვარეულობით მოჰფინოს მიწა?

აქვსათვის საჭიროა მრავალი ხელშემწყობი პირობა, უპირველეს ყოვლისა, ნიადაგი იყოს არც ძალიან ფხვიერი, არც ძალიან მწირი; თორემ ძირი ღრმად ვერ ჩავა და ვერ გამაგრდება, ხე წაიქცევა, როგორც კი დაჰბერავს ქარი. გარდა ამისა, საჭიროა, ძალიან მშრალიც არ იყოს ნიადაგი, თორემ, თუ მდინარის წყლით არ იქნება გაგრილებული, ხე ძირშივე გახშება. საჭიროა, აგრეთვე, თბილი იყოს ჰავა, თორემ ნაზი ხე გაიყინება, უკიდურეს შემთხვევაში, გახშება და ყლორტებს ვერ გამოიღებს. საჭიროა ხანგრძლივი ზაფხული, რომ ნაყოფს, რომელსაც იგი გვიან გამოიღებს, საკმარი დრო ჰქონდეს დამწიფებისათვის. ზამთარიც რბილი უნდა იყოს, იანვრის ყინვამ რომ არ წაახდინოს ტოტებზედ შერჩენილი ფორთოხლის ნაყოფი. და ბოლოს, საჭიროა, ეს მიწა მაინცდამაინც ძალიან არ ახარებდეს მცენარეებს, თორემ თავის ბედზე მიტოვებულ ფორთოხალს ბოლოს მოუღებს უფრო ძლიერი მცენარეულობა. თუ მოიპოვება ყველა ეს პირობა, მაშინ ფორთოხლის პატარა ხე გაიზრდება, მომწიფდება, სხვებს გააჩენს, რომლებიც ასევე თავის მსგავსებს გააჩენენ. ეჭვი არ არის, შეიძლება ჭექა-ქუხილმა, კლდის ნგრევამ ან თხების შესევამ წაახდინოს იგი, მაგრამ მიუხედავად ამ შემთხვევებისა, რაც ცალკე მცენარეს ღუპავს, თვითონ გვარი გამრავლდება, მოჰფენს თავისით ნიადაგს და ამისათვის საკმარისი რამდენიმე წლის შემდეგ გაიშლება აყვავებული ფორთოხლების ჭალა. სწორედ ასეთი პირობებია სამხრეთ იტალიის კარგად შემოფარებულ ხეობებში, სორენტოს და ამალფის მიდამოებში, ყურეების ნაპირებზე, პატარა პატარა თბილ ველებში, რომლებსაც აგრილებს მთებიდან მომდინარე ნაკადები და უაღერსებს ზღვის მაცოცხლებელი ნიაფი. საჭირო იყო ყველა ამ პირობათა შეერთება, რომ თავი მოეყარა ამ მრგვალ მწვერვალებს, ხშირ, მბრწყინავ მწვანე გუმბათებს, ურიცხვ ოქროს ვაშლებს. სურნელოვან, ძვირფას მცენარეულობას, რომელიც შუა ზამთარში მდიდარ, აყვავებულ ბაღად ხდის ამ ნაპირებს.

ახლა ვნახოთ, როგორ დაემთხვენ ამ მაგალითში პირობები. თქვენ უკვე ნახეთ, რა გავლენა აქვთ გარემოებას და ფიზიკურ ტემპერატურას. დანამდვილებით რომ ვთქვათ, ამათ კი არ გაუჩენიათ ფორთოხლის ხე: თესლი იყო მოცემული და მხოლოდ ამ თესლში მოიპოვებოდა სასიცოცხლო ძლიერება. მაგრამ აღნიშნული პირობები იყო საჭირო, რომ მცენარეს შესძლებოდა ზრდა და გამრავლება; და ეს პირობები რომ არ ყოფილიყო, არც თვითონ მცენარე იქნებოდა.

აქედან ცხადია, ჰავა რომ შეიცვალოს, მცენარის გვარიც შეიცვლება. და მართლაც, წარმოვიდგინოთ სულ სხვა პირობები, იმის წინააღმდეგნი, რაც აქ აღვწერეთ — დაუდგრომელ ქარებით ნაცემი მთის მწვერვალი, მცენარეების წარმომშობი მიწის თხელი ფენა, ცივი ჰავა, ხანმოკლე ზაფხული; მთელი ზამთრის განმავლობაში თოვლი. ამისთანა მხარეში არა მარტო ფორთოხალი, არამედ სხვაგვარი ხეების უმრავლესობაც კი ვერ იხეირებს. შემთხვევით მოფენილი მრავალგვარი თესლიდან მხოლოდ ერთი ივარგებდა: ზრდას და გამრავლებას ამ მკაცრ გარემოებებთან შეგუებული მხოლოდ ერთი გვარი შესძლებდა — ფიჭვი ან ნაძვი, მთის ტიტველ მწვერვალებს რომ მოედებოდა. გრძელ კლდიან ქედებს და ციცაბო ფერდობებს თავისი სწორი სვეტებითა და მოღუშული, მწვანე მოსასხამებით დაფარავდა; თუ თქვენ იმოგზაურებთ, მაგალითად, ვოგეზებში, შოტლანდიასა და ნორვეგიაში, — დიდ მანძილს გაივლით მიყრუებული მწვანე კამარის ქვეშ, გამხმარი წიწვით მოფენილ მიწაზე, პიტალო კლდეზე მიკრულ ფესვებს შუა ენერგიითა და მოთმინებით სავსე მცენარის სამფლობელოში, რომელიც უვნებლად გადარჩენილა, გრძელი ზამთრების მძვინვარე ქარებისა და მოყინვის მიუხედავად.

მაშასადამე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ჰავა და ფიზიკური გარემოებანი თითქოს არჩევანს აწარმოებენ სხვადასხვაგვარ ხეებში, განსაზღვრულ გვარს აძლევენ არსებობისა და გამრავლების საშუალებას; ყველა ან თითქმის ყველა დანარჩენებს კი ანადგურებენ. ფიზიკური



ტემპერატურა მოქმედებს გამოკლების, განადგურების, ბუნებრივი შერჩევის გზით. ასეთია დიადი კანონი, რომლითაც განმარტავენ დღეს სხვადასხვაგვარ ცოცხალ არსებთან წარმოშობას და აგებულებას, და ეს კანონი ისევე კარგად შეეფარდება მორალურს, როგორც ფიზიკურს, ისტორიას, როგორც ბოტანიკას და ზოოლოგიას, ნიჭსა და ხასიათს, როგორც მცენარეებსა და ცხოველებს.

* *

და მართლაც, არსებობს ერთგვარი მორალური ტემპერატურა, რომელიც წარმოადგენს ზნე-ჩვეულებათა და გონებრივი განვითარების საერთო მდგომარეობას და ისევე მოქმედებს, როგორც ფიზიკური. დანამდვილებით რომ ვთქვათ, იგი არა ქმნის მხატვრებს; გენიოსებსა და ნიჭიერნი ემსგავსებიან თესლებს. მე მინდა ვთქვა, რომ ერთსა და იმავე ქვეყანაში სხვადასხვა ეპოქაში ალბათ არსებობს ნიჭიერი და საშუალო ადამიანების ერთი და იგივე რიცხვი და მართლაც, სტატისტიკა აძლევს ცნობებს, რომ ორ თანმიმდევარ თაობაში თითქმის ერთი და იგივე რიცხვი აღმოჩნდება სამხედრო სამსახურისათვის გამოსადეგი ტანადი ადამიანებისა და ჯარისკაცად უვარგისი ტანდაბლებისა. ალბათ ეს ასეა, როგორც სულიერი, ისე მატერიალურისათვის: და ბუნება არის ადამიანების მთესველი, რომელიც ერთი და იმავე ხელით, ერთი და იმავე პარკიდან ერთი და იმავე ოდენობას და ხარისხის თესლებს აბნევს იმ მიწებში, რომლებსაც რიგრიგობით ხმარობს დასათესად. მაგრამ მუჭით თავის გარშემო დაბნეულ თესლთაგან ყველა თესლი კი არ აღმოცენდება დროისა და სივრცის ძიხედვით, საჭიროა ერთგვარი მორალური ტემპერატურა, რომ განსაზღვრულმა ნიჭმა მიიღოს განვითარება, თუ იგი არ მოიპოვება, ნიჭი უნაყოფო რჩება. მაშასადამე, ტემპერატურის შეცვლასთან ერთად, იცვლება აგრეთვე გვარი ნიჭისა; თუ ტემპერატურა მოწინააღმდეგე გახდა, მოწინააღმდეგევე იქცევა ნიჭი, და შეიძლება ვაგულისხმოთ, რომ მორალური ტემპერატურა ირჩევს თავის შესაფერს სხვადასხვაგვარი ნიჭიერებიდან, ამა თუ იმ ნიჭს აძლევს განვითარების საშუალებას და მეტად თუ ნაკლებად უარყოფს დანარჩენს. ამგვარი მექანიზმით აიხსნება ის, რომ თქვენ ხედავთ რომელსამე ქვეყანაში, რომელსამე დროს ხან იდეალიზმის, ხან რეალიზმის სკოლების განვითარებას, ხან ნახატიით და ხან კოლორიტით გატაცებას. ყოველ საუკუნეს აქვს ერთგვარი გაბატონებული მიმართულება და ის ნიჭი, რომელიც სხვა მიმართულებით მოისურვებს წინსვლას, ვერაფრითარ გამოსავალს ვერ ნახავს; საზოგადოებრივი აზრის და გაბატონებულ ზნე-ჩვეულებათა გავლენისაგან იგი ან დაჭკნება, ან სხვა, გარედან გადმოღებულ, განმარტოებულ გზას დაადგება.

* *

ავიღოთ ერთი სრულიად მარტივი, მეტად გამარტივებული შემთხვევა — ისეთი სულიერი მდგომარეობა, რომელშიც სევდა გაბატონებული გრძნობაა. ასეთი მდგომარეობა არ არის გამოგონილი ამბავი; ამგვარი სულიერი მდგომარეობა არაერთხელ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში და მის გასაჩენად სრულიად საკმარისია დაქვეითების, ხალხის ამოწყვეტის, უცხოელთა შემოსევის, შიმშილის, ჭირის, თანდათან გაუარესებული და გაჭირვებული სუთიექვისი საუკუნე. ამ მდგომარეობაში იყო აზია მეექვსე საუკუნეში ქრ. შობამდე და ევროპა ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნიდან მეათემდე. აი სწორედ მაშინ ადამიანი ჰკარგავს ვაჟკაცობას და იმედს და ბოროტებად მიაჩნია სიცოცხლე.

განვიხილოთ, რა გავლენა აქვს ამგვარ სულიერ მდგომარეობას და მასთან ერთად ამის გამომწვევ გარემოებებს იმ დროის მხატვრებს. წარმოვიდგინოთ, რომ მაშინაც თითქმის იმდენივე მელანქოლიური და იმდენივე მხიარული, იმდენსავე მელანქოლიურსა და მხიარულთა ძორის საშუალო ტემპერამენტი მოიპოვება, რამდენიც სხვა დროს. როგორ და რა მიმართულებით ვარდაქმნის მათ იმ დროს გამეფებული მდგომარეობა?

ჯერ ის აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებას გულის გამაწყლულებელი უბედურებანი გულს უწყლავენ აგრეთვე მხატვარსაც. რადგან იგი ჯოგის მოთავეა, ამიტომ მასაც წილად ხვდება ის, რაც ჯოგს შეემთხვევა. მაგალითად, თუ ბარბაროსების შემოსევა, ჭირიანობა, შიმშილი, ყოველგვარი უბედურებანი მოხდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მთელი ქვეყნის სივრ-




ცეზე, სასწაული იქნება საჭირო, მრავალი სასწაული, საერთო წარდგნამ ისე გაუაროს მას გვერდით, რომ არც კი შეეხოს. პირიქით, მოსალოდნელი იქნება და სრულიად ბუნებრივად, რომ იმასაც საზოგადო უბედურების კარგი წილი ერგოს: ისიც გააღატაკონ, გალახონ, დაჭრან, ტყვედ წაიყვანონ, როგორც სხვები და მასთან ერთად იგივე ბედი ეწვევა მის ცოლს, შვილებს, მშობლებს, მეგობრებს და მათი გულიხათვის ისევე დაიტანჯება და შიშს გადაიტანს, როგორც თავისი თავისათვის. პირად უბედურებათა ასეთი შეუწყვეტელი წვიმის ქვეშ ის ნაკლებ მხიარული გახდება, თუ მხიარული იყო, და უფრო მეტად დანადგლიანდება, თუ ნადგლიანი იყო. აი, გარემოცვის პირველი გავლენა.

მეორეს მხრივ, მხატვარი გაიზარდა დანადგლიანებულ თანამედროვეთა შორის; მაშასადამე, მელანქოლიური არის ის იდეები, რომელიც პატარაობის დროს და აგრეთვე შემდეგში ყოველდღიურად მიღებული აქვს მას. გაბატონებული რელიგია შეეგუა რა უბედურებით სავსე სიცოცხლეს, სულ იმას ჩასძახის მას, რომ დედამიწა გლოვის ველია, ქვეყანა საპატიმროა, სიცოცხლე ბოროტებაა და ჩვენ სულ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ღირსვიქმნეთ ამ სოფლიდან თავის დაღწევისა. ფილოსოფია ადამიანის დაქვეითებათაგან შეფარდებით ადგენს ზნეობას და უმტკიცებს მას: უკეთესი იქნებოდა, სულაც არ დაბადებულიყავიო. გლოვის ამბები ესმის მას ყოველდღიურ საუბარში: რომელიმე კუთხეში მტრის შემოსევა, ძველას დანგრევა, საწყალი ხალხის ტანჯვა-წამება, დიდებულთა ერთმანეთთან ბრძოლა, ყოველდღიური ცხოვრების დაკვირვება იძლევა მხოლოდ გლოვის სურათებს; იგი ხედავს მათხოვრებს, დამშეულ ხალხს, დანგრეულ ხიდს, რომლის აღდგენაზე არავინ ფიქრობს, მიტოვებულ უბანს, რომელიც ინგრევა, მოუხნავ მიწებს, დამწვარი სახლების გამურულ კედლებს. ეს შთაბეჭდილებანი საცოცხლის პირველი წლიდან უკანასკნელამდე გავლენას ახდენენ მასზე და შეუწყვეტლივ იზრდება მის არსებაში ის მელანქოლია, რომელიც თავისი პირადი უბედურებისაგან ჰქონდა აღძრული.

უბედურებანი მით უფრო ძლიერ ანადგლიანებენ მხატვარს, რამდენადაც მეტი ნიჭის პატრონია იგი, რადგან მხატვრად ქმნის მას სწორედ საგნებში ძირითადი ხასიათის და თვალსაჩინო ნაკვთების გამოყოფის ჩვეულება; სხვანი მხოლოდ საგნის ნაწილს ხედავენ, ის კი მთლიანად საგანს და მის შინაარსს ითვისებს. და რადგან ამ მაგალითში ძირითადი ხასიათი სევდაა, ისიც ამ სევდას ხედავს თავის გარშემო, უფრო მეტიც: წარმოსახვის და ნაგრძნობის გადიდების გადამეტებული ნიჭის მქონე, იგი უფრო აღრმავებს ამ ხასიათს, აზვიადებს ყველაფერს, იუდინთება ნახულის, გაგონილის შეგრძნებით და მითვე ავსებს თავის ნაწარმოებსაც. ასე რომ, ჩვეულებრივ იგი ხედავს და წარმოსახავს ნივთებს უფრო მეტად მუქ ფერებში, ვიდრე მისი თანამედროვენი.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ შრომაში თანამედროვენიც ძალიან ეხმარებიან მას, რადგან თქვენც გეცოდინებათ, რომ თუ წერს კაცი ან ხატავს, მარტოდმარტო არა რჩება იგი თავის საწერ კალამთან ან სურათის წინ. პირიქით, ხალხში ტრიალებს, საუბრობს, ხანჯავს, ისმენს თავისი მეგობრების და თავისი მეტოქეების შენიშვნებს, ეძებს შთაგონებას წიგნებში და მახლობელი ხელოვნების ნაწარმოებებში. იდეა ძალიან წააგავს თესლს; თუ თესლს აღმოცენების, გაზრდის და აყვავებისათვის საზრდო სჭირდება, რომელსაც წყალი, ჰაერი, მზე და მიწა აძლევენ მას, იდეასაც თავის დასამთავრებლად და შესაფერი ფორმის მისაღებად სჭირდება დამატებანი და შევსებანი, რომლებსაც მეზობლების გონება მიაწვდის მას, მაგრამ იმ სევდიან დროს რა დამატებებს მისცემენ მხატვარს მისი თანამედროვენი? სევდიან აზრებს; რადგან მხოლოდ ამ მიმართულებით მუშაობს მათი გონება, მათ არავითარი სხვა შეგრძნება არა აქვთ, გარდა გულასდამაწყლულებელი გრძნობების და შეგრძნებებისა და შეუძლიათ შენიშნონ რაიმე ელფერი და აღმოაჩინონ ახალი მხოლოდ სევდის და ტანჯვის შესახებ. ადამიანი ყოველთვის თავის გულში იხედება და, თუ გული სავსე აქვს მარტო ვაებით, სხვა არაფერს აკვირდება, გარდა ვაებისა. მაშასადამე, ისინი გაჭირვების, მწუხარების, სასოწარკვეთილების, დაქანცვის მცოდნეები არიან და მხოლოდ ამის. მხატვარმა რომ რაიმე რჩევა სთხოვოს მათ, ამის მეტს ვერას ურჩევენ, ამაო შრომის დაკარგვა იქნებოდა, მათ მხიარულების სხვადასხვაგვარი გამოსახულების შესახებ რომ ჰკითხოთ, მათ არ შეუძლიათ იმის მოცემა, რაც არ მოეპოვებათ. ამიტომ არის რომ, თუ შეეცდება ბედნიერების, სიხარულის, ან მხიარულების გამოხატვას, სრულიად მარტოდ იქნება მიტოვებული, ყოველგვარ დახმარებას მოკლებული, თავის საკუთარ ძალას მინდობილი, განმარტოებული ადამიანის ძალა კი მეტად სუსტია, ამიტომ მისი ნაწარმოებიც საშუალო ღირსების იქნება. და პირიქით, თუ სევდიანი გრძნობების გამოხატვა განიზრახს, მას დახმარებას გაუწევს მთელი მისი საუკუნე; წინანდელი სკოლების



მიერ მომხადებულ მასალას, სრულიად დამთავრებულ ხელოვნებას, უკვე ცნობილ სენსებს, გაკაფულ გზას იპოვის. ეკლესიის წირვა, სახლის მოწყობილობა, საუბარი შთაავონებენ ფორმას, კოლორიტს, გმირის გამოთქმას ან სახეს, რაც ჯერ კიდევ აკლდა მას; და მისი ნაწარმოები, რომლის შექმნაში მონაწილეობა მიიღო უცნობმა მილიონებმა, უფრო მეტად მშვენიერი იქნება, რადგან მისი ნიჭის და შრომის გარდა, იგი შეიცავს წინანდელი თაობების და იმ ხალხის შრომასა და ნიჭს, რომელიც მას გარს ეხვია.

არის კიდევ ერთი გარემოება, სხვებზედ ძლიერი, რომელიც დამაღონებელი შინაარსის ნაწარმოებისკენ მიმართავს მხატვარს: მისი ნაწარმოები, საზოგადოების სანახავად გატანილი, არ მოეწონებათ, თუ იგი სევდას არ გამოხატავს. და მართლაც, ადამიანს მართო ისეთი გრძნობის გაგება შეუძლია, რაც ემსგავსება მის საკუთარ გრძნობას. სხვა გრძნობანი, ძალიან კარგადაც რომ იყვნენ ასახულნი, არავითარ შთაბეჭდილებას არ ასდენენ მასზე; თვალთ სინჯავს, მაგრამ გული კი არასა გრძნობს და თვალის მაშინვე თავს ანებებს ცქერას. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელმაც დაჰკარგა ბედნიერება, თავისი სამშობლო, თავისი ცოლ-შვილი, ჯანმრთელობა და თავისუფლება და ოცი წლის განმავლობაში ბორკილით შეჭვდილი იჯდა საპატიმროში როგორც პელიკო ან ანდრიანი; მას ნელ-ნელა წაუხდა და გაუტყდა სასიათი, მელანქოლიკად და მისტიკად იქცა და განუკურნავი მჭმუნვარება მოერია; ამ კაცს საზარლად მოეჩვენება საცეკვაო მუსიკა, მას ძალად თუ წააკითხებენ რაბლეს; რუბენსის სურათის მხიარულ და ჩასუქებულ გამოსახულებებთან რომ მიიყვანოთ, ზურგს შეაქცევს; კმაყოფილებით მხოლოდ რემბრანდტის სურათებს შესედავს, სიამოვნებით მართო შოპენის მუსიკას მოისმენს და, თუ ყურს დაუგდებს, მხოლოდ ლამარტინის ან ჰაინეს პოეზიას. იგივე ემართება საზოგადოებას; მისი გემოვნება, დამოკიდებულია მის მდგომარეობაზე; სევდა აღუძრავს მას გემოვნებას სევდიანი სურათებისადმი. ის გადაჰყრის იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც მხიარულება გამოიხატება; იგი დაგმობს ან გვერდს აუვლის ასეთ მხატვარს, თქვენ კი კარგად იცით, რომ მხატვარი მართო იმისთვის ქმნის, რომ დაფასებული იყოს და ნაქები, ეს არის მისი უმთავრესი გულის ზრახვა. მაშასადამე, ზემოთ აღნიშნულ მიზეზებს გარდა, კიდევ ერთი — მხატვრის უმთავრესი ზრახვა და საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენა — აიძულებს მას გამოსატოს სევდა და უღობავს გზას გამოსატოს ბედნიერება.

ამ ზღუდეების სიმრავლის გამო ყოველად შეუძლებელი ხდება მისთვის მხიარულების გამომხატველი ხელოვნების ნაწარმოების შექმნა. კიდევ რომ გადალახოს მხატვარმა პირველი, წინ აღემართება მეორე და ასე შემდეგ. კიდევ რომ იყვნენ ბუნებით მხიარული ნატურები, ისინი მაინც დაღონებულნი იქნებიან თავიანთი პირადი უბედურებით. აღზრდა და ყოველდღიური საუბარი აავსებს მის თავს სევდიანი ფიქრებით. უმაღლესი და განკერძოებული უნარი, რომლის წყალობით მხატვარი არჩევს და აფართოებს საგნის დამახასიათებელ თვისებებს, აღარაფერს შეანიშნინებს მას, გარდა სევდიანი თვისებისა. სხვათა გამოცდილება და შრომა მისცემს რაიმე შთაგონებას და გაუწევს დახმარებას მხოლოდ სევდიანი სიუჟეტების შექმნისას. დაბოლოს, საზოგადოების დაჟინებული და ახმაურებული აზრი სხვას არაფერს გააბედვინებს. მაშასადამე, მხატვარი და ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც მხიარულებას და სიცოცხლას ხალხს გამოხატავს, თანდათან გაქრება და ისე შემცირდება, რომ შესამჩნევიც აღარ იქნება.

წარმოიდგინეთ ასლა პირიქითი შემთხვევა, ის დრო, როდესაც საზოგადოების სულიერი მდგომარეობა სისარულით არის აღსავსე. ეს მოხდება სოლმე აღორძინების ხანაში, როდესაც იზრდება და ვითარდება უშიშროება, სიმდიდრე, მოსახლეობა, კეთილი ცხოვრება, შემძლებლობა, სასარგებლო და საუცხოო გამოგონებანი. ამ სულ სხვა სულიერ მდგომარეობასაც სიტყვა-სიტყვით შეესაბამება ჩვენი ანალიზი და აქაც იგივე მსჯელობა გვაძლევს იმ დასკვნას, რომ ამ დროს ხელოვნების ყოველი ნაწარმოები გამოსახავს მეტად თუ ნაკლებად სისარულს.

წარმოიდგინეთ ასლა შუალედური შემთხვევა, ესე იგი, ერთგვარი ნარევი სისარულისა და სევდისა, რაც ჩვეულებრივ გვხვდება ცხოვრებაში. შესაბამისად თუ მივუყენებთ ამასაც ჩვენი ანალიზი, ვნახავთ, რომ აქაც სრულ ძალას შეინარჩუნებს იგი; იმავე საფუძველზე შეგვიძლია დაუასკვნათ, რომ ხელოვნების ნაწარმოები გამოსახავს სათანადო ნარევს და სისარულის და სევდის ერთგვარ შესხედულებას მიიღებს.

აქედან გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ ყოველ რთულ ან მარტივ შემთხვევაში გარემოცვა, ესე იგი, ზნე-ჩვეულებათა და გონების საერთო მდგომარეობა განსაზღვრავს ხელოვნების

ნაწარმოებს; ურიკლება მარტო თავის შესაბამისს, შეუსაბამოს კი იძორებს სხვადასხვა ლაბრ-
კოლებას და ზღუდეების აღმართვით, მისი განვითარების ყოველ ნაბიჯზე სელახალი იერ-
შების მიტანით.

* *

დაახლოებით სამი ათასი წლის წინათ ეგეოსის ზღვის პირზე და ჰის კუნძულებზე
გამოჩნდა მეტად ლამაზი და გონიერი ხალხი, რომელიც სულ ახალი თვალთ უყურებდა
სიცოცხლეს. ეს ხალხი ვერ შთანთქა ვერც ძლიერმა სარწმუნოებრივმა მცნებამ, როგორც ეს
ძოუედათ ინდოელებსა და ეგვიპტელებს, ვერც დიდმა სოციალურმა ორგანიზაციამ, როგო-
რიც პქონდათ ასურელებს და სპარსელებს, ვერც მრეწველობის და ვაჭრობის დიდმა განვითა-
რებამ, როგორც პქონდათ ფინიკელებსა და კართაგენელებს. თეოკრატიისა და კასტობრივი
წესწყობილების მაგიერ, მონარქიისა და მოხელეთა იერარქიის და ფართო საექსპორტო და
შინაგანი ვაჭრობის მაგიერ, ამ ხალხის წარმომადგენლებმა, სხვა ხალხებისგან განსხვავებით,
შექმნეს საქალაქო თემი; ყოველი თემი ქმნიდა სხვა თემს და ყოველი შტო, რაკი ჩამოშორ-
დებოდა თავის ღერძს, ქმნიდა სრულიად ახალ შტოებს. ერთმა ქალაქმა, მილეტმა, სამასა
საქალაქო თემი შექმნა და ახალშენებო მოჰფინა შავი ზღვის მთელ ნაპირს. სხვებიც ასევე
მრავლდებოდნენ პირენეიდან მარსელამდე, ესპანეთის, იტალიის, საბერძნეთის, მცირე აზიის
და აფრიკის კონცხებისა და ყურეების გასწვრივ, აყვავებული ქალაქების გვირგვინი მოსწნეს
ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე.

როგორ ცხოვრობდნენ ამ საქალაქო თემებში? მოქალაქე ძალიან ცოტას შრომობდა
თავისი ხელით; მას ამარაგებდნენ ქვეშევრდომი და მოხარკე ხალხები და ყოველთვის
ჰყავდა მონები. რაც უნდა ღარიბი ყოფილიყო მოქალაქე, ერთი მონა მაინც ჰყავდა. ათენში
ოთხი მონა ითვლებოდა თითო მოქალაქეს და მისთანა საშუალო ქალაქებს, როგორც იყო
ეგინი და კორინთი, ოთხას-სუთასი ათასი მონა ჰყავდა თითოს; ამრიგად, მონებით უზრუნველ-
ყოფილი იყვნენ, მაგრამ მოქალაქე მონის დიდ საჭიროებას არც განიცდიდა. იგი დაშთმენი
იყო, როგორც ფაქიზი და სამხრეთელი ყველა ერი, საცხოვრებლად სამი ცალი ზეთისხილი,
ერთი თავი ნიორი და სარდენი ჰყოფნიდა;² ფესხაცძლად სანდალი პქონდა და ტანისამოსად
ძოკლე პერანგი და განიერი მოსასხამი, მწყემსებს რომ აცვიათ, ისეთი. მისი საცხოვრებელი
სახლი ვიწრო, ცუდად აკეზული, სიმაგრეს ძოკლებული იყო; ქურდები კედლებს ტეხავდნენ და
შიგ შედიოდნენ³; სახლში ეძინათ და ეს იყო მისი უმთავრესი დანიშნულება. ლოგინი და სამი
ძშვენიერი სურა, — აი, მთელი მორთულობა. მოქალაქეს სხვა აღარაფერი ესაჭიროებოდა-რა
და მთელ დღეს გარეთ ატარებდა.

რას აკეთებდა იგი მოცალეობისას? არც მეფეს და არც მღვდელს არ უწევდა სამსახურს,
თვითონ იყო თავისი თავის ბატონი თავის ქალაქში. ის ირჩევდა ქალაქის გამგებლებს და
ქურუმებს; თვითონაც შეიძლებოდა არჩეულყოფილიყო ქურუმად ან სხვა რაიმე თანამდ-
ბობაზე; სულ უბრალო, მდაბალიც რომ ყოფილიყო ან მჭედელი, როგორც მოსამართლე მაინც
დებულობდა მონაწილეობას, როდესაც უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხებო ირ-
ჩეოდა.

ძოკლედ, პოლიტიკური მოღვაწეობა და ომი — აი მისი მოვალეობა. მისი დანიშნულებაა,
იყოს პოლიტიკოსი და ჯარისკაცი; სხვა ყველაფერი, მისი აზრით, უძნიძვნელოა. მთელი
ყურადღება თავისუფალი კაცისა მიქცეული უნდა ყოფილიყო ამ ორ მოვალეობაზე. და
მართალიც იყო, რადგან იმ დროს ისე არ იყო დაცული ადამიანის სიცოცხლე, როგორც
ჩვენს დროში და საზოგადოებას ჯერ არ პქონდა ისეთი მჭიდრო ურთიერთობა, რომელსაც
ჩვენს დროში მიაღწია. ხმელთაშუა ზღვის პირას გაშენებული თემების უმრავლესობას გარს
ერთყნენ ბარბაროსები, ყოველ წუთს მზად რომ იყვნენ თავდასხმისათვის, ამიტომ მოქალაქე
იძულებული იყო გამუდმებით იარაღში მჯდარიყო, როგორც დღეს ევროპელები ახალ ზე-
ლანდიაში ან იაპონიაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, გაღები, ლიბიელები, საძნიტები, ბითინი-

¹ გროტი, საბერძნეთის ისტორია, II, გვ. 337; ბუკი, ათინელების პოლიტიკური ეკონომია,
გვ. 1-61; ვალონი, მონობა ძველ ქვეყნებში.

² არისტოფანი — ბაყაყები. ლუსიენი — მამალი.

³ ქურდების ნამდვილი სახელი იყო „კედლის გამტეხი“.



ელეები უმაღლ დაბანაკდებოდნენ იერიშით აღებული ქალაქის გალავნის და ნაცრადქცეული ტაძრის ნანგრევებზე. გარდა ამისა, თვითონ ეს თემებიც გადამტერებული იყვნენ ერთმანეთზედ, სშირად მიწის პირიდან სრულიად აღიგვებოდა ხოლმე დამარცხებული ქალაქი. დღეს შემძლებელ და პატივცემულ კაცს, სვალ შეიძლება თავისი სახლი გადამწვარი ენახა, სარჩოსაბადებელი გაძარცული, ცოლი და ქალიშვილები საროსკიპო სახლებში გაყიდული, თვითონ კი თავისი შვილით მონად ქცეულიყო და მადნის მაღაროში ცოცხლად ჩამარხულიყო ან მათრახის ქვეშ წიქვილის ქვა ებრუნებინა. როდესაც ასეთი საფრთხეა მოსალოდნელი, სრულიად ბუნებრივია, რომ მთელი ყურადღება სახელმწიფო საქმეებისაკენ იყო მიპყრობილი, რომ მოქალაქემ იცოდეს ბრძოლა, სიკვდილის შიში აიძულებს პოლიტიკოსი გასდეს. სიამაყისა და დიდებით გატაცების გამო, ყოველი თემი იმასა ცდილობს, დაამციროს და დაიმორჩილოს სხვა, რომ შეიძინოს ქვეშევრდომები და ტყვეები.¹ მოქალაქე საზოგადო მოედანზე ატარებს თავის სიცოცხლეს და ბჭობს, უფრო უკეთესად როგორ დაიცვას და აამაღლოს თავისი ქალაქი; ხელშეკრულებებს და კავშირს ჰკრავს სხვა ქალაქებთან; ადგენს კონსტიტუციას და სცემს კანონებს, უსმენს ორატორებს. თვითონაც ორატორობს იმ დრომდე, სანამ არ ჩაჯდება თავის გემში, რომ თრაკიასა ან ეგვიპტეში წავიდეს საომრად, ბერძნების, ბარბაროსების ან დიდი მეფის წინააღმდეგ.

ამ მიზნის მისაღწევად მათ თავისებური დისციპლინა შეიმუშავეს. იმ დროს მრეწველობისა არა იცოდნენ რა და არც საომარი მანქანები ჰქონდათ, ხელჩართულად ებრძოდნენ ერთმანეთს და ამიტომ ომში გამარჯვების უმთავრესი პირობა ის კი არ იყო, ყველა ჯარისკაცი ზუსტ ავტომატად გადაექციათ, როგორც ამას დღესაც ვხედავთ, არამედ გამოეწროთ ყოველი ჯარისკაცი უადრესად გამძლე, მარდ და მაგარ ორგანიზმად, გარდაექმნათ იგი საუკეთესო გლადიატორად, ბრძოლაში გამძლე ადამიანად. ამ მხრივ სპარტამ, რომლის მაგალითმაც მერვე საუკუნეში მთელი საბერძნეთი ააფორიაქა, შემთხვევით შეტად რთული და არანაკლებ სასარგებლო წესწყობილება, როგორც ჩვენი სადარაჯოები ვაბილიაში. სპარტა თვითონ უგალავნო, დამარცხებულთა და მტერთა შუაგულში გაშლილი სამხედრო ბანაკი იყო, ყოველთვის საომრად და თავდაცვისათვის იყო გამზადებული. პირველ ყოვლისა, იმაზე ზრუნავდნენ, რომ სრულყოფილი ტანი ჰქონოდათ და შეექმნათ ადამიანთა ლამაზი მოდგმა; აწარმოებდნენ დაგრილებას, როგორც ცხენთსაშენში. ცუდი აგებულების ბავშვებს ხოცავდნენ. კანონი ადგენდა ნეფე-პატარძლის ასაკს, ჩასახვის მომენტს და ხელისშემწყობ პირობებს. თუ მოხუცს ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა, იგი ვალდებული იყო მიეყვანა მასთან ყმაწვილი კაცი, რომ კარგი აგებულების შვილები ჰყოლოდა. საშუალო ხნის კაცს შეეძლო დაეთმო თავისი ცოლი მეგობრისათვის, თუ იგი განთქმული იყო სილამაზითა და გარდა იმისა, რომ ხელოვნურად ჰქმნიდნენ მოდგმას, ცალკე ინდივიდალად აჯვარებდნენ. ყველა ყმაწვილი რაზმში იყო ჩარიცხული, მათ ავარჯიშებდნენ, აჩვევდნენ კომუნურ ცხოვრებას, როგორც რაზმის შვილებს; ისინი ორ მეტოქე ჯგუფად იყვნენ გაყოფილი და წიხლით და მუშტით ებრძოდნენ ერთმანეთს. ღია ცისქვეშ ეძინათ, ბანაობდნენ ევროტას ცივ წყალში, დადიოდნენ საყაჩაღოდ, ცოტასა სჭამდნენ, და იმასაც ცუდად და ნაჩქარევად, სვამდნენ მარტო წყალს, ეძინათ ლერწმის ლოგინზედ და ადვილად იტანდნენ ყოველგვარ ავდარს; ყმაწვილი ქალებიც ბიჭებივით ვარჯიშობდნენ და მოზრდილებსაც ისევე ავარჯიშებდნენ, როგორც ბიჭებს. ცხადია, სხვა თემებში დისციპლინა არ იყო ასეთი მკაცრი, მაგრამ ისანიც თითქმის ასეთივე ვზაო მიემართებოდნენ. ყმაწვილკაცობა დროის უმეტეს ნაწილს გიმნაზიებში — ჭიდაობაში, ხტობაში, კრივში, სირბილში, დისკოს ტყორცნაში — ატარებდა, რომ განვეითარებინათ შიშველი ვუნთების ძალა და მოქნილობა. ცდილობდნენ, ტანი რაც შეიძლება გაემაგრებინათ, გაემსხვევებინათ, გაელამაზებინათ, ხოლო ამას ყველაზე უკეთ მკაცრი აღზრდით მიაღწევდნენ².

ბერძნებისათვის დამახასიათებელ ამ ზნე-ჩვეულებათაგან გაჩნდა განსაკუთრებული შესვლულება. მათი თვალსაზრისით, იდეალი იყო, არა მოაზროვნე გონება ან მტრძნობიარე სული, არამედ შიშველი ტანი, წარმოსადგეი, ჯიშინი და პროპორციულად აგებული, მოქმედი, სრულქმნილი ყოველგვარ ვარჯიშობაში. ეს თვალსაზრისი მყდარდება მრავალ წვრილმანში. პირველი: იმ დროს, როდესაც მათ ირგვლივ მცხოვრები კარიელები, ლიდიელები და ყველა

¹ თუკიდიდე, წიგნი I, ახ. კიმონის ზავის და პელოპონესის ომის შუა დროის ათენელების ექსპედიციები.


² ქსენოფონტე, — ლაკედემონელების რესპუბლიკა. პლატონის დიალოგები. — არისტოფანე, — ღრუბელი.

იმათი მეზობელი ბარბაროსები სამარცხვინოდ მიიჩნევდნენ სიშიშვლეს, სპარტელები მოურიდებლად შიშვლდებოდნენ ჭიდაობისა და სირბილის დროს. ყმაწვილი ქალებიც თათქმის ტიტვლები ვარჯიშობდნენ სპარტაში. და თქვენ სედავთ, ამ გზით გამოძუშაგებულმა ჩვეულებებმა როგორ მოსპეს ან გარდაქმნეს სირცხვილის გრძნობა. ასლა მეორე მათი ეროვნული დიდი დღესასწაულები — ოლიმპიური, პითიკური და ნემეის ასპარეზობანი — ტიტველი ტანის გამოფენა და ზეიმი იყო. საბერძნეთის ყოველი კუთხიდან და ბერძენთა შორეული ახალშენებიდან მიეშურებოდნენ საუკეთესო გვარისშვილები ამ ასპარეზობებზე დასასწრებად; განსაკუთრებული რეუმიითა და შეუპოვარი შრომით ემზადებოდნენ ისინი დიდი ხნის განმავლობაში ამ ასპარეზობისათვის. და იქ, მთელი ერის თვალწინ გატიტვლებულნი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჭიდაობაში, კრივში, დისკოს სროლაში, სირბილში, ეტლის წაყვანაში. ეს გამარჯვება, რომელიც დღეს ბაზრობის ფალანგებისათვის მიგვინდვია, ყველაზე დიდ მიღწევად ითვლებოდა მაშინ. სირბილში გამარჯვებულის სახელს მისივე მოთხოვნით არქმევდნენ იმ წლის ოლიმპიადას, გამარჯვებულს სოტბას უძღვნიდნენ უდიდესი პოეტები; ძველი დროის ყველაზე დიდი ლირიკოსი პინდარი მხოლოდ ეტლის წაყვანაში გამარჯვებულს უძღვნიდა ქებას. თავის ქალაქში დაბრუნებულ ფალანგს დიდი ზეიმით სვდებოდა ხალხი; მისი ძალღონე, მისი სიმარდე მთელი თემის სიამაყეს წარმოადგენდა. ერთი მათგანი, ჭიდაობაში დაუმარცხებელი კრიტონელი მილონი, მხედართმთავრად იქნა არჩეული. ის მიუძღოდა თავის თანამეზამუღეთ საბრძოლველად, ლომის ტყავით შემოსილი და დიდი კოძბლით შეიარაღებული როგორც პერკულესი, ვისაც ადარებდა მას ხალხი. ამბობენ, რომ ვიღაც დიაგორასი, რომლის ორ შვილს ერთ დღეს გამარჯვების გვირგვინები უბოძეს, შვილებმა ხელში აყვანილი გაატარეს კრების წინაშე, ხოლო ხალხი, ასეთი პატივისცემა მეტად დიდად რომ მიიჩნდა უბრალო მოკვდავისათვის, ეძახდა მას: „მოკვდი, დიაგორას, ღვთაებად სიმ ვერ გადაიქცევი!“ და მართლაც, ისე იყო აღელვებული დიაგორასი, ხელში ჩააკვდა თავის შვილებს. როგორც ყველა ბერძნის მისი აზრითაც, ამ წუთისოფლის უადრესი ბედნიერება სწორედ ის იყო, დაენახათ, შვილებს რომ ჰქონდათ ყველაზე მაგარი მუშტები და მარდი ფეხები მთელს საბერძნეთში. ჭეშმარიტებაა ეს თუ თქმულება, არ ვიცი, მაგრამ ამგვარი განსჯა ამტკიცებს, როგორ უკიდურესობას აღწევდნენ მაშინ სრულქმნილი ტანის თაყვანისცემაში.

ამიტომ იყო, რომ ღმერთების წინაშე არ ეშინოდათ გატიტვლებისა დიდ დღეობებში. არსებობდა მოძრაობის და პოზების მეცნიერება „ორსესტრიკა“, რომელიც ასწავლიდა ლამაზ მოძრაობას საღმრთო ცეკვაში. სალამინის ბრძოლა რომ გათავდა, თხუთმეტი წლის ტრაგიკოსმა სოფოკლემ, რომელიც თავისი მშვენიერებით იყო სახელგანთქმული, გაიხადა ტანისამოსი, რომ ნადავლის წინაშე ემდერა და ეცეკვა პეანი. გავიდა ამის შემდეგ ასორმოცდაათი წელიწადი და მცირე აზიაში დარიუსთან საბრძოლველად წამოსული ალექსანდრე გატიტვლდა თავის ამხანაგებთან ერთად, რომ სირბილში შეჯიბრებით თაყვანი ეცა აქილევსის საფლავისათვის. ისინი უფრო შორს წავიდნენ: ტანის სრულქმნილება ღვთაების თვისებად გამოაცხადეს. სიცილიის ერთ ქალაქში, ღმერთივით თაყვანსა სცემდნენ ყმაწვილ კაცს არაჩვეულებრივი მშვენიერებისა გამო და სიკვდილის შემდეგ მას საკურთხეველიც დაუდგეს.¹ პომპროსის თხზულებაში, რომელიც ბერძნების „დაბადებად“ ჩაითვლება, ყველგან ნახავთ, რომ ღმერთებს ადამიანის ტანი აქვთ, რომელსაც ადვილად ჰგლეჯს შუბი, და რომლისაგანაც ალისფრად გადმოდინდება სისხლი; ისინი გაბრაზების და ნეტარების ისეთივე ინსტინქტებით არიან დაჯილდოებულნი, როგორც ყველა ჩვეულებრივი მოკვდავი. გმირები ქალღმერთების საყვარლება ხდებიან და თვითონ ღმერთებს კი მოკვდავ ქალებთან ჰყავთ შვილები. ოლიმპს უფსკრული არ აშორებს დედამიწისაგან. აქიდან ჩვენთან ჩამოდიან ან აქედან ზევით აღიან; ღმერთები ჩვენზე მაღლა დგანან მხოლოდ იმით, რომ უკვდავნი არიან; მათი ჭრილობები სწრაფად იკურნება; უფრო ძალოვანნი, უფრო ლამაზები და უფრო ბედნიერნი არიან, ვიდრე ჩვენ. ისინი ისევე ჭამენ, როგორც ჩვენ, სვამენ, იბრძვიან, ტკბებიან ყოველგვარი გრძნობივრი ნეტარებით და ხორციელი მოთხოვნილებით. საბერძნეთმა ისე კარგად გამოიყენა თავის მოდელად ადამიანური ცხოველი, რომ თავის კერპად გაიხადა, თაყვანსა სცემდა დედამიწაზე და გააღმერთა ცაზე.

ამგვარმა მსოფლმხედველობამ გააჩინა ქანდაკება და შეიძლება აღვნიშნოთ მისი განვითარების ყოველი ეტაპი. ერთის მხრივ, ერთხელ დაგვირგვინებულ ფალანგს უფლება აქვს,

¹ პეროდოტი.



რომ ქანდაკება დაუდგან; თუ სამჯერ იქნა დაგვირგვინებული, უფლება აქვს, რომ სატებრივი ქანდაკება დაუდგან, ესე იგი, იმისთანა, რომ მის პორტრეტს წარმოადგენდეს. მეორეს მხრივ, რადგან ღმერთებს ადამიანის ტანი პქონდათ, მხოლოდ უფრო სრულქმნილი და უშფოთვარი, სრულიად ბუნებრივი იყო მათი წარმოდგენა ქანდაკების სახით. ამისათვის არ იყო საჭირო რელიგიური დოგმის დარღვევა. მარმარილოს ან ბრინჯაოს ქანდაკება არ წარმოადგენდა ალეგორიას, არამედ ზუსტ გამოსახულებას; იგი არ წარმოადგენდა ღმერთს ძველებით, მძიმე გარსით, რომელიც მათ არც გააჩნიათ; იგი წარმოადგენდა ხორცს, რომელიც ზედ გადაჭარვია ცოცხალ ფორმას, რომელიც შეადგენს მის დედაარსს. დანაძვილებით ზუსტი პორტრეტის მისაღებად სრულიად საკმარისი იყო, რომ ქანდაკება გამოსახავდეს მშვენიერ ტანს და უკვდავ სიმშვიდეს, რომლითაც ღმერთები ჩვენზე მაღლა დგანან.

აი, მოქანდაკე მუშაობს, შესძლებს კი ქანდაკების გაკეთებას? გაითვალისწინეთ მისი მოძნადებულობა. იმ დროის ხალხი ტიტველ ტანს და მის მოძრაობას ხედავდა აბანოში, გიმნაზიებში, საღმრთო ცეკვის და საზოგადოებრივი თამაშის დროს. მათ ძენიშნეს და უპირატესობა მისცეს იმ პოზებს და ფორმებს, რომელნიც გამოსატავდნენ ძალ-ღონეს, ჯანმრთელობას და ენერგიას. ამიტომ ისინი ცდილობდნენ, რომ ქანდაკებითაც გამოესატათ ეს ფორმები და პოზები. სამასი თუ ოთხასი წლის განმავლობაში ასე ასწორებდნენ, ახალისებდნენ, აწვითარებდნენ ტანის მშვენიერების თავისებურ გაგებას და გასაკვირი არ არის, თუ ბოლოს შიავნეს და აღმოაჩინეს ადამიანის ტანის იდეალი. ჩვენ უკვე ვიცნობთ მას, გოტიკური ხანის დასასრულს როდესაც ნიკოლო პიზანომ და პირველმა მოქანდაკეებმა ზურგი შეაქციეს სარწმუნოებრივი ტრადიციების მიერ ნაანდერძევ სუსტ, გაძვალტყავებულ და დამახინჯებულ ფორმებს. დაღუპვას გადარჩენილი ან მიწაში აღმოჩენილი ბერძნული ბარელიეფები აიღეს ნიმუშად; და დუ დღეს დავივიწყებთ ჩვენი ძეგლების და სწავლულების ცუდად აგებულ ან დამახინჯებულ ტანსა და ვეცდებით ვიპოვოთ სრულქმნილი ფორმის რაიმე ნასახი, მაშინვე ამ ქანდაკებებს, — მოცლილ, კეთილშობილ და გიმნასტიკურ ვარჯიშობებს მიძღვნილ ცხოვრებას შევვლებს მივმართავთ!

გარდა იმისა, რომ ფორმა სრულქმნილია, მხატვარიც — და ეს გახლავთ ანტიკური ხელოვნების თავისებურება — კმაყოფილია ამით. ბერძნებმა ტანს მიანიჭეს დიდი ღირსება და არც კი უცდიათ, ჩვენი თანამედროვეების მსგავსად, თავს დაუმორჩილონ ტანი; იმათთვის საინტერესო იყო კარგად მსუნთქავი მკერდი, ბარძაყებზე მკვირვად დამჯდარი ტანი, მუხლის დაჭიმული მყესები, ისარივით რომ სტყორცნიან ტანს; ჩვენსავით კი არ იყვნენ მოსიბლულნი ღრმად ჩაფიქრებული შუბლის ამოზნექილობით, განრისხებული, შეჭმუსხნილი წარბებით და ბავის დამცინავი ამრეზით; ბერძნებს შეეძლოთ სრულიად დაკმაყოფილებულიყვნენ თავიანთი სრულქმნილი ქანდაკების შეზღუდული პირობებით, რომელიც უყურადღებოდ ტოვებს თავლებს და არავითარ გამომეტყველებას არ აძლევს სახეს; უპირატესობას აძლევს დამშვიდებულს ან რაიმე უმნიშვნელო საქმით გართულ ადამიანს; ჩვეულებრივ ერთადერთ ფერს ხმარობს, ბრინჯაოს ან მარმარილოს ფერს, რითაც ფერწერას უთმობს გამძვენებას და მწერლობას — დრამატული მდგომარეობის გამოსატყვას; ქანდაკება შეზღუდულია და ამასთანავე, გაკეთილშობილებული მასალის სასიათით და თავისი ასპარეზის სივიწროვით ერადება და არ გამოსახავს კერძო ამბავს, სახის გამომეტყველებას, შემთხვევითობას, ადამიანის სულის მოძრაობას, რომ მით უფრო უკეთ გამოსახოს განყენებული წმინდა ფორმა, თავის ტაძრებში გაბრწყინებულად წარმოადგინოს უძრავი, უშფოთველი, დიდებული სახეების სითეთრე, რომლებშიც კაცობრიობა სცნობს თავის გმირებს და ღმერთებს. ამიტომ ქანდაკება საბერძნეთის უშთაფრესი ხელოვნებაა; სხვა ხელოვნებანი ეგუებიან, მისდევენ და პაბავენ მას; არც ერთ სხვა ხელოვნებას არ გამოუსატავს ასეთი სისრულით ეროვნული ყოფა, არც ერთი არ ყოფილა ასე დამუშავებული და ასეთი ხალხური, დელფის მიდამოებში, ასობით წვრილ ტაძარში ინახებოდა თემების საუნჯე და მარმარილოსაგან, ოქროსაგან, ვერცხლისაგან, სპილენძისგან, ბრინჯაოსგან, ოცი სხვადასხვა ფერის ბრინჯაოსაგან გაკეთებული, დიდებით შემკული მოკვდავნი, — შუქს აფრქვევდნენ იქაურობას, როგორც ნათელმოსილი ღმერთის ჭეშმარიტი ქვეშევრდომები¹. შემდეგში, როდესაც რომმა გაძარცვა ბერძნების ქვეყანა, დიდი ქალაქი გაივსო იმდენივე ქანდაკებით, რამდენიც ცოცხალი მცხოვრები ჰყავდა. დღესაც კი, ჩგრევისა და გარდასულ საუკუნეთა შემდეგ, ამბობენ, რომ რომში და მის მიდამოებში

¹ მიშლე — კაცობრიობის დაბადება, 205.




სამოც ათასზე მეტი ქანდაკება იყოს ნაპოვნი. თავის დღეში არსად ყოფილა ქანდაკების ასეთი აყვავება, ასეთი საკვირველი სიჭარბე სრულიად უნაკლო ყვავილებისა, ასეთი მდიდარი, მუდმივი და მრავალნაირი მოსავალი. თქვენ უკვე ჰპოვეთ ამის მიზეზი, რადგან სთხრიდით ნიადაგს, ერთი ფენიდან მეორეში ჩადიდით და ჰხედავდით, რომ ადამიანის ნიადაგის ყველა ფენები — დაწესებულებანი, ზნე-ჩვეულებანი და იდეები — ხელს უწყობდნენ მის განვითარებას.

* *

სამხედრო ორგანიზაციამ, რომელიც დამყარებული იყო ყველა ანტიკურ თემში, ბოლოს თავისი შედეგი გამოიღო. მათ ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდათ ომი და ამიტომ ძლიერთ დაიმორჩილეს სუსტნი. გამარჯვებული საქალაქო თემის მეთაურობით ან მტარვალობით რამდენჯერმე შეიქმნა დიდი სახელმწიფო. ბოლოს, ერთმა მათგანმა, რომის თემმა, რომელიც უფრო ენერგიული, მომთმენი და მოხერხებული აღმოჩნდა სხვისი დამორჩილების, სხვაზე ბატონობის პრაქტიკული გამოანგარიშების მხრივ, შეიდასი წლის განმავლობაში დაუცხრო-მელი ბრძოლის შემდეგ, შესძლო თავისი ბატონობის ქვეშ მოექცია სმელთაძუა ზღვის სანაპიროები. ამის მისაღწევად მან სამხედრო რეჟიმი შემოიღო და, როგორც თესლიდან ნაყოფი ჩნდება, ისე მოჰყვა ამას სამხედრო დესპოტიზმი. ამგვარად ჩამოყალიბდა იმპერია და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში მოწესრიგებულმა, მთლიანი მონარქიის ფარგლებში მოქცეულმა ქვეყანამ თითქოს მოიპოვა საბოლოო მშვიდობიანობა და წესრიგი. ნამდვილად კი მან დაცემა მოიპოვა. დაპყრობითი ომების დროს ასობით თემი და მილიონობით ადამიანი დაიღუპა. თვითონ გამარჯვებულნიც ხოცავდნენ ერთმანეთს ერთი საუკუნის მანძილზე და განათლებული ქვეყანა, თავისუფალ ადამიანებს მოკლავდნენ, თვითონაც განასვენებდნენ, მოქალაქენი ქვეშევრდომად იქცნენ და, რაკი არავითარი მიზანი აღარა ჰქონდათ, აპატიასა და განაზებას მიეცნენ, ცოლს აღარ ირთავდნენ და რჩებოდნენ უშვილოდ. რადგან ჯერ მანქანების არაფერი იცოდნენ, ყველაფერი ხელით კეთდებოდა. მონები, რომელთაც უნდა მოემზადებინათ ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო სათუთი ნეტარებისა და მოჩვენებითი დიდებულებისათვის, ვეღარ უძლებდნენ და გაურბოდნენ ამ მძიმე ტვირთს. გავიდა ოთხასი წელიწადი და დასუსტებულ და გაუკაცურებულ იმპერიას საკმარისი აღარც მოსახლეობა, აღარც ენერჯია აღარ გააჩნდა, ბარბაროსებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ბარბაროსების ტალღა კი კაშხლის ნგრევასავით შეიჭრა იმპერიაში; პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, ასე გრძელდებოდა ხუთასი წლის მანძილზე. შეუძლებელია იმ ბოროტების აღწერა, რაც მათ ჩაიდინეს: ამოწყვიტეს ხალხები, დაანგრეს ძეგლები, გაანადგურეს სოფლები, გადაწვეს ქალაქები. წაირყვნა, გათახსირდა, დავიწყებას მიეცა მრეწველობა, ხელოვნება და მეცნიერება. ყველგან გავრცელდა და გაბატონდა შიში, უფიცობა და სიბრიყვე. პურონები და იროკესები ისე უცბად დაბანაკდებოდნენ განათლებული და მოაზროვნე ქვეყნის შუაგულში, როგორც ველური ხარების ჯოგი ძვირფასი ავეჯითა და ქსოვილებით შემკულ სასახლეში. ამ პირველს შემდეგ მეორე მოჰყვებოდა. ისე რომ, პირველის მიერ დატოვებულ ნანგრევებს მეორე სთელავდა თავისი ჩლიქებით და მხეცთა ყოველი ჯოგი, ძლივძლივობით დაბანაკებული ნანგრევებში, ხელასლა უნდა წამოვარდნილიყო და რქებით დახვედროდა შემოვარდნილ გაუმაძღარ დამპყრობელს. და ბოლოს, როდესაც, მეათე საუკუნეში, უკანასკნელი ბრბო დაბანაკდა თავის ფარესში, ადამიანის ცხოვრებას არ დაეტყო არავითარი გაუმჯობესება; ბარბაროსების წინამძღოლები ციხე-დარბაზის ფეოდალები გახდნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ, არბევდნენ გლეხკაცებს, წვადნენ ყანებს, ძარცვავდნენ ვაჭრებს, აწვალდნენ და ტყავს აძრობდნენ საბრალო ყმებს. მოუხნავი რჩებოდა მიწა და საჭმელი აკლდა ხალხს. მეთერთმეტე საუკუნეში, სამოცდაათი წლიდან ორმოცი წელი გრძელდებოდა შიმშილობა. ერთი ბერი, რაულ გლაბერი, მოგვითხრობს, როგორ იქცა ჩვეულებად ადამიანის ხორცის ჭამა. ერთი ყასაბი დაწვეს კიდევ იმიტომ, რომ ადამიანის ხორცი გამოიტანა გასაყიდად. ამას ისიც დაუმატეთ, რომ საერთო სიბინძურება და გაჭირვებაში დავიწყებული იქნა ჰიგიენის უმარტივესი წესები; ჭირი, კეთრი და ეპიდემია მოედო ქვეყანას. განათლებული მოსახლეობა ასალხელანდიელ კაციჭამიებს, კალედონიელებსა და პაპუასებს დაემსგავსა. წარსულის გახსენება აღრმავებდა აწმყოს მოთხრობის სისაძაგლეს და რამდენიმე მოაზროვნე, რომელნიც ჯერ კიდევ კითხულობდნენ ლათინურად,

¹ ომი ქრ. დაბ. ოცდაათი წლის წინათ, ვიქტორ დურუი.



ბუნდოვნად გრძნობდნენ დაცემის უსაზღვროებას და იმ უფსკრულის სიღრმეს, რომელშიაც იფლობოდა კაცობრიობა.

თქვენ თვითონ მიხვდებით, რა გრძნობა უნდა აღეძრა მათში გარემოებათა ამგვარ ხანგრძლივ, აუტანველ მდგომარეობას. ეს იყო, პირველ ყოვლისა, მჭმუნვარება, სიცოცხლის შეზიზღება, შავი მელანქოლია. „ქვეყანა, — წერდა იმ დროის ერთი მწერალი, — უფსკრული-ღარის ბორბოტების და ურცხვობისა“. სიცოცხლე ჯოჯოხეთის კარიბჭეს დაჰგვანებოდა. მრავალი ადამიანი გამოესალმა წუთისოფელს, და არა მარტო ღარიბები, სუსტები, ქალები, არამედ დიდი ფეოდალები და თვით მეფეებიც კი. შემორჩენილ კეთილშობილსა და გულისხმიერ ადამიანებს მონასტერი მიაჩნდათ თავშესაფარ ადგილად.

მეთასე წლის მთახლოებისას ხალხი დარწმუნებული იყო, რომ აღსასრული მოელოდა ქვეყანას, — და შიშით გულგახეთქილი ეკლესია-მონასტრებს სწირავდა; რაც რამ ებადა. მეორე მხრივ, სწორედ იმ დროს, როდესაც ასე მძვინვარებდა შიში და სასოწარკვეთილება, გაჩნდა ნერვული აღგზნება. როდესაც მეტად უბედური არის ადამიანი, იგი ადვილად აღიგზნება, როგორც ავადმყოფი და პატიმარი. მათი მგრძნობიერება იზრდება და ქალურ სიფაქიზეს იძენს; მათ გულს იპყრობს უინი, მძვინვარება, უძღურების შეგრძნება, გადაჭარბებული ძღველვარება, რომელიც მანამ არც ეტყობოდათ, სანამ ჯანსაღად იყვნენ. ისინი ოცნებობენ, ტირიან, მუხლს იღრეკენ, ვეღარ კმაყოფილდებიან თავიანთი თავით, მიეცემიან უსაზღვრო ნეტარებას, ალერსს, სურთ გამოავლინონ აღგზნებული, თავშეუკავებელი ფანტაზიის აღფრთოვანება; ერთი სიტყვით სიყვარულით არიან გახელებული; და მართლაც, მაშინ გავრცელდა საზარელ გადაჭარბებამდე განვითარებული ვნება, სრულიად უცნობი ძველებურ მედიურ და ვაჟკაცურ ცხოვრებაში — ვგულისხმობ რაინდულ და მისტიკურ სიყვარულს; მშვიდი, გონიერი სიყვარული, რომელიც ცოლ-ქმრობას სჩვევია, დაუმორჩილეს აღტაცებულ და უწესრიგო გრძნობას, რომელიც ცოლ-ქმრობის გარეშე არსებობს. ამგვარი სიყვარულის ყველა წვრილმანი აღნიშნა და დაადგინა ქალთა თავმჯდომარეობით მოწყობილმა კრებამ. გადაწყვიტეს, რომ „სიყვარულს არ შეუძლია ცოლ-ქმარს შორის არსებობა“, რომ „სიყვარული ვერაფერზე უარს ვერ ეტყვის სიყვარულს,“¹ ქალს აღარ უყურებდნენ, როგორც სორცაულ არსებას. ღვთაებად აქციეს ქალი და მამაკაცებს უმაღლეს ჯილდოდ მიაჩნდათ მასი თავყვანისცემის და მომსახურეობის გაწევის უფლება. ადამიანური სიყვარული გამოაცხადეს ზეციურ სიყვარულად, რომელსაც ღვთიური სიყვარულისკენ მიჰყავდა მოკვდავი. პოეტმა თავისი სატრფო გადააქცია არაამქვეყნიური სათნოების განსახიერებად და ევედრებოდა, წინ გასძლოლოდა და მიეყვანა ზენა სამყაროს, ღვთის სამეფოში. ადვილად წარმოიდგენთ, რა საყრდენს პოულობდა ქრისტიანული რელიგია ამგვარ გრძნობებში. ზიზღი წუთისოფლისადმი და გატაცება აღგზნებით, ჩვეულებრივი სასოწარკვეთილება და უსაზღვრო ნეტარების საჭიროება ბუნებრივად უწყობდნენ ხელს იმ მოძღვრების გავრცელებას, რომელიც ცრემლის ველად წარმოადგენდა ქვეყანას, ტანჯვად აღიარებდა ახლანდელ ცხოვრებას, უმაღლეს ბედნიერებად — ღვთით გატაცებას და უმთავრეს მოვალეობად — ღვთისადმი სიყვარულს. დაავადებული, ათროლოებული გრძნობიერება თავის საზრდოს უსაზღვრო შეძრწუნებასა და იძულის უსაზღვრობაში, აღმოდებული ჯოჯოხეთის სხივმოსილ სამოთხედ და გამოუთქმელ ნეტარებად სატევაში ჰპოვებს. ამასვე დაყრდნობილი ქრისტიანობა განაგებს ადამიანის სულს, შთაგონებით ავსებს ხელოვნებას და აიძულებს მხატვრებს ემსახურონ მას. „ქვეყანა, — წერს ერთი იმდროინდელი მცხოვრები, — იბერტყავს თავის ძველ კონკებს, რომ თეთრი კაბით შეამოსინოს ეკლესიები“ და გამოჩნდა კიდევ გოტიკური არქიტექტურა.

ოთხი საუკუნის განმავლობაში არსებობდა ეს არქიტექტურა და არა მარტო ერთ რომელსამე ქვეყანაში. იგი არ განისაზღვრებოდა შენობების ერთი რომელიმე გვარით, პირიქით, იგი მოედო მთელ ევროპას, შოტლანდიიდან სიცილიამდე. მან ააგო ყველა შაშინდელი სამოქალაქო და რელიგიური, კერძო და საზოგადოებრივი ძეგლი; თავისი დადი დაადო არა მარტო ტაძრებსა და სამლოცველოებს, არამედ ციხე-სიმაგრეებსა და სასახლეებს, ტანისამოსსა და საცხოვრებელ სახლებს, მათ მოწყობილობასა და ავეჯს. ამრიგად, თავისი უნივერსალობით ეს ხელოვნება გამოხატავდა და ადასტურებდა დიდ მორალურ, ერთსა და იმავე დროს დაავადებულ და დიად კრიზისს, რომელიც საშუალო საუკუნეების განმავლობაში აღაგზნებდა და შლიდა, მოკლედ, მართავდა ადამიანის გონებას.

¹ ანდრე დე-შაპლენი.


* *

ადამიანის დაწესებულებანი, როგორც ცოცხალი სხეულები, არსებობენ და იშლებიან თავისით და იმათი ჯანმრთელობა ან განკურნება დამოკიდებულია მათს ბუნებრივ თვისებებსა და იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც ისინი იმყოფებიან. იმ ფეოდალთა შორის, რომლებიც მბრძანებლობდნენ და ექსპლოატაციას უწევდნენ ხალხს შუა საუკუნეებში, ყოველ ქვეყანაში აღმოჩნდებოდა ხოლმე უფრო ძლიერი, უკეთ მოწყობილი, უფრო კარგი პოლიტიკოსი, ვიდრე სხვები და რომელიც საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვას კისრულობდა; მას მხარს უჭერდა ქვეყანა, ამ გზით მან შეასუსტა, შეაერთა, დაიქვემდებარა და დაიმორჩილა ნელ-ნელა ყველა სხვანი, შექმნა წესიერი, მორჩილი ადმინისტრაცია და გახდა ერის მთავარ-ბატონი. XV საუკუნის დასაწყისს ბარონები, მისი წინანდელი თანასწორნი, ჯერ უბრალო დიდებულებად და შემდეგ, XVII საუკუნეში, მის კარისკაცებად გადაიქცნენ.

კარგად დაუკვირდით ამ სიტყვის მნიშვნელობას: კარისკაცი, ეს იყო მეფის სასახლის კაცი, ესე იგი, კაცი, რომელსაც რაიმე სამსახური პქონდა დავალებული სასახლეში — მთავარ მეჯინბედ, კამერგერად, ბაზიერთუხუცესად — ამ თანამდებობის გამო იღებდა ჯამაგირს და მიძართავდა თავის ბატონს უაღრესად მორჩილი ტონით, დამამცირებელი თავის დაკვირვებით, როგორც ეს მსახურს შეშვენიოდა; მაგრამ იგი მართო უბრალო მსახური კი არ იყო, როგორც აღმოსავლეთის მონარქებში; იმის პაპის პაპის პაპის პაპა მეფის თანასწორი, ამხანაგი და პერი იყო; ამის გამო თვითონაც პრივილეგიურ კლასს — თავადაზნაურობას ეკუთვნოდა; ამიტომ, იგი არა მართო სარგებლობის გულისათვის ემსახურებოდა თავის მეფეს, არამედ თავის პატიოსნებად მიაჩნდა მეფისადმი ერთგულება. მეფეც, თავის მხრივ, არასოდეს არ ივიწყებდა მისდამი პატივისცემას: ლუი XIV ფანჯრიდან გადააგდო თავისი ჯოხი, რომ არ დაეკრა იგი ლუიზონისთვის, რომელმაც უპატივცემულო მოქცევა გაუბედა მას. კარისკაცს მეფეები პატივისცემით ეპყრობიან, როგორც თავისი წრის ადამიანს, ისიც სასახლის საზოგადოების წევრი იყო, ცეკვავდა სასახლის ბალებზე, იჯდა მეფის სუფრაზე, დადიოდა მისი ეტლით, გამოიჭიმებოდა ხოლმე იმის სავარძელში, მის დარბაზში. ამგვარად ჩნდებოდა საკარისკაცო ცხოვრება თავდაპირველად იტალიასა და ესპანეთში, მერმე საფრანგეთში, შემდეგ ინგლისში, გერმანიასა და ჩრდილოეთ ევროპაში. მისი ცენტრი საფრანგეთში იყო და ლუი XIV დროს უმაღლეს ბრწყინვალეობას მიაღწია.

ახლა ვნახოთ, რა გავლენა მოახდინა ამ ახალმა წესწყობილებამ თანამედროვეთა გონებასა და ხასიათზე. მეფის სალონი პირველი იყო მთელ სამეფოში; იქ იკრიბებოდა რჩეული საზოგადოება და, მაშასადამე, ყოველი ღირსებით აღჭურვილი და მთელი ქვეყნისათვის სამაგალითო კაცად ითვლებოდა ის დიდებული, რომელიც მეფის მახლობელი იყო. ამ დიდებულ ბატონს გრძნობაც დიდსულოვანი პქონდა. იგი თვლიდა თავის თავს უმაღლესი გვარის არსებად და გაიძახოდა, რომ ამას „წარმოშობის კეთილშობილება ავალებს“. იგი მეტად მიზნუიანია თავის ღირსების საკითხებში და სულ უბრალო შეურაცხყოფის გამო მზად არის ამ ღირსებას უყოყმანოდ შესწიროს სიცოცხლე. ლუი XIV დროს ოთხი ათასი არისტოკრატი შოკლეს დუელში. არისტოკრატის თვალსაზრისით, კეთილშობილი ადამიანის უპირველეს მოვალეობას შეადგენს განსაცდელის არაფრად ჩაგდება. და ეს კობტა, დიდებულ ცხოვრებას მიჩვეული ვაჟბატონი, თავისი სამკაულებით და პარიკით გატაცებული, თვითონ მიდიოდა ფლანდრიის ჭაობებში ანდა მთელი ათი საათი უძრავად იდგა ყუმბარების ქვეშ ნეერვინდენში; როდესაც ლუქსემბურგი გამოაცხადებდა, ბრძოლას ვაწყებთო. ვერსალი დაცარიელდებოდა და სურნელით დაპყრებული ფრანტები ისე მიეშურებოდნენ საომრად, როგორც სასახლის ბალებზე. ძველებური ფეოდალური აზროვნება შერჩენოდა ამ დიდებულს და თავის ბუნებრივ და კანონიერ მბრძანებლად მეფე მიაჩნდა; იცოდა, რომ ეკუთვნოდა მეფეს, როგორადაც წინათ ვასალი სიუზერენს; თუ საჭირო იყო, მთელ თავის ქონებას, სისხლს და სიცოცხლესაც შესწირავდა მას; ლუი XIV-ისათვის მრავალმა დიდებულმა ვასწირა თავი 10 აგვისტოს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ეს დიდებულნი კარისკაცები იყვნენ, ესე იგი, ძალი საზოგადოების წევრნი და ამის გამო უაღრესად ზრდილნი. თვითონ მეფე ამღევდა მათ ამის მაგალითს. ლუი XIV მოსამსახურე ქალსაც კი ქუდს უხდიდა; სენ-სიმონი ასახელებს თავის „მემუარებში“ ერთ პერცოგს, რომელიც ქუდმოსდილი გაივლიდა ხოლმე ვერსალის სასახლის მთელ ეზოს, რადგან ყოველ წუთს უხდებოდა საღმის მიცემა. ამავე მიზეზის გამო ჩვენი კარისკაცი, მეტად



იკოლიბ ტანი

ზრდილობიანი და საგანგებო მოლაპარაკე იყო. იგი კარგი დიპლომატი, თავდაჭერილი და საუცხოო ოსტატია ჭეშმარიტების მიჩქმალვის ხელოვნებაში: პირმოთნე, სხვისი მასიამოვნე-ბელი, ერთი წადილით აღსავსე — სასიამოვნო ეჩვენოს ყველას, რათა არავინ ჩამოშორდეს მას. ყოველივე ეს გრძნობაგაფაქიზებული, დიდკაცური არისტოკრატიზმის შედეგი იყო; მან თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს ამ სასახლეში და ამ საუკუნეში მიაღწია. და რო-დესაც დღეს ამ საგანგებო სურნელების დავიწყებული მცენარეების ჭვრეტა მოგვინდება, იძულებული ვხდებით ჩამოვშორდეთ ჩვენს გათანახვორებულ, არეულ საზოგადოებას, რომ იმ სწორსაზოგანი, დიდებული ბაღით დავტკბეთ, სადაც ისინი ჰყვოდნენ.

თქვენ თვითონ მისვდებით, რომ ასე აღზრდილი ადამიანი თავისი სასიამოვნო შესაფერ სიამოვნებასაც აირჩევდა. და მართლაც, იმათი გემოვნება სრულიად შეესაბამებოდა იმათ პიროვნებას: კეთილშობილია იმათი გემოვნება, რადგან თვითონ კეთილშობილნი არიან, არა მარტო წარმოშობით, არამედ გრძნობებითაც; თავაზიანია, რადგან აღზრდილნი არიან ზრდი-ლობისადმი თაყვანისცემაში. ამ გემოვნებამ გარდაქმნა XVII საუკუნეში მთელი მხატვრული შემოქმედება და შექმნა პუსენისა და ლესუერის გონივრული, ამაღლებული, მკაცრი ფერ-წერა; მანსარის და პეროს დიდებული, მედიდურა, გაყინული არქიტექტურა; ლენოტრის ძიერ დაგეგმილი სამეფო ბაღები. ამ გემოვნების ნიშანს ნახავთ სასლის ავეჯეულობაში, ტა-ნასამოსში, ოთახების მოწყობილობაში, ეტლებში, პერელთან, სებასტიან ლეკლერკთან, რი-გოსთან, ნანტიელთან და მრავალ სხვასთან. ვერსალი ამ უანრის შედეგია კარგად გამოქანდა-კებული ღმერთების ჯგუფებით, სიმეტრიული ხეავენებით, მითოლოგიური შადრევნებით, ხე-ლოვნური, განიერი აუზებით, შეკრეჭილი, გასხლული, არქიტექტურული წესით დარგული ხეებით; შენობა იყო თუ ყვავილნარი, ყველაფერი შექმნილი იყო იმ ადამიანისათვის, რომ-ძელიც თავისი ღირსებით სულდგმულობდა და სასტიკად იცავდა თავაზიანობას. მაგრამ ამას უფრო თვალსაჩინოდ გვიმტკიცებს ლიტერატურა. არც საფრანგეთსა და არც სადმე ევროპაში თავის დღეში არ მიუღწევიათ წერის ხელოვნების ასეთი ოსტატობისათვის. თქვენ კარგად იცით, რომ ამ ეპოქამ მოგვცა საფრანგეთის ყველაზე დიდი მწერლები: ბოსუე, პასკალი, ლა-ფონტენი, მოლიერი, კორნელი, რასინი, ლაროშფუკო, მადამ დე-სევიანიე, ბუალო, ლა-ბრუი-ერი, ბურდალუ. მარტო დიდი ადამიანები კა არ სწერდნენ კარგად, მთელი ქვეყანა იყო გატაცებული. კურიე ამბობდა, რომ იმ დროის მოსამსახურე ქალმა უფრო მეტი იცოდა მწერლობისა, ვიდრე დღევანდელმა აკადემიამ. და მართლაც, მოკაზმული სტილით იყო მაშინ გაუღენთილი ჰაერი; იმით სუნთქავდა ადამიანი შეუმჩნეველად; საუბარი, მიწერ-მოწერა ავრცე-ლებდა ყველგან ამ სტილს; იგი ზრდილობიანობის ნიშნად ითვლებოდა. ადამიანები, რომ-ძელნიც ყველა თავიანთ საქციელში ცდილობდნენ კეთილშობილების და ზრდილობის დაცვას, იმასვე ანვითარებდნენ წერასა და ლაპარაკში. ლიტერატურის სხვადასხვა დარგებიდან, მხო-ლოდ ტრაგედია მიაღწია განსაკუთრებულ სრულქმნილებას; ტრაგედია არის პირველი ამ დარგებიდან, რომელიც წარმოადგენს ადამიანებსა და მათ შემოქმედებას, ზნე-ჩვეულებებსა და ხელოვნებას შორის არსებული მჭიდრო კავშირის უბრწყინვალეს მაგალითს.

როგორც გოტიკური არქიტექტურა, ისიც ასევე ადამიანის სულს მკვეთრად გამოსახულ და დასრულებულ ფორმას წარმოადგენს. აი რატომ გახდა იგი ასევე უნივერსალური, ეს თეატრი იმპორტირებული იქნა და მას ისევე, როგორც ლიტერატურას, გემოვნებას და ჩვე-ულებებს, ბაძავდნენ ევროპის ყველა სამეფო კარზე: ინგლისში სტიუარტების რესტავრაციის შემდეგ, ესპანეთში ბურბონების გამეფების შემდეგ, იტალიაში, გერმანიასა და რუსეთში XVIII საუკუნეში. შეიძლება ვთქვათ, რომ ამ დროის საფრანგეთი ეწეოდა ევროპის აღზრდას; იგი იყო მოხდენილობის, საამო დროს გატარების, კარგი სტილის და ფაქიზი იდეების წყარო; და როდესაც ველური მოსკოველი, ტლანქი გერმანელი, მოუხეშავი ინგლისელი, ჩრდილო-ეთის ბარბაროსი ან ნახევრად ბარბაროსი თავს ანებებდა არაყს, ჩიბუსს, ტყავს, მონადირის და სოფლის ფეოდალურ ცხოვრებას, მაშინ ჩვენს ხალონებში და ჩვენს წიგნებზე სწავლობდნენ მისალმების, დიმილის და საუბრის ხელოვნებას.

* *

ამ ბრწყინვალე საზოგადოებამ დიდხანს ვერ იხვირა და სწორედ მასი განვითარება გახდა მიზეზი მისივე დაშლისა. აბსოლუტური მთავრობა ბოლოს დაუდევარი და მტარვალური გახდა; გარდა ამისა, საუკეთესო თანამდებობას და ყოველგვარ წარჩინებას მეფე სასახლის



მასლობელს აძლევდა, ყოველთვის მის ღარბაზში რომ ტრიალებდა. ეს უსამართლობად ეჩვენა ხალხს და ბურჟუაზიას, რომელიც ამასობაში ძლიერ გამდიდრდა, გონებრივად განვითარდა, კარგადაც გამრავლდა და, რაც უფრო მეტად შემძლებლად გრძნობდა თავს, იმდენად მეტად იზრდებოდა უკმაყოფილება. ხალხმა და ბურჟუაზიამ მოაწყო საფრანგეთის რევოლუცია და ათი წლის არეულობის შემდეგ დაადგინა დემოკრატიული და თანასწორუფლებიანი წესწყობილება, რომელშიც ყველას შეუძლია მიიღოს რაიმე თანამდებობა, თუ წესისამებრ გამოცადეს და წარჩინების ღირსად სცნეს. იმპერიის ომებმა და მაგალითის გადაძდებობამ ნელ-ნელა საფრანგეთის საზღვარს იქით გაიტანეს ეს წესწყობილება და დღეს შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ, მიუხედავად ადგილობრივი განსხვავებისა და დროებითი შეფერხებისა, მთელი ევროპა ცდილობს მიბაძოს მას. საზოგადოების ამ ასალმა მოწყობილობამ, სამრეწველო მანქანების გამოგონებასა და ზნე-ჩვეულებათა შეცვლასთან ერთად, შეცვალა ცხოვრების პირობები და მასთან ადამიანის ხასიათიც. დღეს ადამიანს ძალმომრეობის შიში აღარა აქვს და უზრუნველყოფილია კარგი პოლიციით. რაც უნდა დაბალი წარმომშობის იყოს ადამიანი, ყველა გზა მისთვის ღიაა; ყველა სასარგებლო საგნის გამრავლება აძლევს უღარიბესსაც კი იმ კეთილცხოვრებას და მოწყობილობას, რომლის წარმოდგენა ამ ორი საუკუნის წინათ მდიდრებსაც კი არ შეეძლოთ. მეორე მხრივ, მბრძანებლობამ დაპყარვა თავისი სიმკაცრე როგორც საზოგადოებაში, ისე ოჯახში; მამა ამხანაგად გაუხდა თავის შვილებს, ბურჟუა კი გაუთანასწორდა დიდებულს; მოკლედ, ადამიანის ცხოვრების ყოველ დარგში მიხელდა უბედურების და ჩაგვრის სიმძიმე.

მაგრამ ამასთან ერთად ფრთა გაშალა პატივმოყვარეობამ და სიხარბემ. ადამიანმა გაიგო კეთილცხოვრებისა და ბედნიერების გემო, აგი მტკიცედ დარწმუნდა, რომ კეთილი ცხოვრებაცა და ბედნიერებაც მისი კუთვნილებაა. რამდენადაც მეტს იძენს, იმდენად უფრო მეტს მოითხოვს. მიღწეულს აჭარბებს მოთხოვნილება. ამავე დროს მეტად დიდი განვითარება მიიღო პოზიტიურმა მეცნიერებამ. ფართოდ გავრცელდა სწავლა-განათლება და თავისუფალმა აზრმაც გადააბიჯა ყოველგვარ ზღუდეს. ამას ის მოჰყვა, რომ ადამიანმა მიატოვა ტრადიციები, რომლებიც უწინ აწესრიგებდნენ მის რწმენას და მიიჩნია, რომ შეუძლია მართო საკუთარი გონებით მიაღწიოს უმაღლეს ჭეშმარიტებას. მორალი, რელიგია კრიტიკის საგნად გახდა; აგერ ოთხმოცი წელიწადია, რაც ჩვენი თვალით ვხედავთ სისტემების და სექტების, ერთმანეთს რომ სცვლიან, ჯერარნახულ ბრძოლას, რათა მოგვანიჭონ სრული ბედნიერება.

ამგვარად, მდგომარეობას დიდი გავლენა აქვს გონებაზე და იდეებზე. გამეფებული პიროვნება, ესე იგი, ის ადამიანი, რომელსაც დაუჭერია სცენა და დიდი ინტერესით და სიმპათიით უსმენენ მაცურებლები, არის სევდიანი და შეოცნებე პატივმოყვარე კაცი — რენე, ფაუსტი, ვერტერი, მანფრედი — დაუამებელი გულით, რაღაცით შეწუხებული და განუკურნავად უბედური; იგი უბედურია ორი საბაბით: პირველი ის არის, რომ მეტად მგრძნობიარეა, მეტად მძაფრად ითვისებს ცხოვრების ყოველგვარ წვრილმან სიავეს და აუცილებლად საჭიროებს ტკბილ და ნეტარების მომცემ შეგრძნებებს, რადგან მეტად მიჩვეულია კეთილ ცხოვრებას. მას არ მიუღია ჩვენი წინაპრების ნახევრად ფეოდალური და ნახევრად სოფლური აღზრდა; მას არა რგებია მამის სიმკაცრე, არ უცემიათ სასწავლებელში, თავჩაღუნული არა მდგარა უფროსების წინაშე და არც შინაური დისციპლინით შეუჩერებიათ მისი განვითარება; უწინდელივით იძულებული არა ყოფილა ექნია სმალი, ემოგზაურა ცხენით, ღამე ეთია საზარელ ბუნაგში; თანამედროვე კეთილდღეობის და მჯდომარე ცხოვრების თბილ ატმოსფეროში იგი გახდა ნაზი, ნერვიული, ადვილად აღვზნებადი, მას ნაკლებად ძალუძს შეეკუოს ცხოვრების მდინარებას, რომელიც ყოველთვის მოითხოვს მისგან შრომას და ძალის მოხმარებას. მეორე მხრივ, იგი სკეპტიკოსია. რელიგიის და საზოგადოების შერყევს, მოძღვრებათა არე-დარევის, ასალ-ასალი იდეების შემოსევის დროს, მეტად სწრაფი და შერეულ მსჯელობანი აიძულებენ მას იაროს ალალ-ბედზე, და არა უკვე გაკვალული გზით, რომლითაც ჩვეულებისამებრ სარგებლობდა მისი მამა-პაპა — ტრადიციის მიხედვით და ავტორიტეტის გავლენით; საცა კი ადამიანის აზრის შემაკავებელი ზღუდე იყო, ყველა მოხსნილია და ისიც გადაეშვება მის თვალწინ გაშლილ დიდ და უცნობ სივრცეში. მისი ცნობის-მოყვარეობა და პატივმოყვარეობის სურვილი ზეადამიანური გამსდარა და მიისწრაფვის აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და უსაზღვრო ბედნიერებისაკენ. მას აღარ აკმაყოფილებს ჩვენი წუთისოფლის არც სიყვარული, არც დიდება, არც მეცნიერება და არც მბრძანებლობა. მისი სურვილის უსომობა, გამარჯვებათა სიმცირით გაღვივებული, მჭანცავს მის ძალებს ისე, რომ მის დაცემულსა და უძღურს წარმოსახვას ვეღარ წარმოუდგენია ის სანეტარო შორე-



ული ქვეყანა და ის შეუცნობელი, რომელსაც ეძებს ის და რომელსაც ვერ აღიქვამს. ბოროტებას ჩვენი საუკუნის სწავლება უწოდებს, ორმოცი წლის წინათ იგი შეტად ძლიერი იყო და დღესაც ისევ არსებობს სიცივის ნიღბით და პოზიტიური გონების პირქუში გულვრილობით დაფარული.

ამგვარმა სულიერმა მდგომარეობამ გავლენა იქონია ხელოვნების ყველა ნაწარმოებზე, რომლის ნიშნებსაც თქვენ ნახავთ ფილოსოფიური, ლირიკული და სევდიანი პოეზიის ძლიერ განვითარებაში (ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში), ენის შეცვლასა და გამდიდრებაში, ლიტერატურის ახალი დარგების და ახალი ხასიათების გამოგონებაში, ყველა თანამედროვე უდიდეს მწერალთა სტილსა და გრძნობებში — შატობრიანიდან ბალზაკამდე, გოეთედან ჰაინემდე, კუპერიდან ბაირონამდე, ალფიერიდან ლეოპარდიმდე. ანალოგიურ ნიშნებს ვპოვებთ ფერწერაში, თუ დააკვირდებით იმათი წერის მოუსვენარ, ათრთოლებულ მანერას, მომღვებლ არქეოლოგიურ გამოკვლევებს, დრამატული ეფექტის, ფსიქოლოგიური გამომეტყველების და ადგილობრივი კოლორიტის ზუსტი გადმოცემისადმი მიდრეკილებას, თუ შენიშნავთ იმ არევ-დარევას, რომელიც სკოლებს შორის არსებობდა და რომელმაც წაახდინა ხატვის ხერხები; თუ ყურადღებას მიაქცევთ ნიჭიერთა სიმრავლეს, რომლებიც ახალი აღგზნებით გატაცებულნი, ახალ-ახალ გზებს იკვლევდნენ; თუ მიაგნით ბუნების იმ ღრმა გრძნობას, რომელმაც გააჩინა მხატვრობის ორიგინალური და დასრულებული შანრი — პეიზაჟი. მაგრამ არის კიდევ ერთი ხელოვნება — მუსიკა, რომელიც უცბად განვითარდა. ეს განვითარება წარმოადგენს ჩვენი დროის ერთ-ერთ განსაცვიფრებელ თვისებათაგანს. და მე ვეცდები, დაგანახოთ ახლა ის კავშირი, რომელიც არსებობს ამ განვითარებასა და თანამედროვე გონებრივ მიმართულებას შორის.

ეს ხელოვნება გაჩნდა, როგორც მოველოდით, ორ ქვეყანაში, იქ, სადაც ხალხი ბუნებრივად მღერის — იტალიასა და გერმანიაში. ამ ორ ერს შუა, ნახევრად იტალიურმა და ნახევრად გერმანულმა ავსტრიაში, შეაერთა რა ორი მიმართულება, შექმნა პაიდნი, გლუკი, მოცარტი, და მუსიკა კოსმოპოლიტური და უნივერსალური გახდა. იმ დიდი სულთაძვრის მოახლოებისას, რომელსაც საფრანგეთის რევოლუცია ეწოდება, როგორც უწინ რენესანსად წოდებული გონების დიდმა განახლებამ შექმნა ფერწერა. საკვირველი არაფერი არ არის ამ ახალი ხელოვნების გამოჩენაშიც, რადგან იგი სავსებით შეესაბამება ახალი გენიის, გამეფებული პიროვნების გამოჩენას, იმ დაუმშვიდებელი და აღტყინებული, ავადმყოფური პიროვნების, გამოჩენას, რომლის დახატვას წელან ვცდილობდი; ამ დაავადებულ სულს ებაახებოდნენ ბეთჰოვენი, მენდელსონი, ვებერი; ამ დაავადებული სულიანთვის სწერენ დღეს მეირბერი, ბერლიოზი და ვერდი. ამ სულიანთვიადებულ, დახვეწილ გრძნობიერებას და მის გაურკვეველ და გადაჭარბებულ მისწრაფებებს მიმართავს მუსიკა. საერთოდ, ამისათვის არის მუსიკა გაჩენილი; და არ არსებობს არც ერთი ხელოვნება, რომ ასე კარგად ასრულებდეს ამ დანიშნულებას. რადგან იგი, ერთი მხრივ, წარმოადგენს ყვირილს ცოტად თუ ბევრად ზუსტ მიმბამძველობას, რომელიც პირდაპირი, ბუნებრივი და დასრულებული გამოთქმაა, ჩვენი სხეულის შერყევით მოქმედებს ჩვენზე და იმწამსვე აღგვიძრავს ჩვენდაუნებურ სიმშათიას, ისე რომ, მთელი ჩვენი ნერვიული სხეულის ათრთოლებული ყურმახვილობა ვპოვებს მასში თავის აღგზნებას. თავის გამოძახილს, თავის გამოსახულებას. მეორე მხრივ, რადგან მუსიკა დაფუძნებულია ბკერათა ისეთ ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელიც არ ბამავს არც ერთ ცოცხალ ფორმას, მეტადრე ინსტრუმენტალურ მუსიკაში, უსახელო სულის ოცნებად გვერვენება; მას ყველა სხვა ხელოვნებაზე უკეთ შეუძლია გადმოგვცეს ბუნდოვანი აზრები, უფორმო სიზმრები, უსაგნო და უსაზღვრო სურვილები, შემფოთებული გულის სევდიანი და დიდი არევ-დარევა, რომელიც მიისწრაფვის ყველაფრისკენ და ვერაფრის ძიდწევა ვერ მოუხერხებია. ამიტომ არის, რომ თანამედროვე დემოკრატიის აღგზნებასთან, უკმაყოფილებასთან და იმედებთან ერთად, იგი გადის თავისი სამშობლოდან, რომ მოეფინოს მთელ ევროპას; და თქვენ უკვე ხედავთ, რომ უადრესად გართულებული სიმფონიები იზადავენ ხალხს იმ საფრანგეთში, სადაც ეროვნული მუსიკა აქამდე ვოდევნილამდე და სიმღერამდე იყო დაყვანილი.

* *

ხელოვნების ნაწარმოები განისაზღვრება იმ ერთობლიობით, რომელიც შესდგება ვარემოცვის გონებრივ და ზნე-ჩვეულებათა საერთო მდგომარეობისაგან.

და როდესაც ეს გრძნობანი, მოთხოვნებიანი, მისწრაფებანი შეერთდებიან სრულიად და
შკვეთრად ერთ არსებაში, შეიქმნება გაბატონებული პერსონაჟი, ესე იგი, ის ნიშნები, რომელ-
საც გარს ესხვევიან თანამედროვენი თაყვანისცემითა და სიყვარულით; საბერძნეთში ეს არის
ტიტველი და კარგი აგებულების ჭაბუკი, გამარჯვებული ყოველგვარ ტანვარჯიშობაში; შუა
საუკუნეებში — ხარწმუნობით აღტყინებული ბერი და მიჯნურობით გახელებული რაინდი.
XVII საუკუნეში — დიდებულად ზრდილი კარის-კაცი; და ჩვენს დროში — დაუცხრომელი და
ნაღვლიანი ფაუსტი ან ვერტერი.

ყოველი მდგომარეობა ქმნის გონების მიმართულებას, ხელოვნების განსაზღვრულ ჯგუფს, რო-
მელიც მას შეესაბამება. მაშასადამე, ახალი მდგომარეობა უნდა ქმნიდეს გონების ახალ მიმართუ-
ლებას, უკანასკნელი კი ხელოვნების ახალ ნაწარმოებთა ჯგუფს. მაშასადამე, თუ გარემოცვა ჩამო-
ყალიბების ხანაშია, იგი თავისას შეჰქმნის, როგორც წინანდელმა გარემოცვამ შეჰქმნა თავისა.
ეს სურვილზე და იმედზე დამყარებული უბრალო მოსაზრება როდია; ეს არის შედეგი წესისა,
რომელსაც საფუძვლად აქვს ცდის ავტორიტეტი და ისტორიის მოწმობა; რაკი დადგენილი
არის კანონი, მას ერთნაირი ძალა აქვს. როგორც ხვალისდელი, ისე გუშინდელი დღისათვის;
ნივთების დაკავშირება თან ახლავს ამ ნივთებს. როგორც მომავალში, აგრეთვე წარსულში.
ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს გამოფიქრულია ხელოვნება; მართალია, ზოგი-
ერთი სკოლა მომკვდარა და აღორძინებას ვეღარ შესძლებს; ზოგიერთი ხელოვნება ჭკნება და
მომავალი, რომელშიაც ჩვენ შევდგით ნაბიჯი, ვერ უქადის მას საჭირო პირობებს განვითარ-
ებისათვის, მაგრამ თვითონ ხელოვნება, რომელიც საგნების გაბატონებული ხასიათის დანახ-
ვის და გამოხატვის ნიჭია, ისევე ხანგრძლივია, როგორც ცივილიზაცია, რომლის პირმშოს და
საუკეთესო ქმნილებას წარმოადგენს იგი. დღეს არ შეუუდგებთ იმის კვლევას, თუ როგორი
იქნება ეს ფორმები და ხუთი დიდი ხელოვნებიდან სახელდობრ რომელი შესძლებს მომავლის
გრძნობების განსახიერებას. მაგრამ იმის მტკიცების უფლება კი გვაქვს, რომ აღმოჩნდებიან
ახალი ფორმები. და ეს განსახიერება მოსდება, რადგან თვალის გახედვა გეჭირია მართო,
რათა დავინახოთ რა ღრმა, საყოველთაო და სწრაფი ცვლილებები ხდება, გარემომცველ პი-
რობებსა და ადამიანის გონებაში, რომლის სადარი ჯერ არც ერთ საუკუნეს არ უნახავს. სამი
მიზეზი, რომელთაც შეადგინეს ჩვენი თანამედროვე სულიერი მდგომარეობა, სულ უფრო და
უფრო მომატებულ ძალით განაგრძობს თავის შემოქმედებას. თუ არის თქვენ შორის ვინმე,
რომ არ იცოდეს, რა სისწრაფით მრავლდება პოზიტიური მეცნიერების აღმოჩენები; რომ
გეოლოგია, ორგანული ქიმიკა, ისტორია, ბიოლოგიის და ფიზიკის მთელი შტოები სწორედ
ჩვენს დროში აღმოცენდნენ; რომ ცდის პროგრესი უსაზღვროა, რომ აღმოჩენების გამოყენება
უსაზღვროა, რომ შრომის, ტრანსპორტის, მიმოსვლის, კულტურის, ხელოვნების, მრეწველო-
ბის ყველა დარგში და განშტოებაში განუზომელია ადამიანის ძლიერება და იზრდება ყოველ-
წლივ უფრო ფართოდ, ვიდრე ამას წარმოვიდგენდით. გარდა ამისა, ყველა თქვენგანმა იცის,
რომ სწორედ ასევე უმჯობესდება პოლიტიკური მანქანა, საზოგადოება უფრო და უფრო გო-
ნიერი და ადამიანური ხდება, იცავს შინაგან მშვიდობიანობას. მფარველობას უწევს ნიჭიერთ,
ესმარება სუსტსა და ღარიბს — მოკლედ, ადამიანი ყოველმხრივ და ყოველი გზით ავითარებს
თავის შეგნებულობას და ამსუბუქებს ცხოვრების პირობებს. ვინ იქნება გაბედოს და თქვას,
რომ არ იცვლება ადამიანის მდგომარეობა, მისი ჩვეულებანი და იდეები; ან უარყოს ის
დასკვნა, რომ ნივთიერ და სულიერ განახლებას თან მოსდევს აგრეთვე ხელოვნების განახ-
ლება.



აბრამ კაკლანი

თარგმნა ელზა ბახტაძემ

„ბავშვობის წლები მთებია, საიდანაც ცხოვრების მდინარე იღებს სათავეს, ძალასა და მიმართულებას“.

0. კო რ ჩ ა კ ი

სიტყვა იანუშ კორჩაკზე

მე-20 საუკუნემ, სოციალური თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძვრების საუკუნემ, კაცობრიობას მოუვლინა არა მხოლოდ ხალხის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი მებრძოლები — მგზნებარე რევოლუციონერები და დიდი მოაზროვნეები, ბუნების გარდამქმნელები და კოსმოსის დამპყრობნი, არამედ ის ალაღმართალი ადამიანებიც, რომლებიც უხმაუროდ იქმოდნენ სიკეთეს და უანგაროდ იღვწოდნენ სამართლიანობისათვის, ისინი, ვისაც ხალხის გასაჭირი თავის გასაჭირად გაეხადა.

ასეთ ხალხს მიეკუთვნება გერმანელი სწავლული, ფილოსოფიის დოქტორი, ცნობილი მუსიკოსი და მუსიკათმცოდნე ალბერტ შვეიცერი. იგი შემოქმედებითი გაფურჩქვნის ხანაში იყო, რომ ექიმობა მოიწადინა, რათა შემდეგ აფრიკის უსიერ ტყეებში კეთროვნებისთვის ემკურნალა და თითქმის ნახევარი საუკუნე გაეტარებინა იქ მუხლჩაუხრელ და უანგარო შრომაში. „ჯუნგლების მოხუცი ექიმი“, „თეთრი ექიმი“ — ასე იხსენიებდნენ მას მ. განდი, ა. აინ-შტაინი, რ. როლანი.

ა. შვეიცერის მორალური გმირობა (თუმცა ძველი სამხედრო გაგებით იგი გმირობად არ მიიჩნევა) შტ. ცვაიგმაც აღნიშნა თავის დროზე. თვითონ შვეიცერი კი ამბობდა: „გმირობა მხოლოდ ბრძოლის ველზე როდი შეიძლება ჩაიდინოს კაცმა; თავგანწირვაც გმირობაა“.

ასეთი „თავგანწირული“ გმირი გახლდათ კაცი-ლეგენდა იანუშ კორჩაკი. ლეგენდას კი 1942 წლის 5 აგვისტოს დაედო სათავე: ვარშავის გეტოში შემორჩენილი ობოლ ბავშვთა სახლის ორასი აღსაზრდელი მშვიდად, ხელიხელჩაკიდებული მიემართებოდა ვაგონებისაკენ. აბა, რა იცოდნენ პატარებმა, რომ გაზის კამერებში სიკვდილთან პირისპირ შესახვედრად მიემგზავრებოდნენ. საზეიმოდ მორთულ ბავშვებს წინ იანუშ კორჩაკი მიუძღოდათ. მატარებლის უფროსმა იცნო გამხდარი ჭაღარა მოხუცი.

- „პატარა ჯეკის გაკოტრება“ თქვენ დაწერეთ?
- დიახ, მე დავწერე.
- კარგი წიგნია. ბავშვობაში წამიკითხავს... თქვენ თავისუფალი ხართ.
- ბავშვები?
- ბავშვები გაემგზავრებიან, თქვენ კი შეგიძლიათ დარჩეთ.
- ცდებით,— უპასუხა კორჩაკმა, — ყველა როდია არამზადა.

იანუშ კორჩაკი ტრემბლინკის სიკვდილის ბანაკში დაიღუპა თავის ერთგულ თანაშემწეებთან და ბავშვებთან ერთად. ამ საბედისწერო უამს მან არ ინდობა მიეტოვებინა ისინი, ვისთან ერთადაც იღვწოდა და ვისთვისაც იღვწოდა.

ი. კორჩაკს არაერთმა პოეტმა თუ კომპოზიტორმა უძღვნა თავისი ნაწარმოები, არაერთი მხატვრის შთაგონების წყარო გახდა იგი (მისი ქანდაკება შექმნა ცნობილმა პოლონელმა მოქანდაკემ კ. ლუნიკოვსკიმ). დასავლეთ-გერმანელი მწერლის ერვინ სილვანუსის პიესა „კორჩაკი და ბავშვები“ (1957) სხვადასხვა ქვეყნის სამოცდაათამდე თეატრის სცენაზე დაიდგა. ი. კორჩაკის სახელი დაერქვა ქუჩებს, სკოლებს, ბავშვთა სახლებს.

ი. კორჩაკი — საზოგადო მოღვაწე, უპირველესად ლატაკთა ცხოვრების, განსაკუთრებით კი ბავშვთა საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა. სად არ ნახავდით მას — საავადმყოფოებსა თუ ბავშვთა სახლებში, უბრალო ხალხთან თუ ახალგაზრდებთან საუბარში გართულს. ყველას აოცებდა, ყველას გულს ინადირებდა მისი პირდაპირობა და გულითადობა. ი. კორჩაკის აღმზრდელობით-პედაგოგიური მოღვაწეობა მთლიანად გონივრულ რეფორმებსა და პროგრესს ეყრდნობოდა („თუ გსურს შეცვალო ქვეყნიერება, უნდა შეცვალო აღზრდის წესები“), აკრიტიკებდა ბურჟუაზიული აღზრდის მეთოდს, მისთვის დამახასიათებელ სნობიზმს და უგუნურებას.

1911 წელს ი. კორჩაკმა სანუკვარ მიზანს მიაღწია — დიდი ცდისა და შრომის მერე უღედ-მამო და ღარიბთა ბავშვებს აუშენა სახლი, სადაც მათ შეეძლოთ ეცხოვრათ და ესწავლათ კიდევ. ამ შენობაში 30 წლის მანძილზე იზრდებოდნენ ბავშვები სიყვარულით, გულითადობითა და ზედნიერებით გარემოსილნი.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ი. კორჩაკი რუსეთის არმიის სამხედრო ექიმი იყო, მაგრამ აქაც არ ივიწყებდა თავის საყვარელ საქმეს (სწორედ ამ წლებში დაწერა წიგნი „როგორ უნდა გვიყვარდეს ბავშვი“). 1915—1918 წლებში იგი ექიმად მუშაობდა პოლონელ უღედ-მამო ბავშვთა სახლში კიევში. აქ გაიცნო მან მარია ფალსკაია — თავისი ერთგული მეგობარი და თანამოაზრე, შესანიშნავი პედაგოგი.

გარშავაში დაბრუნების შემდეგ ი. კორჩაკმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ბავშვთა აღზრდის საქმეს მიუძღვნა. იგი სათავეში ჩაუდგა უღედმამო ბავშვთა ორ სკოლა-თავშესაფარს. მისი ინიციატივით ულამაზეს ტყიან ადგილას აშენდა ინტერნატი „ჩვენი სახლი“. აქ რომ დღე და ღამე ასწორებდა შრომაში, ი. კორჩაკი ამავე დროს პედაგოგიკის ინსტიტუტში წარსადგენ მოხსენებებს ამუშავებდა, პედაგოგიურ ჟურნალებში თანამშრომლობდა, ლექციებს კითხულობდა, რჩევა-დარიგებებს აძლევდა სხვადასხვა დაწესებულებებს და მცირეწლოვანთა სასამართლოში ექსპერტობაც ევალებოდა.

1926 წლიდან მისი რედაქციით გამოდიოდა საბავშვო გაზეთი, რომელიც შემდეგში გაზეთ „ჩვენი მიმოხილვის“ ყოველკვირეული დამატება გახდა. სპეციალური კორესპონდენტები და რეპორტიორებიც თავად ბავშვები იყვნენ, თავიანთი შრომის საზღაურად ჰონორარსაც იღებდნენ.

ი. კორჩაკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ბავშვთა ქცევას არდადეგების დროს (1910—1911 წლებში გამოაქვეყნა ორი წიგნი „საზაფხულო კოლონიებში“), ჰქონდა დღიური, აგროვებდა ბავშვთა წერილებსა და სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს, რომელთა გამოქვეყნებასაც ფიქრობდა მომავალში. ღამით, დასვენების მაგიერ თავაუღებლივ წერდა და ქმნიდა ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს (1920—1930 წლებში 10 წიგნი გამოსცა).

ი. კორჩაკს პირადი ცხოვრება არ ჰქონია. მას ბავშვები უყვარდა და მათზე ზრუნვა თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად დაისახა. მისი ოთახი, უფრო სწორად, ბერის სენაკი, აღსაზრდელთა საძინებელი ოთახის თავზე იყო სხვენში. უამრავი წიგნი და ცოტაოდენი ძველი ავეჯი — აი, ამ ოთახის მთელი მორთულობა. აქ გაატარა კორჩაკმა 20 წელიწადი, აქედან წავიდა იგი სიკვდილისა და არდავიწყების გზაზე.

ამ სტრიქონების ავტორს, მაშინ სტუდენტ-პრაქტიკანტს და უკვე პოლონეთის კომპარტიის წევრს, წილად ხვდა ბედნიერება ამ სენაკში ჭაბუკური გზნებითა და შეუპოვრობით ეკამათა კორჩაკთან პედაგოგიურ იდეებსა და კონკრეტულ ღონისძიებებზე.

„ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ბავშვების გარეშე რა ულამაზო იქნებოდა ჩვენი ცხოვრება. მაშასადამე, მათ თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. ბავშვიც ადამიანია, მართალია, მოზრდილისაგან განსხვავებული შესაძლებლობით, მაგრამ ადამიანი, რომელსაც მდიდარი შინაგანი სამყარო გააჩნია“, — აი, ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა კორჩაკი ბავშვთა აღზრდისას. თავის სკოლა-ინტერნატებში მან მოაწყო სახელოსნოები, გახსნა სპეციალიზებული სასწავლო კლასები, სადაც მართვა-გამგეობა მთლიანად ბავშვებს ევალებოდათ, თვითონ ირჩევდნენ საბჭოს და თვითონვე წყვეტდნენ სადავო საკითხებს. სკოლის მერე დამოუკიდებ-

ბელი ცხოვრების გზაზე გასულმა ახალგაზრდებმა უკვე იცოდნენ პატიოსანი შრომისა და ურთიერთპატივისცემის ფასი.

20-იან წლებში ნამდვილი სენსაცია მოახდინა ი. კორჩაკის წიგნმა — „მატიუშის გავაკტრება“. წიგნში მოთხრობილია ამბავი პატარა ამერიკელი ბიჭისა, რომელმაც გადაწყვიტა სკოლაში ბავშვთა კოოპერატივი ჩამოეყალიბებინა. 1925 წ. დაიბეჭდა მშვენიერი პოეტური მოთხრობა „როდის გავხდები კვლავ პატარა“ (რუსულ ენაზე გამოიცა 1964 წ.).

ი. კორჩაკის ნაწარმოებთაგან ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საყმაწვილო წიგნს „მეფე მათიუშ I-ს“. ამ წიგნში ავტორმა ჩააქსოვა მთელი თავისი ოცნებები და ფიქრები ცხოვრებაზე, ადამიანთა ბედნიერებაზე და რაც მთავარია, ბავშვებზე. სახელმწიფოებრივი საკითხები და სოციალური რეფორმებისადმი სწრაფვა ი. კორჩაკს ხშირად გულუბრყვილოდ აქვს გადაჭრილი. პატარა მეფე მათიუშზე იგი იუმორით წერს და ამ იუმორის მიღმა კაპიტალისტური წყობის მხოლოდ კილვა იგულისხმება.

„მეფე მათიუშ I“ მკაცრი ზღაპარია ბავშვთა თავისუფლებაზე და მათ ლაშქრობაზე „სამოთხის კარის“ ასაღებად. ავტორი ცდილობს წიგნში შექმნას დემოკრატიის განსაზღვრული მოდელი, მაგრამ სამყაროს გაახლების იდეას ბავშვთა რევოლუციის გზით აღსრულება არ ეწერა — უცხო სახელმწიფოების მეფეთა ინტერვენციამ ჩაახშო იგი. წიგნში აღწერილი ფანტასტიკური ამბავი პოლონეთის სინამდვილეზეა აგებული. მათიუში თავად ხალხია, მისი ცხოვრება ხალხის ცხოვრებაა. იგი ებრძვის ბოროტებას და ამრიგად, სიმართლის, პატიოსნების, უანგარო სიკეთის განსახიერებაა. „ყველაზე დიდი ბედნიერებაა, იცხოვრო, იშრომო, იბრძოლო ქვეყნის სიკეთისათვის“, — აი, მისი ცხოვრების მთავარი არსი.

წიგნს არნახული წარმატება ჰქონდა წილად. მისი ავტორის სახელი ყველას პირზე ეკერა. უფროსებიც და ბავშვებიც ერთნაირი ინტერესით კითხულობდნენ „მატიუშს“ იგი მრავალ ენაზე ითარგმნა და დღესაც დიდად პოპულარული ნაწარმოებია. ინსცენირებულმა „მატიუშმა“ ხომ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის არა ერთი თეატრის სცენა მოაარა. დიდი წარმატებით იდგმებოდა იგი თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრშიც.

ი. კორჩაკი საბავშვო ლიტერატურაში არა მხოლოდ შინაარსის, არამედ ფორმის ნოვატორიც გახლდათ. მან დიდი ოსტატობით შეუთავსა ერთმანეთს ლირიზმი და ავტობიოგრაფიული დეტალები, საკუთარი თვალთახედვა ცხოვრებაზე და სწრაფვა კონკრეტულისაკენ, საავადმყოფოებში კლინიკური დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები და ცხოვრების მკაცრი სინამდვილე. ამ საქმიანობაში მას მეგზურობას უწევდა სათაყვანო მწერალი ა. ჩეხოვი. კორჩაკის ნაწარმოებთა ენა მოქნილი და სხარტია, აღსავსეა თავისებური ნეოლოგიზმებით, ბავშვის მეტყველება ოსტატურად ერწყმის ხალხურ მეტყველებას.

ი. კორჩაკის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პიესას „შეშლილთა სენატი“ (1931). „მკაცრი იუმორესკა“ — ასეთი ქვესათაური მისცა თავის ნაწარმოებს თვითონ ავტორმა. პიესა გროტესკულ-ტრაგიკული სანახაობაა. ცნობილმა პოლონელმა მსახიობმა სტეფან იარაჩმა ეს პიესა სწორედ მაშინ დადგა სცენაზე, როცა პოლონეთში პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი მძვინვარებდა (1931 წ.). მოქმედება ვითარდება საგიჟეთში, სულით ავადმყოფები თავს იყრიან „სენატის“ მორიგ სხდომაზე. ყველა ერთდროულად ლაპარაკობს, უფრო სწორად, თავისთვის ჩურჩულებს, ყურს არავინ უგდებს ერთმანეთს. დასაწყისიდანვე ნათელი ხდება პიესის ალეგორიული აზრი — სიგიჟე ტრაგიკული სინამდვილისაგან, შეშლილი სამყაროსგან თავის დასაღწევად არის მოგონილი. მთელი მოქმედების მანძილზე ასევე ცხადად იგრძნობა მოსალოდნელი კატასტროფის — მსოფლიო კატაკლიზმის საშიშროება. კორჩაკმა მწერლური გუმანით იგრძნო ეს საშიშროება და მიანიშნა, ევროპაში უკვე ფეხი აიდგა დამთხვეულმა ფაშიზმმა და აბსოლუტიზმი გვემუქრებაო.

პიესაში განსაკუთრებით გამოიყოფა კაცთმოძულე, ცივილიზაციის ნგრევაზე მეოცნებე პოლკოვნიკი. მას ელანდება ცეცხლის ალში გახვეული ქალაქები, დანახშირებული ადამიანები, მოედნებზე აღმართული სახრჩობელები. აქვეა მოხუცი მღვდელიც, რომელიც ირწმუნება: ღმერთი აღარავის სჭირდება მიწაზე და იმანაც ხელი აიღო ამა ქვეყნის ზრუნვაზეო. საინტე-რესოა აღინიშნოს, რომ ამერიკელი რეჟისორის მ. ფორმანის ერთ-ერთ ფილმშიც მოქმედება ვითარდება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც გმირები შეშლილ, შეშლილ, შეშლილ სამყაროს ემალებიან.

1936 წლიდან გაძლიერდა პროფაშისტური ანტიდემოკრატიული ტენდენციები. ქვეყნის-თვის და კორჩაკისთვისაც მძიმე დრო დადგა. ფაშიზმი ემუქრებოდა ევროპას. მეგობრებთან მიწერ-მოწერისას კორჩაკი არ ცდებოდა, წინასწარ გრძნობდა ამ საშიშროებას. ი. კორჩაკს დევ-

ნიდნენ, იგი ველარც რადიოში გამოდიოდა და პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზიც შეუზღუდეს. 1939 წლის სექტემბერში ფაშისტთა ურდოებმა დაიმორჩილეს პოლონეთი. დაიწყო ყველაზე შავბნელი ყამი პოლონელი ხალხის ისტორიაში — ოკუპაციის წლები. ამ საშინელ დროს ვარშავის გეტოში კორჩაკმა მაინც შეინარჩუნა სულის სიმშვიდე და ადამიანური სიდიადე, ბოლო წუთამდე თავს ევლებოდა ბავშვებს.

და ყოველთვის, როცა იანუშ კორჩაკზე ვფიქრობ, ყურში ისევ ის ზემოთ მოტანილი დი-ალოგი ჩამესმის:

გერმანელი ოფიცერი — „პატარა ჯეკის გაკოტრება“ თქვენ დაწერეთ?

იანუშ კორჩაკი — დიახ, მე დავწერე.


გერმანელი ოფიცერი — კარგი წიგნია. ბავშვობაში წამიკითხავს... თქვენ თავისუფალი ხართ.

იანუშ კორჩაკი — ბავშვები?

გერმანელი ოფიცერი — ბავშვები გაემგზავრებიან, თქვენ კი შეგიძლიათ დარჩეთ.

იანუშ კორჩაკი — ცდებით, ყველა როდია არამზადა.

იანუშ კორჩაკის ბევრი აღზრდილი დაიღუპა, ბევრი მისი ჩანაწერი და გამოუქვეყნებელი მასალა უკვალოდ დაიკარგა, მაგრამ დარჩა წიგნები, ლეგენდა და სიბრძნე ადამიანთა ბედნიერებაზე მეოცნებე კაცისა.



ბარსია მარკესის რომანი „სიმარტოვის ასი წელი“

საშუალო ტანის, ჩაფსკვნილი მარკესი მონადირესა და პარტიზანული ბრძოლების გმირს უფრო ჰგავს, ვიდრე მწერალს. გაბო, როგორც მას თავისი მეგობრები ეძახიან, ცოტათი საკუთარი ნაწარმოებების გმირებსაც ჩამოჰგავს.

მისი შემოქმედებითი დებიუტი ნაკლებადაა ჩვენი ცნობილი. იგი დაიბადა 1923 წელს ჩრდილოეთ კოლუმბიის ერთ პატარა სოფელ არაკატაკაში. პატარა მარკესი ბებიამ და ბაბუამ გაზარდეს. მისი ბაბუა მაშინ თადარიგის პოლკოვნიკი და ორი სამოქალაქო ომის ვეტერანი იყო. მალე მარკესმა სოფელი მიატოვა და ბოგოტაში გაემგზავრა განათლების მისაღებად.

40-იანი წლების მიწურულს მარკესი შემოქმედებით მოღვაწეობას იწყებს. ოცი წლის მწუხარებისა და მშფოთვარე ცხოვრების შემდეგ მას აღიარება მოუტანა რომანმა „სიმარტოვის ასი წელი“. მწერალმა სწავლა კარტახენში დაასრულა, რადგან 1948 წელს ბოგოტა სანახევროდ ალყაში იყო მოქცეული. შემდეგ ჟურნალისტობას მიჰყო ხელი, მიატოვა კარტახენი და ბარანკილიაში წავიდა. ამ პერიოდში იგი ბევრს კითხულობს (ფოლკნერს, ჰემინგუეის, ჯოისს) და აგრძელებს წერას თავისთვის. მარკესი დაინიშნა გაზეთ „ესპექტადორის“ კორესპონდენტად ჯერ რომში და შემდეგ კი — პარიზში, სადაც იგი სამ წელს დარჩა. შემდეგ მარკესი დროებით კარაკასში დასახლდა. 1957 წელს იგი ნაწარმოებების გამოქვეყნებას იწყებს ბოგოტაში ფიდელ კასტროს პრესის სააგენტოს კოლუმბიის განყოფილებაში. 1961 წელს მარკესი დაინიშნეს ნიუ-იორკის გამომცემლობის განყოფილების უფროსის მოადგილედ. შემდგომში მწერალი მეხიკოში დასახლდა და 1965 წლიდან კვლავ განაგრძო „სიმარტოვის ასი წლის“ წერა. ეს რომანი 1976 წელს გამოიცა ბუენოს-აირესში. წიგნმა მარკესს საყოველთაო აღიარება მოუტანა. ესპანურ ენაზე რომანის სამი მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა.



ნობელის პრემიის ლაურეატმა პაბლო ნერუდამ „სიმარტოვის ასი წლის“ წაკითხვის შემდეგ თქვა: „შეიძლება ითქვას, რომ სერვანტესის „დონ კიხოტის“ შემდეგ ეს წიგნი ყველაზე დიდი მოვლენაა ესპანურ ლიტერატურაში“. და მართლაც, ეს ის წიგნია, საუაუნველს განმავლობაში რომ იტოცხლებს და რომელიც უსათუოდ უნდა წაიკითხოს ყველამ.

რომანი ალეგორიულია. მკითხველი თავიდანვე ებმება ჯუნგლებში ჩამალულ სოფელ მაკონდოს მიკროკოსმოსის ცხოვრებაში, ესწრება მის დაარსებასა და აღმოცენებას. სოფელი მოწყვეტილია გარე სამყაროს. მხოლოდ ბოშებს შემოაქვთ მეცნიერების ცოდნა (ალქიმია, ასტრონომია და სხვა). ისინი ფილოსოფიური სპეკულაციის მარცვლებს სთესენ და ეზოტერული ძიების წყურვილს უღვივებენ სოფლის ბინადართ. სოფლის დამაარსებელი ხოსე არკადი ბუენდია ხან აქტიურად მოქმედებს, ხან პასიურ ფიქრს მისცემია. იგი ძალზედ მოხუცებული კვდება. ასევე მოხუცებული კვდება მისი ცოლი ურსულა, რომელმაც მთელი ცხოვრება მძიმე და მუხლჩაუხრელ შრომაში გაატარა.

გარსია მარკესის ხსენებული რომანი მკითხველს უმტკიცებს, რომ „დრო კი არ გადის, არამედ შეკრული წრეხაზის ირგვლივ ტრიალებს“. ბუენდიასა და ურსულას პირველი ვაჟი ხოსე არკადიო ავანტიურისტი იყო, ხოლო მეორე, პოლკოვნიკი აურელიანო — მეამბოხეთა მეთაური. მან ოცდათორმეტი თმი წამოიწყო და ოცდათორმეტივეში დამარცხდა. პოლკოვნიკმა დახვრეტას თავი დააღწია და სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სკეპტიკოსად იქცა.

აურელიანოსა და ხოსე არკადიოს მეექვსე თაობა მაკონდოში ცხოვრობს. თუმცა სოფელმა ბევრი რამ გადაიტანა და ბევრი რამ შეიცვალა, — მაკონდოში შემოიჭრა ამერიკული მრეწველობა, დაარსდა ბანანის პლანტაციების კომპანიები, — ცხოვრების კანონი მაინც მარადიულად უცვლელი დარჩა. სოფლის მკვიდრთა ცხოვრება თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. „დრო არ გადის, იგი შეკრული წრეხაზის ირგვლივ ტრიალებს“. ერთი სიტყვით, მწერლისათვის სოფლის მკვიდრნი სიმარტოვის პატიმრები არიან. ბუენდიები, რომლებსაც სოლიდარობის გრძნობა არ გააჩნიათ, უჩინარდებიან და მასთან ერთად უჩინარდება მაკონდოც.

მარკესის „სიმარტოვის ასი წელი“ ადამიანური სიმარტოვის დიდი წიგნია, საფრანგეთში ამ წიგნზე შედარებით ნაკლები თქმულა, ვიდრე სხვა ქვეყნებში.


მწერალმა მომდევნო წიგნი — „პატრიარქის შემოდგომა“ ბარსელონაში ფრანკოს რეჟიმის უკანასკნელ წლებში დაწერა. წიგნი გრძელი პოემაა იმ სიმარტოვეზე, ძალაუფლება რომ ახვევს თავს ადამიანს. როგორც მარკესმა თქვა: „ამ წიგნის წერა რომ დავიწყე, კალამი ჯერ კიდევ არ გამშრალიყო „სიმარტოვის ასი წლის“ შემდეგ“.

ამჟამად გარსია მარკესი მეუღლესა და ორ შვილთან ერთად მეხიკოში ცხოვრობს. დღესაც განაგრძობს ჟურნალისტურ მოღვაწეობას და თითქმის დაამთავრა ესე კუბის ეკონომიური ბლოკადის შესახებ. მან გადაწყვიტა, რომანები აღარ წეროს, „აღარ მინდა, რომ ვიტანჯო წერისას“, — თქვა მარკესმა.





ეთერ აბრამიძე. „ბებიას სახლი სოფელში“. 6 წ.



მანა შაჰნაზარი. „ირინე“.

7 წ. 53 ს.შ. სკ.



ნატა თოდრია. „სამი გოგონა“. 8 წ. 42 ს.შ. სკ.

